საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№37 (128)
19 - 25 ოქტომბერი, 2011
ფასი 1 ლარი
info@geworld.net

# საქართველო და მსოფლიო

## ევრაზიული კავშირის მითები და რეალობა
4

3



# სააკაშვილს «ბიძინოფობია» განუვითარდა

ბიძინა ივანიშვილი არ არის „საველე მეთაურის“ ტიპის პოლიტიკოსი. მეტიც, ასეთი პოლიტიკოსი მისგან, სავარაუდოდ, არ გამოვა. ის, ალბათ, უფრო გამოკვეთილი „შტაბისტია“, რომლის სტიქია გეგმების შედგენა და პროცესის სტრატეგიული მართვაა. უახლეს ისტორიაში სულ სამი ასეთი პოლიტიკოსი გვყავდა (გვარებს არ ჩამოვთვლი, რადგან მინდა, ეს თემა ახლო მომავალში განვავრცოთ). ასეთი მოწინააღმდეგე სააკაშვილისთვის განსაკუთრებით საშიშია და, ალბათ, აქედან მოდის ხელისუფლების ეს ფსიქოტური რეაქცია, რომელიც აშლილი ვიოლინოს კივილს ჰგავს. როგორც ჩანს, მალე ფსიქიატრიის ქართულ სახელმძღვანელოებში ახალი თავი — „ბიძინოფობია“ გაჩნდება.

## «ყვავა» «ნაცებს» ორ ახალ სლოგანს სთავაზობს: «მიშასი მაგარია» და «ჩვენ გაგიკეთებთ»
11

16
## ცოცხალთა პანთეონი — რა ხდება მეცნიერებათა აკადემიაში

დეკანოზი დავით ქვლივიძე:
18
## სომხური ეკლესია სულიწმინდის მადლს მოკლებული საკრებულოა




2
# აშშ-ის მოქმედი და სარეზერვო აგენტურა საქართველოში

„ვანო მერაბიშვილი გაემგზავრა აშშ-ში. მისი ამერიკაში ვიზიტის ოფიციალური მიზეზი აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს შეფთან, რობერტ მიულერთან შეხვედრა იყო. მაგრამ ის ფარულად შეხვდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შეფ პალეტას... და აღნიშნული ინფორმაცია პირადად გადასცა“

## ხვლიკიანობა
6



7



## პრჟევალსკის ცხენი და ახალი «ხელმარჯვეები»

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრ... 22-95

# RECRUITED ანუ

| სუკის ყოფილი აგენტები | საპროცესო გარიგების ძალით იძულებით გადაბირებულები | ხელშეუხებლობის სანაცვლოდ გადაბირებული ბიუჯეტთან არაკეთილსინდისიერებაში გამოჭერილი ჩინოვნიკები | ფინანსურ მაქინაციებსა და გადასახადების დამალვაში მხილებული ბიზნესმენები | უცხოეთში სწავლის საფასურის გადახდის სანაცვლოდ გადაბირებული სტუდენტები |
|---|---|---|---|---|

# აშშ-ის მოქმედი და სარეზერვო აგენტურა საქართველოში

**საქართველოს ხელისუფლება დღენიადაგ რუსეთის ჯაშუშების ძიებაშია, ამ დროს ქვეყანაში რამდენია სხვა, უცხო ქვეყნის ჯაშუში, კაცმა არ იცის. არადა, ყველას კარგად მოეხსენება, რუსეთის გარდა, სტრატეგიული ინტერესები საქართველოსა და ზოგადად, სამხრეთ კავკასიის მიმართ, არაერთ სახელმწიფოს გააჩნია, თუნდაც ჩვენი მეზობელი ქვეყნები ავილოთ, რომელთა წარმომადგენლები (ზოგი ღიად, ზოგი შეფარვით) არც მალავენ, რომ გაფართოებას საქართველოს ტერიტორიის ხარჯზე აპირებენ.**

რუსეთის ხელისუფალთ, ალბათ, არც დაესიზმრებათ, იმდენი მოქმედი და პოტენციური ჯაშუში ჰყავს აშშ-ს საქართველოში. იმაზე არ მოგახსენებთ, რომ ეს ხელისუფლება აშშ-ის ადმინისტრაციის ყურმოჭრილი ყმაა. აშშ-ის სადაზვერვო სამსახურები თადარიგს აქედანვე იჭერენ — თუ საქართველოში რუსეთის გავლენა გაიზარდა, თუ „ნაცხელისუფლება" ისეთი ხელისუფლებით შეიცვალა, რომელიც რუსეთთან, ევროპასთან და ამერიკასთან დაბალანსების პოლიტიკას განახორციელებს, თუ ამერიკის გავლენა შესუსტდა საქართველოში, აი, მაშინ აამოქმედებს ამ სარეზერვო აგენტურულ ქსელს ამერიკა საქართველოში და ფარულ ომს გააჩაღებს იმ ქვეყნების წინააღმდეგ, რომელთა გავლენაც იმ დროისთვის გაიზრდება ჩვენს ქვეყანაში.

**კონფიდენციალურ წყაროზე დაყრდნობით, მეტად საყურადღებო ინფორმაცია მოვიპოვეთ. წყარო, ცხადია, უსაფრთხოების მიზნით, გამოჩენას არ აპირებს, რადგან ინფორმაცია მართლაც სკანდალურია და მისი გამხელა, შესაძლოა, მისთვის მომაკვდინებელი აღმოჩნდეს.**

საქართველოს შსს და მისი სპეცსამსახურები ამერიკული სპეცსამსახურების ფილიალები რომაა, ეს ცნობილია. შსს-ში მათ კონტროლქვეშაა ყველაფერი, მათ შორის, საქართველოს სპეცსამსახურების აგენტურა. მეტიც, საქართველოს ნებისმიერი სპეცსამსახურის აგენტი ავტომატურად აშშ-ის სპეცსამსახურების აგენტია. ჯერ მოდით, ადამიანთა იმ კატეგორიაზე მოგახსენებთ, რომლებიც საქართველოს სპეცსამსახურების აგენტები ნებით თუ ზეწოლით ხდებიან, მერე კი იმას გეტყვით, რატომ არიან ეს ადამიანები თავისთავად ამერიკის აგენტები.

**წყაროს ინფორმაციით, საქართველოს სპეცსამსახურების აგენტები არიან შემდეგი კატეგორიის ადამიანები:**

1. საბჭოთა კავშირის უშიშროების (კგბ) ყოფილი აგენტები საქართველოში, რომელთაც მოინანიეს ეს ფაქტი, აღიარებით მივიდნენ საქართველოს მთავარ პროკურატურასა და კუდ-ში. ამ ადამიანების ნაწილი დათანხმდა საქართველოს სპეცსამსახურებთან თანამშრომლობას. ეს ფაქტი დაადასტურა შსს-ს მიერ განხორციელებულმა სპეცოპერაცია „ენვერმა";

2. ადამიანთა ერთი ნაწილი, რომელთაც სამართალდამცავებთან პრობლემები შეექმნათ და საპროცესო გარიგებით დააღწიეს თავი ციხეს. ამ ადამიანთა ნაწილი, იძულების წესით, თანხმდება სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაზე, ბევრს ისე იჭერენ დილით და საღამოს ისე უშვებენ, ადვოკატის აყვანასაც ვერ ასწრებნენ, თუმცა არც სჭირდებათ, თუ თანამშრომლობას დათანხმდებიან, თანხასაც არ ახდევინებენ თავისუფლების საფასურად. ოპოზიციამ არაერთხელ განაცხადა, რომ სასამართლოებში, დაახლოებით, 240 000 საპროცესო გარიგება შედგა. წყარო აცხადებს, რომ ამ ადამიანების მინიმუმ მეოთხედი სპეცსამსახურებთან თანამშრომლობას ოფიციალურად დათანხმდა;

3. „ვარდების რევოლუციის" შემდეგ, გეხსომებათ, ირაკლი ოქრუაშვილმა დიდი დაჭერები დაიწყო და ასეულობით ადამიანს დიდძალი ფული შეატანინეს ბიუჯეტში. მრავლად იყვნენ ისეთებიც, რომელთა დანაშაულის მტკიცებულებები ხელთ ჰქონდათ ძალოვანებს, მაგრამ ისინი არც დაუჭერიათ, არც ფული გადაუხდიათ. წყაროს მტკიცებით, შევარდნაძის ხელისუფლების საშუალო და დაბალი დონის ჩინოვნიკებმა ახალი ხელისუფლების სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაზე თანხმობა განაცხადეს და ამიტომაც, დიდად არ შეუწუხებიათ ეს ხალხი და „შერჩევითი დაჭერების" მიზეზიც ეს იყოო;

4. ანალოგიურად დათანხმდნენ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობას ის ბიზნესმენები, რომელთაც კანონდარღვევით ჰქონდათ შევარდნაძის ეპოქაში შეძენილი უძრავი ქონება, კანონდარღვევით ჰქონდათ სახელმწიფო ტენდერები მოგებული თუ გადასახადების გადახდისგან თავის არიდებაში იყვნენ მხილებულნი. არც ისინი დაუჭერიათ, საბიუჯეტო დავალიანებაც აპატიეს (ზოგს — რამდენიმე მილიონი ლარი);

5. სტუდენტების ერთი ნაწილი, რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფო ფონდების (პრეზიდენტის ფონდი და ა. შ.) მეშვეობით დაფინანსდებიან უცხოეთის პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში. მათ, სოლიდური დაფინანსების — სწავლის სრული დაფინანსების სანაცვლოდ, სთავაზობენ თანამშრომლობას, თუმცა არავინ აძალებს ამას და ნებაყოფლობით თანხმდებიან აგენტობას.

**ცხადია, ამ ადამიანებმა არ იციან, რომ ისინი ავტომატურად ამერიკის სპეცსამსახურების აგენტებიც არიან. მაგრამ ამის შესახებ კარგად იცის ვანო მერაბიშვილმა. წყარო ამტკიცებს, რომ მერაბიშვილმა, დაახლოებით 200 000 ასეთი აგენტის სია, სრული დოსიე, მათი მაკომპრომეტირებელი მასალები, მათი იძულებითი თუ ნებაყოფლობითი თანხმობის დამადასტურებელი დოკუმენტები თანამშრომლობაზე, აგენტების საიდენტიფიკაციო და სხვა სახის ინფორმაცია, საკუთარი ხელით ჩაიტანა ამერიკაში. „ეს ამბავი მოხდა 2010 წლის 10 მაისს. ვანო მერაბიშვილი გაემგზავრა აშშ-ში. მისი ამერიკაში ვიზიტის ოფიციალური მიზეზი აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს შეფთან, რობერტ მიულერთან შეხვედრა იყო. მაგრამ ის ფარულად შეხვდა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შეფ პალეტას... და აღნიშნული ინფორმაცია პირადად გადასცა,"** — ამტკიცებს ჩვენი წყარო.

„თეთრების" ლიდერი **თემურ შაშიაშვილი** სახელისუფლო კულუარული დეტალების თაობაზე ხშირად საქმის კურსშია და არც კომენტარისგან იკავებს თავს. „საქართველო და მსოფლიო" სწორედ მას დაუკავშირდა და ზემოხსენებული ინფორმაცია დეტალურად გააცნო. აი, რა გვითხრა მან:

**„საპროცესო გარიგებებით სასჯელს თავარიდებული ადამიანების დიდი ნაწილი სპეცსამსახურებთან თანამშრომლობას რომ თანხმდება, ცხადია, იძულების წესით, ეს ნამდვილად ასეა. იმ დანარჩენი კატეგორიის ადამიანთა ნაწილიც, რომელიც ჩამოთვალეთ, ცხადია, თანამშრომლობს სპეცსამსახურებთან. ცალსახად იმის თქმა შემიძლია, რომ ეს ხალხი ქართულ სპეცსამსახურებთან თანამშრომლობას თანხმდება, მაგრამ არც იმას გამოვრიცხავ, რომ ამერიკულ სპეცსამსახურებთანაც ითანამშრომლონ, არ გამოვრიცხავ, რომ ეგ ინფორმაცია მართალია. სამწუხაროდ, საქართველოში, ძირითადად პოლიტიკოსთა ორი კატეგორიაა — პოლიტიკოსები, რომლებიც ფეხქვეშ ეგებიან რუსეთის ან ამერიკის ხელისუფლებას, ერთი ან მეორე ქვეყნის ხელისუფლების მონები არიან (და არა მარტო ამ ორი ქვეყნისა). ყველაფერი დასაშვებია ამ ხელისუფლებისგან; ეს ხელისუფლება ყველაფერზე წამსვლელია, ყველაფერს დაუთმობს ამერიკას და არა მარტო მას, რათა გაიხანგრძლივოს ძალაუფლება. ეგ ვერსია დასაშვებია, რადგან ამათგან მართლა არაფერია გამორიცხული".**

მოკლედ, აშშ-ს, ახლა იდეური თანამოაზრეებისა და სხვადასხვა გრანტებით დაფინანსებული ღია, ე.წ. გავლენის აგენტურის გარდა, 200 000 დარეზერვებული აგენტი ჰყავს, რომლებსაც წარმოდგენა არ აქვთ, რომ აშშ-ის აგენტები არიან. ისინი ვანოს აგენტებად თვლიან თავს, ამას შეგუებულნი არიან, მაგრამ, როცა ვანო და მისი მეგობრები წავლენ ხელისუფლებიდან, მათ გამოეცხადება „ძია სემის" წარმომადგენელი და ამერიკის სასარგებლოდ ამუშავებს. კაცმა არ იცის, ვინ რა დავალებას მიიღებს. ამერიკა დღეს კია საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი, მაგრამ საერთაშორისო პოლიტიკაში ძალთა ბალანსი იცვლება, იცვლებიან პარტნიორებიც და, ერთხელაც, საქართველო და ამერიკა, შესაძლოა, საპირისპირო პოლუსებზე აღმოჩნდნენ. აი, მაშინ გვექნება საქმე სატირლად — ამ 200 000 კაცს ამერიკა საქართველოს წინააღმდეგაც გამოიყენებს, საქართველოს წინააღმდეგ და არა — საქართველოს ხელისუფლების.

**ლევან ჯავახიშვილი**

**«მერაბიშვილმა, დაახლოებით 200 000 ასეთი აგენტის სია, სრული დოსიე, მათი მაკომპრომეტირებელი მასალები, აგენტების საიდენტიფიკაციო და სხვა სახის ინფორმაცია, საკუთარი ხელით ჩაიტანა ამერიკაში»**

მოკლედ

## მედვედევი პოლიტიკიდან წასვლას არ აპირებს



**რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა მომავალ გეგმებთან დაკავშირებით მოსკოვში თავის მომხრეებთან შეხვედრაზე ისაუბრა. რუსული მედიის ცნობით, ის პოლიტიკიდან წასვლას არ აპირებს.** „არ ვაპირებ მათ ვუღალატო, ვისაც სურს ქვეყნის პოლიტიკისა და ეკონომიკის მოდერნიზაცია. მივიღე გადაწყვეტილება, პოლიტიკაში დავრჩე და კონკრეტული საქმეებით დავკავდე", — განაცხადა მედვედევმა. პრეზიდენტმა სახელმწიფო მმართველობის შეცვლის აუცილებლობაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ კარგი იქნებოდა „დიდი მთავრობის" შექმნა, რომელიც პარტიებთან და საზოგადოებასთან ერთად იმუშავებს.

## სენატმა ობამას პროგრამა ჩააგდო

**ამერიკელმა სენატორებმა უმუშევრობის წინააღმდეგ ქვეყნის პრეზიდენტის, ბარაკ ობამას გეგმა მეორედ დაბლოკეს.** გეგმა მოსახლეობისთვის საგადასახადო შეღავათებსა და ინფრასტრუქტურის მშენებლობას ითვალისწინებდა. 447 მლრდ დოლარად შეფასებული პროგრამის მისაღებად 100-დან 60 სენატორს უნდა დაეჭირა მხარი, თუმცა 46-მა რესპუბლიკელმა და ორმა დემოკრატმა პრეზიდენტის პროექტის წინააღმდეგ მისცა ხმა. ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ პროგრამის მიღება აშშ-ის მთლიან შიდა პროდუქტს 2012 წლისთვის 0,6%-ით გაზრდიდა, უმუშევრობის დონეს კი 0,2%-ით შეამცირებდა.



**როდესაც კრახისკენ მიმავალი რეჟიმის წარმომადგენლებს შენთან მოსასვლელ გზას არ უჭრი ან სულაც პოლიტიკური საქმიანობის გაგრძელებას სთავაზობ, ეს მნიშვნელოვნად ზრდის იმის ალბათობას, რომ ხელისუფლების გადაბარების პროცესი უმტკივნეულოდ ჩაივლის და ქვეყანაში უმართავი პროცესები არ დაიწყება.**

**დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სააკაშვილს «ბიძინოფობია» განუვითარდა



**11 ოქტომბერს მიხეილ სააკაშვილმა ბიძინა ივანიშვილსა და მის მეუღლეს საქართველოს მოქალაქეობა შეუწყვიტა. პოლიტიკური ოპონენტების მიმართ ასეთი ნაბიჯების გადადგმას ყველაზე ოდიოზური, პალმიდან ჯერ კიდევ არჩამომძვრალი აფრიკელი დიქტატორებიც კი ერიდებიან, რადგან ეს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, ერთმნიშვნელოვნად ნეგატიური რეაქციის გარდა ვერაფერს გამოიწვევს. როგორი იქნება სააკაშვილის შემდეგი სვლა? ივანიშვილის სახლისკენ მიმავალი გზების ჩახერგვა ან სულაც ამ სახლის დანგრევა? არტილერიასაც ხომ არ გამოიყენებს? ვინ იცის, რა მოუვა თავში ადამიანს, რომლის შიშს, საყოველთაო აღიარებით, ძალიან დიდი და ფართოდ გახელილი თვალები აქვს.**

11 ოქტომბრის, იურიდიული თვალსაზრისით, ფრიად საკამათო ბრძანებულებაში, ალბათ, იყო რაღაც უაღრესად მდაბიური, რაც იმ ადამიანების ქცევას მოაგონებდა, ძველად, კომუნალური ბინის საერთო სამზარეულოში რომ შეიპარებოდნენ ხოლმე და სხვის ქვაბში ჩუმად საპნის ნატეხებს ყრიდნენ ან სხვა, მომიჯნავე უმსგავსობას სჩადიოდნენ. კი იცოდნენ, რომ ამით მეზობელს განსაკუთრებულ ზიანს ვერ მიაყენებდნენ, მაგრამ იმითაც იყვნენ კმაყოფილები, რომ ცოტათი მაინც ანერვიულებდნენ. ნაკლებად სავარაუდოა, 11 ოქტომბრის ბრძანებულებამ ივანიშვილს პოლიტიკური გეგმების განხორციელებაში რამდენადმე შესამჩნევი პრობლემები შეუქმნას, ხოლო ხელისუფლებას, გამოკვეთილად უარყოფითი რეაქციის გარდა, რაიმე სხვა შედეგი მოუტანოს; ამიტომ ორმაგად საინტერესოა, რატომ მოქმედებს სააკაშვილი ასე, კომუნალური სამზარეულოს დაუვიწყარ სტილში?

თითქმის გამორიცხულია, რომ ამის გაკეთება, ანუ, ფაქტობრივად, საკუთარი თავისთვის დარტყმის მიყენება, მისთვის რომელიმე დასავლელ კონსულტანტს ერჩია; ეს, 99%-იანი ალბათობით, სამამულო წარმოების იმპროვიზაციაა. **თუ გახსოვთ, ადრე თბილისში უთვალავი სევდიანი ყმაწვილი დაიარებოდა, რომელთა მშობლებს უნდოდათ, მათი შვილი ახალი პაგანინი გამოსულიყო. ისინი ისე აკივლებდნენ ვიოლინოებს, მსმენელებს ერთდროულად ყველა კბილი რომ ატკივდებოდათ ხოლმე; სააკაშვილის 11 ოქტომბრის იმპროვიზაციამ, საზოგადოების რეაქციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დაახლოებით ასეთი ეფექტი გამოიწვია.**

სხვათა შორის, ნორჩ სააკაშვილს გული არა კლასიკური მუსიკისკენ, არამედ კინოსკენ მიუწევდა და მისგან, იდეაში, ახალი პაგანინი კი არა, ახალი ფელინი უნდა გამოსულიყო. თუმცა, საბოლოოდ, მისგან არც ფელინი, არც პაგანინი და, კაცმა რომ თქვას, მუსოლინიც კი არ გამოვიდა. **დუჩემ, მიუხედავად იმისა, რომ ფაშისტი და ნაძირალა გახლდათ, ომამდელ პერიოდში პრაქტიკულად დაამარცხა უმუშევრობა&სიღატაკე და ჯანდაცვა-სოცუზრუნველყოფის ძალიან საინტერესო რეფორმა ჩაატარა, რის გამოც მაჰათმა განდიმ და პრეზიდენტმა რუზველტმა ხოტბა არაერთგზის შეასხეს; ამასთანავე, მუსოლინი სიმამაცის ნაკლებობას არ უჩიოდა. სააკაშვილი აშკარად სხვა წონით კატეგორიაშია, თუ საქმე მაინც და მაინც ცნობილ დიქტატორებთან შედარებაზე მიდგა, მისი ადგილი, ალბათ, უფრო ფულხენსიო ბატისტას, ანასტასიო სომოსას და რაფაელ ტრუხილიოს გვერდითაა, თუ სათვალავში იმ გარემოებას არ ჩავაგდებთ, რომ ჩამოთვლილი ორანგუტანგები კრიტიკულ სიტუაციებში ვაჟკაცობის გამოკვეთილ დეფიციტს არ განიცდიდნენ.**

გასულ კვირას სახელისუფლო პროპაგანდა შეშლილი თუთიყუშივით ისტერიულად „აწვებოდა პირველ ჩვენებას“, იმის თაობაზე, რომ ბიძინა ივანიშვილი კრემლის აგენტია, მიუხედავად იმისა, რომ ამ მომენტისთვის უკვე გამოიკვეთა მისი ალიანსი, ორ, ვაშინგტონის მიმართ ყველაზე ლოიალურად განწყობილ პოლიტიკურ ძალასთან — „რესპუბლიკურ პარტიასთან“ და ირაკლი ალასანიას „თავისუფალ დემოკრატებთან“; ისინი კი იმდენად პროამერიკულები არიან, რომ მათზე უფრო პროამერიკულები მხოლოდ ასათიანის ქუჩაზე თუ მოიძებნებიან, ისიც — ძნელად. სხვათა შორის, ამ ალიანსმა საპროტესტო ელექტორატში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია, რადგან ზოგიერთი ოპოზიციურად განწყობილი მოქალაქე ირაკლი ალასანიას არ ენდობა, უფრო მეტი კი (რა დასამალია) „რესპუბლიკელებს“ არ სწყალობს. წინა არჩევნებში ორივე ეს ძალა დაახლოებით ისე გამოიყურებოდა, როგორც რუმინეთის არმია პირველ, განსაკუთრებით კი მეორე, მსოფლიო ომში; ასეთ მოკავშირეს, როგორც წესი, მოწინააღმდეგეზე მეტი ყურადღება უნდა მიაქციო, ფეხსაცმლის თასმები შეუკრა, ცხვირი მოხოცო და, ზოგადად, ჭოჭინიდან არ ამოუშვა. თუმცა არის ერთი (შესაძლოა ერთადერთი) მნიშვნელოვანი პლუსიც: ამ ორ პარტიას ვაშინგტონთან კომუნიკაცია აწყობილი აქვს და, ამასთანავე, როგორც დავით ბერძენიშვილმა „მედიანიუსს“ განუცხადა: **„პოლიტიკურ გაერთიანებას, სადაც ჩვენ ვართ, პრორუსულობას ვერავინ დასწამებს“;** ამ ინტერვიუში რესპუბლიკელების ერთ-ერთმა ლიდერმა სავსებით ადეკვატური მეტაფორა გამოიყენა და თქვა, რომ **„რესპუბლიკური პარტია“ (& „თავისუფალი დემოკრატები“), ამ თვალსაზრისით, ივანიშვილის „ფარი“ გახდება.**

მათთან ალიანსზე წასვლა, ივანიშვილის მხრიდან, ალბათ, მაინც პრაგმატული ნაბიჯი იყო. გავითვალისწინოთ, რომ ის ქმნის არა საკრუიზო იახტას, რომელიც ყველას მოეწონება, არამედ ყინულმჭრელს, ამ შემთხვევაში კი წინა პლანზე პრაგმატიზმი გამოდის. ალბათ, დაახლოებით ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ ივანიშვილის მიმართვის ის ნაწილიც, რომელიც ამჟამინდელი ხელისუფლების მაღალჩინოსნებს ეხებოდა, ზოგიერთ ოპოზიციურად განწყობილ მოქალაქეს ის, შესაძლოა, ნაკლებად რადიკალურად და ზედმეტად ლმობიერად მოეჩვენა. თავი დავანებოთ ბანალურ ჭეშმარიტებას იმის თაობაზე, რომ **შეშინებული ვირთხა კუთხეში არ უნდა მიამწყვდიო და გაქცევის შესაძლებლობა (ან ილუზია) უნდა დაუტოვო და შეეცადო სიტუაციას უფრო ზოგადი შეფასება მისცე. როდესაც კრახისკენ მიმავალი რეჟიმის წარმომადგენლებს შენთან მოსასვლელ გზას არ უჭრი ან სულაც პოლიტიკური საქმიანობის გაგრძელებას სთავაზობ, ეს მნიშვნელოვნად ზრდის იმის ალბათობას, რომ ხელისუფლების გადაბარების პროცესი უმტკივნეულოდ ჩაივლის და ქვეყანაში უმართავი პროცესები არ დაიწყება.**

ეს კი უცხოელი პარტნიორების გადასახედიდან პასუხისმგებლობის გამოვლენას ნიშნავს.

საკმაოდ ზომიერად გაიჟღერა სამართალდამცავი სტრუქტურების გაჯანსაღების იდეამაც („ჯალათური ფუნქცია რომ მოვაშოროთ, შეიძლება საზოგადოებისთვის ძალზე სასარგებლო როლი ითამაშონ“). იმ ფონზე, როდესაც რეჟიმისგან დაზარალებულ ბევრ ადამიანს დღევანდელი სისტემის სრული, დაუყოვნებლივი, ლამის რიტუალური განადგურება სწყურია, ამ მოსაზრებამ შეიძლება დიდი პოპულარობა ვერ ჰპოვოს. თუმცა ივანიშვილმა, როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიც პრაგმატული წინდახედულობის გამოვლენა ამჯობინა.

აქ, ალბათ, ერთი ისტორიული მაგალითის გახსენება დაგვჭირდება. 1917 წლის თებერვალში, რუსეთში მეფის ჩამოგდებას თან სახელისუფლო სტრუქტურების ანიჰილაცია სდევდა. მილიონობით ადამიანის გამოთავისუფლებულ ენერგიას პრაქტიკულად არაფერი აკავებდა და უზარმაზარმა იმპერიამ ქაოსში სწრაფი ჩაძირვა დაიწყო. ახალმა ხელისუფლებამ ქვეყანაზე კონტროლის აღდგენა ვერ მოახერხა და საბოლოოდ, ყოველივე ბოლშევიკური გადატრიალებით დაგვირგვინდა.

ენერგიის მსგავს ამოფრქვევას, სავარაუდოდ, სააკაშვილის ხელისუფლებიდან წასვლის შემთხვევაშიც უნდა ველოდოთ (მასშტაბები განსხვავებულია, თუმცა პრინციპი — ერთი: უამრავ მოქალაქეს ერთდროულად საკუთარი თავისუფლების გამოვლენა და უფლებების დაფიქსირება მოუნდება). უცხოელი პარტნიორებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, ამ დროს ახალმა ხელისუფლებამ ქვეყანაზე კონტროლის შენარჩუნება შეძლოს. **ივანიშვილი კი, ფაქტობრივად, მიანიშნებს, რომ ამ (ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან) საკითხთან მიმართებაში, აპირებს პრაგმატულად იმოქმედოს. ცხადია, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ხელისუფლების ის წარმომადგენლები, რომლებიც საზოგადოების მიერ ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენაში არიან ეჭვმიტანილნი, პასუხისმგებლობას გაექცევიან. უბრალოდ, ამა თუ იმ საქმის გამოძიებასა და სამართლიანობის აღდგენას, განხილულ ვარიანტში, არა მყისიერი ტოტალური ანგარიშსწორების, არამედ იურიდიულ ჩარჩოებში მოქცეული, დროში ერთობ გაწელილი პროცედურის სახე მიეცემა.**

ალბათ, მეტისმეტად შორეულ პერსპექტივას შევეხეთ, სადამდეც ისეთივე გრძელი გზაა გასავლელი, როგორც კავკასიის მისადგომებიდან რაიხსტაგის ნანგრევებამდე; ეს „საომარი“ შედარება შემთხვევითი სულაც არ არის, რადგან თავისი ყოვლისმომცველი დაუნდობლობით მომავალი პოლიტიკური წელიწადი, დიდი ალბათობით, სწორედ ტოტალურ ომს დაემსგავსება. როდესაც ოპოზიციური ამომრჩეველი ასეთი პერსპექტივის წინაშე დგება, ცდილობს, ჩე გევარას მსგავსი შემართების ლიდერი იპოვოს და პოლიტიკურ ბრძოლაში ასეთ „საველე მეთაურს“ გაჰყვეს. ამ დროს შტაბის უფროსს არავინ ეძებს, არ ფიქრობს მასზე და ქართული პოლიტიკის უბედურება სწორედ ეს არის. შემდეგ გვიკვირს, თუ რატომ სრულდება ყოველივე ცალკეული რაზმების ქაოტური მოქმედებით და თავქუდმოგლეჯილი უკანდახევით.

**ბიძინა ივანიშვილი არ არის „საველე მეთაურის“ ტიპის პოლიტიკოსი. მეტიც, ასეთი პოლიტიკოსი მისგან, სავარაუდოდ, არ გამოვა. ის, ალბათ, უფრო გამოკვეთილი „შტაბისტია“, რომლის სტიქია გეგმების შედგენა და პროცესის სტრატეგიული მართვაა. უახლეს ისტორიაში სულ სამი ასეთი პოლიტიკოსი გვყავდა (გვარებს არ ჩამოვთვლი, რადგან მინდა, ეს თემა ახლო მომავალში განვავრცოთ). ასეთი მოწინააღმდეგე სააკაშვილისთვის განსაკუთრებით საშიშია და, ალბათ, აქედან მოდის ხელისუფლების ეს ფსიქოტური რეაქცია, რომელიც აშლილი ვიოლინოს კივილს ჰგავს. როგორც ჩანს, მალე ფსიქიატრიის ქართულ სახელმძღვანელოებში ახალი თავი — „ბიძინოფობია“ გაჩნდება.**

გვემუქრება თუ არა „ბიძინომანია“? საფრთხე იმისა, რომ ამ ადამიანის სიტყვებს კრიტიკული გააზრების გარეშე მოვეკიდებით და კერპად ვაქცევთ, ისე, როგორც ეს გვჩვევია ხოლმე? დღეს უამრავი ადამიანი მოუთმენლად ელოდება ივანიშვილის ახალ გამოსვლებს (უბრალოდ, ნახეთ, რა აჟიოტაჟი სუფევს ქართულ ინტერნეტ-ფორუმებზე); ის ქვეყნის მთავარ (და ამ მომენტისთვის, პრაქტიკულად, ერთადერთ) ნიუსმეიკერად იქცა; მის სახლთან, ფაქტობრივად, პოლიტიკოსებისა და საზოგადო მოღვაწეების რიგი დგას; მოქალაქეები კითხულობენ, თუ როგორ ჩაეწერონ ივანიშვილის პარტიაში, რომელიც, თუ არ ვცდები, ჯერ არ არსებობს; სხვადასხვა გადაცემებში რეკავენ და ბიძინა ივანიშვილს პირდაპირ ეთერში ლოცავენ. ეს ემოციები ამ ეტაპზე სავსებით ბუნებრივი და გასაგებია, მაგრამ ხომ არ იმალება აქ კერპთაყვანისმცემლობის საფრთხე, რომლის ნიადაგზე შეიძლება ახალი დიქტატურა აღმოცენდეს? ევგენი შვარცის ცნობილი სიუჟეტის არ იყოს, შეძლებს თუ არა ახალი გმირი, დრაკონი ისე მოგვაშოროს, რომ მისი ადგილი თვითონ არ დაიკავოს?

ეს არა იმდენად ივანიშვილზე, რამდენადაც ჩვენზეა დამოკიდებული — როგორიც იქნება საზოგადოება, ახალი ხელისუფლებაც ისეთი იქნება. რაც შეეხება პირადად ივანიშვილს, მის მოქმედებაში ჯერჯერობით არ ვლინდება არაფერი, რაც შეუზღუდავი ძალაუფლებისკენ პათოლოგიურ სწრაფვაზე მიანიშნებს, არაფერი ისეთი, რის დაფიქსირებაც მიხეილ სააკაშვილის ქცევასა და გამოსვლებში ჯერ კიდევ „ვარდების რევოლუციამდე“ შეიძლებოდა.

**შეიძლება ვინმემ იკითხოს, თუ რატომ ვსაუბრობ ახალ ხელისუფლებაზე ისე, თითქოს ძველი უკვე ისტორიის სანაგვეზეა. პრინციპში, ასეთ დროს მიღებულია შემდეგი კონსტრუქციების გამოყენება „ფართოდ გავრცელებული ვარაუდის თანახმად“ ან „კულუარულ ინფორმაციაზე დაყრდნობით“. თუმცა ჩავთვალოთ, რომ ეს, უბრალოდ, ინტუიციაა, ერთგვარი წინათგრძნობა იმისა, რომ ამჯერად სააკაშვილის მმართველობა ნამდვილად დასრულდება.**

**დიმიტრი მონიავა**

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

პოლიტიკა

თუ ჩინელებს რუსეთი არ შეაკავებს, მათ წინსვლას შუა აზიაში, სავარაუდოდ, სხვა ვერავინ შეაფერხებს. ვაშინგტონი იძულებულია, ან შუა აზიაში რუსეთის პოზიციების განმტკიცებას შეეგუოს, ან პასიურად მიადევნოს თვალი იმას, თუ როგორ ჩაყლაპავს ამ უმდიდრეს რეგიონს გაუმაძღარი ჩინური დრაკონი.

# ევრაზიული კავშირის მითები და რეალობა

**პოლიტიკურ ავანსცენაზე ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ, თბილისში ნიკოლა სარკოზის ვიზიტმა და ამ ორ მოვლენასთან დაკავშირებულმა აურზაურმა ერთობ დაჩრდილა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც საქართველოს პირდაპირ თუ არა, ირიბად მაინც ეხება. ის მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრში კვლავინდებურად რჩება. საუბარია ვლადიმერ პუტინის ინიციატივაზე, რომელიც პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინტეგრაციის გაღრმავებას გულისხმობს. მიხეილ სააკაშვილმა პუტინის ეს წამოწყება უარყოფით კონტექსტში ორგზის მოიხსენია და ,,ახალი საბჭოთა კავშირის" შექმნა უწოდა. ალბათ, ურიგო არ იქნება, გავერკვეთ, თუ რას ქმნის პუტინი — ახალ კავშირს, ძველ იმპერიას თუ რაიმე სხვას.**



## ნადირობა წითელ დრაკონზე

3 ოქტომბერს გაზეთ „Известия"-ში ვლადიმერ პუტინმა გამოაქვეყნა წერილი ევრაზიული ინტეგრაციის შესახებ; ეს იყო პირველი პროგრამული განცხადება მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ის კვლავ პრეზიდენტის პოსტს დაიკავებს. ცხადი შეიქნა, რომ პუტინმა არა მხოლოდ ჩამოაყალიბა ცენტრალური იდეა, რომლითაც მომავალი საპრეზიდენტო ვადის განმავლობაში იხელმძღვანელებს, არამედ სერიოზული გეოპოლიტიკური განაცხადიც გააკეთა.

შედარება საბჭოთა კავშირთან, რომელიც, ერთი შეხედვით, ზედაპირზე დევს, მართებული, ალბათ, მაინც არ არის. საბჭოთა კავშირი (და კომუნისტური იდეა) გლობალური დომინირებისკენ მიისწრაფოდა, ხოლო პუტინი აპირებს რუსეთის ლტოლვა ლიდერობისკენ რეგიონული ინტეგრაციის კალაპოტში მოაქციოს. ეს სხვაობა ძნელადშესამჩნევია, მაგრამ ნამდვილად არის და მას პრინციპული ხასიათი აქვს. პუტინის ინიციატივას, საბოლოო ჯამში, „მრავალპოლარული სამყაროს" მოდელთან მივყავართ, რომლის ფარგლებში ესა თუ ის მოთამაშე გლობალურ საკითხებში მისი აზრის გათვალისწინებას კი მოითხოვს, მაგრამ გავლენის პროეცირებას მხოლოდ გარკვეულ ჩარჩოებში ახდენს. განხილულ შემთხვევაში საუბარი ეხება ძლიერი რეგიონული ცენტრის შექმნას და არა პრეტენზიას პლანეტარული მასშტაბის ჰეგემონიაზე.

**როგორი იქნება დასავლეთის რეაქცია ამ წამოწყებაზე? ერთი შეხედვით, კრემლის ნებისმიერმა ნაბიჯმა, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცის ინტეგრაციისკენ იქნება მიმართული, ვაშინგტონსა და ევროპულ დედაქალაქებში მხოლოდ გაღიზიანება და მოსკოვისთვის ხელის შეშლის სურვილი უნდა გააღვივოს. თუმცა არის ერთი ნიუანსი, უფრო სწორად კი უზარმაზარი მნიშვნელობის ფაქტორი, რომელიც ამ მოსაზრებას თავდაყირა აყენებს: რესურსებით მდიდარი ცენტრალური აზიის რესპუბლიკების მიბმა მოსკოვზე, გზას ჩინეთის გავლენის, შესაბამისად, მისი ძლიერების ზვავისებურ ზრდას გადაუღობავს.**

პუტინი არ გაახმაურებდა თავის ინიციატივას, თუ ეცოდინებოდა, რომ ამის შემდეგ მთელი დასავლური სამყარო აუმხედრდებოდა და რუსეთის წინააღმდეგ ქმედითი შემაკავებელი პოლიტიკის გატარებას დაიწყებდა; მან განცხადებისთვის საკმაოდ კარგი მომენტი შეარჩია

ვაშინგტონი პეკინს XXI საუკუნეში მთავარ მოწინააღმდეგედ განიხილავს და მისი გაძლიერება ნამდვილად არ სურს. თავად ამერიკელებს არ შეუძლიათ შუა აზიის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში ფეხი მყარად მოიკიდონ. ამასთანავე, მალე ისინი ავღანეთიდანაც წავლენ. ჩინელები კი სულ უფრო წინ მიიწევენ, ისინი პაკისტანსა და ავღანეთში უმსხვილესი ინვესტორები გახდნენ. აშშ-ის აზიური კვლევების ეროვნული ბიუროს ბოლო მოხსენების თანახმად, **„ინფრასტრუქტურული პროექტებითა და ულევი კრედიტებით შეიარაღებულ ჩინეთს, რომელიც ენერგომატარებლების უმსხვილესი მომხმარებელია, გრძელვადიან პერსპექტივაში შეეძლება ამ ქვეყნებს (შუა აზიის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს) რუსეთზე გაცილებით მეტი შესთავაზოს".**

**საერთოდ, ანგლო-ამერიკული სამყაროს ისტორიაში პერიოდულად დგება მომენტი, როდესაც ის იძულებული ხდება, რუსეთთან ალიანსზე წავიდეს, იმისთვის, რომ სხვა, უფრო საშიში მოწინააღმდეგე შეაჩეროს. ასე იყო ნაპოლეონის ეპოქაში და ორივე მსოფლიო ომის დროს; ისტორიული დეკორაციები იცვლება, თუმცა სცენარი იგივე რჩება. თუ ჩინელებს რუსეთი არ შეაკავებს, მათ წინსვლას შუა აზიაში, სავარაუდოდ, სხვა ვერავინ შეაფერხებს. ვაშინგტონი იძულებულია, ან შუა აზიაში რუსეთის პოზიციების განმტკიცებას შეეგუოს, ან პასიურად მიადევნოს თვალი იმას, თუ როგორ ჩაყლაპავს ამ უმდიდრეს რეგიონს გაუმაძღარი ჩინური დრაკონი.**

იაპონურმა Diplomat-მა თავისი წერილი პუტინის „ევრაზიულ მანიფესტზე" შემდეგი ფრაზით დაიწყო: „პუტინმა ჩინეთს ხელთათმანი ესროლა". „საუბარი არა საბჭოთა იმპერიის აღდგენას, არამედ შუა აზიაში ჩინურ კონკურენციაზე პასუხის გაცემას ეხება," — წერდა Le Figaro.

პოსტულატი იმის თაობაზე, რომ პუტინის ინიციატივა ერთმნიშვნელოვნად ანტიდასავლურია, ცენტრალურ აზიასთან მიმართებაში ეჭვქვეშ დგება, რადგან იქ მოსკოვისა და ვაშინგტონის ინტერესები ერთმანეთს მნიშვნელოვნად ემთხვევა. ყურადღება მივაქციოთ კიდევ ერთ გარემოებას: ერთი შეხედვით, პოსტსაბჭოთა ინტეგრაციის საკვანძო ელემენტი უკრაინაა. მისი შესვლა საბაჟო კავშირსა და ერთიან ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის პროცესში გარდატეხას შეიტანს და მას, სავარაუდოდ, შეუქცევადს გახდის. მაგრამ, ვიდრე მოსკოვი კიევთან ამ თემაზე დროში გაწელილ, ემოციურ დისკუსიებს აწარმოებს, ის ამავე დროს ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ „საბაჟო კავშირში" რაც შეიძლება მალე ყირგიზეთი და ტაჯიკეთი გაწევრიანდნენ. ეკონომიკური თვალსაზრისით, ეს ორი ქვეყანა განსაკუთრებულს არაფერს წარმოადგენს, თუმცა ამ კონტექსტში ისინი უნდა განვიხილოთ როგორც შუა აზიის სამხრეთის (სამხრეთ-აღმოსავლეთის) კარიბჭე. აქ საქმე მხოლოდ ჩინური ექსპანსიის შეჩერებას როდი ეხება, ამერიკელები ახლო მომავალში ავღანეთს დატოვებენ და კრემლს უნდა, იქ წარმოქმნილი ქაოსის ტალღა სსრკ-ის ყოფილ საზღვართან შეაჩეროს (ეს პრობლემა დღის წესრიგში დააყენებს შუა აზიის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისა და რუსეთის თანამშრომლობას უსაფრთხოების სფეროში).

**აზიაში კრემლსა და თეთრ სახლს საერთო ენის გამონახვა ნამდვილად შეუძლიათ, თუმცა პუტინის ევრაზიულ პროექტს მხოლოდ აღმოსავლური განზომილება არ აქვს. რა პერსპექტივა აქვს მას დასავლეთის მიმართულებით, კერძოდ კი უკრაინაში? ვიდრე ამ თემის განხილვას შევუდგებით, ალბათ, უნდა აღვნიშნოთ, რომ პუტინი არ გაახმაურებდა თავის ინიციატივას, თუ ეცოდინებოდა, რომ ამის შემდეგ მთელი დასავლური სამყარო აუმხედრდებოდა და რუსეთის წინააღმდეგ ქმედითი შემაკავებელი პოლიტიკის გატარებას დაიწყებდა; მან განცხადებისთვის საკმაოდ კარგი მომენტი შეარჩია.**

## დასავლეთის ფრონტზე მნიშვნელოვანი ცვლილებებია

**3 ოქტომბრის წერილში პუტინი მიანიშნებს, რომ ინტეგრაციის ოპტიმალურ მოდელად, ერთგვარ ნიმუშად ევროკავშირს განიხილავს. მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც ევროკავშირსა და ჰიპოთეტურ „ევრაზიულ კავშირს" ერთმანეთისგან განასხვავებს: ევროკავშირის მთავარი ქვეყნები, ერთმანეთის თანაზომადია, რუსეთი კი ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე გაცილებით ძლიერია და ნებისმიერ პოსტსაბჭოთა გაერთიანებაში აპრიორი დომინანტური იქნება. ამ ფაქტის გაცნობიერებამ შეიძლება დააფრთხოს მეზობელი ქვეყნების ელიტები, რადგან მის მიღმა საკუთარი ძალაუფლების შეზღუდვის საფრთხეს დაინახავენ. რუსეთი იძულებული იქნება, ფრთხილად იმოქმედოს, რათა მეზობელი ქვეყნების სუვერენიტეტის ხელყოფაში, აგრესიულ იმპერიალიზმში არ დაადანაშაულონ.** ▶

რესურსებით მდიდარი ცენტრალური აზიის რესპუბლიკების მიბმა მოსკოვზე, გზას ჩინეთის გავლენის, შესაბამისად, მისი ძლიერების ზვავისებურ ზრდას გადაუღობავს

მოკლედ

## პარიზში ევროკავშირის სამიტი გაიმართება

**23 ოქტომბერს პარიზში ევროკავშირის სამიტი გაიმართება, ხოლო 3-4 ოქტომბერს კანში „დიდი ოცეულის" შეხვედრაა დაგეგმილი.** სამიტების მთავარი განსახილველი თემა ევროზონის ფინანსური კრიზისი, მათ შორის საბერძნეთში შექმნილი ვითარება და ესპანეთის საკრედიტო რეიტინგი იქნება. ფრანგი და გერმანელი ოფიციალური პირები ცდილობენ, კრიზისის გადაწყვეტის გეგმა დიდი ოცეულის სამიტამდე, ევროკავშირის სამიტზე წარმოადგინონ.

## ერაყის გეგმა იცვლება

**აშშ-ის ხელისუფლებამ უარი თქვა გეგმაზე, რომელიც ვადის ამოწურვის შემდეგ ერაყში ამერიკული კონტინგენტის ყოფნას ითვალისწინებდა.** პენტაგონის ამ გადაწყვეტილებამ წერტილი დაუსვა დებატებს, რომელიც აშშ-ის ჯარების ერაყიდან გაყვანის ვადის 2011 წლის 31 დეკემბრის შემდგომ გადავადებას გულისხმობდა. დღემდე აშშ-ისა და ერაყის ხელისუფლება განიხილავდა რამდენიმე ათასი ამერიკელი სამხედროს ერაყში დარჩენის შესაძლებლობას, რომელთაც დახმარება უნდა გაეწიათ ადგილობრივი ძალებისთვის და უზრუნველყოთ უსაფრთხოება. ანონიმური წყარო პენტაგონიდან იტყობინება, რომ დაწესებული ვადებში ამერიკული კონტინგენტი ერაყიდან სრულად გამოვა, გამონაკლისი მხოლოდ საელჩოზე მიმაგრებული სამხედრო მოსამსახურეები იქნებიან.



ეკონომიკური თვალსაზრისით, რუსულმა კაპიტალმა საქართველოსა და სომხეთში ხელში ჩაიგდო ყველა ობიექტი, რომელიც მოისურვა, სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის ინვესტორი ამ ორ ქვეყანაში არ დაიარება, მათ შორის, იმის გამო, რომ საქართველოს უსაფრთხოების არანაირი გარანტია არ გააჩნია.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბოლო წლებში კრემლმა არა მხოლოდ გააძლიერა გავლენა პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ მომავალი «ევრაზიული კავშირის» ინსტიტუციონალური კარკასის აგებასაც შეუდგა



უკრაინის ნებისმიერი პრეზიდენტი, რომელიც „ერთიან ეკონომიკურ სივრცეში" ქვეყნის შეყვანას დაპირებს, ამით უმწვავეს დისკუსიებს და, სავარაუდოდ, პოლიტიკურ კრიზისსაც კი გამოიწვევს. საერთოდ, კიევში ეს საკითხი განიხილება როგორც არჩევანი ევროპასა და რუსეთს შორის, პრინციპით „ან ერთი, ან მეორე". პუტინმა თავის წერილში სცადა, გაეტარებინა აზრი, რომ ევრაზიული კავშირი ევროკავშირის საპირწონედ არ იქმნება და მასთან თანამშრომლობაზეა ორიენტირებული, რაც, კომენტატორების აზრით, სწორედ უკრაინული აუდიტორიისადმი მიმართვას წარმოადგენდა. ერთის მხრივ, უკრაინისთვის ძალზე მიმზიდველია ბაზარი 200 მილიონამდე მომხმარებლით, უზარმაზარი სივრცე შეუზღუდავი ვაჭრობის, გადაადგილების, ბიზნესის წარმოებისა და საწარმოთა კოოპერაციის შესაძლებლობით, მაგრამ კიევში შიშობენ, რომ ეს პერსპექტივა რაღაც მომენტში შეიძლება უკრაინის სუვერენიტეტთან წინააღმდეგობაში მოვიდეს.

თუმცა აქ, ისევე როგორც შუა აზიაში, პუტინს ერთგვარი „დროის ბონუსი" აქვს. დღეს ევროკავშირი კრიზისულ მდგომარეობაშია და არ შეუძლია კიევს რაიმე პრინციპულად ახალი შესთავაზოს, უკრაინელებს კი, თავის მხრივ, „ევროპულ მოსაცდელში" ლოდინი და შენიშვნების მოსმენა მობეზრდათ; ევრაზიული პერსპექტივა კი გაცილებით ახლო და ხელშესახები ჩანს. მიმდინარე წლის დასაწყისში კიევში კეთდებოდა განცხადებები იმის თაობაზე, რომ უკრაინა საბაჟო კავშირში არ გაწევრიანდება, შემდეგ ტონალობა შერბილდა, გასულ კვირას კი უკრაინის ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ვალერი მუნტიანი პირდაპირ შევაჭრებაზე გადავიდა და ვრცლად ისაუბრა იმ პირობებზე, რომელთა შესრულების შემთხვევაში უკრაინა შეიძლება საბაჟო კავშირს შეუერთდეს: **ამისთვის რუსეთს (არაპირდაპირი ფორმით) 5 მილიარდამდე დოლარის გაღება დასჭირდება და უკრაინისთვის გაზის იმავე ფასში მიყიდვა, რომლითაც მას რუსეთის მომხმარებლები ყიდულობენ. მოლაპარაკებები და კამათი ამ თემის გარშემო გრძელდება. თუმცა, როგორც ჩანს, უკრაინა ნელ-ნელა აღმოსავლეთისკენ იხრება. სინამდვილეში, ყველაფერი, ალბათ, გაცილებით ადრე გადაწყდა, მაშინ, როდესაც იუშჩენკომ ხელისუფლება დათმო და ვაშინგტონი, ფაქტობრივად, უკრაინაში რუსეთის გავლენის მკვეთრ გაზრდას დაეთანხმა.**

ალბათ, ყველას გვახსოვს, თუ რაოდენ დიდ გაკვირვებას იწვევდა მაშინ კომენტატორებში ძია სემის ეს უკანდახევა გაბრძოლების გარეშე, როდესაც თითქოსდა სრული შესაძლებლობა ჰქონდა, უკრაინაში „ნარინჯისფერი რევოლუციის" შემდეგ მოპოვებული პოზიციები კბილებით დაეცვა.

აღქმის სტერეოტიპებს თავს თუ დავანებებთ, შეიძლება შეგვექმნას მყარი შთაბეჭდილება, რომ ვაშინგტონი რუსეთს განგებ აძლიერებს, ყოველ შემთხვევაში, წინააღმდეგობას არ უწევს მას. მსგავსმა ერეტიკულმა აზრებმა ფართო გავრცელება რომ არ ჰპოვოს, აშშ-ის სენატორები დროდადრო აკეთებენ განცხადებებს „ცივი ომის" სტილში, იბეჭდება უამრავი პუბლიკაცია, სადაც სხვადასხვა რანგის კომენტატორები კრემლს თითს უქნევენ და ა.შ. თუმცა იმისთვის, რომ უკეთ გავერკვეთ, თუ როგორია ვაშინგტონის რეალური პოლიტიკა, ალბათ, მიზანშეწონილი იქნება, წარმოვიდგინოთ სასწორი, რომლის ერთ მხარეს დევს უკრაინა, ყაზახეთი და ბელარუსი მთელი თავისი, მართლაც რომ უზარმაზარი, სიმდიდრით; სასწორის მეორე მხარეს კი — მთელი ეს განცხადებები და პუბლიკაციები, ანუ არაფერი, ფარატინა ქაღალდებისა და ცარიელი სიტყვების გარდა. **ფაქტია, ბოლო წლებში კრემლმა არა მხოლოდ გააძლიერა გავლენა პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ მომავალი „ევრაზიული კავშირის" ინსტიტუციონალური კარკასის აგებასაც შეუდგა.**

დღევანდელი ტენდენციების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეს პროცესი ადრე თუ გვიან (ამ ტემპით თუ გააგრძელებენ, ძალიან მალე) დასრულდება მძლავრი კავშირის შექმნით, ერთიანი ვალუტით, უსაფრთხოების ერთიანი სისტემით, მთელი რიგი აღმასრულებელი სტრუქტურებით, საპარლამენტო ასამბლეით, შეთანხმებული საგარეო პოლიტიკით და ა.შ.; **ამ ეტაპიდან კი, ერთიანი სახელმწიფოს შექმნამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩება.** თუმცა ამ ბოლო ნაბიჯს ხელშესახებ პერსპექტივაში კრემლი, ალბათ, მაინც არ გადადგამს. ყოველივე ეს მალევე რეალობად გადაიქცევა, თუ ვაშინგტონი ამ პროცესს აქტიურად არ შეეწინააღმდეგება. მაგრამ, როგორც ვხედავთ, ის მოსკოვს რეალურად ხელს არ უშლის.

## კავკასიაში ყველაფერი ძველებურადაა

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებისთვის განხილული პრობლემატიკა დიდად აქტუალური დღესდღეობით არ არის. მათ საბაჟო კავშირში არავინ ეპატიჟება (თუ სათვალავში ძალიან ზოგად დეკლარაციებს არ ჩავაგდებთ) და მასში გაწევრიანების სურვილს არც თვითონ გამოხატავენ. იგივე შეიძლება ითქვას სხვა ევრაზიულ სტრუქტურებზე, რომელთაგან ზოგი შექმნის პროცესში, ზოგი კი ჯერ კიდევ ჩანაფიქრის სტადიაშია. **სამხრეთ კავკასიაში რუსეთი არ ჩქარობს: დღეს მთავარ პრიორიტეტს მისთვის შუა აზია და უკრაინა წარმოადგენს, ძალთა კონცენტრაცია სწორედ ამ ორი მიმართულებით ხდება.**

ჩვენ მივეჩვიეთ აზრს იმის თაობაზე, რომ სამხრეთ კავკასია, კერძოდ კი საქართველო, სამყაროს ღერძია, რომლის გარშემო მთელი მსოფლიო გეოპოლიტიკა ბრუნავს. სინამდვილეში კი საქმე გაცილებით პროზაულადაა. სომხეთის (პირდაპირ) და საქართველოს (ირიბად) ტერიტორიასა და საჰაერო სივრცეს, სამხედრო თვალსაზრისით, რუსეთი აკონტროლებს. სხვა ქვეყნის ან სამხედრო ბლოკი ასეთ ვითარებში ამ ტერიტორიაზე თავის ჯარს არ განალაგებს. ეს რუსეთთან ღია კონფრონტაციაში შესვლას ნიშნავს, რაც, როგორც ვატყობთ, არავის უღირს. ამ ტერიტორიაზე აზერბაიჯანისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი კომუნიკაციებიც გადის. **ეკონომიკური თვალსაზრისით, რუსულმა კაპიტალმა საქართველოსა და სომხეთში ხელში ჩაიგდო ყველა ობიექტი, რომელიც მოისურვა, სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის ინვესტორი ამ ორ ქვეყანაში არ დაიარება, მათ შორის იმის გამო, რომ საქართველოს უსაფრთხოების არანაირი გარანტია არ გააჩნია. ამ ეტაპზე, კრემლი, როგორც ჩანს, მიღწეული შედეგით დაკმაყოფილდა, რადგან, მისი აზრით, შექმნა სიტუაცია, როდესაც ის ქვეყნები (ბლოკები), რომელთაც კონკურენტად მიიჩნევს, ამ რეგიონში მყარად ვერ დამკვიდრდებიან.** იმის მიუხედავად, რომ სიტუაცია სამხრეთ კავკასიაში, ერთი შეხედვით, დუღს და ჩქეფს, სინამდვილეში („დიდი თამაშის" გადასახედიდან) ის, ალბათ, შეიძლება გაყინულად ჩაითვალოს.

**სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მოზიდვას „ევრაზიულ კავშირში" კრემლი, ალბათ, მოგვიანებით, მისი ფორმირების დასკვნით ეტაპზე შეეცდება. შეიძლება ვივარაუდოდ, რომ (როგორც მინიმუმი) მომავალი 5-6 წლის განმავლობაში ამ საკითხს მოსკოვში არავინ დააყენებს. ეს, ალბათ, საკმარისი დრო არის იმისთვის, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე ინტეგრაციულ პროცესს დავაკვირდეთ, გავაანალიზოთ ის და საკუთარი პოზიცია ჩამოვაყალიბოთ.**

**დიმიტრი მონიავა**

## «სამხრეთ კავკასიაში რუსეთი არ ჩქარობს: დღეს მთავარ პრიორიტეტს მისთვის შუა აზია და უკრაინა წარმოადგენს, ძალთა კონცენტრაცია სწორედ ამ ორი მიმართულებით ხდება»

# დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრი გადადგა

**დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრი ლიამ ფოკსი თანამდებობიდან გადადგა. ფოკსის გადადგომის მიზეზი მინისტრსა და მის უახლოეს მეგობარს, ადამ უერიტს შორის მომხდარი სკანდალი გახდა.** ბრიტანული მედიის ინფორმაციით, უერიტს არავითარი თანამდებობა არ ეკავა, თუმცა უერიტი ახორციელებდა ფოკსის შეხვედრების ორგანიზებას უცხო ქვეყნის მთავრობებსა და კომპანიებთან, რომლებსაც თავდაცვის სფეროში დაინტერესება ჰქონდათ. ამან გააჩინა ეჭვები, რომ უერიტი იყო მატერიალურად დაინტერესებული კერძო კომპანიების ინტერესების ლობირებაში. ცნობილი გახდა ისიც, რომ უერიტის ვიზიტებს საზღვარგარეთ არა მხოლოდ თავდაცვის სამინისტრო, არამედ კერძო ფირმებიც აფინანსებდნენ.



# ისრაელის არმია გაძლიერებულ საბრძოლო მზადყოფნაშია

**ადგილობრივი მედიის ცნობით, ისრაელის ხელისუფლება შიშობს, რომ ტყვე სამხედრო მოსამსახურის — გილად შალიტის პალესტინელ პატიმრებში გაცვლასთან დაკავშირებით შესაძლოა, ბოევიკების შეტევა განხორციელდეს.** ისრაელის არმიის გენერალურ შტაბში არ გამორიცხავენ, რომ პალესტინელი პატიმრების ავტობუსების კოლონაზე თავდასხმა განხორციელდეს. აღსანიშნავია, რომ ისრაელისა და ხამასის გარიგება ფინალურ სტადიაში შევიდა, ებრაული დელეგაციის ხელმძღვანელი, რომელიც გაცვლაში შუამავლის როლშია, ქაიროში უკვე გაემგზავრა.

მოკლედ

# ბერლუსკონი არეულობის ინიციატორებს მკაცრად დასჯის

**იტალიის პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ პირობა დადო, რომ მკაცრად დასჯის რომში არეულობების ინიციატორებს.**

საპროტესტო აქციისას, რომელიც ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა და ბანკების წინააღმდეგ გაიმართა, სამართალდამცავებსა და დემონსტრანტებს შორის დაპირისპირებაში გადაიზარდა. 70-მდე ადამიანმა სხვადასხვა სახის ტრავმა მიიღო, მათგან სამის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. გავრცელებული ინფორმაციით, დემონსტრანტებმა დაარბიეს მაღაზიები, ცეცხლი წაუკიდეს ავტომობილებს და ქალაქის ინფრასტრუქტურას სხვადასხვა სახის ზიანი მიაყენეს.

# ირანმა აშშ-ს ზემოქმედების ბერკეტები მისცა

**ირანმა საერთაშორისო ნორმები დაარღვია, რითაც აშშ-ს მასზე ზემოქმედების დამატებითი ბერკეტები მისცა. ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა.** მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ თეირანი უფრო მეტად იზოლირებული აღმოჩნდება მას შემდეგ, რაც გაიხსნა შეთქმულება აშშ-ში საუდის არაბეთის ელჩის ადელ ალ-ჯუბეირის მკვლელობის მცდელობის შესახებ. შეგახსენებთ, რომ აშშ-ში ბრალი წაუყენეს ირანის ორ მოქალაქეს, რომლებიც ისრაელისა და საუდის არაბეთის საელჩოებთან აფეთქებებს გეგმავდნენ და გადაწყვეტილი ჰქონდათ აშშ-ში საუდის არაბეთის ელჩის მკვლელობა.

ნაც-რეალობა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პატარკაციშვილისა და მისი ტელეკომპანიის განზრახ მკვლელობის საფასურად თარგამაძემ და მისმა გუნდმა საპარლამენტო მანდატები მიიღეს და ხალხზე მზრუნველი პოლიტიკოსების მანტიებიც მოირგეს.**



# ხვლიკიანობა

**რაც თავი მახსოვს, ქართულ პოლიტიკაში ერთი-ორი თარგამაძე მუდამ იყო, თანაც ერთ-ერთი მათგან – ყოველთვის გიორგი თარგამაძე. მაშინაც, როცა მედიაში ბრუნდებოდა, მის საქმიანობაში პოლიტიკა მუდამ სჭარბობდა ჟურნალიზმს. თუმცა ეს ორსახოვნება გასაკვირი ვერ იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ დუჩედ ქცევამდე ბენიტო მუსოლინი სწორედ ჟურნალისტი იყო და გაზეთს გამოსცემდა. მაშინ ტელევიზია არ არსებობდა, თორემ ბენიტოც გაუძლვებოდა „დროების“ მაგვარ რაიმე ტელეჟურნალს.**

პოლიტიკაში ერთ-ერთი მთავარი უნარ-ჩვევა დროულად წასვლაა. გიორგი თარგამაძე დროულად მიდის ტელევიზიიდან ასლან აბაშიძესთან, ასლან აბაშიძისგან – ბადრი პატარკაციშვილთან, ბადრისგან — „ნაცმოძრაობასთან“. მართალია, არავის სჯერა, რომ სახელდახელოდ შექმნილი „ქრისტიან-ჟურნალისტთა პარტია“ ამ ხელისუფლების პირობებში არჩევნებს მოიგებდა, მაგრამ ამავე ხელისუფლების მიერ დაკვეთილ სოციოლოგიურ კვლევებში იგი ჯიუტად ინარჩუნებს მეორე ადგილს.

ასევე ჯიუტად უარყოფენ იმას, რომ მათ პარტიულ ბანკეტებს თავად ვანო მერაბიშვილი ესწრება, ხოლო რევოლუციის შემდგომ წლებში №2 „ქრისტიან-ჟურნალისტის“ — ლევან ვეფხვაძის მეუღლე მტკიცედ ინარჩუნებს სამუშაო ადგილს გიორგი ბარამიძის აპარატში, მეტიც, თანამდებობიდან თანამდებობაზე გადასვლისას მუდამ თან მიჰყვება. **ვიდრე გიორგი თარგამაძე და მისი პროდიუსერი – ლევან ვეფხვაძე სააკაშვილის ხელისუფლებას „დროებაში“ ამათრახებდნენ, ნათია ჩიქოვანი შინაგან საქმეთა მინისტრის პრესცენტრს ხელმძღვანელობდა, ხოლო მისი ძმა მირიან ჩიქოვანი დღესაც კუდის ერთ-ერთი სამმართველოს უფროსია და სხვადასხვა ღონისძიებებზე სააკაშვილის მომხრეთა მიყვანითა და კონტროლით არის დაკავებული. ჟურნალისტები ღიად წერენ იმაზე, რომ სწორედ ვეფხვაძის ცოლის ძმის მითითებით მოქმედებენ მიშასთან შეხვედრაზე მიყვანილი ადამიანები, რომ იგი ანიშნებს, ვინ უნდა მოეხვიოს მიშას და ვინ არა.**

ლევან ვეფხვაძისა და გიორგი თარგამაძის ურთიერთობა მაშინ დაიწყო, როცა ერთი „მოქალაქეთა კავშირის“ ახალგაზრდულ ფრთაში – სმაკში მოღვაწეობდა, მეორე კი ასლან აბაშიძის „აღორძინებაში“. თუმცა ვეფხვაძეს თარგამაძის გაქანება არც მაშინ ჰქონია და არც ახლა. თარგამაძემ იმდენი მოახერხა, რომ თითქმის ორი წელი – 1997-დან 1999 წლამდე — ცენტრთან დაპირისპირებული რეგიონის ლიდერის, ასლან აბაშიძის პრესსამსახურსაც ხელმძღვანელობდა და იმავე დროს თბილისში, საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციაში რეჟისორის ასისტენტადაც მუშაობდა და აჭარის განყოფილების საკუთარ კორესპონდენტადაც!

**გიორგი თარგამაძის ამბიციურობაზე ჩინებულად მეტყველებს საკუთარ ბიოგრაფიაში მითითებული ცნობა იმის თაობაზე, რომ იგი 1987-1991 წლებში საყმაწვილო გადაცემა „თვალსაწიერის“ მთავარი რედაქტორი ყოფილა. ერთი სიტყვით, საბჭოთა ტელევიზიას იგი 14 წლის ასაკში (!) მთავარ რედაქტორად გაუმწესებია. თითქოს არ კმაროდა, რომ იგი ნორჩი ასაკიდან სატელევიზიო წამყვანი იყო, მთავარი რედაქტორობაც მიიწერა! იგი მოკრძალებულად დუმს იმაზეც, რომ მამამისი იმავე ტელევიზიის ტელეოპერატორი იყო. როგორც ერთი ჩემი ხნიერი კოლეგა ამბობს თარგამაძეზე ღიმილით, „დიდი მამაძაღლი ბავშვი იყო“.**

ბავშვი 1992-1993 წლებში მოღვაწეობას „იბერვიზიაში“ განაგრძობს, რომლის დაფინანსებასაც „მხედრიონს“ მიაწერდნენ, ხოლო 19 წლის ასაკში უკვე ასლან აბაშიძის კარზე ხვდება. იგი ჯერ აჭარის „დამოუკიდებელი“ ტელერადიოკომპანიის დირექტორი ხდება, ხოლო შემდეგ — აჭარის უზენაეს საბჭოსთან არსებულ ტელერადიოკომპანიას ხელმძღვანელობს. თუმცა მისი საქმიანობა ამით არ შემოიფარგლება, იგი სწრაფად წინაურდება და აბაშიძის კარზე თავისებურად ალაგებს ურთიერთობებს. თბილისიდან ჩასული ჩინოსნებისთვის იგი სწრაფად იქცა „საჭირო კაცად“, მას უკვე შეუძლია გააფუჭოს ან გამოაკეთოს ურთიერთობები.

**უამრავი ადამიანისგან განსხვავებით, ვინც ამაზე მხოლოდ ჩურჩულით ლაპარაკობდა, გურამ შარაძემ ჩვეული პირდაპირობით ამხილა იგი აბაშიძის სასახლის კარზე ინტრიგების ქარგვაში. თუმცა მოგვიანებით, უკვე პარლამენტის წევრი თარგამაძე სწორედ ინტრიგების მსხვერპლი შეიქნა. რამდენიმე თვის განმავლობაში იგი ფუჭად სტუმრობდა ბათუმს, — აბაშიძემ აღარ გაიკარა. მაგრამ ეს 2003 წელს მოხდება, მანამდე კი გიორგი თარგამაძე ცოლს ირთავს, საქორწინო მოგზაურობაში იტალიაში მიემგზავრება, თბილისში ბინას ყიდულობს (ბათუმში უკვე აქვს), ბავშვებს მაღალჩინოსნებს ანათვლინებს... ხუთ-ხუთი ნათლიიდან ყველაზე საპატიო – ასლან აბაშიძის ქალიშვილი დიანა, აჭარის ფინანსთა მინისტრი დავით აბაშიძე, აწ განსვენებული ზვიად ცეცხლაძე და აჭარის ეპარქიის ეპისკოპოსი მეუფე დიმიტრი იყვნენ.** დეპუტატ თარგამაძის მეუღლემ — თათია თოფურიამ ჟურნალისტს ვერ უპასუხა კითხვაზე, თუ რამდენი აქვს ხელფასი მის ქმარს. სამაგიეროდ, თავად სვამს წყენანარევ კითხვას: — ხომ შეიძლება წელიწადში ერთხელ შოპ-ტურზე მეც წავიდე ევროპაშიო?

იმავე ინტერვიუდან ირკვევა, რომ თეკლას (თარგამაძის ქალიშვილი) და რიკარდოს (ასლან აბაშიძის შვილიშვილი) ძალიან ჰყვარებიათ ერთმანეთი. **„თავდაპირველად მათ ბათუმში ცალ-ცალკე ასეირნებდნენ. სულ პატარები იყვნენ და ერთმანეთი ჯერ არ ენახათ. ერთმანეთისკენ გაიწიეს და ჩაეხუტნენ. ალბათ, ბავშვებიც შინაგანად გრძნობენ, რომ ახლობლები არიან,“** — ამბობდა თათია. თუმცა ბავშვების სიყვარულმა უფროსების ურთიერთობა ვერ იხსნა და 2003 წელს გიორგი თარგამაძე ახალი პარტნიორების ძებნას იწყებს.

თავდაპირველად იგი „ახალ მემარჯვენეებთან“ ეცადა დაახლოებას, მაგრამ, როგორც ჟურნალისტები წერდნენ, „ახლების“ ერთი ნაწილი სასტიკი წინააღმდეგი იყო „ნაასლანარი“ თარგამაძის პარტიაში მიღებისა; მეორე ნაწილს თარგამაძის გამო აბაშიძესთან ურთიერთობის გაფუჭება არ სურდა. აქვე ჩნდება პირველად თარგამაძესთან დაკავშირებით ბადრი პატარკაციშვილის სახელი: **„გამორიცხული არ არის, რომ გაიხსენონ თარგამაძის ძველი პროფესია, ჟურნალისტობა და იგი მასმედიაში დაასაქმონ. საქმე ის არის, რომ „ყოვლისშემძლე“ ბადრი პატარკაციშვილი საქართველოში აპირებს საკუთარი ცისფერი ოცნების ასრულებას. როგორც ამბობენ, „ახლებთან“, შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრ თარგამაძესთან, ყოფილ გენპროკურორ მეფარიშვილთან ერთად აპირებს სახელმწიფო ტელევიზიის მეორე არხის დაპყრობას. სხვათა შორის, პირველი არხის ეთერიდან გამქრალი გრიგოლია ამჟამად სწორედ დასახელებული ალიანსის სამსახურში აპირებს ჩადგომას. გიორგი თარგამაძეს კი, შესაძლოა, პატარკაციშვილისა და კომპანიის ტელეიდეების კოორდინატორის ფუნქცია მიანიჭონ“.**

როგორც მოსალოდნელი იყო, ყველა ჩამოთვლილი ფიგურანტის ნაცვლად კვლავ გიორგი თარგამაძე აღმოჩნდა დაწინაურებული. მან „ტელეიმედში“ მოხერხებულად გადასწია უკანა პლანზე მასზე ადრე მისული ხელმძღვანელობა და მოკლე ხანში „იმედის“ ერთპიროვნულ ლიდერად იქცა. **რაკი ტელეკომპანია „იმედის“ მკვლელობა პირდაპირ ეთერში ჩემს თაობასაც კი კარგად ახსოვს, ნუღარ შევჩერდებით იმაზე, თუ რა ვერაგობა იკისრა თარგამაძემ და მისმა გუნდმა 2007 წელს. მათ ეყოთ უსინდისობა, რომ ადამიანს, რომელმაც მათ კარიერაც შეუქმნა და უზარმაზარი ხელფასებიც დაუნიშნა, ულტიმატუმი წაუყენეს.**

თარგამაძემ პირადად განაცხადა, რომ ტელეკომპანიის დარჩენილი თანამშრომლები მხოლოდ იმ შემთხვევაში განაგრძობენ „იმედში“ მუშაობას, თუ პატარკაციშვილი გაემიჯნება „იმედს“. ეს განცხადება 2008 წლის 12 იანვარს გაკეთდა, ხოლო ორი კვირით ადრე, 2007 წლის 26 დეკემბერს, გიორგი თარგამაძის მეთაურობით „იმედის“ თანამშრომლებმა და ადმინისტრაციამ განაცხადეს, რომ ტელეკომპანია „დროებით წყვეტს“ მაუწყებლობას ტელევიზიის მფლობელის, ბადრი პატარკაციშვილისა და ხელისუფლების მიმართ პროტესტის ნიშნად, რათა გაემიჯნოს მათ „ბინძურ პოლიტიკურ თამაშებს“.

მოვლენები ისე სწრაფად ვითარდებოდა, რომ ბევრს აღარც კი ახსოვდა თარგამაძის 12 დეკემბერს გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, თუ რა მეთოდებით ახორციელებდა „იმედის“ ჟურნალისტებზე ზეწოლას ხელისუფლება. თარგამაძე ამტკიცებდა, რომ ჟურნალისტებს, ერთის მხრივ, ემუქრებიან; მეორეს მხრივ კი, სხვა არხებზე გადასვლას ურჩევენ და ქართული ტელებაზრისთვის არარეალურ პირობებს ჰპირდებიან. **„როდესაც ჟურნალისტს ჰპირდებიან იმდენ ხელფასს, რამდენსაც ამერიკული ტელეარხის წამყვანი იღებს, ცხადი ხდება, რომ ასეთი შეთავაზება პოლიტიკურად არის მოტივირებული. ამგვარად, მოსალოდნელია, რომ პრობლემები შეგვექმნას, რადგან ასეთ შანტაჟს შესაძლებელია ჟურნალისტმა გაუძლოს, მაგრამ ვერ გაუძლოს, როცა მის რომელიმე ნათესავს ემუქრებიან,“** — განაცხადა თარგამაძემ.

რას და როგორ ვერ გაუძლო გიორგი თარგამაძემ, საზოგადოებამ პირდაპირ ეთერში იხილა, თუმცა გარიგების დეტალები ტელეეკრანზე არავის გამოუტანია. **პატარკაციშვილისა და მისი ტელეკომპანიის განზრახ მკვლელობის საფასურად თარგამაძემ და მისმა გუნდმა საპარლამენტო მანდატები მიიღეს და ხალხზე მზრუნველი პოლიტიკოსების მანტიებიც მოირგეს.** თავად თარგამაძე, საპარლამენტო მოღვაწეობის პარალელურად, 2010 წელს ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორიც გახდა მასობრივი კომუნიკაციების დარგში.

მისი ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე ყოფილა **„ტელევიზიის მასებზე ზემოქმედების ფსიქოლოგიური ხერხების სახეები: ფრეიმინგი, ანუ ქარგვა, პრაიმინგი, პროგრამის შედგენის თეორია. ჩამოყალიბებულია ქარგვის პროცესისთვის აუცილებელი პირობები – წამყვანის ფიზიკური და ფსიქოლოგიური მახასიათებლები, თემის აქტუალობა, სიმძაფრე და მოცემულ ეთნოსთან მითოლოგიურ-კულტურული შესაბამისობა. საკუთარი გამოცდილების ფონზე, ძირითადად, „ტელეიმედის“ მაგალითზე, განხილულია საქართველოს ჟურნალისტიკის ისტორია, მისი პრობლემები და ამოცანები“.**

ქარგვის დიდოსტატის ამ ნაშრომს „ტელეიმედის“ მაგალითზე უფრო „ღალატის ანთოლოგია“ უნდა ერქვას, მაგრამ, ერთი ენამწარე ადამიანის შეფასებით, **ამ „ჰალსტუხიან ხვლიკს“ საოცარი რეგენერაციის უნარი აქვს, რაც გინდა მოაწყვიტონ, ისევ და ისევ ამოსდის.** ამ მწარე თიკუნის შერქმევის შემდეგ თარგამაძე ერთხანს ჰალსტუხის გარეშე დადიოდა, მაგრამ იმ ენამწარე კაცმა ზურგში მიაყოლა: **ხვლიკს ჰალსტუხი მოუხსნიაო!**

როგორ და რა მეთოდებით ახერხებს თარგამაძე დასახული მიზნების მიღწევას, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ სარბიელზე გამოჩენამაც ცხადყო; 8 ოქტომბერს თარგამაძემ განაცხადა, რომ ბიძინა ივანიშვილის განცხადი კიდევ უფრო საინტერესოს გახდის წინასაარჩევნო პერიოდს საქართველოში: **„რამდენად დადებით შედეგს მოუტანს ეს ქართულ პოლიტიკას, ამ ეტაპზე საუბარი ნაადრევია, ვიდრე არ ვნახავთ, რა კონკრეტული პოლიტიკური პლატფორმით, რომელ ადამიანებთან ერთად აპირებს ივანიშვილი თავისი მიზნების მიღწევას“.**

ივანიშვილმა 12 ოქტომბერს გავრცელებულ განცხადებაში ხაზგასმით მიუთითა: **„გიორგი თარგამაძის პოლიტიკური საქმიანობა უამრავ საეჭვო მომენტს შეიცავს, დაწყებული ასლან აბაშიძესთან მისი თანამშრომლობით, გაგრძელებული ბადრი პატარკაციშვილის მიმართ ჩადენილი ღალატით და დამთავრებული იმით, რომ ღალატის საფასურად ხელისუფლებამ თარგამაძეს პარტია შეუქმნა, დაუფინანსა და გაყალბების გზით პარლამენტში შეიყვანა“.**

მხოლოდ ამ განაჩენის შემდეგ გაიხსენა თარგამაძემ, რაც ოთხი დღით ადრე „არ ახსოვდა“: **„ივანიშვილი იყო ის კაცი, ვინც მიხეილ სააკაშვილს წლების განმავლობაში აგულიანებდა და აძლევდა ფულს ბადრი პატარკაციშვილის წინააღმდეგ, ტელეკომპანია „იმედის“ ჩასაძირად და პატარკაციშვილის გასანადგურებლად“.** მისი „ძმადნაფიცი“ ლევან ვეფხვაძე კიდევ უფრო შორს წავიდა: **„2007 წელს სააკაშვილმა ხელისუფლება ბიძინა ივანიშვილის დახმარებით შეინარჩუნა“!**

ვინ ჩაძირა „იმედი“ და გაანადგურა პატარკაციშვილი, ქართულმა საზოგადოებამ კარგად იცის, როგორც ის, თუ როგორ შეანარჩუნებინეს სააკაშვილს ამ გზით ხელისუფლება „ქრისტიან-ჟურნალისტებმა“. გიორგი თარგამაძე, როგორც მოვლენა, ერთადერთი რომ იყოს ქართულ პოლიტიკასა და მედიაში, საქართველოსთვის დიდი პრობლემა, შესაძლოა, არც ყოფილიყო, მაგრამ უბედურება ის არის, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში „დიდი ხვლიკიანობაა“.

**თამარ დავითულიანი**

„ნაცმოძრაობამ“ რადიკალებად წოდებული ოპოზიციის კაბადონიდან კიდევ ერთი „კაშკაშა ვარსკვლავი“ მოწვიტა, „ვარსკვლავი“, რომელიც მზადაა, ხელისუფლებას სამარეშიც ჩაჰყვეს და, მანდატებსაც თუ მოიპოვებს, პარლამენტს მაშინაც არ დატოვებს, მიშას ჩაი „გრეჩიხამ“ ან შალიკომ რომ დალიოს...

ნაც-რეალობა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




# პრჟევალსკის ცხენი და ახალი «ხელმარჯვეები»

**რამდენიმე დღის წინ ქუთაისში, ნიუპორტის №5-ში მდებარე „ახალი მემარჯვენეების“ ახალი ოფისისა და ჯეჯილის ფერში გადაწყვეტილი ახალი სიმბოლიკის პრეზენტაციას რომ ვუყურებდი, უნებურად გია მაისაშვილის ცნობილი გამონათქვამი გამახსენდა, — ოპოზიცია პოლიტიკურ მასტურბაციას ეწევაო; ხოლო როცა იმავე პრეზენტაციაზე „მემარჯვენეების“ ლიდერთა მიერ გაკეთებულ „სათნო“ განცხადებებს მოვუსმინე, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ქართულ ოპოზიციას და, განსაკუთრებით, „მემარჯვენეებს“ უახლოეს მომავალში (ვეჭვობ, არც შორეულში) რეალურად პოლიტიკური დავაჟკაცება არ უწერია.**

ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ე. წ. ახალი სტრატეგიაც, რომელიც პარტიის თავკაცებმა ოფისის პრეზენტაციიდან რამდენიმე დღეში გამოაქვეყნეს. თუმცა ბიძინა ივანიშვილის სკანდალური განცხადების გარშემო ატეხილმა „ნაციონალურმა“ ვაივიშმა ამ დღეებში განვითარებული ყველა სხვა მნიშვნელოვანი მოვლენა დაჩრდილა და საზოგადოების უდიდეს ნაწილს თვალთახედვიდან გამორჩა ის ფაქტი, რომ „ახალმა მემარჯვენეებმა“ ზნესთან ერთად უცებ ფერიც იცვალეს...

დასაწყისში „მემარჯვენეების“ ახალი ლოგო ვახსენე და უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფერი, რომელშიც აღნიშნული ლოგოა გადაწყვეტილი, ჩვეულებრივ შემთხვევითობას არ წარმოადგენს, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, ამ ლოგოს სახით გამყრელიძის, კაციტაძისა და მით უფრო მანანა ნაჭყებიას ფერწერულ გემოვნებასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ, როგორც ირკვევა, ამ შემთხვევაში ჯეჯილისფერი ერთობ მნიშვნელოვანი სიმბოლური დატვირთვის მატარებელიც ყოფილა. აი, რა განცხადება გააკეთა ამასთან დაკავშირებით თავად მამუკა კაციტაძემ ოფისის პრეზენტაციის დღეს: **„ეს მხოლოდ ფერების განახლება კი არაა, ახალი პოლიტიკური ხედვის შეთავაზებაა საზოგადოებისთვის. ამ ათწლეულის განმავლობაში ბევრი ვაკეთეთ, ბევრი ვისწავლეთ, ბევრიც შეგვეშალა და ამ ყველაფერმა ერთად მიგვიყვანა დასკვნამდე: აგრესია და რადიკალიზმი ვნებს ოპოზიციას, ხელისუფლებას და არ აინტერესებს ჩვენს მოსახლეობას“.**

მოკლედ, ამ, ერთი შეხედვით უმნიშვნელო, განცხადებით ბატონმა კაციტაძემ აღსარება ჩაგვაბარა და აღიარა, რომ **განვლილი ათი წელიწადი „მემარჯვენეების“ პარტიულ მოღვაწეობაში, ფაქტობრივად, წყლის ნაყვა იყო, ეს კი, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ პარტია ძირითად ორიენტირებს კარდინალურად იცვლის და, თუ აქამდე ხელისუფლებას ცეცხლითა და მახვილით ემუქრებოდა, ახლა უკვე იმავე ხელისუფლების „გამპრავებლად“ გვევლინება.** ამის დასტურად ისევ კაციტაძის კიდევ ერთ განცხადებას მოვიყვან: **„ათი წლის იუბილესთან ერთად მთავრდება ერთი და იწყება სრულიად სხვა, ახალი ეტაპი“.** ამით, არც მეტი, არც ნაკლები, „მემარჯვენეთა“ ლიდერმა გასაგებად გვითხრა, მე ის თამრო აღარა ვარ და ჩვენგან რადიკალიზმს ნუღარ მოელითო. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, **„ნაცმოძრაობამ“ რადიკალებად წოდებული ოპოზიციის კაბადონიდან კიდევ ერთი „კაშკაშა ვარსკვლავი“ მოწვიტა, „ვარსკვლავი“, რომელიც მზადაა, ხელისუფლებას სამარეშიც ჩაჰყვეს და, მანდატებსაც თუ მოიპოვებს, პარლამენტს მაშინაც არ დატოვებს, მიშას ჩაი „გრეჩიხამ“ ან შალიკომ რომ დალიოს...**

დასასრულს, ორიოდე სიტყვით იმის შესახებაც მოგახსენებთ, თუ რატომა სჭირდება, თავის მხრივ, ხელისუფლებას „ექიმი, მეწარმე და ლიდერი“ მეოთხე „გამპრავებლის“ ამპლუაში მაშინ, როცა პარლამენტი ისედაც სავსეა „რუხი“ ვანოს მზა ტექსტებით მოჭიკჭიკე დეპუტატებით; ამას ყველაფერს დავით გამყრელიძის ის განცხადება ცხადყოფს, რომელიც მან ივანიშვილის წერილის საპასუხოდ გააკეთა რამდენიმე დღის წინ. აი, რა პოზიციას აფიქსირებს ამ განცხადებაში „მემარჯვენე“ ლიდერი: **„ამ ადამიანს ზუსტად ის პრინციპი აქვს არჩეული, რასაც მე ვაკრიტიკებდი ამ ხელისუფლებაში და რაც იყო დამახასიათებელი გასული საუკუნის 20-იან წლებში ბოლშევიკებისთვის: ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია. მან ზუსტად ასე დაახარისხა საზოგადოება. ის, რომ მთავარი მიზანი არის მისი ქუჩაში გამოსვლა, ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი აქცენტი არის გაკეთებული სწორედ ასეთ რადიკალურ ფორმაზე, მყისიერ ცვლილებებზე და რევოლუციაზე. მე ვფიქრობ, რომ საზოგადოებაში მომწიფდა აზრი, რომ რადიკალიზმი უნდა დასრულდეს ქართულ პოლიტიკაში“.**

მოკლედ, ყველაფერი ნათელია — ათასგზის გაშიფრული და დედალ ოპოზიციონერებად შერაცხული **„ქრისტიან-დემოკრატების“ ან პაატა დავითაიას ბაგეებიდან ამ განცხადებას ისეთივე ფასი ექნებოდა, როგორიც, მოოქროვილ უნაგირს პრჟევალსკის ცხენზე, „მემარჯვენეები“ კი, ჯერჯერობით პირდაპირ არ ასოცირდებიან „ვარდოსანთა“ ხელის ბიჭებთან და მათი მხრიდან ივანიშვილის კრიტიკა „ნაცებისთვის“ არც თუ უმნიშვნელო “მონაპოვარია”.** ერთი კია, ადრე თუ გვიან, საზოგადოება „მემარჯვენეებისგანაც“ მიეჩვევა მსგავს განცხადებებს და, როცა ამ პარტიის „საწყისი ფასი“, ვთქვათ, „ქრისტიან-დემოკრატებისას“ გაუთანაბრდება, დავით გამყრელიძესა და მის თანამებრძოლებს უსათუოდ მოუწევთ იმ აზრთან შეგუება, რომ დედალი ოპოზიციონერების ყეფაში არა თუ ბევრს, არამედ ხშირად საერთოდაც არაფერს იხდიან; **ასე რომ, პატივცემულო „მემარჯვენეებო“, ნათქვამია, ეძიებდეთ და ჰპოვებდეთო. თქვენ უკვე ნაპოვნი გაქვთ და ეცადეთ, საქმე არ დაკარგოთ, თორემ ხომ იცით, ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ შესვლა შეუძლებელია...**

**ჯაბა ჟვანია**

**«ქრისტიან-დემოკრატების» ან პაატა დავითაიას ბაგეებიდან ამ განცხადებას ისეთივე ფასი ექნებოდა, როგორიც, მოოქროვილ უნაგირს პრჟევალსკის ცხენზე, «მემარჯვენეები» კი, ჯერჯერობით პირდაპირ არ ასოცირდებიან «ვარდოსანთა» ხელის ბიჭებთან და მათი მხრიდან ივანიშვილის კრიტიკა «ნაცებისთვის» არც თუ უმნიშვნელო «მონაპოვარია»**

## პარიზში მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისზე იმსჯელეს

**პარიზში მსოფლიოს 20 უდიდესი ეკონომიკის მქონე ქვეყნის ფინანსთა მინისტრები შეიკრიბნენ.** მთავარი თემა ევროპაში დაწყებული ფინანსური კრიზისის დაძლევა იყო. შეხვედრის მიზანი იყო მსოფლიოს ეკონომიკის ახალი რეცესიისგან გადარჩენა. განიხილებოდა გლობალური ფინანსური ბაზრის დასტაბილურების რამდენიმე მეთოდი და გზა. სპეციალისტები ამ შეხვედრისგან რაიმე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას არ ელოდნენ. მათი აზრით, შეკრება მხოლოდ მომავალი სამიტებისთვის ნიადაგის მოსამზადებლად იყო დაგეგმილი.

## აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა რუსეთის მხარეს იქნება მიმართული

**აშშ-ის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა რუსეთის მხარეს იქნება მიმართული. წყაროს ცნობით, ევროპაში ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის განთავსების პასუხად მოსკოვი „იაფი, მაგრამ ეფექტური“ ღონისძიების გატარებას აპირებს.** ამასთან, ვაშინგტონმა ოფიციალურად თქვა უარი მოსკოვისთვის იმ იურიდიული გარანტიების წარდგენაზე, რომ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა რუსეთის მხარეს არ იქნება მიმართული. კრემლის მაღალჩინოსნის ინფორმაციით, „პასუხი იქნება მარტივი, მაგრამ უაღრესად ეფექტური“.

## მარგარეტ ტეტჩერი 86 წლის გახდა

**13 ოქტომბერს დიდი ბრიტანეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრს მარგარეტ ტეტჩერს 86 წელი შეუსრულდა.** ბარონესა მარგარეტ ჰილდა ტეტჩერი, რომელსაც „რკინის ლედი“ უწოდეს, 1925 წლის 13 ოქტომბერს დაიბადა. იგი 1979-90 წლებში გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი იყო. ტეტჩერის პრემიერობა მე-20 საუკუნეში ყველაზე ხანგრძლივი იყო. გადადგომის შემდეგ მან დაწერა წიგნი „სახელმწიფოს მართვის ხელოვნება“. 1992 წლის ივნისში ბარონესის ტიტული მიანიჭეს. იგი ბილდერბერგის კლუბის მუდმივი წევრია.

## ჰილარი კლინტონი მიდის

**აშშ-ის სახელმწიფო მდივანი, ჰილარი კლინტონი პრეზიდენტ ბარაკ ობამას პირველი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ პოლიტიკურ კარიერას აღარ განაგრძობს.** როგორც თავად აღნიშნა, მან სახელმწიფო სამსახურში საკუთარი შესაძლებლობები ამოწურა და სურს, ჩვეულებრივ ცხოვრებას დაუბრუნდეს. კლინტონი, რომელსაც 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ობამას გამარჯვების იმედი აქვს, მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებსაც შეეხო. მისი თქმით, „არაბული გაზაფხულის“ შემდეგ ეს სახელმწიფოები დიქტატურასა და დემოკრატიას შორის მოექცნენ. „მომვალში აშშ-ს დიდი მოთმინების გამოჩენა მოუწევს, რათა სირიის და იემენის მოქალაქეებს დიქტატორული რეჟიმების დამხობაში დაეხმაროს“, — განაცხადა მან.



## ხორვატია ევროკავშირის წევრი გახდება

**ხორვატიამ ევროკავშირში გაწევრიანების მოლაპარაკებები დაასრულა.** შესაბამის ხელშეკრულებას ხელს დეკემბერში მოაწერენ. ამასთან, 2013 წელს ხორვატია ევროკავშირის 28-ე წევრი გახდება. ხორვატია სლოვენიის შემდეგ ყოფილი იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის მეორე ქვეყანა იქნება, რომელიც ევროკავშირში გაწევრიანდება. უნდა აღიშნოს, რომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნების სტატუსი მაკედონიამ და ჩერნიგორიამაც მიიღეს.

ჩეპლიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გაფრთხილდით, ბატონებო! თქვენი უმრავლესობის დანახვაც კი აღარ უნდოდა ხალხს, ვიდრე ბიძინა ივანიშვილმა არ განაცხადა პოლიტიკაში მოსვლის შესახებ. ხალხი მიამიტი არ არის.**

## რობერტ სტურუა რამაზ ჩხიკვაძის ხსოვნას სპექტაკლს მიუძღვნის

**რობერტ სტურუა მსახიობ რამაზ ჩხიკვაძის ხსოვნას სპექტაკლს მიუძღვნის. ამის შესახებ ინფორმაცია მან სოციალურ ქსელ facebook-ზე გამოაქვეყნა.**

რეჟისორის განცხადებას, რომელიც ერთგვარი გამოთხოვებაა დიდ მსახიობთან, „ჯი-ეიჩ-ენი" უცვლელად გთავაზობთ: **„გარდაიცვალა უდიდესი ქართველი მსახიობი, რუსთაველის თეატრის მშვენება და ბურჯი, ჩემი უსაყვარლესი ხელოვანი და ადამიანი რამაზ ჩხიკვაძე. თუ არა რამაზი, არც ერთი ჩემი სპექტაკლი ასეთ წარმატებას და მსოფლიო აღიარებას ვერ მიაღწევდა. რამაზის ნიჭი ყველგან იფრქვეოდა, ყველას გადაწვდა მისი ბრწყინვალე კაცობა და ადამიანობა. ჭეშმარიტი ქართველი კიდევ დიდხანს იცოცხლებს ჩვენს დაობლებულ, გაცრუებულ გულებში, როგორც ნუგეში და იმედი, რომ ადრე თუ გვიან ჩვენს ქვეყანას ბედნიერება მაინც ეღირსება. ასეთი ქართველები გაამრავლოს ღმერთმა. ამას ვევედრები უფალს. მშვიდობით, ჩემო რამაზ, ჩამოვალ და ერთ კარგ სპექტაკლს დაგიდგამ — საუკეთესო მსახიობები მიცდიან, "** — წერს სტურუა.

შეგახსენებთ, რომ სტურუას სპექტაკლებში ჩხიკვაძეს რუსთაველის თეატრის სცენაზე არაერთხელ უთამაშია. მათ შორისაა „ყვარყვარე", „კავკასიური ცარცის წრე", „რიჩარდ მესამე" და სხვ.

## სექტემბერში შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობამ 101 417 800 აშშ დოლარი შეადგინა

**საქართველოში სექტემბერში შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობამ 101 მილიონ 417 ათას 800 აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2010 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 19,5%-ით მეტია.**

საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ინფორმაციით, მიმდინარე წლის სექტემბერში, გასული წლის სექტემბერთან შედარებით, რუსეთიდან ფულადი გზავნილების მოცულობა 9 მილიონ 479 ათას 700 აშშ დოლარით გაიზარდა და 59 მილიონ 36 ათასი აშშ დოლარი შეადგინა. მიმდინარე წლის სექტემბერში საბერძნეთიდან 7 მილიონ 837 ათას 500 აშშ დოლარი შემოვიდა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე 2 მილიონ 516 ათას 100 აშშ დოლარით მეტია. ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების მოცულობით მესამე ადგილზეა იტალია, საიდანაც საქართველოში გასულ თვეში 6 მილიონ 543 ათასი აშშ დოლარი შემოვიდა.

# კიკუც ხარ და...

**პოლიტიკოსებს რომ თავის ქება ყველაფერს ურჩევნიათ, ახალი ამბავი არ არის. ისიც ცნობილია, რომ, ვინც მათ ტყუილებს არ იჯერებს, ზომიერ საყვედურს არ აკმარებენ და ისეთი სიტყვებით მიმართავენ, რომელთაგან სიტყვა „უმადური" დედის ალერსია. დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც გუბაზ სანიკიძემ „საქონელი" გვიძახა, რომ ახლა ბიძინა ივანიშვილზე აცრილმა ნომერ პირველმა „მშრომელმა" „კიკუს" მაღალი წოდებით შეგვამკო. მთელი საზოგადოება, რომელიც, შალვა ნათელაშვილის ტერმინოლოგიით, თურმე „გაკიკუვდა", უმადური და დაუნახავია.**



შალვა ნათელაშვილი:

**იმედია, დღეს მაინც ჩვენი საზოგადოების სულიერად მშიერმუცელა ნაწილი არ გაკიკუვდება და კვლავ არ გაყიდიან ფულზე ქვეყანას**

თურმე ნუ იტყვით და, უფასო სკოლა და საბავშვო ბაღი მისი პირადი დამსახურება ყოფილა. შალვას ბავშვები ბაღის ასაკისანი აღარ არიან, თორემ უსათუოდ ეცოდინებოდა, რომ ბაღი უფასო აღარ არის (ჩვენში დარჩეს და, — არც სკოლა). თუმცა ასეც რომ იყოს, როგორ ახერხებდა მარად ოპოზიციაში მყოფი ნათელაშვილი ამ სიკეთეების კეთებას, როცა უმრავლესობაში მის მიერ ბანდიტებად მონათლული სხვა პარტიები იდგნენ?

აქ, სამართლიანობა მოითხოვს, ხაზი გავუსვათ, რომ პარტიები სახელებს იცვლიდნენ, თორემ პერსონალიები იგივე რჩებოდა — **ის ნომენკლატურული ელიტა, რომელმაც კომკავშირიდან (ან პიონერიიდან) „მოქალაქეთა კავშირის" გავლით „ნაციონალურ მოძრაობაში" ამოყო თავი. შალვა მუდამ ჩიოდა, რომ ამ კლანმა მას სოფლელობა არ აპატია. მაგრამ გამოხდა ხანი და თავად მათ დაიწყეს საუბარი „რუსთაველის ელიტაზე" და პარლამენტის ქუთაისში გადატანას დაუჭირეს მხარი. შალვას თბილისის პარლამენტში არ უშვებენ და ქუთაისისას ვინ დაანახებს?**

თბილისის პარლამენტი ვახსენე და იქვე საკრებულო გამახსენდა. იგი ხომ სწორედ ადგილობრივი პარლამენტია! ნათელაშვილს ორჯერ ჰქონდა შანსი, თბილისის საკრებულოს ჩასდგომოდა სათავეში, მაგრამ მან ორივეჯერ გაუშვა ხელიდან შანსი, ამ გზით მაინც გამხდარიყო თბილისელი. ყველაზე გულდასაწყვეტი კი ის არის, რომ ორივეჯერ იმათ დაუთმო, ვისაც დღენიადაგ „ხმალამოღებული" ებრძოდა.

იმ სოციალურ შეღავათებს, რომლებიც 1998 წელს არჩეულმა საკრებულომ დაამტკიცა, 55 კაციდან 12 ლეიბორისტი რომ ვერ გაიტანდა, ამას ელემენტარული არითმეტიკა ჰყოფნის, მაგრამ იმას რაღა ვუყოთ, რომ იმავე საკრებულოში სწორედ ლეიბორისტებმა მოახერხეს ოპოზიციური უმრავლესობის გახეთქვა და იმჟამინდელი „მოქალაქეთა კავშირის" კვლავ უმრავლესობაში დაბრუნება!

**ყოველ ამგვარ უცნაურ დამთხვევას შალვა ნათელაშვილი ყოველთვის მოხერხებულად უვლის გვერდს. მაგალითად, მეორე როქირებისას საკრებულოში 2002 წელს მან სააკაშვილს დაუთმო საკრებულოს თავმჯდომარის სავარძელი. როცა ამას შეახსენებენ, შალვა დაღლილი სახით იმეორებს, რომ მას დიდი პოლიტიკიდან სააკაშვილის გარიდება სდომებია, მაგრამ...**

სიტყვა „დაღლილზე" არ შეიძლება, ნათელაშვილის ერთ-ერთი მარგალიტი არ გაგახსენდეს; „დაღლილი ვირი" სწორედ მან უწოდა ზურაბ ნოღაიდელს, შემდეგ კი ეს თიკუნი მთელმა საქართველომ აიტაცა. **პენსიაზე გასულმა შევარდნაძემაც კი, რომელმაც პირველმა დააწინაურა ნოღაიდელი ფინანსთა მინისტრად, იკითხა: „კი, მაგრამ რამ დაღალაო?", ანუ სახედრობასთან დაკავშირებით კითხვები არ გასჩენია. დღეს ნათელაშვილმა ბიძინა ივანიშვილს „სოროსი 2" შეარქვა. საეჭვოა, რომ ეს თიკუნი ნოღაიდელისგან განსხვავებით, პოპულარული გახდეს, მაგრამ ყველაზე საცნაური ის არის, რომ ჯორჯ სოროსი სწორედ მემარცხენეა და იქნებ უფრო მემარცხენეც კი, ვიდრე ქართველი ლეიბორისტები.**

როდესაც ლეიბორისტები ამტკიცებენ, რომ ივანიშვილი ამერიკული პროექტია, იქვე იმასაც უსვამენ ხაზს, რომ მთელი მსოფლიო ებრძვის ოლიგარქებს, საქართველო კი აქაც მაჩანჩალაა და „გაკიკუებული" ქართველები „მხსნელი" ოლიგარქის იმედზე არიან. თითქოს სწორედ ნათელაშვილმა არ წამოაყენა იგივე ივანიშვილი პრემიერმინისტრობის კანდიდატად 2008 წლის იანვარში. როგორც ჩანს, მაშინ ის ოლიგარქი არ ყოფილა, რაკი ნათელაშვილმა 3 იანვარს საქვეყნოდ განაცხადა: **„ჩვენ მიგვაჩნია, რომ კანდიდატურა, რომელიც შევთავაზეთ საქართველოს, არის ზეპარტიული, არის სრულიად მისაღები ყველა ჩვენი მოქალაქისთვის. მან გაიარა გზა რიგითი ადამიანიდან აი ასეთ სიმაღლეებამდე, ჩაატარა ქველმოქმედება უანგაროდ, ისე, რომ არ მოუთხოვია არანაირი ტაში, თანამდებობა და არ ჰქონია პოლიტიკაში მოსვლის აკვიატებული სურვილი".**

თუმცა აქ არის ერთი საინტერესო დეტალი: მაშინ შალვა პრეზიდენტობისთვის იბრძოდა, ხოლო მდიდარი პრემიერი საკუთარი სოციალური პროგრამების განმახორციელებლად სჭირდებოდა. ამიტომაც უსვამდა ხაზს მის თავმდაბლობასა და აპოლიტიკურობას. შალვა ნათელაშვილის „კონსტრუქციულობა" იქამდე მივიდა, რომ მან მედიის საშუალებით მიმართა ივანიშვილს: **„ბატონ ბიძინას ვთხოვთ, დაიწყოს კონსულტაციები ყველა ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიასთან ეროვნული ერთიანობის კოალიციური მთავრობის შექმნაზე, რომელსაც შემდგომ მოიწონებს უწმინდესი და უნეტარესი, აგრეთვე, სრულიად საქართველოს წმინდა სინოდი. ეს იქნება ჭყონდიდელის საქართველოს კონცეფციის განვითარება, რასაც ჩვენ ვპირდებით მოსახლეობას".**

დღეს ნათელაშვილი ყველაზე მძიმე ცოდვად იმას უთვლის ივანიშვილს, რომ იგი სააკაშვილის ხელისუფლებას ეხმარებოდა, პოლიციას აფინანსებდა, მისი აშენებულით ტრაბახის საშუალებას აძლევდა და ა.შ. მაგრამ ყოველივე ამას ივანიშვილი სწორედ მაშინ აკეთებდა, როდესაც შალვა პრემიერობას სთავაზობდა მას!

როდის გადაიქცა უანგარო და ყველასთვის მისაღები ბიძინა ივანიშვილი ოლიგარქად და „სოროსი 2"-ად? ჯერ მაშინ, როცა პრემიერობის შეთავაზებაზე უთხრა თავაზიანი უარი ნათელაშვილს, დღეს კი, როცა შალვას მაშინდელ თხოვნას ასრულებს და ყველა ოპოზიციურ პარტიასთან დაიწყო კონსულტაციები ამ ხელისუფლების შესაცვლელად!

ხომ არაფერი გეცნობათ? ვინ უფრო ჰგავს კიკუს – ხალხი, რომელსაც ივანიშვილის პოლიტიკაში ჩართვამ იმედი გაუჩინა, თუ ის, ვისაც მისი გამოყენება საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის უნდოდა და კოვზი ნაცარში ჩაუვარდა? ივანიშვილის განცხადებამდე ორიოდე დღით ადრე სააკაშვილი ღიმილით ეუბნებოდა ჟურნალისტებს: **„სააკაშვილის წინააღმდეგ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში ჩართვა ლეიბორისტების დამსახურებაც არისო"**! მაგრამ როგორც კი ბიძინა ივანიშვილმა ლეიბორისტებიც მართვად ოპოზიციად მოიხსენია, მაშინვე „ამერიკის პროექტი" უწოდეს.

შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, საქართველოს საგარეო პოლიტიკა კვლავ ნატოსა და ამერიკაზე ორიენტირებული დარჩება, რაც გამორიცხავს აფხაზეთ-ცხინვალის დაბრუნებას და გააღრმავებს საქართველოს დაშლის პროცესს.

**„მას შემდეგ, რაც ამერიკაბუშის ვარდებიანი გადატრიალების შედეგად მოყვანილი სააკაშვილი სრულად გაკოტრდა და კრახით ამთავრებს პოლიტიკურ ტრაგიკომედიას, ვაშინგტონმა, რომლის კოლონიაც ჩვენ ვართ, ტრადიციულად, მიიღო ჩამკეტი ზომები სამომავლოდ ხელისუფლებაში ეროვნული ძალებისა და, უპირველესად, ლეიბორისტული პარტიის მოსვლის არდასაშვებად. იციან რა ჩვენი ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილის მონური თაყვანისცემა ფულიანი კაცისადმი, გამონახეს „სოროსი 2", ქართული გვარით – ივანიშვილი, რომელიც რეჟიმის ფინანსური ბურჯი იყო ყოველთვის და რომლის მილიარდები ინახება ამერიკაევროპის ბანკებში, რაც შესაბამისად, ჩვენი უცხოელი ბატონებისთვის უზრუნველყოფს ამ პიროვნების ასპროცენტიან მართვას. შედეგად, ხალხისთვის წართმეული ქონება კვლავ დარჩება გაბატონებული კლანის ხელში, ძალაუფლება შეუნარჩუნდება მმართველ ელიტას, საგარეო პოლიტიკა დარჩება ნატოსა და ამერიკაზე ორიენტირებული, რაც გამორიცხავს აფხაზეთ-ცხინვალის დაბრუნებას და გააღრმავებს საქართველოს დაშლის პროცესს. 2003 წელს, როცა ხალხმა არ დამიჯერა და გაჰყვა სააკაშვილ-მერაბიშვილს, მივიღეთ დაშლილი საქართველო. იმედია, დღეს მაინც ჩვენი საზოგადოებრის სულიერად მშიერმუცელა ნაწილი არ გაკიკუვდება და კვლავ არ გაყიდის ფულზე ქვეყანას".**

ამ ტირადაში იმდენჯერ არის ნახსენები სიტყვა **„ფული"**, რომ რთული მისახვედრი არ უნდა იყოს, ნათელაშვილსაც და ივანიშვილის კარზე რიგში ჩამდგართა ერთ ნაწილს სწორედ **ფულის** ფაქტორი რომ არ ასვენებს. ოღონდ რა შუაშია აქ ხალხი და რატომ გვიბედავენ პოლიტიკოსები **კიკუსთან** შედარებას, როცა **კიკუობაში** თვითონ არიან შემჩნეული?

რატომ აძლევენ პოლიტიკოსები თავს უფლებას, თავი დაგვაყვედრონ, — თითქოს ისინი სამშობლოს ჩვენი ხათრით „ემსახურებიან", ან პოლიტიკოსობა იძულებითი შრომა იყოს? **გაფრთხილდით, ბატონებო! თქვენი უმრავლესობის დანახვაც კი აღარ უნდოდა ხალხს, ვიდრე ბიძინა ივანიშვილმა არ განაცხადა პოლიტიკაში მოსვლის შესახებ. ხალხი მიამიტი არ არის. იმასაც კარგად ხედავს, რომ „ჩვენ გამო 40 წუთი გულგაჩერებული და გადახერხილი" ნათელაშვილი არც იმ 2003 წელს გამოცხადებულა პარლამენტში, როცა ლეიბორისტებმა ნანატრი სადეპუტატო მანდატები მოიპოვეს. ვიდრე ლეიბორისტები „მემარჯვენეებივით" იმალებოდნენ, სააკაშვილი პარლამენტში შევარდა და მათ მანდატებიც თავზე გადაახია.**

ლეიბორისტები ახლაც თან არიან პარლამენტში და თან არ არიან. არც პარლამენტს ტოვებენ და ხელფასებსაც იღებენ. საპარლამენტო ტრიბუნის გამოყენების ნაცვლად კი ყოველკვირეული ბრიფინგებითა და უცხოეთში გამართული საპროტესტო აქციებით იწონებენ თავს.

**სააკაშვილის ბრეჟნევიზაციის პირობებში კი ყოველივე ეს წითელ მოედანზე ანჟელა დევისის გათავისუფლების მოთხოვნით გამართულ მიტინგს ემსგავსება! სიტყვამ მოიტანა და ბებიაჩემი მიყვებოდა, როგორი სერიოზულობით განიცდიდნენ ამ ამბავს საბჭოთა მშრომელები, მაგრამ არც ერთს არ მოსვლია აზრად, პატიმარი ქალი უმადურობაში ემხილა.**

**თამარ დავითულიანი**

კოკო გამსახურდია საკუთარ თავს „ევროკავშირის მასშტაბით საგანგებო დავალებათა ელჩად“ გრძნობს. შვეიცარიაში გახიზნული „დევნილი“, პირველი პრეზიდენტის პირველი ვაჟი, საკუთარი მამის სიკვდილის გარემოებათა გამომძიებელი კოკო გამსახურდია ყოველგვარი აგრიმანების გარეშეც კარგად გაართმევს თავს დეოკუპაციასაც, ინვესტიციების მოზიდვასაც და დიასპორასთან ურთიერთობასაც. მით უფრო, რომ მისი სტატუსი მაპზე უკეთესია — რაღაც იმდაგვარი, ამინდის მინისტრობას რომ ნიშნავს.

ამბები
GEWORLD.GE-ს მიხედვით
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კოკომაც მაპზე უკეთესი მიიღო!

**გასაჭირში ხელისუფლებისთვის ხელის გამწვდენი კოკო გამსახურდია პრეზიდენტის წარდგინებითა და პარლამენტის თანხმობით ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირსა და მეტეოროლოგიის მსოფლიო ორგანიზაციაში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად დაამტკიცეს. დამტკიცებულმა გამსახურდიამ ამ თანამდებობაზე დასანიშნად აგრიმანი ვერ მიიღო. ახლა, ხუთი თვის შემდეგ, ირკვევა, რომ გამსახურდიამ აგრიმანი ვერ მიიღო.**



კარგად ინფორმირებული წყაროს თანახმად, **„საქმე იმაშია, რომ ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირი და მეტეოროლოგიის მსოფლიო ორგანიზაცია გაეროს ეგიდით მოქმედებენ და ერთი კონკრეტული ორგანიზაციის შემადგენელი ნაწილებია, შესაბამისად, მათი ცალკე გამოყოფა არ ხდება. ამ ორგანიზაციების სათაო ოფისები შვეიცარიაშია განთავსებული და მათ შვეიცარიის კონფედერაციაში აკრედიტებული ელჩები ფარავენ. ასეა ყველა ქვეყნისთვის და, ბუნებრივია, საქართველოსთვის გამონაკლისის დაშვება ვერ მოხდება“.**

**ძნელად წარმოსადგენია, რომ საქართველოს ხელისუფლებას ეს არ სცოდნოდა. უფრო სავარაუდოა, რომ, როგორც სჩვევიათ, კოკოც „გადააგდეს“, თან ისე, რომ ხუთი თვის განმავლობაში თავს ელჩად მიიჩნევდა. ამ დიდ გაუგებრობას იგი „გარკვეული ტიპის ტექნიკურ პრობლემებს“ უწოდებს და ფიქრობს, რომ „ახლა ყველაფერი მოგვარებული და გადაწყვეტილია“.**

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ კოკო გამსახურდია იმავე ფორმულით მოქმედებს, როგორითაც ჩვენი ხელისუფლება, — მაპზე უკეთესი რომ მიიღო! კოკომაც მუდმივ წარმომადგენლობაზე უკეთესი მიიღო — **„უფლებამოსილების არეალი გაუფართოვდა და ახლა ევროკავშირში საგანგებო დავალებათა ელჩია“.**

**„ევროკავშირის მასშტაბით საგანგებო დავალებათა ელჩის სტატუსით მუშაობა სამი მიმართულებით მაქვს დავალებული. ეს დეოკუპაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, ინვესტიციების მოზიდვასა და ქართულ დიასპორებთან ურთიერთობებს ეხება. პარალელურად იმ ორგანიზაციებსაც დავფარავ, სადაც პარლამენტმა მუდმივმოქმედ ელჩად დამამტკიცა,“** — განაცხადა გამსახურდიამ.

10 ოქტომბერს კი საგარეო საქმეთა სამინისტროში ტრადიციული ბრიფინგი გაიმართა. ჟურნალისტის შეკითხვაზე, არის თუ არა ბოლოს და ბოლოს გამსახურდია ელჩი, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ნიკოლოზ ვაშაკიძემ ჭეშმარიტად დიპლომატიური პასუხი გასცა: **„ტელეკომუნიკაციებისა და მეტროლოგიის ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად ბატონი გამსახურდიაა დანიშნული. რაც შეეხება აგრიმანთან დაკავშირებულ თემას, ეს ტექნიკური საკითხია, ნიუანსები ზუსტდება შვეიცარულ მხარესთან და ტექნიკურ ჭრილში ეს თავის გადაწყვეტილებას იპოვის“.**

ვიდრე „ეს თავის გადაწყვეტილებას იპოვის“, კოკო გამსახურდია საკუთარ თავს „ევროკავშირის მასშტაბით საგანგებო დავალებათა ელჩად“ გრძნობს. შვეიცარიაში გახიზნული „დევნილი“, პირველი პრეზიდენტის პირველი ვაჟი, საკუთარი მამის სიკვდილის გარემოებათა გამომძიებელი კოკო გამსახურდია ყოველგვარი აგრიმანების გარეშეც კარგად გაართმევს თავს დეოკუპაციასაც, ინვესტიციების მოზიდვასაც და დიასპორასთან ურთიერთობასაც. მით უფრო, რომ მისი სტატუსი მაპზე უკეთესია — რაღაც იმდაგვარი, ამინდის მინისტრობას რომ ნიშნავს.

# საქართველოს ხელისუფლება საკუთარი პიარისთვის ხალხის ფულს ხარჯავს!

**საქართველოს მთავრობამ ამერიკულ პიარკომპანიებთან კონტრაქტები გააფორმა. როგორც Daily Nation-ი წერს, ერთ-ერთი ასეთი კომპანიაა Podesta Group-ი. კომპანია სააკაშვილს 2010 წელს ბარაკ ობამასთან პირველი ვიზიტის დროს დაეხმარა.**

**„საქართველომ ფირმასთან 300000 დოლარის ღირებულების ექვსთვიანი კონტრაქტის ვადა გააგრძელა. Podesta Group-მა ლობირება უნდა გაუწიოს საქართველოს ინტერესებს და დაეხმაროს მას სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან და პრესასთან კავშირების დამყარებაში. წარსულში, სააკაშვილი შეერთებული შტატების პრეზიდენტის — უმცროსი ჯორჯ ბუშის ფავორიტი და დასავლურ ტელეარხებზე ხშირი სტუმარი იყო. ის ყოფილ საბჭოთა კავშირში დემოკრატიას განასახიერებდა. მაგრამ მისი პოზიცია გართულდა, როდესაც ევროკავშირმა 2008 წლის აგვისტოს კავკასიურ კონფლიქტზე ანგარიში გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამია, რომ სამხრეთ ოსეთში ომი საქართველომ დაიწყო“,** — ნათქვამია სტატიაში.

როგორც გამოცემა წერს, ერთ დროს თბილი ურთიერთობები თბილისს და ვაშინგტონს შორის მას შემდეგ გაცივდა, რაც ბუშმა თეთრი სახლი დატოვა.

**„Podesta Group-თან კონტრაქტი ერთადერთი შეთანხმება არ არის, მეორე კომპანია ვაშინგტონშია Gephardt Government Affairsia. მის ოფიციალურ ვებგვერდზე კომპანია წერს, რომ ხელი მოაწერა 430000 დოლარის ღირებულების ერთწლიან კონტრაქტს საქართველოს მომსახურების უზრუნველყოფისთვის“,** — ნათქვამია სტატიაში.

# დევნილები — შიმშილის ზღვარზე

**ფოთის ახალ რაიონში მცხოვრები აფხაზეთიდან დევნილები უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოებს, უმუშევრობასა და ხელისუფლების მხრიდან უყურადღებობას აპროტესტებენ. დევნილებმა Livepress.ge-სთან საუბარში აღნიშნეს, რომ უმუშევრობის გამო ადამიანები შიმშილის ზღვარზე არიან.**



**„პარკეტი ამობერილია. ნესტია. ეს არის პროექტი? 3 ოპერაცია მაქვს გაკეთებული და ონკოლოგიურში დავდივარ სამკურნალოდ. შემოგვყარეს 7 ადამიანი 2 ოთახში. გაუსაძლის პირობებში ვცხოვრობთ. შემოსულიყო პრეზიდენტი ჩვენთან და ენახა, როგორ ვცხოვრობთ, გარედან ლამაზია შენობა, მაგრამ შიგნით უვარგისია“,** — ამბობს სოხუმელი ნანი ბერულავა.

**„ამ პროექტებს ევროკავშირი უწევდა მონიტორინგს. რაც შეეხება ნესტს, ეს დასავლეთ საქართველოში ყველგან არის. ხოლო რაც შეეხება ხარვეზებს, ამას სამშენებლო კომპანია თავისი ვალდებულების ფარგლებში თვითონვე გამოასწორებს,“** — აცხადებს Livepress.ge-სთან საუბარში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი კობა სუბელიანი, რომელიც პრეზიდენტს ახალ რაიონში ახლდა.

# NDI მიხვდა, რომ ქართველი ხალხი წინააღმდეგია!

NATIONAL DEMOCRATIC INSTITUTE FOR INTERNATIONAL AFFAIRS

**NDI-ის კვლევის თანახმად, გამოკითხულთა 60% პარლამენტის წევრთა რაოდენობის 150-დან 190-მდე გაზრდის წინააღმდეგია, ხოლო 69% არ ეთანხმება სამოქალაქო კოდექსში შესულ ცვლილებას ყველა რელიგიური გაერთიანებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების შესახებ.**

კვლევის შედეგების პრეზენტაციაზე NDI-ის საქართველოს ოფისის დირექტორმა ლუის ნავარომ აღნიშნა, რომ **დეპუტატთა რაოდენობის გაზრდას გამოკითხულთა მხოლოდ 8% ემხრობა, 31%-ს კი პასუხი არ აქვს. პარლამენტის წევრთა რაოდენობის 235-დან 150-მდე შემცირებას, რომელიც 2005 წელს რეფერენდუმის შედეგების გათვალისწინებით მოხდა, მხარს გამოკითხულთა 65% უჭერს.**



58%-ს 2011 წლის ივნისში ხელისუფლებასა და რამდენიმე ოპოზიციურ პარტიას შორის საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებულ შეთანხმებაზე არ სმენია. შეთანხმების შესახებ იცის 22%-მა, ხოლო 19%-მა არ იცის, რა უპასუხოს აღნიშნულ შეკითხვას.

**რაც შეეხება რელიგიური გაერთიანებებისთვის სტატუსის მინიჭებას, გამოკითხულთა 48%-ს ამგვარი ცვლილებების შესახებ სმენია, 47%-მა კი ამის შესახებ არაფერი იცის. გამოკითხულთა 81% მიიჩნევს, რომ ამ საკითხზე მოსახლეობასთან კონსულტაციები უნდა გამართულიყო, ხოლო ვისაც სამოქალაქო კოდექსში შესულ ამგვარ ცვლილებებზე სმენია, მათი 78% მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილება ნაჩქარევად მიიღეს. 86%-ის აზრით ამ საკითხზე ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან კონსულტაციები უნდა გამართულიყო.**

NDI-ის კვლევა 2011 წლის 9-21 სექტემბერს ჩატარდა. საქართველოს მასშტაბით, პირისპირ ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე გამოიკითხა 2425 ადამიანი. კვლევა, მოსახლეობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების გარდა, ასახავს რესპონდენტთა დამოკიდებულებას დემოკრატიის, მიმდინარე მოვლენებისა და რეფორმების, ასევე საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის მიმართ. NDI-ის კვლევებს შვედეთის განვითარების სააგენტო აფინანსებს. გამოკითხვა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა ჩაატარა.

მოკლედ

## პუტინს პრეზიდენტობის კანდიდატად 27 ნოემბერს წარადგენენ

**პარტია „ედიანნაია როსია“ 27 ნოემბერს ჩაატარებს ყრილობას, რომელზეც, სავარაუდოდ, რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინს რუსეთის პრეზიდენტობის კანდიდატად წარადგენენ.** „სავარაუდოდ, ყრილობის ჩატარებას 27 ნოემბერს ვგეგმავთ, თუ ფედერაციის საბჭო შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს“, — განაცხადა პარტიის პრეზიდიუმის გენერალური საბჭოს მდივანმა სერგეი ნევეროვმა. პარტიის სხდომამდე პარლამენტის უმაღლესმა პალატამ უნდა გააკეთოს განცხადება რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ. არჩევნები 2012 წლის მარტისთვისაა დაგეგმილი.

## მედვედევი კარიერას პუტინთან მეგობრობას უმადლის

**რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევის მტკიცებით, „საპრეზიდენტო თანამდებობაზე ვლადიმერ პუტინის კანდიდატურის დაყენება არა წარსულში დაბრუნება, არამედ დასახული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებაა“.** როგორც პრეზიდენტმა საკუთარ ამომრჩევლებთან შეხვედრაზე განაცხადა, „ამოსავალი წერტილი ყველასთვის ის უნდა იყოს, რა გზით უფრო მარტივია დეკლარირებული მიზნების მიღწევა, ხოლო არჩევნებში „ედინაია როსიასა“ და ვლადიმერ პუტინის გამარჯვება რუსეთის განვითარების გაგრძელების გარანტიაა“.

არა არის დაფარული
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ამ „ოპოზიციონერებს“ წინ მრავალი მოგზაურობა ელოდათ ამერიკასა და ევროპის ქვეყნებში. ცხადია, სახელმწიფოს ხარჯზე „იგულავებდნენ“ ხან სტრასბურგში, ხან ბრიუსელსა და ამერიკაში. ასეა, გული რომ არ დასწყვიტონ, „ნაციონალები“ თითო-ოროლა ოპოზიციონერსაც გააყოლებენ ხოლმე ხელს უცხოეთში ვიზიტებისას. მოკლედ, ეს ფსევდოოპოზიცია ყველაფერს აკეთებდა საიმისოდ, რომ მომავალი 4 წელი მათ და „ნაცმოძრაობას“ უზრუნველად ეტარებინათ ერთად და სიამტკბილობით“.**

# რატომ დაუპირისპირდა ფსევდოოპოზიცია ბიძინა ივანიშვილს

**ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენამ ქართული ოპოზიციის ერთი ნაწილი ისე გაამწარა, უშვერი სიტყვებით ლანძღეს და ცინიზმნარევი განცხადებებით აიკლეს ეს კაცი. არადა, წესით, თუ ოპოზიციონერი ხარ, თუ ხელისუფლების შეცვლის მართლა მოსურნე ხარ, მინიმუმ, ხმა უნდა გაიკმინდო ახალი ოპოზიციური ძალის გამოჩენისას, ვიდრე საბოლოოდ გაირკვევა, რა სახით, რა მეთოდებით აპირებს ეს ძალა ბრძოლას. შესაძლოა, სინქრონულად და შეთანხმებულად არ იმოქმედო მასთან, რაკილა თქვენი პარტნიორობა არ შედგა, მაგრამ შენი წვლილი მაინც უნდა შეიტანო ხელისუფლების შეცვლის პროცესში. მაგრამ მოხდა საპირისპირო — კაცს, რომელსაც ლამის მთელი საქართველო ეთაყვანება, ყველაზე აქტიური კრიტიკოსები ოპოზიციაში გამოუჩნდნენ. „ნაციონალთა“ განცხადებები, მათთან შედარებით, უფრო მოზომილი და ზრდილობიანი იყო. ვგულისხმობ „ახალ მემარჯვენეებს“, „ქრისტიან-დემოკრატებს“, „ედპ“-ს და სხვა ჯურის ვერცხლისმოყვარეთ, რომელთაც დალაგებული გეგმები აურია ივანიშვილის პოლიტიკურმა გააქტიურებამ.**



ცხადია, საზოგადოების ერთი ნაწილი დაიბნა, ვერ გაიგო ამ ვითომ ოპოზიციამ რატომ დაიწყო ივანიშვილის კრიტიკა ეგზომ შემართებით, „ნაციონალებს“ რატომ ეჯიბრებიან ამ კაცის ლანძღვაში. ის, რომ ეს პოლიტ-პარტიები ფსევდოოპოზიციური ძალები არიან, „ნაცმოძრაობის“ სატელიტები, ეს ზოგადი განმარტებაა. მოდით, უფრო კონკრეტულად განვმარტოთ, თუ რატომ შეაშინა ამ პარტიათა ლიდერები ივანიშვილის მოულოდნელმა გააქტიურებამ.

**ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლამ, ცხადია, უპირველესად, „ნაცმოძრაობას“ აურია დავთრები. მათ, პრაქტიკულად, სამომავლო საპარლამენტო არჩევნებისთვის ყველა პრობლემა მოგვარებული ჰქონდათ.**

26 მაისის სისხლიანი დარბევისა და ბურჯანაძე — „სახალხო კრების“ პროექტის ჩავარდნით, „ნაციონალები“ დარწმუნდნენ, რომ უარესი საფრთხე მათ აღარ მოელოდათ. 2012 წლის არჩევნებს, როგორც მოესურვებოდათ, ისე ჩაატარებდნენ — საკონსტიტუციო უმრავლესობით თავად მოვიდოდნენ პარლამენტში, რამდენიმე ათეულ მანდატს კი, ზემოთ რომ ჩამოვთვალე, იმ ფსევდოოპოზიციურ ძალებს გადაუნაწილებდნენ.

გამყრელიძესა და მის გუნდს, „ქრისტიან-დემოკრატებს“, დავითაიას „ევროპულ საქართველოს“, ბაჩუკი ქარდავასა და „ედპ“-ს, შესაძლოა, 2-3 პარტიასაც, გარანტირებული ჰქონდათ პარლამენტში შესვლა. ზოგი (ალბათ, გიორგი თარგამაძისა და დავით გამყრელიძის პარტიები) იმდენ პროცენტს აიღებდა მომავალ არჩევნებში, საფრაქციოდ საჭირო დეპუტაციას გაიყვანდა, ზოგი თავად ორიოდ თანაპარტიელთან ერთად მოხვდებოდა პარლამენტში, ზოგი კი საკუთარ ჭიას გაახარებდა და ერთკაციანი პარტიის „თავკაცები“ მაჟორიტარულ არჩევნებს მოიგებდნენ („ნაციონალები“ მოაგებინებდნენ) სადმე. მოკლედ, **ამ ხალხს გარანტირებული ჰქონდა 2016 წლის ბოლომდე მშვიდი და უშფოთველი ცხოვრება — მავანს ვიცე-სპიკერობა უმცირესობის კვოტით, მავანს უმცირესობის ლიდერობა, ზოგი ფრაქციის თავმჯდომარე გახდებოდა, დანარჩენები კი სხვადასხვა კომიტეტში თავმჯდომარის მოადგილეობას გაინაღდებდნენ.**

და რას ნიშნავს ეს ყველაფერი ამ ხალხისთვის? 4-წლიან კომფორტულ ცხოვრებას სახელმწიფოს ხარჯზე — საბიუჯეტო ავტომობილი, მძღოლი, მდივანი, თანაშემწე, მაღალი ხელფასი და პრემიები, ნათესავ-მეგობრების დასაქმება პრესტიჟულ სამსახურებში, საკუთარი ბიზნესის მფარველობა („მემარჯვენეები“ ავიღოთ თუნდაც, რომელსაც „ბიზნეს პარტიასაც“ ეძახიან. ყველა „მემარჯვენე“ ლიდერს ბიზნესი აქვს. „ნაციონალებმა“, თუ რომელიმე ჭეშმარიტ ოპოზიციონერს „ბუტკა“ ჰქონდა, ისიც მიუკეტეს. რატომღაც, „მემარჯვენეთა“ ლიდერების ბიზნესს დღემდე არავინ შეხებია), შიგადაშიგ, სახელმწიფო ტენდერებში თავიანთი „მეგობრების“ ფირმების ლობისტობა, რომელთა უკან რეალურად თავად იდგებოდნენ, და მთელი 4 წელი უფასო პიარი ნაციონალური ტელეარხებითა და სხვა მედიასაშუალებებით.

ჰო, კინაღამ დამავიწყდა — **ამ „ოპოზიციონერებს“ წინ მრავალი მოგზაურობა ელოდათ ამერიკასა და ევროპის ქვეყნებში. ცხადია, სახელმწიფოს ხარჯზე „იგულავებდნენ“ ხან სტრასბურგში, ხან ბრიუსელსა და ამერიკაში. ასეა, გული რომ არ დასწყვიტონ, „ნაციონალები“ თითო-ოროლა ოპოზიციონერსაც გააყოლებენ ხოლმე ხელს უცხოეთში ვიზიტებისას. მოკლედ, ეს ფსევდოოპოზიცია ყველაფერს აკეთებდა საიმისოდ, რომ მომავალი 4 წელი მათ და „ნაცმოძრაობას“ უზრუნველად ეტარებინათ ერთად და სიამტკბილობით.**

ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ ის უმრავლესობით აპირებს პარლამენტში მოსვლას. ეს კაცი სიტყვებს ჰაერზე არ ისვრის, მისთვის სიტყვა და საქმე ერთია. ეს კარგად იციან მოწინააღმდეგეებმა — „ნაციონალებმა“ და მისმა პოლიტიკურმა სატელიტებმა. ამდენად, **მომავალ პარლამენტში, არათუ ფსევდოოპოზიციის ადგილი „დაიკარგა“, ისიც სათუო გახდა, თავად „ნაცმოძრაობა“ თუ მოვა უმრავლესობით. საქმე იქით მიდის, რომ 2012 წელს ორადორი პოლიტიკური ძალა გაიყოფს საპარლამენტო მანდატებს — „ნაცმოძრაობა“ და ბიძინა ივანიშვილის გარშემო შემოკრებილი პოლიტიკური პარტიები.** ეს ფსევდოოპოზიცია, ავტომატურად „მოტეხილია“ პარლამენტიდან, მათ პარლამენტში შესათრევად „ნაციონალებს“ სად ეცლებათ, როცა საკუთარი თავი ექნებათ გადასარჩენი პოლიტიკაში. და იმას, რა სიკეთეც ზემოთ ჩამოვთვალე, ფსევდოოპოზიცია, ცხადია, დაემშვიდობება. აი, ერთი მიზეზი, რის გამოც მიშას ნაყიდი ოპოზიციონერები ივანიშვილს რიხით დაუპირისპირდნენ.

ახლა კი ამ გააფთრებული დაპირისპირების მეორე მიზეზზე მოგახსენებთ. ბიძინა ივანიშვილს გააჩნია სოლიდური ფინანსური რესურსი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად. „ნაცმოძრაობას“, ცხადია, ასევე სოლიდური ფინანსები დასჭირდება მასთან საბრძოლველად, მის დასამარცხებლად. ევროპაამერიკას თავისი გასჭირვებია, ამერიკა ცოტა ხნის წინ ტექნიკურ დეფოლტს გადაურჩა, ევროპაში ეკონომიკური კრიზისი მძლავრობს, ანუ საარჩევნოდ „ნაცმოძრაობას“ უცხოეთიდან არავინ დააფინანსებს.

**ცხადია, უცხოელები ფულს პირდაპირ არჩევნების დასაფინანსებლად არ იძლევიან ხოლმე, ისინი იძლევიან ეკონომიკური პროექტების დასაფინანსებელ ფულს — გრანტის, შეღავათიანი კრედიტის სახით და აძლევენ სახელმწიფოს. მერე, ამ თანხის ნაწილი, როგორც წესი, „ტყდება“ და მიდის, „ნაციონალურ ყულაბაში“ ან კონკრეტული „ნაცბოსების“ საბანკო ანგარიშებზე, რომელთა ნაწილსაც მერე ისევ არჩევნებს, ანუ საკუთარი კეთილდღეობის გახანგრძლივებას ახმარენ.**

ამ ეტაპზე არც ამერიკის, არც ევროკავშირის წევრი რომელიმე ქვეყნის მთავრობა და არც ერთი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტი (მსოფლიო ბანკი, სავალუტო ფონდი, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი და ა.შ.) არ აპირებს, ერთი დოლარის მიცემასაც კი საქართველოს ხელისუფლებისთვის, რადგან ყველას საკუთარი თავი ასტკივებია და თავიანთი ეკონომიკა აქვთ გადასარჩენი. **მიხეილ სააკაშვილსა და მის გუნდს, სხვა რა გზა აქვს, შინაური სახსრებით უნდა დაუპირისპირდნენ ივანიშვილს — საბიუჯეტო ფულით, ბიზნესის დატერორებით (ტერორი ახლა ნახეთ!) ამოღებული ფულით.**

ჰოდა, როცა „ნაცმოძრაობას“ თავად უჭირს, ფეხზე არ დაიკიდებს სატელიტ პარტიებსა და ფასადურ დემოკრატიას, რისთვისაც მათ იყენებდა? ცხადია, დაიკიდებს! ამ ფსევდო-ოპოზიციურ პარტიებსაც შეუწყდებათ სახელმწიფო დაფინანსება, რომელსაც ბოლო არჩევნების შედეგების მიხედვით იღებენ; კითხვის ნიშნის ქვეშ დგება გამყრელიძე-თარგამაძის პარტიების შეთანხმების ის პუნქტიც, რომლის თანახმადაც, წლიურად მილიონი უნდა მიიღონ ამ პოლიტსუბიექტებმა. **პირად საუბრებში „ნაციონალები“ უკვე აცხადებენ, რომ ახალი რეალობაა პოლიტიკაში და ძველ ტვირთს მოისვრიან, — ანუ ყველანაირ საბიუჯეტო ფინანსურ ინექციას შეუწყვეტენ.**

მოკლედ, საკუთარი პარტიების შენახვა პოლიტლიდერებს თავადვე მოუწევთ.

გარდა ამისა, ზოგიერთ პოლიტიკურ ლიდერს იმ ფინანსურ დახმარებასაც შეუწყვეტენ, რასაც უკანონოდ, პრინციპში, ქრთამის სახით აძლევდა მათ „ნაცმოძრაობა“ და ამის შემსრულებელი — ფულის მშოვნელი და გადამცემი გივი თარგამაძე გახლდათ. ამ ეტაპზე მტკიცებულებები — რომელი ლიდერი რა ფასად ჰყავდათ „ნაციონალებს“ — არ გამაჩნია, მაგრამ სამომავლოდ ამ „შავ სიას“ აუცილებლად შემოგთავაზებთ. **ძალიან, ძალიან ცუდ დღეში არიან ჩვენი „ოპოზიციონერები“ — ისინი მალე სახელმწიფო დაფინანსებასაც დაკარგავენ და გივი თარგამაძის ყოველთვიურ „შემოწირულობასაც“.**

მესამე მიზეზი, რის გამოც ფსევდოოპოზიცია ბიძინა ივანიშვილს დაეტაკა, ისევ ფულს უკავშირდება. წეღან „მემარჯვენეების“ საეჭვოდ ხელშეუხებელი ბიზნესი ვახსენე. ამგვარი ბიზნესი, შორეულ ახლობლებზე გადაფორმებული, ცხადია, ყველა „ოპოზიციური“ პარტიის ლიდერს აქვს. ვიმეორებ: **სააკაშვილს დიდი და „შინაური ფული“ დასჭირდება ივანიშვილთან დასაპირისპირებლად. საამისოდ ათას მაქინაციას მიმართავს.**

**ბევრი მათგანი ყოფილა კიდეც იქ, თურმე 2-3 დღე ელოდნენ ივანიშვილთან შეხვედრას, მაგრამ მას არ მიუღია — შალვა ნათელაშვილი, მაგალითად. დიახ, ფულის სათხოვნელად ორჯერ იყო ჩასული ჭორვილაში შალიკო, მაგრამ ივანიშვილმა არ მიიკარა, ამიტომაც ასე გულმოდგინედ ლანძღავენ ლეიბორისტები ივანიშვილს**

როგორ ფიქრობთ, როცა საკუთარი თავი აქვს გადასარჩენი, სააკაშვილი ვინმეს დაინდობს? ცხადია, არა! მათ შორის, — არც ე. წ. ოპოზიციის ლიდერების ბიზნესს. ბოლოს და ბოლოს, ისინი ერთ ნავში სხედან და, თუ ჩაიძირებიან, ერთად ჩაიძირებიან. **სააკაშვილმა კი, როცა კრიტიკული სიტუაციიდან გამოსასვლელია, მით უფრო, დასაღუპად განწირულია და მისი გადარჩენის უმთავრესი რესურსი ფულია,** ▶

„უცხოპლანეტელებს ჩვენთვის უცნობი იარაღი აქვთ, რომლის დახმარებითაც ჩვენზე გამანადგურებელი დარტყმის მოყენებას აპირებენ. იარაღი ფსიქოლოგიური მოქმედებისაა და მისი გამოყენებით ისინი ჩვენთვის ქართველობის წართმევასა და სულში ჩაფურთხებას აპირებენ, მაგრამ ნურას უკაცრავად!“

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დანდობა არ იცის — „ოპოზიციონერ“ ბიზნესმენ-პოლიტიკოსებსაც ისევე მოსთხოვს, როგორც საკუთარი კარის ბიზნესმენებს; ვთქვათ, პაატა კურტანიძეს, დავით კეზერაშვილსა თუ დავით ბეჟუაშვილს.** მოკლედ, ფსევდოოპოზიცია დიდ განსაცდელშია, სააკაშვილის ხელში მათ არა მარტო პოლიტიკურად გაკოტრება ემუქრებათ, არამედ ფინანსური დეფოლტიც.

აი, ამიტომ არ უნდა გეუცნაუროთ ამ ვაი-ოპოზიციონერების ლანძღვა-გინება ბიძინა ივანიშვილის მიმართ. ივანიშვილმა, ბადრი პატარკაციშვილისგან განსხვავებით, ყველა ჯურის პოლიტნაძირალას არ გაუღო კარი და შინ არ მიიპატიჟა. ამან დაღუპა პატარკაციშვილი, ყველაზე ერთგული ვინც ეგონა, პირველმა მან უღალატა — გიორგი თარგამაძემ. მერე მოღალატეთა დიდი რიგი ჩამწკრივდა. ბიძინა ივანიშვილმა სააკაშვილის ხელის ბიჭებთან საქმე არ დაიჭირა და ამაზე გადაირია „ოპოზიცია“. ახლა ეს ფსევდოოპოზიცია ამუნათებს ბიძინა ივანიშვილს — გვეგონა, ეს კაცი ოპოზიციური სპექტრის გამაერთიანებლის როლს ითამაშებდა, შემოიკრებდა ოპოზიციურ ძალებს და ისე შევუტევდით „ნაცმოძრაობასო“. კი, მართლა უნდოდა ბიძინა ივანიშვილს ოპოზიციის გაერთიანება, მაგრამ სადაა სპექტრი და ფერთა პალიტრა? ყველა ერთნაირი, უსახური და ცალსახად „ნაცმოძრაობის“ სატელიტი აღმოჩნდა. არ უნდა ამ კაცს საკუთარ პარტიაში ვანო მერაბიშვილის მსტოვრები და ძალაზე ხართ?

ბიძინა ივანიშვილს რამდენიმე მილიონი დოლარი რომ გადაეგდო თითოეული პარტიისთვის, თავისთან მიეწვია, ეს ფსევდოოპოზიციონერები, თავქუდმოგლეჯილები გაქუსლავდნენ, ფეხით ჩავიდოდნენ ჭორვილაში **(ბევრი მათგანი ყოფილა კიდეც იქ, თურმე 2-3 დღე ელოდნენ ივანიშვილთან შეხვედრას, მაგრამ მას არ მიუღია — შალვა ნათელაშვილი, მაგალითად. დიახ, ფულის სათხოვნელად ორჯერ იყო ჩასული ჭორვილაში შალიკო, მაგრამ ივანიშვილმა არ მიიკარა, ამიტომაც ასე გულმოდგინედ ლანძღავენ ლეიბორისტები ივანიშვილს).** მაგრამ ივანიშვილმა ბრძოლის სხვა გზა არჩია — ბინძური ხელებით, ბინძური ხალხით სუფთა საქმეს ვერ გააკეთებ. ეს არის მისი ცხოვრების კრედო და ამ პრინციპით მოქმედებს პოლიტიკაში. ეს პრინციპი ამ ვაი-ოპოზიციონერთათვის მიუღებელია, ბევრისთვის, საუბედუროდ, — გაუგებარიც, რადგან პოლიტიკაში დამკვიდრების დღიდან, როგორც ქუჩის მეძავები, ისე გადადიოდნენ ერთი ხელისუფალიდან მეორის ხელში.

**ამათ, მთავარია, გადაუხადე და გინდა, ლელვის ფოთლად აიფარე და გინდა — შიშველი უკანალის დასაფარავად.**

**ამათ ძვალი გადაუგდე მცირეოდენი ხორცის ნაჭრით და, ბიძინა ივანიშვილს კი არა, ნებისმიერს შეჰყეფენ და წკავწკავს აუტეხენ, ვისაც მიუქსევ.**

**ლევან ჯავახიშვილი**



# «ყვავა» «ნაცებს» ორ ახალ სლოგანს სთავაზობს:

# «მიშასი მაგარია» და «ჩვენ გაგიკეთებთ»

## მირიან ტორონჯაძე: სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეგიდით გამოვა პორნოფილმი «სიყვარული ვენახში 2»

**სანამ „ბირთვული ზამთარი კარს მოგვადგომია და პანდორას ყუთი-iPad-ის მფლობელის ვინაობა გაურკვეველია“, გადავწყვიტეთ ერთ-ერთ პოლიტიკურად არაამბიციურ პიროვნებასთან, ბლოგერთან, ჟურნალისტთან და „ნი2 ნიუსის“ დამაარსებელთან, მირიან ტორონჯაძესთან, იგივე BigCrow-სთან ჩაგვეწერა ინტერვიუ. როგორც თავად განაცხადა, პრეზიდენტობაზე არასდროს უფიქრია, თუმცა ყველა არსებულ პრეზიდენტზე უკეთესი იქნებოდა და საქართველოს ვუდსტოკისა და კაზანტიპის ნაზავად გადააქცევდა. იცის, როგორ გახადოს პოლიტიკური სლოგანები უფრო მიმზიდველი, მაგრამ რატომ არ აჰყვავა „ნაცების“ პიარშიკი, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.**

**— ბლოგზე რამდენიმეჯერ წავაწყდი თქვენს პროგნოზს იმის თაობაზე, რომ წინ ბირთვული ზამთარი გველის. იქნებ ისიც განმარტოთ, ვის აქვს წითელღილაკიანი შავი ჩემოდანი?**

— ბირთვული ზამთარი მართლაც მალე დადგება და, ალბათ, ეს იქნება არა იმ ფორმით, რა ფორმითაც ფილმებში აღწერენ პოსტაპოკალიფსს — ზომბებით, თოვლითა და მთავარი გმირით, რომელიც ყველაზე ჭკვიანია, ყველაფერი გაცილებით პროზაული იქნება და შეიძლება ვერც კი გავიგოთ, თანდათან როგორ დაგვერხევა. რაც შეეხება წითელღილაკიან ჩემოდანს, იგი არ არსებობს. წითელი ღილაკი ადრე იყო, შემდეგ ტექნიკა განვითარდა და ღილაკს, რა ფერსაც გინდა, იმას მისცემ. ჩემოდნის ნაცვლად კი iPad-ის ეკრანიც წავა. ესეც პანდორას ახალი ყუთი.

**— ცოტა ძველი ამბავია, მაგრამ ფორუმზე იყო თემა სახელწოდებით „ყვავა — პრეზიდენტად, ძირს მიშა!“. საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდება და „კარდუსტანის“ პრეზიდენტობაზე ხომ არ ფიქრობთ?**

— ამაზე არასოდეს მიფიქრია, მაგრამ, როგორც ნამდვილ პრეზიდენტს შეეფერება (თეორიაში მაინც), ხალხის სიტყვა ჩემთვის კანონია. ამიტომაც აუცილებლად ვეცდები, ყველანაირად გავამართლო მათი იმედები და, უახლოეს არჩევნებზე თუ არა (ასაკი არ მიწყობს ხელს), შემდეგზე მაინც ვიყარო კენჭი ან მახათი, ქართული პოლიტიკის ტრადიციებში.

**— როგორი პრეზიდენტი იქნებოდა „ყვავა“?**

— ყველა არსებულზე უკეთესი, ამას ხომ კითხვაც არ უნდა. რეალურად ყველაფრის ლეგალიზებას მოვახდენდი, რაც დღეს ძალიან უცნაური მიზეზებით აკრძალულია. ერთ-ორ ნუდისტურ პლაჟსაც გავხსნიდი ყოველი შემთხვევისთვის და, რაც მთავარია, დიდი ხნის ოცნებას ავისრულებდი და ერთ ისეთ კონცერტს გავაკეთებდი (ჩემს ხელში არ იქნებოდა?), როგორიც მე მინდა. მოკლედ ჩემი საარჩევნო პროგრამა ძალიან გრძელია და ძირითადად საქართველოს ვუდსტოკისა და კაზანტიპის ნაზავად ქცევას ისახავს მიზნად.

**— რამდენად სარფიანად შეიძლება მომავალ არჩევნებზე ხმა გავყიდოთ (წინასწარი მონაცემები რომ იცოდნენ პარტიებმა, მერე ვაჭრობაში დრო არ დავკარგოთ)?**

— ხმების გაყიდვა ძალიან მოძველებული მეთოდია. მე მაქვს შემხვედრი წინადადება — გაყიდვის ნაცვლად მივმართოთ ხმების გაქირავების მეთოდს. სხვა თუ არაფერი, ერთი გამოყენების შემდეგ ხმები უვარგისი აღარ იქნება, მრავალჯერადი გამოყენების გახდება, ეს კი, რაღა თქმა უნდა, პირველ რიგში, გრინპისსა და მსგავს ორგანიზაციებს გაახარებს. ბუნება გამოყენებული და შემდეგ გადაყრილი ხმებისგანაც გათავისუფლდება და ყველა ბედნიერი იქნება.

**— chiti.ge ვანო მერაბიშვილზე რატომ არ ხუმრობს?**

— მართალი თუ გინდა, „ჩიტისთან“ მე აბსოლუტურად არ მაქვს შეხება, გარდა იმისა, რომ ჩემი მეგობრების საიტია. შესაბამისად, რატომ არ საუბრობენ მერაბიშვილზე, ვერ გეტყვით. თუმცა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ვინმე ახლობელი მუშაობს შსს-ში და უტყდებათ. მე შემიძლია გითხრათ, რატომ არ საუბრობს მერაბიშვილზე, მაგალითად, „ნი2“. იმიტომ, რომ საიტს მცირე ტექნიკური პრობლემები აქვს და, არათუ ვანოზე, საერთოდ ვერავიზე ვეღარ საუბრობს. ეს — ჯერჯერობით, უახლოეს მომავალში კი მის აღდგენასთან ერთად ერთ ახალ პროექტსაც ვგეგმავ, რომელიც, მართალია, ვანო მერაბიშვილს არ მიეძღვნება, მაგრამ ზოგადად საქართველოს სიყვარულსა და ჩახუტებაში იქნება.

**— ბევრმა სარკოზის სტუმრობა საქართველოს ნატოში შესვლის წინაპირობად შეაფასა, ანუ კიდევ ერთი „მაპზე უკეთესი“ მოგვცეს თუ სარკოზიმაც შამგონის მოსაწევივით „დაგვაბოლა“?**

— მგონია, რომ ასეთი ბოლა სტუმრები ბათუმში ახლახან დარჭობილ იუსტიციის სახლ-ბოთლში უნდა მივიღოთ ხოლმე. მოგეხსენებათ, რომ ბოთლით უფრო „მოაქვს“.

**— ხომ არ იცით, „იმედისა“ და „რუსთავის“ ბორდს ფრანგულს სად ასწავლიდნენ ან რა ფრანგული ასწავლეს ასეთი, რომ ნიკოლა სარკოზის „რეჩი“ ანდრო ბარნოვზე უანდრობარნოვესად მოთარგმნეს?**

— სორბონას უნივერსიტეტში. ამაზე შემიძლია თავი დავდო, რადგან უტყუარი ინფორმაცია მაქვს. ინფორმაცია არც უნდა ამის მიხვედრას, საკმარისია, ვიზიტის კადრებს გადახედო. ასეთი სუფთა ფრანგული მე ჯერ არსად მომისმენია. თუ ეგ თავად სარკოზი ლაპარაკობდა? მაშინ ვერაფერს გეტყვი ვერც „ერორზე“ და ვერც „იმედზე“, თან მეშინია მაგათი...

**— „სიყვარული ვენახში“ ვნახეთ და კარგი ფილმია, სპეცრეპორტაჟი ვენახშიც ვნახეთ, „ჭამა და სექსიც“ ვიხილეთ, რა იქნება შემდეგი?**

— როგორც ამასწინათ ერთმა ჩემმა ახლობელმა გამიმხილა შიდა და, რაღა თქმა უნდა, უტყუარი ინფორმაცია: 2012 წელს ქართული კინოგიგანტები ძირითადად პორნო ფილმებს გამოუშვებენ. ამაში მათ სახელმწიფოც დაეხმარება. ასე მაგალითად, **განათლების სამინისტროს მხარდაჭერითა და შეკვეთით, ჩვენი ქვეყნის მთავარი კინორეჟისორი აპირებს, გადაიღოს ფილმი „18 წლის ანამ გაკვეთილი არ იცოდა და იორგენ მასწავლებელი ამეცადინებს“; სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეგიდით გამოვა პორნოფილმი „სიყვარული ვენახში 2“, რომელიც რთველის მიმდინარეობას ასახავს; ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო კი მთელი სერიალის გადაღებას გეგმავს სამუშაო სათაურით „ექთანი ნინო და მისი მრავალრიცხოვანი პაციენტები“. ასე რომ, მომავალი წელი ძალიან მხიარული იქნება.**

**— რას ურჩევთ საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც პოლიტიკური ექსტაზიდან „კავკასიაზე“ აქუს ყურებასა და ბროწეულის ოყნასაც კი ველარ გამოჰყავს?**

— Get a life, people!

**— „გასაკეთებელი კიდევ ბევრია“, „მიშა მაგარია“, „აგვისტოს ომი მოვიგეთ“ — ეს წმინდა წყლის ჭეშმარიტებანი უკვე გაცვდა. შენ რომ „ნაცების“ პიარშიკი იყო, რა სლოგანს შესთავაზებდი მომავალი არჩევნებისთვის?**

— არც არაფერს შევცვლიდი ამ სლოგანებში, უბრალოდ, მეტად მიმზიდველს გავხდიდი მათ. რადგან სექსი ყველაზე მეტად იყიდება დღეს, ამიტომ სექსუალურ დატვირთვას მივცემდი სლოგანებს. ასე მაგალითად, სლოგანს „გასაკეთებელი კიდევ ბევრია“ ბოლოში მხოლოდ ორ სიტყვას მივამატებდი „ჩვენ გაგიკეთებთ“. ეს სლოგანი როგორც კაცებისთვის, ასევე ქალებისთვის მისაღები იქნებოდა, იმდენად ორაზროვანი და ბუნდოვანია ამ დამატებით. თუმცა რამდენიმეჯერ ზედიზედ თუ გაიმეორებთ, იგრძნობთ, როგორ იცვლება თქვენი მსოფლმხედველობა. „მიშა მაგარია“-ს ორი ასოს დამატებაც ეყოფოდა და ახალი სლოგანი ასე გაიჟღერებდა — „მიშასი მაგარია“. მგონი, ამიტომაც არ ვარ „ნაცების“ პიარშიკი.

**— ალბათ, გეცოდინება, პრინცი რომ დაიბადა, ბაგრატიონი, იქ რაღაც შიდაგაურკვევლობაა და მას ტახტის მემკვიდრედ, თუ არ ვცდები, ბაბუამისი ჯერჯერობით არ აღიარებს. არადა, საჭირო რამეა მეფე, ტოროლა, სახრახნისი და ლიკანი, პახმელიაზე გულძმარვამ რომ არ შეგაწუხოს...**

— ამ ყველაფერზე იმდენად დიდი პასუხი მაქვს, რომ მთლიანად მოყოლას ძალიან დიდ ხანს მოვუნდები. ასე რომ, გირჩევთ „დაკარგული სიყვარულის“ 284-ე სერიას უყუროთ, რადგან იქაც დაახლოებით მსგავსი სიუჟეტი ვითარდება. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, 211-ე სერიაში როგორ ეუბნება ხუანიტა დედამისს, რომ ის მისი დაა. არაღიარებას რაც შეეხება, ეგ არაფერია, თავის დროზე თამარ მეფესაც არ აღიარებდა ყველა და მერე როგორ გაპიარდა?!

**— ნასას ინფორმაციით, დაახლოებით 2 თვეში დედამიწას უცხოპლანეტელთა 2 ხომალდი ესტუმრება. ვერონიკა ქობალიას ხომ არ ჩამოჰყავს ინვესტორები და ტრამპის ჯინაზე ბათუმში „ანდრომედა ბლუ ივერიას“ და მესტიაში „მერკური შერატონის“ აშენებას ხომ არ აპირებენ?**

— არა, არ აპირებენ. სტუმრები მართლაც ჩამოდიან, მაგრამ არა სასტუმროების გასახსნელად. ყველაფერი გაცილებით რთულადაა, რადგან, როგორც გაირკვა უტყუარი წყაროდან („კურიერში“ მოვისმინე გუშინწინ), უცხოპლანეტელებს ჩვენთვის უცნობი იარაღი აქვთ, რომლის დახმარებითაც ჩვენზე გამანადგურებელი დარტყმის მოყენებას აპირებენ. იარაღი ფსიქოლოგიური მოქმედებისაა და მისი გამოყენებით ისინი ჩვენთვის ქართველობის წართმევასა და სულში ჩაფურთხებას აპირებენ, მაგრამ ნურას უკაცრავად! იხილეთ ერთ-ერთ წინა კითხვაში მოყვანილი ჩემი სლოგანი, მე კი აქ დაგემშვიდობებით.

ესაუბრა
**ლილი მიროტაძე**

**«გაყიდვის ნაცვლად მივმართოთ ხმების გაქირავების მეთოდს. სხვა თუ არაფერი, ერთი გამოყენების შემდეგ ხმები უვარგისი აღარ იქნება, მრავალჯერადი გამოყენების გახდება»**

ერასტიკოსი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იცის ეროსიმ მიშას სუსტი წერტილები, თურმე პამელას ქუქუების ხსენებაზე პრეზიდენტობის კანდიდატმა პირი გააწკლაპუნა და ეროსის უთხრა — ჩაწერე, ეგეც ჩაწერე, ოღონდ პრეზიდენტი გავხდე და „ფეროს“ ნარჩენებს კი არა, „ფეროსაც“ გაჩუქებო.**

ოპოზიციის ერთი ნაწილი ხელისუფლებასთან გარიგებული რომაა, ეს ყველას კარგად მოგვეხსენება. გარდა კულუარებიდან გაჟონილი ინფორმაციებისა, ოპოზიციონერების ერთმანეთის მიმართ გაჟღერებული ბრალდებებისა, სააკაშვილისა და ზოგი ვაიოპოზიციონერის ალიანსი დოკუმენტებითაც გამყარდა. ყველაზე სკანდალური, ცხადია, ლევან გაჩეჩილაძისა და სააკაშვილის ფარული შეხვედრა და ბადრი ბიწაძის მიერ ამ შეხვედრის დეტალების გამომზეურება იყო. ბიწაძემ საკუთარი ხელით ჩამოწიკწიკებული მოთხოვნები დაუბეჭდა გაზეთში გაჩეჩილაძეს — ყველა ის მოთხოვნა, რის საფასურადაც გაჩეჩილაძე მზად იყო, ოპოზიციური მუხტი გაენელებინა ხალხში და ხელისუფლების გეგმით ეთამაშა.



# ქართული პოლიტიკის ქორვაჭარი

**გამორიცხული არ არის, მალე კიდევ ერთ „ოპოზიციონერს“ აუფრიალონ მიხეილ სააკაშვილის კაბინეტში დაწერილი მრავალფურცლიანი მოთხოვნები — ეს კაციც მზად იყო, ამ მოთხოვნების სანაცვლოდ, ოპოზიციიდან ხელისუფლებასთან არათუ ფარულად ეთანამშრომლა, არამედ ხელისუფლებაში დაბრუნებულიყო. ეს კაცი ცნობილი პოლიტიკური ვაჭარი ეროსი კიწმარიშვილი გახლავთ,** ხოლო შეთანხმება 2008 წლის საპრეზიდენტო კამპანიის წინ მოხდა, როცა ამერიკიდან დაბრუნებული კიწმარიშვილი ვადამდე დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში სააკაშვილის გუნდის წევრი გახდა და მისი პიარ-მენეჯერობაც იკისრა, მერე რუსეთშიც დანიშნეს ელჩად. არადა, ყველას კარგად გვახსოვს, კიწმარიშვილი „ვარდების რევოლუციის“ მერე პრემიერ-მინისტრობასაც ითხოვდა, ამის გამო ზურაბ ჟვანიას დაუპირისპირდა; ბოლოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარედ დანიშნეს და ვიცე-პრემიერობასა და სოლიდურ ბიზნესს დაჰპირდნენ; მერე ეროსი საერთოდ „მოტეხეს“, „რუსთავი 2“-ც წაართვეს (აიძულეს, 10 მილიონ დოლარად გაეყიდა), პალატის თავმჯდომარეობიდანაც მოხსნეს და, ცხადია, არც ვიცე-პრემიერობა აღირსეს. ამის მერე კიწმარიშვილი აიბარგა და აშშ-ში წავიდა.

2007 წლის ცნობილი მოვლენების მერე, როცა სააკაშვილმა ცალკე მიტინგი დაარბია და ცალკე — „ტელეიმედი“, საერთაშორისო მხარდაჭერა დაკარგა და რევოლუცია კარს ჰქონდა მომდგარი, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ბრძანებით, იძულებული გახდა, პრეზიდენტის პოსტიდან გადამდგარიყო და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დაენიშნა. ეს იყო სააკაშვილის მმართველობის პერიოდში ყველაზე მძიმე და მყიფე პერიოდი. ის ხელისუფლების დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე დადგა. მიშა მზად იყო, მოსისხლე მტერსაც შერიგებოდა, ოღონდ ხელახლა პრეზიდენტი გამხდარიყო.

**როგორც აფთრები გრძნობენ მკვდარი ადამიანის თუ არსების ბოლოსწინა ამოსუნთქვას, ეროსიმ ისევე იგრძნო, სააკაშვილის პოლიტიკური სიკვდილის ჟამმა დაჰკრაო და ამერიკიდან გელა ბეჟუაშვილის მეშვეობით დაუკავშირდა — შენთან შეხვედრა მინდაო. შეხვედრა შედგა.** რა შესთავაზა ეროსიმ სააკაშვილს, დეტალურად უცნობია ჩვენთვის. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ეს კაცი იქცა სააკაშვილის საპრეზიდენტო კამპანიის პიარ-მენეჯერად, დიდი ამაგი დასდო და რუსეთში ელჩობასაც გამოჰკრა ხელი. თუმცა ელჩობა სასაცილოდ მოგეჩვენებათ იმასთან შედარებით, რასაც რეალურად სააკაშვილისგან ითხოვდა კიწმარიშვილი. **ეროსიმ საკუთარი ხელით ჩამოუწიკწიკა თაბახის ფურცლებზე თავისი მოძალებული მადა სააკაშვილს. მიშამაც სეიფში შეინახა, მაგრამ ნამუსი არ შეუნახა.**

თუ გახსოვთ, ერთ-ერთი მორიგი ნაციონალური შოუს დროს, როცა სააკაშვილი ხალხს ხვდებოდა, ტრაქტორებსა და შაბიამანზე ლაპარაკობდა, ოპოზიციონერების ლანძღვაზე გადავიდა, ტრადიციულად, გაკვრით, ირონიით ახსენა, **ახლაც ვინახავ ერთი ოპოზიციონერის იმ მოთხოვნებს, რომელმაც საკუთარი ხელით თაბახის ორი ფურცელი შეავსო ჩემ თვალწინ, თუ რა სახის ბიზნესებს ითხოვდაო. სააკაშვილს არ დაუკონკრეტებია, ვინ იყო ეს ოპოზიციონერი, მაგრამ მე ვაკონკრეტებ — ეს ეროსი კიწმარიშვილი გახლდათ.**

ახლა იმ მოთხოვნების შესახებ, რომლებიც კიწმარიშვილმა წაუყენა იმ დროს პრეზიდენტყოფილსა და პრეზიდენტობის კანდიდატს — მიხეილ სააკაშვილს.

უპირველესად, ცხადია, კიწმარიშვილი ითხოვდა „რუსთავი 2“-ის იმ წილს, რომელიც თავის დროზე ძალით გააყიდინეს, მაგრამ 10 მილიონის დაბრუნებას, რომელიც ოქრუაშვილმა გადაუხადა ქიბარ ხალვაშის ხელით, არ აპირებდა. ეროსიმ ალტერნატიული ვარიანტიც შესთავაზა მიშას. თუ „რუსთავი 2“-ს არ გადმომცემ და ეს პრობლემაა, მაშინ სატელიტური მაუწყებლობის სიხშირე და ახალი ტელეარხის გასაკეთებელი თანხა მომეცი, ხარჯთაღრიცხვას კი ამ დღეებში მოგართმევო. **მართლა მიუტანა ეს ფინანსური გეგმა ეროსიმ სააკაშვილს — ახალი ტელევიზიის შექმნა 20 მილიონი დოლარი ჯდებოდა.** კიწმარიშვილის პოლიტიკური მოთხოვნა იყო, სააკაშვილს არჩევნების მერე ის დაენიშნა იმჟამად გაერთიანებული ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის მინისტრად (ამ არჩევნების მერე გამოეყო ეკონომიკის სამინისტროს ინფრასტრუქტურის სამინისტრო).

**მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, რასაც კიწმარიშვილი ითხოვდა სათავისოდ თუ თავისი მეუღლისთვის. კიწმარიშვილს სურდა, მის მეუღლეს, ია კიწმარიშვილს ჰქონოდა ექსკლუზიური უფლება, საქართველოში მოდის საერთაშორისო კვირეული ჩაეტარებინა, რასაც, ცხადია, დააფინანსებდნენ კიწმარიშვილისგან დატერორებული ბიზნესმენები.**

ია კიწმარიშვილი უნდა დანიშნულიყო კულტურის სამინისტროს ღონისძიებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელად (ამჟამად ამ პოსტზე მარინა ბერიძე მუშაობს). მოკლედ, მთელი ნაციონალურ-კულტურული ღონისძიებების შეფი ეროსის მეუღლე უნდა ყოფილიყო, მერე გენახათ თქვენ მოდის კვირეულები და თვიურები თუ სილამაზის ათასგვარი კონკურსები. ბეწვზე ვართ გადარჩენილები!

**ეროსი კიწმარიშვილი ითხოვდა ფარმაცევტულ ბაზარზე ადგილის გამოყოფას, ანუ არსებული ფარმა-კომპანიების შევიწროებას. მას ერთ-ერთი ამერიკული ფარმა კომპანია შემოჰყავდა საქართველოში, რომლის წარმომადგენელი და მეწილეც, ცხადია, არაოფიციალურად, ეროსი იქნებოდა.** ის ითხოვდა, პირველ ეტაპზე 80 აფთიაქისთვის (40 — თბილისში, 40 — რეგიონებში) საჭირო ფართის გამოყოფას და აუქციონის წესით მათ შეძენას. ცხადია, მას სურდა, ყველა აფთიაქი თბილისში, თელავსა თუ ბათუმში ქალაქის ცენტრში და კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში ყოფილიყო. ეს თავისთავად ნიშნავდა, უკვე მოქმედ კომპანიებთან ხელისუფლების დაპირისპირებას. არადა, ამ ფარმაკომპანიების მფლობელები სააკაშვილის საარჩევნო კომპანიებისა და მისი სხვა ნება-სურვილის უსიტყვოდ დამფინანსებელ-აღმასრულებლები იყვნენ და არიან. **ეროსის მითითებულიც აქვს — საწყის ეტაპზე ის ითხოვს ფარმაბაზრის 12 პროცენტს.**

**ეროსი კიწმარიშვილის ინტერესები რკინიგზასაც გადასწვდა. ამ დროს უკვე არსებობდა რკინიგზის თბილისის ზღვაზე გადატანის პროექტი. ეროსი მოითხოვდა, რომ ახალი რკინიგზის მშენებლობას ბეტონით ექსკლუზიურად მოამარაგებდა ერთ-ერთი კანადური კომპანია, რომელსაც თავად შემოიყვანდა საქართველოში.** ამით, არც მეტი, არც ნაკლები, კიწმარიშვილი თავის რეკომენდატორს სააკაშვილთან, გელა ბეჟუაშვილს უპირისპირდებოდა. ყველასთვის ცნობილია, რომ „ჰაიდელბერგცემენტი“ ძმები ბეჟუაშვილებისაა და ყველა სახელმწიფო ინფრასტრუქტურული პროექტი ამ კომპანიის ცემენტით ხორციელდება. სახელმწიფო მხოლოდ „ჰაიდელბერგცემენტისგან“ ყიდულობს პროდუქციას. თუმცა, როცა საქმე დიდ ბიზნესს, დიდ ფულს ეხება, იქ მეგობრობა და გაწეული სამსახური რა სახსენებელია?! მით უფრო, რომ **ეროსი კიწმარიშვილმა ერთ კვირაში გელა ბეჟუაშვილს მადლობა იმით გადაუხადა, რომ მისი კონკურენტობა, მეტიც, მისი და მისი ძმისთვის ბიზნესის წართმევა დააპირა.** საამისოდ ეროსის მხოლოდ სააკაშვილის ნებართვა სჭირდებოდა, ეკონომიკის მინისტრი თავად იქნებოდა, შპს „საქართველოს რკინიგზის“ 100-პროცენტიანი წილი სახელმწიფო საკუთრებაა, ეკონომიკის სამინისტროს ექვემდებარება და იქ გამართულ ყველა ტენდერსა და აუქციონს ეკონომიკის სამინისტრო აკონტროლებს. ამდენად, ეროსი კანადური კომპანიის სასათბუთე პირობებში ჩაყენებას თავადვე მოახერხებდა, ის ხომ ეკონომიკის მინისტრობას უმიზნებდა.

**ეროსი ასევე ითხოვდა, მაქსიმალურად შეღავათიან ფასად მისთვის მიეყიდათ რუსთაველის გამზირზე მდებარე „ოფიცერთა კლუბის“ შენობა. იქ ეროსი „პრეს-კაფეს“ გახსნას აპირებდა, ბომონდური ჟურნალისტიკის თავშეყრის ადგილი იქნებოდა, ერთ-ერთ პრესტიჟულ და შემოსავლიან კაფედ იქცეოდა თბილისში.** ცხადია, ეროსის ისიც გათვლილი ჰქონდა, რომ თბილისში ჩამოსული უცხოელი ჟურნალისტებიც ამ კაფეს ხშირი სტუმრები იქნებოდნენ. როგორც ხვდებით, კიწმარიშვილს ეს საქმეც „გაემაზა“ — ყოფილ ოფიცერთა სახლში ზურაბ წერეთელმა თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი გააკეთა.

იმ დროს, რომელზეც ვსაუბრობთ, თბილისში ნამდვილი სამშენებლო ბუმი იყო. **კიწმარიშვილს სამშენებლო ბიზნესშიც ჰქონდა ინტერესი. საკუთარი სამშენებლო კომპანიისთვის თანხების მოზიდვას თავადვე აპირებდა, მაგრამ სააკაშვილისგან მოითხოვდა, დაბა წყნეთში, უკეთ, წყნეთიდან სამადლოსკენ მიმავალ გზაზე, მისთვის გამოეყოთ 10 ჰექტარი მიწა. არადა, ამ ადგილას ტყეებია, რომელთაც რეკრეაციული ზონის სტატუსი ჰქონდა მინიჭებული.**

კიწმარიშვილს სურდა, ამ ტყეებს რეკრეაციული ზონის სტატუსი მოხსნოდა, იქ შესულიყო მისი სამშენებლო კომპანია და იქ მულტიფუნქციური კომპლექსი გაეშენებინა — დაბალი, მაქსიმუმ, ერთსართულიანი, მრავალსადარბაზოიანი კორპუსები, მაღაზიები, მარკეტები, სალონები... მოკლედ, მინი-ქალაქის გაშენებას აპირებდა, თანაც, ადგილია ისეთი, სამოთხეს არ ჩამოუვარდება. ფასიც შესაბამისი ექნებოდა და ეროსი დიდ ფულს იშოვნიდა. ეროსი ამ 10 ჰექტრის სიმბოლურ ფასად ყიდვას ეშურებოდა, თორემ, თუნდაც სახელმწიფო ფასში, წყნეთში მიწაც რომ იყიდო (80-150 ლარი 1 კვ.მ.) და კორპუსი ააშენო, დიდ მოგებას ვერ ნახავ, რადგან მთიანი, განსაკუთრებული რელიეფის რეგიონია და 5-სართულიან კორპუსზე მაღლის აშენება არ შეიძლება ოფიციალურად. მოგებას კი სამშენებლო ბიზნესში სწორედ მაღალსართულიანი კორპუსები იძლევა — სწორედ, 4-5 სართულის მერე მიდიხარ მოგებაზე, ▶



**ეროსიმ საკუთარი ხელით ჩამოუწიკწიკა თაბახის ფურცლებზე თავისი მოძალებული მადა სააკაშვილს. მიშამაც სეიფში შეინახა, მაგრამ ნამუსი არ შეუნახა**

ეჯასტიკოსი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„სააკაშვილმა ეროსი დააჯერა — რუსეთში წადი ელჩად, იქნებ ცოტა დაალაგო ეს არეული ურთიერთობა რუსეთთან და, რასაც დაგპირდი, ყველაფერს შეგისრულებ — მალე გამოგიწვევ რუსეთიდან, ეკონომიკის მინისტრადაც დაგნიშნავ და, რაც მაგ ქაღალდზე ჩამომიწიკწიკე, ყველაფერს შეგისრულებო. მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა — მალე, 2008 წელს აგვისტოს ომი დაიწყო, ეროსი უმუშევარი დარჩა და, ეკონომიკის მინისტრობა კი არა, ხეირიანი თანამდებობაც კი არ აღირსეს“.

**კიწმარიშვილს სურდა, მის მეუღლეს, ია კიწმარიშვილს ჰქონოდა ექსკლუზიური უფლება, საქართველოში მოდის საერთაშორისო კვირეული ჩაეტარებინა, რასაც, ცხადია, დააფინანსებდნენ კიწმარიშვილისგან დატერორებული ბიზნესმენები**

◀ მანამდე, რაც ჩადე, იმას იღებ. **ეროსი კიწმარიშვილი დეველოპერულ კომპანია „იბერიასთან“ ერთად აპირებდა ამ პროექტის ხორცშესხმას.**

**კიწმარიშვილის მორიგი სამიზნე ლატარიის ბიზნესი იყო. ის ითხოვდა ექსკლუზიურ უფლებას, სრულ მონოპოლიას ლატარიის ბიზნესში, ანუ ითხოვდა იმავეს, რასაც ამჟამად „საქართველოს ლატარიის კომპანია“ ფლობს და რომელსაც დავით კეზერაშვილი აკონტროლებს. „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ უკან ფორმალურად ჩინელი ბიზნესმენები დგანან, ეროსის კომპანიის უკან კი ფრანგული ბიზნესი და ფული იქნებოდა.**

სამშენებლო (და არა მარტო) ინტერესები კიწმარიშვილს ბათუმშიც ჰქონდა. ეროსი სააკაშვილს სთხოვდა, მისთვის მიეყიდათ (ცხადია, სიმბოლურ ფასად) ბათუმში, ე. წ. ბერეგის გადაღმა მდებარე „დომბიტას“ შენობა. ეს შენობა ამორტიზირებული და აუქციონისთვის ისედაც გამზადებული იყო. ეროსი მის დანგრევასა და მრავალსართულიანი კორპუსის აშენებას აპირებდა. ამჟამად ეს შენობა დანგრეულია, ის ლევან ვარშალომიძის ფავორიტ ბიზნესმენს, თენგიზ ბაკურიძეს აჩუქეს. ბაკურიძემ შენობა დაანგრია და, კიწმარიშვილისა არ იყოს, მრავალსართულიანი კორპუსის მშენებლობას მალე დაასრულებს.

**ბათუმის ბულვარში კიწმარიშვილს რამდენიმე ადგილას ბარების გახსნა სურდა. ლაპარაკია 10 ბარზე, რომლებიც ერთ ბრენდად იქნებოდა გაერთიანებული. ანალოგიური ბარების გახსნას ეროსი ქალაქში სხვადასხვა ადგილას აპირებდა. შემდგომში თბილისშიც უნდა გაეხსნა რამდენიმე ბარი.** ცხადია, ბათუმსა (ბულვარს გარდა) და თბილისში ბარების გასახსნელად ეროსი ან უძრავ ფართებს ითხოვდა სააკაშვილისგან სიმბოლურ ფასად, ან — მიწის ნაკვეთებს, ანალოგიური პირობებით. მოკლედ, კიწმარიშვილს ბარების ქსელის გახსნა ჰქონდა ჩაფიქრებული. სააკაშვილისთვის ისიც უთქვამს, ეს ბარები თანამედროვე ტექნოლოგიით, მინის სტრუქტურისგან იქნება აშენებული და ზღვისპირა ქალაქს და მის სანაპიროს მიესადაგებაო. მიშას უხუმრია — ვანო მერაბიშვილი აშენებს შუშის შენობებს, დიდი გამოცდილება აქვს და იქნებ ვანოსთან კონსულტაცია გაგევლო, როცა მაგ საქმეს დაიწყებო.

**ეროსი კიწმარიშვილმა კარგად იცის, დიდი და სწრაფი ფული სად იშოვება. მას ნავთობპროდუქტების ბიზნესშიც ჰქონდა თათის ჩაყოფის სურვილი. სააკაშვილისადმი დაწერილ „ბიზნესარზაში“ გარკვევით წერია, რომ კიწმარიშვილი, არც მეტი, არც ნაკლები, ამერიკულ კომპანია „გალფით“ აპირებდა ქართულ ბაზარზე შემოსვლას.** თუ სააკაშვილი კიწმარიშვილის მოთხოვნას გაითვალისწინებდა, ცხადია, ერთი ან რამდენიმე კომპანია უნდა შეევიწროებინა ან, საერთოდ, ბაზრიდან გაეგდო. რეალურად ასეც მოხდა — „გალფი“ მართლა შემოვიდა ქართულ ბაზარზე, „სენტა“ და „მაგნატი“ შეიწირა, ოღონდ კიწმარიშვილი აქ აღარაფერ შუაშია — „გალფის“ უკან დათო კეზერაშვილი მოიაზრება.

**ეროსი კიწმარიშვილი სილიკონის ბიზნესში ცხვირის ჩაყოფასა და პარლამენტარ მერაბ სამადაშვილთან დაჯახებასაც აპირებდა. ამ საქმის მოგვარებასაც ამერიკელ პარტნიორებთან ერთად აპირებდა.** მიშას თურმე ეუბნებოდა, ოღონდ ზესტაფონის „ფეროს“ ნარჩენებთან მიმიშვი და ისეთ კომპანიას შემოვიყვან, რომლის დამზადებული სილიკონისგანაც პამელა ანდერსონმა ძუძუები გაიზარდაო. **იცის ეროსიმ მიშას სუსტი წერტილები, თურმე პამელას ძუძუების ხსენებაზე პრეზიდენტობის კანდიდატმა პირი გააწკლაპუნა და ეროსის უთხრა — ჩაწერე, ეგეც ჩაწერე, ოღონდ პრეზიდენტი გავხდე და „ფეროს“ ნარჩენებს კი არა, „ფეროსაც“ გაჩუქებო.**

„აჯა მიშასადამი“ ერთ ასეთ თხოვნასაც შეიცავს: **ეროსი კიწმარიშვილს უნდა შემოეყვანა ერთ-ერთი, ასევე ამერიკული კომპანია სოციოლოგიური და სხვა სახის კვლევებისა და ყველა სახის კვლევას, რაც სახელმწიფოს დასჭირდებოდა საარჩევნო პერიოდში თუ სხვა დროს, ეს კომპანია ჩაატარებდა.** კიწმარიშვილს სააკაშვილისთვის არ დაუმალავს, რომ იმ ყველა უცხოური კომპანიის უკან, რომლის შემოყვანასაც აპირებდა საქართველოში, თავად იდგა. **ეს კომპანიები იქნებოდა შირმა, ეროსი მათი სახელის გამოყენების ნებართვისთვის გადაუხდიდა, სახრავი კი თავად დარჩებოდა** (გამონაკლისი ლატარიის კომპანია იყო, აქ ამერიკელები რეალურად მიიღებდნენ მონაწილეობას ბიზნესში).

**კიწმარიშვილის ბიზნესინტერესებში, აგრეთვე, შედიოდა ბავშვთა კვების პროდუქტების იმპორტი, ბათუმში იახტკლუბის გახსნა, ოღონდ ეროსი ნამდვილი იახტების გაქირავებას აპირებდა და არა — კატერებისას.** ამ პროექტის ხორცშესხმას კიწმარიშვილი თურქეთის კურორტ ქემელის იახტ-კლუბთან ერთად აპირებდა. **კიწმარიშვილს სურდა, თავისი წილი ჰქონოდა სიგარეტის ბიზნესშიც.** სააკაშვილს მან განუმარტა, რომ ამ საქმეს „ფილიპ-მორისის“ დისტრიბუტორ კომპანიასთან ერთად გააკეთებდა.

**ეროსი, ასევე, ჟართის ბიზნესშიც აპირებდა ჩართვას.** მოკლედ, მადა მაქვსო, ეროსი კიწმარივილმა უნდა თქვას.

მაგრამ კიწმარიშვილმა ბოლოს დიდი ვერაფერი მიიღო. სააკაშვილმა საპრეზიდენტო არჩევნებში გამოიყენა ეროსი და უკვე მეორედ, ნახმარი ერთჯერადი ხელთათმანივით მოისროლა, თუმცა ეროსი მრავალჯერადი გამოყენებისაა. პირველად ხომ ის „ვარდების რევოლუციის“ მერე მოისროლეს, რაზეც ზემოთ უკვე მოგახსენეთ. 2008 წელს უკვე მეორედ გადააგდეს პოლიტიკურ სანაგვეზე „ნაციონალებმა“. **სააკაშვილმა ეროსი დააჯერა — რუსეთში წადი ელჩად, იქნებ ცოტა დაალაგო ეს არეული ურთიერთობა რუსეთთან და, რასაც დაგპირდი, ყველაფერს შეგისრულებ — მალე გამოგიწვევ რუსეთიდან, ეკონომიკის მინისტრადაც დაგნიშნავ და, რაც მაგ ქაღალდზე ჩამომიწიკწიკე, ყველაფერს შეგისრულებო. მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა — მალე, 2008 წელს აგვისტოს ომი დაიწყო, ეროსი უმუშევარი დარჩა და, ეკონომიკის მინისტრობა კი არა, ხეირიანი თანამდებობაც კი არ აღირსეს.**

თუმცა ეროსიმ ომის დაწყებამდეც იცოდა, გადაგდებული რომ იყო — 2008 წლის თებერვალში; სააკაშვილმა ჯერ ია კიწმარიშვილის პროექტი დაბლოკა საქართველოში მოდის საერთაშორისო კვირეულის ჩატარების შესახებ, რომელიც კულტურის სამინისტროსა და პრეზიდენტის ფონდს უნდა დაეფინანსებინა ქართველ ბიზნესმენებთან ერთად; ორ კვირაში თავად ია კიწმარიშვილი დაბლოკა კულტურის სამინისტროს ღონისძიებათა დეპარტამენტის პოსტზე — კულტურის ახლადდანიშნულმა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ კაბინეტში არ შეუშვა. მალევე კიწმარიშვილმა რუსეთში შეიტყო, რომ მის პროექტს, ლატარიების გათამაშების ერთ ხელში მოქცევის შესახებ, თავდაცვის მინისტრი კეზერაშვილი უკვე ახორციელებდა. კეზერაშვილმა ეს საქმე ომის შემდეგ, თავდაცვის მინისტრის პოსტიდან გადადგომის მერე, დაასრულა.

მოკლედ, ეროსი კიწმარიშვილი პირში ჩალაგამოვლებული დატოვა მიშამ. სანაცვლოდ, მიშამ დაიტოვა ეროსის ხელით დაწერილი ის მოთხოვნები, რომლებზეც ზემოთ მოგახსენეთ. სავარაუდოდ, „ნაციონალები“ მალე აუფრიალებენ ამ ფურცლებს კიწმარიშვილს — მის მორიგ პოლიტიკურ გააქტიურებას ელიან და ამ კომპრომატით კიწმარიშვილის საბოლოოდ დასამარებას აპირებენ, ცხადია, — პოლიტიკურად.

**ლევან ჯავახიშვილი**





**P.S. 2008 წლის აგვისტოს ომის დასრულების შემდეგ, პაატა დავითაიას ხელმძღვანელობით, ამ ომის გამომწვევი მიზეზებისა და გარემოებების შემსწავლელი საპარლამენტო კომისია შეიქმნა. გეხსომებათ, რუსეთში ნაელჩარი ეროსი კიწმარიშვილი პირველი იყო, რომელმაც განაცხადა კომისიის სხდომაზე, — პირველად ქართველებმა ისროლეს ცხინვალის მიმართულებით, ომი ქართულმა მხარემ დაიწყოო. გივი თარგამაძემ პასუხად ეროსის კალამი ესროლა და ჩვეულ ტონში მიაძახა: „შე ნაძირალა!“.**

**ეროსი კიწმარიშვილს ისე შესტკივა გული საქართველოზე, როგორც მე — ბურკინა-ფასოს მომავალზე, ეროსის მაშინ ისე ადარდებდა ქართულ-რუსული ომის წამომწყების თუ პირველად გამსროლელის გარკვევა, როგორც მე მაღელვებს ახლა მუამარ კადაფისა და მისი ოჯახის ბედი. უბრალოდ, ეროსიმ იმ სხდომაზე, უკვე გადაგდებულმა ნახმარი ჩვარივით, შურისძიება გადაწყვიტა და სწორედ ამ ფრაზით — „ომი ქართულმა მხარემ დაიწყოო“ — იძია მიშაზე შური.**

**მიშას, რასაც ეროსის დაჰპირდა, იმის ნაწილი მაინც რომ შეესრულებინა (ომის დაწყებამდე რასაც მოასწრებდა), მაშინ რუსეთს ეროსიზე დიდი მაწყევარი არ ეყოლებოდა, ისევე, როგორც სააკაშვილსა და მის ხელისუფლებას — მასზე უკეთესი დამცველი. რაც შეეხება გივი თარგამაძის გაცხარებას, თარგამაძეს სხვა „ნაციონალებზე“ მაგარი ნერვები აქვს, თუნდაც, პეტრე ცისკარიშვილზე, რომელიც იმ დროს იმ დარბაზში იჯდა და ასე არ გაცხარებულა. საქმე ისაა, რომ იმგვარი შავბნელი საქმეების მოგვარებას, ეროსი რომ ითხოვდა, მიშა ძირითადად გივი თარგამაძეს ავალებს — ბიზნესის შევიწროება, ბიზნესმენების დატერორება მისი ლამის ოფიციალური საქმიანობაა. ამიტომაც ეროსის მოთხოვნები მიშამ თარგამაძეს გააცნო** (ამ ამბის დეტალები და „ეროსის ნუსხა“ ვანო მერაბიშვილს, კახა ლომაიასა და გიგა ბოკერიასაც ნანახი აქვთ). **ჰოდა, სწორედ ამიტომ იყო, თარგამაძემ კალამი რომ ესროლა და სულ ნაძირალა და გარეწარი უძახა ეროსის. იცოდა გივიმ, რეალურად რაშიც იყო საქმე.**

აი, ასეთი დახლი დაუდგა პოლიტიკურ დახლიდარს — ეროსი კიწმარიშვილს.

## მურმან მალაზონია:
# ანქვაბი ყოველმხრივ ცდილობს, ვითარება მოაწესრიგოს



**გალის რაიონში, არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები ვრცელდება. ზუგდიდის ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, აფხაზეთში ალექსანდრე ანქვაბის გაპრეზიდენტების შემდეგ ვითარება არა თუ გაუმჯობესდა, არამედ გაუარესდა კიდეც. ამბობენ, ანქვაბმა ამომრჩევლების იმედი ვერ გაამართლა და დანაპირები არ შეასრულაო. ამ ინფორმაციას არ ეთანხმებიან ზუგდიდში განთავსებული დევნილები, რომელთაც ხშირად უხდებათ მიმოსვლა გალსა და ზუგდიდს შორის.**

აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნები 16 აგვისტოს ჩატარდა. როგორც აღნიშნავენ, ეს იყო დემოკრატიული არჩევნები და ღირსეულად გაიმარჯვა ალექსანდრე ანქვაბმა. აფხაზეთის მოსახლეობამ ხმა მისცა წესრიგს და კრიმინალთა პარპაშის აღკვეთას. 26 სექტემბერს შედგა ანქვაბის ინაუგურაცია. ასე რომ, ის, 1 თვეც არ არის, რაც ოფიციალურად აფხაზეთის პრეზიდენტია და როგორც დევნილები, გალში მცხოვრებნი, აცხადებდნენ, უკვე დაატყო მტკიცე ხელი.

ზუგდიდიდან გალის მიმართულებით და პირიქით ყოველდღიურად 15-მდე ავტობუსი და მიკროავტობუსი მოძრაობს.

ზუგდიდში განთავსებული „აფხაზეტრანსის“ უფროსის მოადგილის — მურმან მალაზონიას განმარტებით, ანქვაბის გაპრეზიდენტების შემდეგ ვითარება სასიკეთოდ შეიცვალა. **„ანქვაბი ყოველმხრივ ცდილობს, ვითარება მოაწესრიგოს. ადრე გალსა და ზუგდიდს შორის მოძრავ ტრანსპორტს უმიზეზოდ აკავებდნენ, ამჟამად კი ვითარება შეცვლილია. იყო შემთხვევა, როცა ავტობუსი დააკავეს, მაგრამ, ვითარების გარკვევის შემდეგ, მძღოლი დაჯარიმების გარეშე მალევე გაუშვეს. ასე რომ, მგზავრობა უფრო უსაფრთხო გახდა, ამიტომაც იმატა მგზავრთა ნაკადმაც. გათვალისწინებულია, ენგურზე, ცენტრალური ხიდის გარდა, ოფიცილურად გაიხსნას ორი გადასასვლელი: ერთი ზუგდიდისა და გალის რაიონების დაბალი ზონის სოფლებს შორის, მეორე კი წალენჯიხის რაიონისა და გალის რაიონის მაღალი ზონის სოფლებს შორის. მძღოლებს აღარ მოუწევთ პარტიზანული მეთოდებით გადაადგილება,“** — აღნიშნა მურმან მალაზონიამ.

**როგორც ამბობენ, ალექსანდრე ანქვაბი საპასპორტო პროცესის მოწესრიგებასაც აპირებს. აფხაზურ პასპორტს, რომლის საშუალებითაც გადაადგილდებიან დევნილები, აფხაზეთში მცხოვრები ქართველები თვეობით და წლობით ელოდებიან, დიდი რიგების გამო. ალექსანდრე ანქვაბი ჰპირდება მოსახლეობას, რომ ყოველგვარი პრობლემის გარეშე ისინი მიიღებენ პასპორტებს.**

ასე რომ, გაუგებარია, რატომ ამახინჯებენ ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებები აფხაზეთში არსებულ ვითარებას. ვინაა დაინტერესებული ასეთი ცრუ ინფორმაციების გავრცელებით?

**ლადო ქირია,**
ზუგდიდი

**ალექსანდრე ანქვაბი ჰპირდება მოსახლეობას, რომ ყოველგვარი პრობლემის გარეშე ისინი მიიღებენ პასპორტებს**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„თუ ივანიშვილი სწორ ნაბიჯებს გადადგამს, მას იმხელა მხარდაჭერა ექნება საზოგადოების მხრიდან, რომ ხელისუფლება, უბრალოდ, ვერ გაბედავს, ის მეთოდები გამოიყენოს, რომელთაც აქამდე სხვა ოპოზიციონერების წინააღმდეგ მიმართავდა.**

*გიორგი უძილაური:*

# თუ ივანიშვილი ხალხს ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდებს...

**ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის ქართულ პოლიტიკაში გამოჩენამ უკვე დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. პოლიტიკოსები, ჟურნალისტები, რიგითი მოქალაქეები დღეს მხოლოდ მასზე საუბრობენ... ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილ საზოგადოების ნაწილში კი ხელისუფლების შეცვლისა და უკეთესი მომავლის იმედი გაჩნდა. ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ საკუთარ მოსაზრებებს ჟურნალისტი გიორგი უძილაური უზიარებს.**





**— ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს თუ გავითვალისწინებთ, რამდენად შეძლებს ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი ნიჰილისტურად განწყობილი ქართული საზოგადოების საკუთარ სიმართლეში დარწმუნებას და პოლიტიკაში წარმატების მიღწევას?**

— მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ბიძინა ივანიშვილს, მისი ბიზნესში მოღვაწეობიდან გამომდინარე, უკვე აქვს გარკვეული ისტორია, რომელიც მას ძირითადად დადებითად ახასიათებს. ეს ადამიანი იყო ქველმოქმედი, მაგრამ მაქსიმალურად ცდილობდა, ეს არ გამჟღავნებულიყო, თუმცა მისი გაკეთებული საქმეები დღეს ყველასთვის ცნობილია. **ნიჰილისტურად განწყობილ საზოგადოებაში ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური განცხადება მეხის გავარდნას ჰგავდა, ვინაიდან ყველა ფიქრობდა, რომ ის პოლიტიკაში არასდროს ჩაერეოდა. ახლა კი, პოლიტიკური პარტიების მიმართ არსებული იმედგაცრუების ფონზე, საზოგადოების დიდ ნაწილს ცვლილებებისა და უკეთესი მომავლის იმედი გაუჩნდა.**

შეიძლება ითქვას, რომ ბიძინა ივანიშვილმა სულ რაღაც ორი წერილით ქართული პოლიტიკა შეცვალა. ისეთი ინტერესი გააჩინა, რომ, ფაქტობრივად, ქართული პოლიტიკა მხოლოდ მის გარშემო ტრიალებს. თუ შემდგომი ნაბიჯებიც ასეთივე იქნება, ვფიქრობ, პოლიტიკაში სერიოზული პერსპექტივა გააჩნია.

**— მაგრამ, თუ NDI-ის მიერ ახლახან გავრცელებულ კვლევებს დავუჯერებთ, მიხეილ სააკაშვილს კვლავ მოსახლეობის 64%, ხოლო „ნაციონალურ მოძრაობას“ 52% უჭერს მხარს. შეძლებს ბიძინა ივანიშვილი კონკურენცია გაუწიოს სააკაშვილს?**

— ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ საზოგადოებაში აქამდე არსებული ის ნიჰილზმი, რაც თქვენც ახსენეთ. გასათვალისწინებელია შიშის ფაქტორიც. აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყანაში, სადაც პოლიტიკური კულტურა ჩამოყალიბებული არ არის, ასეთი კვლევები არაფერს ნიშნავს, რადგან, თუ ათი დღის წინ სხვა სიტუაცია იყო, ახლა აბსოლუტურად სხვა ვითარებაა და ვფიქრობ, სააკაშვილის ერთადერთი რეალური კონკურენტი ივანიშვილი იქნება.

**— რას ფიქრობთ ბიძინა ივანიშვილის საკმაოდ თამამ განცხადებაზე მედიასთან დაკავშირებით, რომელმაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია? რამდენად სწორი სვლა იყო მედიის კრიტიკით პოლიტიკური კარიერის დაწყება?**

— როდესაც ივანიშვილი საკუთარ წერილებში მედიაზე საუბრობს, თავისუფალ ტელეარხებს იმის გამო აკრიტიკებს, რომ ისინი არ არის საკმარისად ობიქტური და პრინციპული, რაც არ ნიშნავს მათი, როგორც ცუდი არხების კრიტიკას. ტელეკომპანიების: „მაესტროსა“ და „კავკასიის“ მისამართით, მართალია, პირველ განცხადებაში იყო რადიკალური გამონათქვამები, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ამას მედიის მხრიდან უკმაყოფილება მოჰყვა, მან მეორე განცხადებაში უკვე დააკონკრეტა და, შეიძლება ითქვას, შეარბილა ტონი და მიანიშნა, რომ ის მომხრეა თავისუფალი, დამოუკიდებელი მედიის, და წინააღმდეგია, როცა მედია გარკვეულ თამაშს თამაშობს.

## «პოლიტიკური პარტიების მიმართ არსებული იმედგაცრუების ფონზე, საზოგადოების დიდ ნაწილს ცვლილებებისა და უკეთესი მომავლის იმედი გაუჩნდა»

თუმცა ახლა ჩვენ შეიძლება ამას ვუყურებთ როგორც შეცდომას, მაგრამ ადამიანი, რომელსაც საკმაო ჭკუა აქვს, გააანალიზოს, რა დაწერა, არ გამოეპარებოდა, რომ მედიის ამგვარი კრიტიკა მწვავედ და მტკივნეულად აღიქმებოდა. აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, მისი მხრიდან ეს იყო ტაქტიკური ნაბიჯი, გარკვეული პროვოკაცია და არა დარტყმა მედიაზე. ჯერჯერობით რთულია იმის თქმა, რა აქვს მას გათვლილი ამა თუ იმ განცხადებაში, მაგრამ არა მგონია, ივანიშვილი პოლიტიკაში იმდენად უვიცი იყოს, ვერ ხვდებოდეს, მის ამა თუ იმ ფრაზას რა რეაქცია შეიძლება მოჰყვეს.

**— მოგეხსენებათ, ბიძინა ივანიშვილმა თანამშრომლობა შესთავაზა ჟურნალისტებს, რაც ზოგიერთმა, ბიზნესმენის მხრიდან მედიის მოსყიდვის მცდელობად აღიქვა.**

— ეს ჟურნალისტის გადასაწყვეტია — ვისთან ითანამშრომლებს. ასე თუ ვიმსჯელებთ, ნებისმიერ კერძო, თავისუფალ მედიასაშუალებას ჰყავს მფლობელი და დამფუძნელი, გარდა იმ მედიასაშუალებებისა, რომლებიც ამა თუ იმ ფონდის პროექტის ფარგლებში იღებს დაფინანსებას. ასე რომ, მას უფლება აქვს, შესთავაზოს ჟურნალისტებს, დაიწყონ მის ამა თუ იმ სტრუქტურაში მუშაობა.

**— როგორ ფიქრობთ, რამდენად გამართლებულია, საზოგადოებრივი მაუწყებლის მხრიდან ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციის პირდაპირ ეთერში გაშუქებაზე უარის თქმა, როცა საზოგადოებაში ამხელა ინტერესი არსებობს ამ პიროვნების მიმართ?**

— საზოგადოებრივმა მაუწყებელმა განაცხადა, რომ პირდაპირ ეთერს დაუთმობდნენ, მაგრამ არ გააშუქებდნენ პრესკონფერენციას. ვფიქრობ, გამომდინარე იქიდან, რომ ეს არის საზოგადოებრივი მაუწყებელი და საზოგადოებას, ხალხს ეკუთვნის, ის ვალდებულია, ხალხის ინტერესები გაითვალისწინოს. აქედან გამომდინარე, ის უნდა დათანხმებოდა ივანიშვილის თხოვნას, რადგან ხალხს აინტერესებს, მიიღოს მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაცია ადამიანზე, რომელიც ამხელა პრეტენზიებით მოდის პოლიტიკაში. შესაბამისად, მარტო გია ჭანტურიასა და ტელევიზიის რომელიმე ხელმძღვანელის სურვილით არ უნდა წყდებოდეს ასეთი საკითხები და ისინი საზოგადოების განწყობას უნდა ითვალისწინებდნენ.

**— უკვე ხშირად ავლებენ პარალელს ბადრი პატარკაციშვილთან. რა საერთო აქვთ ამ ორ ადამიანს და რა შეცდომები აღარ უნდა გაიმეოროს ივანიშვილმა?**

— მიმაჩნია, რომ ბადრი პატარკაციშვილის მთავარი შეცდომები იყო ემოციურობა, აფექტურობა, გარკვეულ მომენტებში ამბიციურობაც და იმის გაუთვალისწინებლობა, თუ რისი გაკეთება შეეძლოთ ხელისუფლების წარმომადგენლებს, მის ძველ მოკავშირეებს. ასევე შეცდომა იყო, ძალიან დიდი აქცენტის გაკეთება მის ფინანსებზე. ვფიქრობ, ივანიშვილი არ დაუშვებს ამ შეცდომას და არ დაიწყებს საკუთარი ქონებით სპეკულირებას.

ჩემი პოზიტიური განწყობა ბიძინა ივანიშვილის მიმართ გასაგებია, რამდენადაც მე არ ვმალავ არსებული რეჟიმის მიმართ ჩემს დამოკიდებულებას და ნებისმიერი შესაძლებლობა, რომელსაც შეუძლია ეს დიქტატორული რეჟიმი დაასუსტოს, ჩემთვის მისაღებია და ვგულშემატკივრობ. **ის ქაოსი, რომელიც ქართულ პოლიტიკაში არსებობდა, დღეს აღარ არსებობს. ოპოზიცია, ფაქტობრივად, პარალიზებული იყო, ხელისუფლება კი იმ არჩევნებს ელოდებოდა, რომელთა შედეგები უკვე ზაფხულშივე გადაწყვეტილი ჰქონდა. ოპოზიციას, ხალხი აღარ ენდობა და მის მოწოდებაზე საპროტესტო აქციებზე არ მიდის, რაც კარგად გამოჩნდა რამდენიმეჯერ. მაგრამ თუ ივანიშვილი მოუწოდებს ხალხს ქუჩაში გამოსვლისკენ, ბევრი ადამიანი გამოვა.**

**— ამბობთ, რომ ივანიშვილის მიმართ სიმპათიით ხართ განწყობილი. თავად თუ ითანამშრომლებთ მასთან?**

— ჩემთვის ეს არ არის ადვილად გადასაწყვეტი საკითხი. მე ჩემი იდეები გამაჩნია, რაც ძალიან განსხვავდება კაპიტალისტებისა და ოლიგარქების ინტერესებისგან და ის უფრო სოციალური სამართლიანობისა და ადამიანებს შორის სოლიდარობისკენაა მიმართული.

ეს შეიძლება არ ეხება პატარკაციშვილს და ივანიშვილს, რომლებსაც საქართველოში არ დაუგროვებიათ ფული, მაგრამ იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც „ვარდების რევოლუციიდან“ დღემდე მილიარდერებად და მილიონერებად იქცნენ, ჩემი განწყობა ერთმნიშვნელოვანია და, როდესაც მომავალში ნორმალური ხელისუფლება გვეყოლება, მათი მოღვაწეობა შესწავლილი უნდა იქნას და მათი პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს, რადგან, რაც უფრო მდიდარია და მეტი შემოსავალი აქვს ადამიანს, მით უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება საზოგადოების წინაშე.

**— რა მეთოდები შეიძლება გამოიყენოს ხელისუფლებამ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ? უკვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ხელისუფლებამ მას მოქალაქეობა წაართვა...**

— გამომდინარე იქიდან, თუ რა დიდია საზოგადოების ინტერესი ამ პიროვნების მიმართ, არ ვფიქრობ, რომ დღეს ეს არის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი, რას ამბობს ხელისუფლება ივანიშვილის მოქალაქეობაზე. თუ საქართველოში დაიწყო მოქალაქეების აქტიური, მასობრივი მოძრაობა, ეს საკითხიც ადვილად გადაწყდება. **თუ ივანიშვილი სწორ ნაბიჯებს გადადგამს, მას იმხელა მხარდაჭერა ექნება საზოგადოების მხრიდან, რომ ხელისუფლება, უბრალოდ, ვერ გაბედავს, ის მეთოდები გამოიყენოს, რომელთაც აქამდე სხვა ოპოზიციონერების წინააღმდეგ მიმართავდა.**

ესაუბრა
**შორენა ციქარაშვილი**

მოკლედ

### ტიმოშენკო განაჩენს სტრასბურგში გაასაჩივრებს



**უკრაინის ექს-პრემიერმა იულია ტიმოშენკომ საკუთარი განაჩენის მოსმენის შემდეგ განაცხადა, რომ უკრაინული მართლმსაჯულების იმედი არ აქვს, პეჩორის სასამართლოს გადაწყვეტილებას ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაასაჩივრებს.**

„ჩემთვის ამგვარი განაჩენის გამოტანით უკრაინა 37-იან წლებში დაბრუნდა“, — განაცხადა ტიმოშენკომ. განაჩენით ევროკომისიაც იმედგაცრუებული დარჩა. ევროპელი დიპლომატების განცხადებით, ამ განაჩენს ევროკავშირისა და უკრაინის ურთიერთობაში უარყოფითი შედეგები მოჰყვება.

### სირიას «არაბთა ლიგიდან» რიცხავენ

**სირიის არაბთა ლიგიდან გარიცხვის საკითხი დღის წესრიგში სირიის ხელისუფლების მიერ საკუთარი მოქალაქეების მიმართ ძალის გამოყენების გამო დადგა.**

შეგახსენებთ, რომ სირიაში არეულობები მარტში დაიწყო.

ოპოზიციურად განწყობილი მოსახლეობა პრეზიდენტ ბაშარ ასადის გადაყენებას მოითხოვს.

გაეროს ინფორმაციით, არეულობებს 3000-ზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა.



„მასობრივად დაიწყო იმ ოფიცრების დათხოვნა, ვინც მიიღო განათლება ამერიკისა და ევროპის წამყვან აკადემიებში... ასევე დაიწყო ისტერიული დათხოვნა რუსეთში განათლებამიღებული ოფიცრებისა. ნუ დაგვავიწყდება, რომ მაზნიაშვილისა და კვენეტაძის მამულიშვილობას ვერაფერი დააკლო რუსეთში მიღებულმა განათლებამ.“

ინტერვიუ

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კობა კობალაძე:**

# წინასწარ უნდა გვცოდნოდა, რომ არასწორი ნაბიჯები დაკარგულ ტერიტორიებად დაგვიჯდებოდა

## «ისე არ გამოგვივიდეს, რომ მურია წააქეზეს და მგელს (ამ შემთხვევაში დათვს) შეაჭამესო»



**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება გენერალი კობა კობალაძე.**

**— თქვენ ბევრი რამ იცით ბოლო ათწლეულების ისტორიისა, მაგრამ ასე მდუმარედ და უმოქმედოდ ყოფნა... დღევანდელი გადასახედიდან რას გვეტყვის გენერალი კობა კობალაძე: დიდი მსხვერპლია გაღებული... შეიძლებოდა ამ ომის თავიდან აცილება?**

— დავიწყოთ იქიდან, ვდუმვარ თუ არა... პირიქით, მსაყვედურობენ, რომ საკმაოდ ბევრს ვსაუბრობ, მაგრამ, ეტყობა, — უმისამართოდ და ჩემი საუბარი საზოგადოებამდე ვერ აღწევს.

რაც შეეხება საქართველოს დაკარგულ ნაწილს, თუ ისტორიას თვალს გადავავლებთ, გაცილებით უფრო პატარაც ყოფილა ჩვენი სამშობლო, ვიდრე დღესაა, გაცილებით უფრო მეტი განსაცდელი ჰქონია... ჩვენს უმთავრეს პრობლემას სხვა რამეში ვხედავ — დაკარგული ტერიტორიები კი არ არის საგანგაშო, არამედ ის, რომ ჩვენ ვერ აღვიქვამთ ამ ქვეყნის ვერც ერთ ნაწილს ჩვენს საკუთრებად, ჩვენს ნაწილად და საკუთარ სამშობლოში მასპინძლის როლს ვკარგავთ.

ომში მსხვერპლი გარდაუვალია! მაგრამ თითოეულ გაწირულ სიცოცხლეს უნდა ჰქონდეს თავისი კონკრეტული მიზანი და გამართლება. შეიძლება შეცდომა დაუშვა რაღაც ეტაპზე და ამ შეცდომამ ადამიანებისთვის ყველაზე უმთავრესი — სიცოცხლე შეიწიროს და ძალიან დიდი უზნეობაა, ახარისხებდე მათ ამა თუ იმ რეჟიმების მსახურებად.

**— რას გულისხმობთ რეჟიმის მსახურებად დახარისხებაში?**

— მართალია, ცხრა ძმა ხერხეულიძე, 300 არაგველი, ბასიანის, კრწანისის გმირები, სხვა წამებული და თავდადებული მამულიშვილები „ჩვენს წელთაღრიცხვამდე“, კერძოდ 2003 წლამდე დაიბადნენ, მაგრამ ისინი ხომ ისევე ჭეშმარიტი, ღირსეული წინაპრები და წინამორბედნი არიან 2008 წელს დაღუპული მეომრებისა? **ადამიანი, რომელიც უარს ამბობს ყველაფერზე და სიცოცხლეს სამშობლოსთვის წირავს, თავისი სიკვდილით ამარცხებს სიკვდილს; ამ ქვეყნის სიამტკბილობას ის არჩევს თავგანწირვას. შენ კი იჯექი და „ახარისხე“, თუ მეტი ზნეობა არ გაგაჩნია!**

ყველაზე ცუდი ისაა, რომ სწავლა გვიჭირს ან გვესირცხვილება. ჩვენ თუ მივყვებით ამ პროცესების განვითარების დინამიკას, მივხვდებით, რომ წლები მოგვემატა, გეოგრაფიული სივრცე დაგვიპატარავდა, მაგრამ ძველი შეცდომები არ გავითვალისწინეთ. რატომღაც, სულ თოვლის პაპას ველოდებით, სულ იმას გავიძახით, რომ ვართ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, მაგრამ ღვთისმშობლის წილხვედრი მიწა ჩვენ გავხდით წინაპრების შემართების, ბრძოლისუნარიანობისა და თავგანწირვის ფასად!..

**აფხაზეთის ომის თავიდან აცილება შესაძლებელიც იყო და აუცილებელიც! მაგრამ ჩვენთან ხომ, სამწუხაროდ, ასეთი მნიშვნელოვანი საკითხები „მე მინდას“ პრინციპით წყდება! არ არიან უცხონი ჩვენთვის არც აფხაზები და არც ოსები. ალბათ, მომავალში მაინც გავითვალისწინებთ მწარე გამოცდილებას, მაგრამ, რაც უფრო მეტ შეცდომას ვუშვებთ, მით უფრო მეტი გარჯა დაგვჭირდება მათ გამოსასწორებლად... XXI საუკუნეა და ჩვენც თავით უფრო მეტს უნდა ვფიქრობდეთ, ვიდრე კუნთებით.**

ჩვენს მოყვარესაც და მტერსაც აქვს შედარების უნარი და, როდესაც ხედავენ, რომ უუნარონი ვართ ჩვენი მიწისთვის ბრძოლაში, ეს სახელს და ღირსებას სულაც არ გვმატებს! რამდენიც უნდა ვილაპარაკოთ და გულში მჯიღი ვირტყათ, რეალობა ესაა. ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს — გასაგებია, თუ პარტნიორი ქვეყანაა, უნდა მიეხმარო ძალითაც, შესაძლებლობითაც, ხალხის რესურსითაც, მაგრამ რადგან პარტნიორია და ეხმარები, ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ შენი ინტერესები დაივიწყო, და მთლიანად პარტნიორზე იყო გადართული? ადამიანი დაგეხმარება მაშინ, როდესაც უნარიანი ხარ, მაგრამ, როდესაც შენ დახმარებას ითხოვ და თვითონ უუნარო ხარ, ის არც დაგეხმარება — ეს ფაქტია.

**— როგორც ვიცი, 2002 წელს თქვენ შეხვდით აფხაზ საველე მეთაურებს. რა შედეგი გამოიღო ამან?**

— გვქონდა სურვილი, რომ გაკეთებულიყო ერთობლივი დასახლებული პუნქტი, სადაც მათი და ჩვენი მხრიდან რამდენიმე ადამიანი, უშუალოდ კონფლიქტის მონაწილეები, თავისი ოჯახებით ჩასახლდებოდნენ ეგრეთ წოდებულ ბუფერულ ზონაში. გაიხსნებოდა სკოლა, დაიწყებოდა მშვიდობიანი თანაცხოვრება. ეს ყოველივე იქნებოდა გარანტია იმისა, რომ იარაღს აღარ ვესროდით ერთმანეთს...

**— რუსების გარეშე?**

— კი, რუსებიც გაწიეს გვერდზე. მერე ძალიან დიდი პრობლემა გაჩნდა მათთან და, რამდენადაც უნდა გაგიკვირდეთ, ჩვენთანაც — ხელისუფლებაში. ეს პირველი ეტაპი იყო. ამით დიდდებოდა სამშვიდობო ბუფერული ზონა, ანუ იქ, სადაც ერთობლივი სოფელი თუ დასახლებული პუნქტი იყო, აგრესიის შიში აღარაა. ძალაუნებურად ის კონტინგენტი, რომელიც შუაში დგას, ბუფერულ ზონას ქმნის და სამშვიდობო მისიას ასრულებს. სხვათა შორის, ჩვენც ვიყავით 2003 წელს სოხუმში. მათ შემოგვთავაზეს იქ ჩასვლა, ჩვენ უარი არ გვითქვამს.

**— აფხაზების განწყობა როგორი იყო?**

— სხვათა შორის, ჩვენგან განსხვავებით, აფხაზებს შესწევთ იმის უნარი, რომ ემოციები მოთოკონ. სტუმრად რომ ხარ ჩასული და პასუხისმგებლობას რომ იღებენ მასპინძლობაზე, არც ზედმეტს გამოგატანენ და არც არაფერს გაკადრებენ.

ახალდასახლების იდეა არა ევროკავშირს, არამედ უშუალოდ ჩვენ და აფხაზეთის მხარეს გვეკუთვნოდა, კერძოდ, სამხედროებს, მაგრამ, სამწუხაროდ, დიდი ენთუზიაზმით არ შეგვხვედრიან სახელისუფლო წრეებში. ჩვენ კი, როგორც ინიციატორებმა, სამწუხაროდ. სათანადო რესურსები ვერ მოვიძიეთ და ეს ყველაფერი დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა!“, მაგრამ მოდით, შევხედოთ, რა გვაქვს — ამდენი რამე გავიღეთ იმისთვის, რომ მიგვეღო არაფერი?

**— რატომ დავკარგეთ კოდორი? პირადად თქვენ 90-იან წლებში თვე-ნახევარი თითქმის შიშველი ხელებით იცავდით ხეობას...**

— უდიდესი პატივისცემა მინდა გამოვხატო იქაური გმირი მოსახლეობის მიმართ! და ქედს ვიხრი ამ ქვეყნის ღირსეული შვილის, დედის და დის, ქალბატონ ნორა კვიციანის წინაშე.

მე იქ მარტო თვე-ნახევარი კი არა, მთელი ერთი წელი ვიყავი. ეს მაშინ, როდესაც ვიყავი ეროვნული გვარდიის სარდალი. საერთაშორისო სამართლის ნორმებიდან გამომდინარე, ბუფერულ ზონაში არ უნდა იყოს შეიარაღებული ძალის ნაწილები, ეროვნულ გვარდიას კი პარალელურად ჰქონდა პოლიციური ფუნქციის შესრულების უფლებაც და იქ ამის სამართლებრივი ფონიც იყო; შესაბამისად, ჩვენი პირადი შემადგენლობა ასრულებდა ამოცანას, რომელიც რეალურად გამოიხატებოდა ადგილმდებარეობის დაცვასა და განვითარებაში. სხვათა შორის, არც თუ ურიგოდ სრულდებოდა ეს მისია.

**საერთოდ, კოდორის თემა საკმაოდ რთული თემაა. რატომ დავკარგეთ? თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენზე გაცილებით ძლიერი, მობილიზებული მოწინააღმდეგეა ჩვენს მეზობლად, ჩვენ კი უუნარონი ვართ დიდ მოწინააღმდეგესთან ფრონტალური ოპერაციების წარმოებაში. ამიტომ ჩვენ წინასწარ უნდა გვცოდნოდა, რომ არასწორი ნაბიჯები დაკარგულ ტერიტორიებად დაგვიჯდებოდა.** ჩვენ ერთი რამ უნდა დაგვენახებინა მთელი სამყაროსთვის და საერთაშორისო საზოგადოებრიობისთვის, რომ ვართ უნარიანები, არა მარტო ვტკეპნოთ ეს დალოცვილი მიწა და ვიაროთ მასზე გალიმებული სახეებით, არამედ ხანდახან შეგვწევს ძალა გაბრაზებისაც და ამ მიწის დაცვისაც! სამწუხაროდ, ჩვენ არა მარტო საერთაშორისო საზოგადოებრიობას ვერ დავანახეთ ეს, არამედ საკუთარ თავსაც და საერთაშორისო ასპარეზზე დავრჩით გაწვდილი ხელით. დღეს ასეა... ხვალ რა იქნება, ვნახოთ!

**— სამაჩაბლოზე რას იტყვით?**

— იქ პროცესები აქტიური განვითარების სტადიაშია, არაა შეჩერებული. შეიძლება მოხდეს ახალი ესკალაცია, ახალი სისხლისღვრა, ქვეყნისთვის დამანგრევლად განვითარდეს პროცესები! ასეთი გაუთვალისწინებელი პროცესები საქართველოზე გაცილებით დიდ სახელმწიფოებზეც კი მოქმედებს უარყოფითად... ამ ყველაფერზე ასე უცხოებივით ყურება არ გვეპატიება... ნებისმიერ შემთხვევაში ნებისმიერ საკითხზე სჯობს საუბარი და ურთიერთობა...

**— რა პერსპექტივა გვაქვს?**

— ნებისმიერი პერესპექტივა იბადება ქმედების პროცესში. მაშინ კითხვას იქით დაგისვამ — რას ვაკეთებთ და რა შეიძლება მოვიმოქმედოთ?

**— მიდის ჯარის გამალებული რეორგანიზაცია, აღჭურვა, ჯარისკაცებს ვაგზავნით ერაყსა და ავღანეთში გამოცდილების მისაღებად, გვყავს სტრატეგიული პარტნიორი — ამერიკის შეერთებული შტატები, მუშტებს ვუქნევთ რუსეთს და გულუბრყვილოდ გვჯერა, რომ ამერიკა აუცილებლად დაგვიბრუნებს სამაჩაბლოს და აფხაზეთს. აი, ეს „ნაბიჯები“ იდგმება...**

— საქმე ისაა, ჩვენ თუ ვართ ამერიკის პარტნიორი. ეს ერთი და მეორე — შენ ამერიკა გიწევს პარტნიორობას, მაგრამ ვერც მის და ვერც ევროპის ვერც ერთ გამონათქვამში ვერ დაინახავ მოთხოვნას, რომ ჩვენ მუშტები ვუქნიოთ რუსებს და აგრესიით ველაპარაკოთ. ისე არ მოგვივიდეს, რომ მურია წააქეზეს და მგელს (ამ შემთხვევაში დათვს) შეაჭამესო. რაც შეეხება ევროატლანტიკურ სივრცეში ჩვენს გაწევრიანებას, ეს, ჩემის აზრით, არ არის ცუდი სურვილი, თუმცა რამდენად პერსპექტიულია, დრო გვიჩვენებს. მაგრამ **იმის კივილით, რომ ოდესღაც რაღაცის წევრები გავხდებით, არ უნდა დავიკარგოთ დროსა და სივრცეში. თვითმიზნად არასოდეს უნდა დაისახო, რომ ვიღაცას დაეტაკები და თოფით საქმეს მოაგვარებ! რაც ძალითაა წართმეული, ნებით მძიმედ ბრუნდება, მაგრამ ამას ყველაფერს უნდა ეს ნება. მე არა ვარ მილიტარისტული მოწოდებების მომხრე, მაგრამ ის, რომ სამხედრო ძალით ვერ მოერევი და ვერ გააკვირვებ ვინმეს, სულაც არ ნიშნავს, ვინც ჩრდილად გვერდზე ჩაგიქროლებს, ყველას განაბული მიუწვე, მოდუნდე და სიამოვნება მიიღო.** სახელმწიფოს ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი არის მისი ჯარი, რაც უფრო აღჭურვილია და ბრძოლისუნარიანია, მით უკეთესია, რადგან „ის, ვინც არ ინახავს თავის ჯარს, ვალდებული იქნება, შეინახოს სხვისი ჯარი“.

როდესაც ჩვენ სამხედრო კამპანიაზე ვსაუბრობთ, ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ — კონკრეტული დაკვირვებებისა და საერთო სტატისტიკის შესწავლის საფუძველზე ცნობილია — როდესაც უცხო ქვეყნის ჯარი იკავებს ტერიტორიას, ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის 70% რჩება პასიურ პოზიციაში და მზადაა, პროტესტი არ გამოავლინოს, 10% აქტიურად თანამშრომლობს ოკუპანტთან, 20% არის ის ნაკადი, რომელშიც პროტესტის გრძნობა იჩენს თავს. მეორე მსოფლიო ომის დროს ევროპის ძალიან დიდი სახელმწიფოები კარგავდნენ თავიათ ტერიტორიებს 2-3-4-5 კვირის განმავლობაში, მაგრამ შიდა პოტენციალით აწარმოებდნენ ბრძოლებს 4-5 წლის განმავლობაში. ეს იმის მიმანიშნებელია, რომ განსაკუთრებულ პირობებში (სტატისტიკაა) წინააღმდეგობების მოძრაობები აფერხებენ მოწინააღმდეგის 30-40-ჯერ უფრო მეტ ძალას და არც ერთი აგრესორი არ განახორციელებს აგრესიას, თუ ეს კამპანია იქნება მისი სახელმწიფოსთვის, პოლიტიკისთვის და ეკონომიკისთვის წამგებიანი და უპერსპექტივოდ ხანგრძლივი.

**— თქვენ რუსეთში გაქვთ სამხედრო განათლება მიღებული, ასევე — ჩინეთში, ამერიკაში, გერმანიაში, იტალიაში...**

— ვისარგებლებ შემთხვევით და კიდევ ერთხელ ყველას დიდ მადლობას მოვახსენებ. თითოეულ ამ სახელმწიფოს უაღრესად ძლიერი ბაზა და მეთოდიკა აქვს. მთავარია, ვისწავლოთ ყოველივეს გამოყენება, მასობრივად დაიწყო იმ ოფიცრების დათხოვნა, ვინც მიიღო განათლება ამერიკისა და ევროპის წამყვან აკადემიებში. მრავალმა მათგანმა თავისი პოტენციალი უკვე (დაქირავებულებად) მიმართა კვლავ ამ ქვეყნების გასამხედროებულ სამსახურებში, ერაყსა და ავღანეთში. დაიწყო ისტერიული დათხოვნა რუსეთში განათლებამიღებული ოფიცრებისა. ნუ დაგვავიწყდება, რომ მაზნიაშვილისა და კვენეტაძის მამულიშვილობას ვერაფერი დააკლო რუსეთში მიღებულმა განათლებამ.

თუმცა რუსეთთან ურთიერთობის ორმაგ სტანდარტს ვხედავ — ერთის მხრივ, მუშტის ქნევის „აგრესიულ“ პოლიტიკას; მეორეს მხრივ, ფინანსურ ურთიერთობებში კეთილგანწყობას. ეს კი უკვე სხვა ანალიზის საფუძველს მაძლევს. აიღე, სტრატეგიული ობიექტები: ვის ხელშია დღეს? **ჩვენ ვუყურებთ ერთს, კულისებში კი ამ დროს შეიძლება სხვა რამ ხდებოდეს.**

**ურთიერთგამომრიცხავი თემები ისეთ კონტექსტშია დაყენებული, რომ ამერიკა, საერთო პოლიტიკიდან გამომდინარე, ვითომ მეგობარია და რუსეთი — მტერი. მე გეუბნები, რომ ასე ამას ვერ ვხედავ, იმიტომ, რომ რუსეთთან მეტი შეხების წერტილები იკვეთება, ვიდრე ამერიკის მიმართ.**

**— წელან ბრძანეთ, რომ ძალით წართმეული მშვიდობით ძნელად ბრუნდება. 2008 წელს ძალით ვეცადეთ და დამატებით ტერიტორიები დავკარგეთ. როგორია 2008 წლის ომის თქვენეული შეფასება, რა იყო ეს?**

— რა იყო? ეს იყო გადაბარება, ჩაბარება, მიბარება... მე ომზე ჩემი წარმოდგენა მაქვს. მე არ ვიცი, რომელ კაბინეტებში რა იგეგმება, მაგრამ 2008 წლის ომი უდიდესი ტრაგედია იყო ჩემი ქვეყნისთვის, რადგან ბევრი ღირსეული ადამიანი შეეწირა... მათ თავგანწირვის უდიდესი მაგალითები აჩვენეს. ქედს ვიხრი ამ ბიჭების ხსოვნის წინაშე!

ესაუბრა
**შორენა სიხარულიძე**

საქართველო და მსოფლიო
რა სიჩუმეა?!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ეს იყო ბატონ სააკაშვილის შურისძიება იმ ხალხზე, რომელიც მას არ თანაუგრძნობდა. ეს შურისძიება განხორციელდა რეფორმების სახით“.

# ცოცხალთა პანთეონი

## რა ხდება მეცნიერებათა აკადემიაში

„Когда в городе разрешали драматический кружок, или читальню, или чайную, то он покачивал головой и говорил тихо:
- Оно, конечно, так-то так, все это прекрасно, да как бы чего не вышло“.
А.П. Чехов „Человек в футляре“



**საქართველოს პოლიტიკურ კაბადონზე ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ მეეზოვის ქუჩის ცოცხის ერთი მოსმით საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემები მეორე პლანზე გადახვეტა.
ნაგვის გროვასავით კუთხეში მიყარა.
გაქექავ — მტრისას! ხელს არ ახლებ,
ავგიას თავლების ყროლს დაიკრავს.
ორივე შემთხვევაში გადაუჭრელი რჩება: რომელი პრობლემა გადაწყვეტილა მივიწყების გამო?!
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაზე, რომელმაც დაარსების 70-ე წელიწადი უკვე მიითვალა, ვისაუბრებთ დღეს. აკადემიაზე, რომელიც როგორც კანონშია ჩაწერილი, „არის უძველესი ქართული აკადემიების — გელათისა და იყალთოს აკადემიების მემკვიდრე, სახელმწიფოს მაღალი დონის ინტელექტუალური განვითარების ატრიბუტი, საქართველოს მთავრობის მეცნიერული მრჩეველი, საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო მიღწევებისა და მაღალი სამეცნიერო და სამოქალაქო ავტორიტეტის მქონე პირთა გაერთიანება“.
ასეა დაფიქსირებული შესაბამისი კანონის პრეამბულაში.
ასეა კი სინამდვილეში?
ამ შეკითხვით „საქართველო და მსოფლიომ“ პროფესორ ლევან ბერძენიშვილს მიმართა.**

### როცა გარედან მტერსაც არ უბრმავებს თვალს

**მტერი ანდაზის გავლენით მოხმობილი სიტყვაა: ბატონი ლევან ბერძენიშვილი, როგორც „კავკასიის“ ეთერში ერთ-ერთი მისი საუბრისას აშკარად გამოჩნდა, მოყვარის პოზიციიდან აფასებს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრობლემას, რაც (პრობლემა) ჩვენი ქვეყნის განათლებული საზოგადოების სერიოზული შეშფოთების საგანია.**

**კარგა ხანია უკვე.**

— სამწუხაროდ, საქართველოში მეცნიერება იმდენად მძიმე მდგომარეობაშია, ძნელია, დაიჯერო ამ დარგს ვინმე საერთოდ რომ ხელმძღვანელობს. ასეთია, მე მგონი, შთაბეჭდილება ყველასი, ვისაც კი საქართველოსა და მეცნიერებაზე რაიმე წარმოდგენა აქვს. ჩვენი მეცნიერება ამჟამად არ გრძნობს პატრონაჟს არც სახელმწიფოს მხრიდან, არც მეცნიერებათა აკადემიის მხრიდან, არც, მით უმეტეს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან.

ეს ვითარება დიამეტრულად განსხვავდება იმისგან, რაც იყო თუნდაც საბჭოთა დროში, როცა მეცნიერებათა აკადემია ავად თუ კარგად ხელმძღვანელობდა მეცნიერების განვითარებას ქვეყანაში, ჰქონდა სათანაო ფინანსები და შესაბამისი ბაზაც, რომელიც ამის საშუალებას იძლეოდა.

თქვენს მკითხველებს მოეხსენებათ, რომ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მეცნიერების გაქრობა საქართველოში, სულ უფრო მწირი დაფინანსების მიზეზით საბოლოოდ გაფორმდა 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, როცა მეცნიერებათა აკადემიამ დააპირა, წინააღმდეგობა გაეწია ახალი ხელისუფლებისთვის.

**ჩემი აზრით, ეს იყო ბატონ სააკაშვილის შურისძიება იმ ხალხზე, რომელიც მას არ თანაუგრძნობდა. ეს შურისძიება განხორციელდა რეფორმების სახით. ამ შემთხვევაში დაშვებული იქნა დანაშაული სახელმწიფოს მიერ და დანაშაულთან გაიგივებული შეცდომები და მცდარი წარმოდგენები თვით მეცნიერებათა აკადემიის მხრიდან.**

ამ პერიოდში, სრულიად შემთხვევით და ძალიან ცოტა ხნის განმავლობაში ვფლობდი სრულ ინფორმაციას, როგორც მეცნიერებათა აკადემიის, ისე მის მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის შესახებ, ვინაიდან საქართველოს პარლამენტში ვხელმძღვანელობდი განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტს. ის მცირე დრო, რომელიც ამ თანამდებობაზე დავყავი (ოთხი თვის შემდეგ გადავდექი და ჩვენი პარტია ოპოზიციაში წავიდა), სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმის გასაგებად, რომ მეცნიერებათა აკადემია არ ცდილობდა რეფორმირებას, არ ცდილობდა, გამოეყენებინა არსებული ვითარება, ფაქტობრივად, დაუპირისპირდა ხელისუფლებას. ხოლო ხელისუფლებამ, როცა დაინახა, რომ მეცნიერებათა აკადემია არ იქცევა ისე, როგორც მას წარმოედგინა, ანუ არ უცხადებდა მას სრულ მორჩილებას, განიზრახა მისი მთლიანად განადგურება.

ის, რაც ახლა არსებობს და მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ჰქვია, ეს არის მიხეილ სააკაშვილის ჩანაფიქრის გადარჩენილი ნაწილი.

**— მზაკვრულად ჩაფიქრებული?**

— დიახ. მას უნდოდა მეცნიერებათა აკადემიის სრული განადგურება, ამ სახელის საერთოდ მოსპობა და მეცნიერების მთლიანი გადატანა არასტრუქტურიზებულ ფორმებში. ეს განზრახვა ნაწილობრივ განხორციელდა იმ კანონით, რომლითაც მეცნიერებათა აკადემიას ჩამოერთვა კუთვნილი ინსტიტუტები, რომლებსაც მიენიჭა დამოუკიდებლობა, რაც, ფაქტობრივად, მათ დაღუპვას ნიშნავდა.

**— ასეც მოხდა.**

— ასეც უნდა მომხდარიყო: მათი დიდი ნაწილი დაუფინანსებლობისა და უპატრონობის გამო განადგურდა. ხოლო იმ კლუბში, თუ რაც ჰქვია **მეცნიერებათა აკადემიას დღეს, სადაც აკადემიკოსები უბრალოდ არსებობენ, ჩემი აზრით, დატოვებულები არიან იმდენი ხნით, რამდენი ხნითაც ღმერთმა სიცოცხლის უფლება მისცათ. ვინაიდან არანაირი პერსპექტივა მეცნიერებათა აკადემიის განვითარების, არანაირი საამისო სახელმწიფო გეგმა არ არსებობდა და არ არსებობს. დარჩენილია ოთხ ათეულამდე აკადემიკოსი, რომლებიც ზოგჯერ იკრიბებიან, ბჭობენ, რაღაცას წყვეტენ, მაგრამ მეცნიერებასთან შეხება არ აქვთ.**

**— მეცნიერებათა აკადემიის შესახებ კანონში კი ნათქვამია, რომ იგი არის „საქართველოს მთავრობის მეცნიერული მრჩეველი“. გსმენიათ რამე ასეთი რჩევების შესახებ?**

— იყო რამდენიმე რჩევა, რომლებიც ტერიტორიულ მთლიანობას შეეხებოდა, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს რჩევები არავის გაუთვალისწინებია და, მეორე, არა მგონია, ვინმემ დაიტრაბახოს, რომ ისინი მაღალი კვალიფიციურობით გამოირჩეოდა.

**კანონში ჩაწერილი მთავრობის მრჩევლის ეს ფუნქცია სახუმარო ფუნქციაა, ვინაიდან მეცნიერებათა აკადემიას კი არა, საერთოდ არავის არ უსმენს საქართველოს ხელისუფლება.**

მეეჭვება, რომ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს საერთოდ ჰქონდეს საქართველოს ხელისუფლებასთან სამეცნიერო თვალსაზრისით შეხების წერტილები. ჩემი აზრით, ბატონი თამაზ გამყრელიძე მოკლებულია პატივს, რომ იყოს თუნდაც უბრალო მრჩეველი მიხეილ სააკაშვილისა, ხოლო მეცნიერებათა აკადემიის პოზიცია და აზრი სააკაშვილს არც აინტერესებს, არც მოუსმენია და ეს აზრი არსად არ ყალიბდება. სხვათა შორის, კანონის მიხედვით, ჩვენ, ყველანი უნდა ვიყოთ ამ რჩევების თანამონაწილენი, უნდა ვკითხულობდეთ, ეს არ უნდა იყოს საიდუმლო რჩევები — უნდა გამოქვეყნდეს, საყოველთაოდ მისაწვდომი უნდა იყოს.

კანონში ჩაწერილი ფუნქცია, სამწუხაროდ, ყალბია, რადგან არ სრულდება და არც არავინ ზრუნავს მის შესრულებაზე. სამწუხაროა, რომ საქართველოში კანონები არ მოქმედებს. მაგრამ მე პირადად ვერ ვხედავ შანსს, რომ ახლო მომავალში მეცნიერებათა აკადემია ამოქმედდეს იმ სიმძლავრით, როგორიც ქვეყანას სჭირდება, ვინაიდან, დაახლოებით, ასჯერ მეტი ფინანსები და რესურსია ამისთვის საჭირო.

მე მგონი, არც კადრებია მომზადებული სათანადოდ, იმათი, ვინც იმ აკადემიკოსებს უნდა ჩაენაცვლოს.

### ...შიგნიდან კი მოყვარეს აბრმავებს

**მივყვეთ პროფესორ ლევან ბერძენიშვილის რეპლიკის კვალს და ვცადოთ, გავარკვიოთ, რას ფიქრობენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში შექმნილ მდგომარეობაზე ისინი, ვისთვისაც მეცნიერების ეს უმაღლესი ეროვნული ინსტიტუტი არის სამოღვაწეო სივრცე, ცხოვრების მიზანი და, თუ გნებავთ, — საარსებო წყაროც.**

**„საქართველო და მსოფლიოს“ უპასუხებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, განზოგადებული, კრებითი სახე აკადემიის წევრების, მაგრამ არა ანონიმურობას ამოფარებული ცრუ გულშემატკივარი.**

**ასე, ვგონებ, უკეთ ჩამოყალიბდება საერთო აზრი, სუბიექტური მინარევებისგან დაიწმინდება პოზიცია: არაფერი პირადული და მიკერძოებული!**

**შეკითხვების მაქსიმალური ობიექტურობისთვის კანონის პუნქტებით ვიხელმძღვანელოთ.**

**აკადემიის მიზნების განსაზღვრისას პირველსავე პუნქტში ჩაწერილია: „საქართველოში მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა მსოფლიო მიღწევათა შესაბამისად“.**

**როგორ სრულდება ეს ფუნქცია?**

— სამწუხაროდ, აკადემია ამ ფუნქციას ვერ ასრულებს.

**— მიზეზი?**

— მიზეზი ბევრია — ობიექტურიც და სუბიექტურიც. ობიექტური მიზეზია ის ე.წ. რეფორმა, რომელიც განხორციელდა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, და რომელმაც აკადემია, როგორც ინსტიტუტი, არსებითად დაასუსტა. საქმე, უწინარეს ყოვლისა, ეხება მეცნიერებათა აკადემიის სისტემიდან სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების გაყვანას, რითაც დაიშალა ერთიანი სამეცნიერო ორგანიზმი, რომლის ერთობლიობა საკმაოდ დიდ პოტენციალს ქმნიდა, რაც ქვეყანას ხმარდებოდა.

რეფორმა ამერიკული სისტემის გადმოღებას ითვალისწინებდა: შტატებ- ▶

**«კანონში ჩაწერილი მთავრობის მრჩევლის ეს ფუნქცია სახუმარო ფუნქციაა, ვინაიდან მეცნიერებათა აკადემიას კი არა, საერთოდ არავის არ უსმენს საქართველოს ხელისუფლება»**

**„სამწუხაროდ, ბოლო ათი წლის განმავლობაში ნამდვილი წევრების არჩევნები არ ჩატარებულა, მიუხედავად იმისა, რომ არავითარი ობიექტური მიზეზები ამ პროცესს ხელს არ უშლიდა“.**

რა სიჩუმეა?!

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ერთადერთი, რისი გაკეთებითაც დაკავებულია აკადემიის ხელმძღვანელობა, არის იუბილეების მოწყობა»

ში აკადემიას არ გააჩნია ინსტიტუტები, ისინი თავმოყრილია უნივერსიტეტებში. ჩვენთან ეს ინსტიტუტები ჯერ გაიყვანეს სამინისტროს დაქვემდებარებაში როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირები. ამის გამო აკადემიის ხელმძღვანელობამ არაერთხელ დააფიქსირა თავისი პროტესტი, მაგრამ უშედეგოდ. ხოლო, როცა ეს ინსტიტუტები უნივერსიტეტებს შეუერთეს და აღნიშნული სტატუსი წაართვეს, აკადემია ამ რეორგანიზაციას დანაშაულის ტოლფასი დუმილით შეხვდა.

ამას მოჰყვა ბარბაროსული აქტი, როცა ილიას უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, დემოგრაფიის, პოლიტოლოგიის, ბოტანიკის, ზოოლოგიის ტრადიციულ ინსტიტუტებს საერთოდ შეუწყვიტა დაფინანსება, რაც პრაქტიკულად მათი დახურვის ტოლფასი იყო.

წარმოუდგენელია, რომ პეტრე იბერისა და იოანე პეტრიწის ქვეყანაში არ არსებობდეს ფილოსოფიის ინსტიტუტი, ან ისეთი ბუმბერაზი ფსიქოლოგის, როგორიც დიმიტრი უზნაძე იყო, სამშობლოში არ იყოს ფსიქოლოგიის ინსტიტუტი... წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია. ეს არის სერიოზული დარტყმა ქართულ მეცნიერებაზე, მაგრამ ამ დემარშს მეცნიერებათა აკადემია კვლავ დუმილით შეხვდა.

**— სუბიექტური მიზეზებიც იყოო, ბრძანეთ თქვენ.**

— სუბიექტური სირთულეებიდან, უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის პასიურობა, რომელსაც აკადემიის ხელმძღვანელობა იჩენს. მისი უმთავრესი პრინციპია, არაფერი აკეთოს.

**— აკადემიის პრეზიდენტსაც გულისხმობთ?**

— უპირველეს ყოვლისა, მას! ერთადერთი, რისი გაკეთებითაც დაკავებულია აკადემიის ხელმძღვანელობა, არის იუბილეების მოწყობა.

**— ცუდი არ უნდა იყოს!**

— მაგრამ — არც მთავარი აკადემიის საქმიანობაში. იშვიათად ტარდება აკადემიის საბჭოს სხდომები, იშვიათად განიხილება აქტუალური სამეცნიერო თემები, დასკვნები განსახორციელებლად მხოლოდ როგორც გამონაკლისი გადაეცემა ხელმძღვანელ სახელმწიფო სტრუქტურებს. კურიოზული დეტალია — აკადემიური საბჭოს სამუშაო გეგმა მტკიცდება მას შემდეგ, რაც ამ გეგმის განხორციელების პერიოდი დაწყებულია.

**— უკან ჩანჩალს ჰგავს... კანონში ჩაწერილია აკადემიის ასეთი ფუნქციაც: „საქართველოს მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა და საზოგადოებრივ ცხოვრებასა და საერთაშორისო ასპარეზზე მისი წარმოჩენა“. თუ აკადემიას ობიექტურად არ აქვს ამის გაკეთების საშუალება „წარმატებული“ რეფორმის განხორციელების შედეგად, რატომ მიიწერეთ ეს „ალქიმიური“ ფუნქცია?**

— აკადემიას აქვს უფლება, გამოითხოვოს სამეცნიერო ანგარიშები კვლევითი ინსტიტუტებიდან, უმაღლესი სასწავლებლებიდან, შეაფასოს და რეკომენდაციებით მიმართოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

**— ესე იგი, უფლება არის. შედეგი?**

— ჩვენი სამეცნიერო სპექტრი — ინსტიტუტები და უნივერსიტეტები ყოველთვის არ ეხმაურება აკადემიის ამ მოთხოვნას. ამიტომ კანონის ეს მუხლი დარღვეულია. რადგან აკადემიას არ აქვს პოლიტიკური მხარდაჭერა ხელისუფლების მხრიდან, ამიტომ მისი მოთხოვნა უმრავლეს შემთხვევაში იგნორირებულია.

**— აკადემია კი დუმს?**

— აკადემიის ხელმძღვანელობა პროტესტს არ აფიქსირებს, მოქმედებს პრინციპით: ოღონდ არავის ვაწყენინოთ! ამით არა მარტო აკადემია ზარალდება, ილახება მისი ავტორიტეტი, არამედ, რაც უფრო დიდი უბედურებაა, ზარალდება ქართული მეცნიერება.

**— ესე იგი, ეს ფუნქციაც მკვდარია. ვიკიპედია კი გვარწმუნებს, რომ „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია სამეცნიერო კურირებას უწევს საქართველოს 40-ზე მეტ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტსა და ცენტრს. გვატყუებენ, ბატონებო?**

— აკადემია სამეცნიერო კურირებას არც ერთ სამეცნიერო ინსტიტუტს აღარ უწევს. ეს კი არა, მაგალითად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს რომელი ინსტიტუტებიც მიუერთეს, მათი წესდებებიც კი, აგერ წელიწად-ნახევარი გავიდა, დამტკიცებული არ არის, ჰაერში არის გამოკიდებული და არც არავინ იცის, დააფინანსებენ თუ არა.

აკადემია კი ამაზე კვლავ არ რეაგირებს.

**— ოღონდ ხელისუფლება არ გაღიზიანდეს?**

— სწორედ ამიტომ. ასეთ ვითარებაში რომელ სამეცნიერო კურირებაზე შეიძლება ლაპარაკი?! ხელისუფლებასაც ხელს აძლევს ეს დუმილი, რადგან, როცა არსაიდან პროტესტის ან თუნდაც შენიშვნის ხმა არ ისმის, იგი (ხელისუფლება) აკეთებს იმას, რაც თვითონ სურს.

აკადემიის ხელმძღვანელობა ვერ ხვდება ან არ სურს, გაიგოს, რომ აჩემებული დუმილით ხელს უწყობს საკუთარ ლიკვიდაციას — მეცნიერებათა აკადემიის, როგორც ინსტიტუტის, დახურვას.

ეს ერთი. მეორე კი ის, რომ ასეთი პასიურობით უსაქმური სტრუქტურის იმიჯს იქმნის არა მარტო სამეცნიერო საზოგადოებაში, არამედ — საქართველოს მოსახლეობაში: თუ არსებობს, რისთვის არსებობს?

როცა ფსევდორეფორმებზე, რომლებიც საქართველოს მეცნიერებას ზიანს აყენებს, აკადემია ხმას არ იღებს, ბუნებრივად დგება საკითხი მისი არსებობის მიზანშეწონილობის შესახებ.

**— ერთ მშვენიერ დღეს ჩამოჰკრავს ზარი და მიახურავენ მეცნიერებათა აკადემიას...**

— ხელისუფლებასაც ეს უნდა: მომწიფდეს საზოგადოებრივი აზრი ამ უფუნქციო სტრუქტურის გაუქმების შესახებ, რათა ხვალ თუ ზეგ, როცა მიიღებენ ასეთ გადაწყვეტილებას, ამან არ გამოიწვიოს ისეთივე ვნებათაღელვა, როგორიც, მაგალითად, რობერტ სტურუას გათავისუფლებას მოჰყვა.

**— ესე იგი, მეცნიერებათა აკადემია ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, რომლებიც ჩამოთვალეთ, საკუთარ საფლავს ითხრის?**

— სამწუხაროდ, ასეა.

უმოქმედობა, რომელსაც საფუძვლად უდევს ატავისტური პრინციპი — ოღონდ ზემოთ ვინმეს რამე არ ეწყინოს, არის დადასტურება იმისა, რომ აკადემია ჩაყენებულია თვითკვდომის რეჟიმში.

ეს აიხსნება, პირველი, აკადემიის ნამდვილ წევრთა ასაკობრივი პრობლემით. მათი საშუალო ასაკი 82 წელიწადია. აკადემიის დღეს დარჩენილი 41 წევრიდან ხუთი 90 წელსაა გადაცილებული, 80-ზე მეტი წლისაა 23, ორია 70 წლამდე ასაკის.

**— ამით რისი თქმა გსურთ?**

— ელემენტარულ კანონზომიერებას შეგახსენებთ: რაც უფრო ხანდაზმულია ადამიანი, მით უფრო შენელებულია მისი აქტიურობა.

მაგრამ ამ ასაკობრივ სივრცეში აკადემიას ჰყავს გამორჩეული წევრებიც, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი ქვეყნის სამეცნიერო თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაგალითისთვის შეიძლება ბატონ შოთა ნადირაშვილის დასახელება, რომელიც არა მარტო დიდი მეცნიერი, დიდი ფსიქოლოგი გახლდათ, არამედ დიდი მოქალაქეც იყო. სამწუხაროდ, იგი ახლახან წავიდა ამ ცხოვრებიდან. მაგრამ ასეთი ენერგიული წევრები აკადემიაში უფრო გამონაკლისია და ისინი ამინდს ვერ ქმნიან. დღევანდელი ხელმძღვანელობა კი, პირადად პრეზიდენტი თამაზ გამყრელიძე, დიდი სახელისა და აღიარების მიუხედავად მსოფლიო სამეცნიერო წრეებში, აბსოლუტურად უმოქმედო და უუნაროა ამ ორგანიზმის მართვის თვალსაზრისით, რაც ხელისუფლების სტრატეგიულ მიზნებს ემთხვევა.

**— კანონმდებელმა აკადემიის ნამდვილ წევრებსა და წევრ-კორესპონდენტებს ჩვენი დროისთვის მაღალი ანაზღაურება დაუწესა — თვეში არანაკლებ 1600 ლარის, ნამდვილ წევრებს და 1000 ლარი წევრ-კორესპონდენტებს მთელი სიცოცხლის განმავლობაში. ისე ხომ არ გამოდის, როგორც მოკლემეტრაჟიან კინოფილმ „ქვევრში“, რომლის გაბრაზებული გმირი ერთხელ წამოიძახებს: „ტყუილად გაჭმევთ პურსა!“**

— ამ ვითარებას მასმედიამ ბევრჯერ მიაქცია ყურადღება. თუ აკადემია არ იძლევა ისეთ პროდუქტს, რომელიც გამოადგება ქვეყანას, მეცნიერებას, რა გასაკვირია, რომ საზოგადოებაში იქმნება ნეგატიური განწყობილება აკადემიკოსებისა და მათი „საკრებულოს“ მიმართ?!

თუმცა ისიც სათქმელია, რომ აკადემიას ჰყავს თავიანთი საქმიანობით, საერთაშორისო კავშირებით, მსოფლიო ფორუმებში ინტენსიური მონაწილეობით, სამეცნიერო მოღვაწეობით გამორჩეული მეცნიერები, ისინი აკადემიის ხელმძღვანელობაშიც არიან.

**— კონკრეტულად დაასახელებთ?**

— არა! დასახელებით შეიძლება მათ დათვური სამსახური გავუწიოთ. გეტყვით, რომ დღეს საქართველოს სამეცნიერო სივრცეში აშკარად გამოკვეთილი ძლიერი სკოლები ფუნქციონირებს, მათ შორის, — ტრადიციული მათემატიკური სკოლა, ფიზიკოსთა რეიტინგული სკოლა, აშკარად პროგრესულია სამეცნიერო კვლევები მედიცინაში, ასევე — ისტორიაში, ბიოლოგიაში, ენათმეცნიერებაში...

**— სიტყვამ მოიტანა და შეგეკითხებით: კანონი აკადემიას ავალებს სახელმწიფო ენაზე ზრუნვას. რატომ არ ჩანს ქართული ენის დაკნინების მცდელობის წინააღმდეგ მეცნიერებათა აკადემიის გამოკვეთილი პოზიცია?**

— არ შეიძლება, ადამიანი N მიმართულებით იყოს პასიური და N+1 მიმართულებით — აქტიური. თუ პასიურია, პასიურია საერთოდ. ფაქტია, რომ ქართული ენა დაბინძურებულია, ივსება ბარბარიზმებით, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ამის წინააღმდეგ გამოდიან ცალკეული მეცნიერები თავიანთი პუბლიკაციებით, აკადემია კი თავის პოზიციას არ აფიქსირებს. მიზეზი თავის დაზღვევის გარანტირებაა, რაც უკვე არაერთხელ ვახსენეთ: „...как бы чего не вышло!“

ჩეხოვის „ადამიანი ფუტლიარში“ — ხომ გახსოვთ ბელიკოვი? ბერძნული ენის მასწავლებელი, რომელიც, „ყოველთვის, ძალიან კარგ ამინდშიც, კალოშებითა და ქოლგით გამოდიოდა და აუცილებლად — დაბამბული პალტოთი“. თავს იზღვევდა — რა იცი, რა შეიძლება მოხდეს.

**— ცნობილია, რომ რაოდენობრიობა თვისობრიობაში გადადის. მცირე რაოდენობა ნაკლებ პერსპექტიულია. აკადემიის ნამდვილ წევრთა კანონით განსაზღვრული რაოდენობა — 70 დღეს მხოლოდ 41 პიროვნებითაა წარმოდგენილი. რა უშლის ხელს ახალი ნამდვილი წევრებით აკადემიის შევსებას?**

— აკადემიის ასაკოვან წევრებს, რომელთა წილი საერთო რაოდენობის 95 პროცენტს შეადგენს, კომფორტული გარემო, ღირსეული პირობები უნდა შეუქმნა, მაგრამ უეჭველია ისიც, რომ აკადემიას „ახალი სისხლი“ სჭირდება. **სამწუხაროდ, ბოლო ათი წლის განმავლობაში ნამდვილი წევრების არჩევნები არ ჩატარებულა, მიუხედავად იმისა, რომ არავითარი ობიექტური მიზეზები ამ პროცესს ხელს არ უშლიდა.** ამის ფინანსური რესურსიც არსებობდა — 305 ათასი ლარი, მაგრამ გამოუყენებლობის გამო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2012 წლის ბიუჯეტში ეს თანხა აღარ შეიტანა და დაფინანსება დამატებით კიდევ 100 ათასით შეამცირა. ლოგიკურია — სხვა მიმართულებაზე გამოიყენებს.

ასე და ამრიგად, მივადექით პრინციპულ საკითხს: **არც ხელისუფლებას უნდა, რომ ჰქონდეს მეცნიერებათა აკადემია, არც აკადემია ცდილობს თავის გადარჩენას.**

**— გვყავს კი მეცნიერთა კადრები აკადემიკოსთა რიგების შესავსებად?**

— რა თქმა უნდა, გვყავს. ჯერ კიდევ 20-30 წლის წინათ, როცა საქართველოში მეცნიერება ძალიან პოპულარული იყო, მსოფლიო ასპარეზზე ქართველი მეცნიერების წარმატებები ყოველთვის კარგად იყო წარმოჩენილი. დღეს მეცნიერება იმდენად არაპოპულარული გახდა და ხელისუფლებაც ამას ყოველმხრივ ხელს უწყობს, რომ საზოგადოებრიობისთვის უმეტესად უცნობია ეს წარმატებები. თუმცა გამორჩენილი მეცნიერები, საბედნიეროდ, გვყავს, მაღალი რეიტინგი აქვს მათ პუბლიკაციებს, მაღალია მათი ციტირების ინდექსი საერთაშორისო პერიოდიკაში და ა. შ. „უკანასკნელი მოჰიკანები“, რომლებიც ქართული ინტელიგენციის „ჩარეცხვის“ პოლიტიკას გადაურჩნენ, ჯერ კიდევ არსებობენ. ამათი დაფასება და აკადემიაში მოსვლა იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ახალგაზრდობაში გაჩნდეს მისწრაფება მეცნიერებისკენ.

**— კანონმა აკადემიას საქართველოს მთავრობის მეცნიერული მრჩევლის სტატუსი მიანიჭა.**

— მთავრობას მრჩეველი არ სჭირდება. „მრჩეველი“ აქტიურად უნდა მუშაობდეს იმ პრობლემებზე, რომლებიც ქვეყანას აქვს. როგორ რჩევებს წარუდგენს აკადემია მთავრობას, ფართო საზოგადოებისთვის უნდა იყოს ცნობილი. ერთია, არის თუ არა მთავრობა მომსმენი, მაგრამ აკადემიაც ხომ უნდა იყოს მიმტანი?!

**— მთავრობას არ სჭირდება თუ არ სურს მოსმენა?**

— როგორ არ სჭირდება, მაგრამ ინტელექტუალური შრომის პროდუქტის გამოყენების სურვილი ძალიან დაბალია. არადა, ვიცით, რომ ხელის ცეცებით ცდილობენ საკითხების გადაწყვეტის გზების მოძებნას. აკადემია არ უნდა ასვენებდეს ხელისუფლებას: თვე არ უნდა გადიოდეს, კონკრეტულ პროგრამას, პროექტს, წინადადებას არ აწვდიდეს.

**— დაბოლოს: მოუსმენია ეს კრიტიკული შენიშვნები აკადემიის პრეზიდენტს, ბატონ თამაზ გამყრელიძეს?**

— არც მოუსმენია და არც ცდილობს, ჩასწვდეს აკადემიაში დღეს არსებულ პრობლემებს. იქნებ, ამ საუბრის გამოქვეყნების შემდეგ დაინტერესდეს. ნუ გადავიწურავთ იმედს.

**არმაზ სანებლიძე**

**P.S. რაგინდ უცნაურად შეიძლება მოგეჩვენოთ, ფიზიკის კანონი — ნიუტონის მესამე კანონის სახელით ცნობილი, რომ ყოველგვარი ქმედება უკუქმედების ტოლია — დარღვეულია მაინც და მაინც მეცნიერების ბასტიონთან მიმართებაში: საქართველოს ხელისუფლება ისე ზემოქმედებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაზე, რომ უკუქმედების სახსენებელიც არსადაა.**

**ეს, სხვათა შორის, არსებული მდგომარეობის ანომალიური ბუნების დამადასტურებელია.**

## «არც ხელისუფლებას უნდა, რომ ჰქონდეს მეცნიერებათა აკადემია, არც აკადემია ცდილობს თავის გადარჩენას»

რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საქართველოს ეკლესია არის ერთადერთი ეკლესია მსოფლიოში, რომელიც არასოდეს ჩავარდნილა მწვალებლობაში. ეკლესია, რომლის სინოდსაც არასოდეს უღალატნია მართლმადიდებლობისთვის, შეიძლება არსებობდნენ ცალკეული ეპისკოპოსები, რომელნიც იყვნენ არასწორი სარწმუნოების მიმდევარნი, მაგრამ მთლიანობაში, ქართულ ეკლესიას ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის არასოდეს უღალატნია!“**



**«სომხეთის ეკლესია და საერთოდ მონოფიზიტობა შეჩვენებულია მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე საეკლესიო კრებებზე და ანათემას გადაცემული სწავლებაა»**

დეკანოზი დავით ქვლივიძე:

# სომხური ეკლესია სულიწმინდის მადლს მოკლებული საკრებულოა

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება თბილისის წმინდა ნინოს ტაძრის მღვდელმსახური, დეკანოზი დავით ქვლივიძე.**

**— მამაო დავით, თქვენს ერთ-ერთ ქადაგებაში ბრძანეთ, რომ მონოფიზიტობა ანათემიტური რელიგიაა და ყველა მონოფიზიტი თავს დიდი სიმძიმის ქვეშ აყენებს; რომ ცნება „სომხური სამოციქულო ეკლესია“ მცდარია, რადგან მას შემდეგ, რაც ისინი მონოფიზიტები გახდნენ, აღარ აქვთ უფლება, სამოციქულოდ იწოდებოდნენო. თუ სომხური ეკლესია სამოციქულოა, რატომ არ გვაქვს მათთან ევქარისტიული კავშირი? იქნებ უფრო გარკვევით განგვიმარტოთ, რას გულისხმობდით?**

— შეგვეწიოს უფალი! პირველ ყოვლისა, მინდა განგიმარტოთ, რა არის დიოფიზიტობა და მონოფიზიტობა. ჩვენ, მართლმადიდებლები, დიოფიზიტები ვართ, ანუ ქრისტეს ორ ღვთაებრივ და ადამიანურ ბუნებას ვაღიარებთ. სახარება გვასწავლის, რომ იესო ქრისტე არის ღმერთკაცი, განკაცებული, ხორცშესხმული ღმერთი, ჩამოსული დედამიწაზე — სრულყოფილი კაცი და სრულყოფილი ღმერთი. იესო ადამიანივით ჭამდა, სვამდა, იღლებოდა, ტიროდა, ეძინა. იგი სახარებაში ამბობს — მამა ჩემზე დიდია, იეღოველებს კი ეს ვერ გაუგიათ — თუ ღმერთია, როგორ ამბობს, რომ მამა ჩემზე დიდიაო, ჩვენ კი ვუხსნით მათ, რომ ამას იგი თავისი ადამიანური ბუნებიდან გამომდინარე ამბობს, თუმცა სხვაგან ბრძანებს — მე და მამა ერთნი ვართ. ვინც მე მიხილა, მან მამაჩემი იხილაო. ერთგან ქრისტე აღნიშნავს — არავინ ასულა ზეცაში, გარდა ზეციდან ჩამოსული ძე კაცისა, რომელიც, ამავე დროს, ზეცაშიაო, ანუ ქრისტე დგას, საუბრობს და თავის მოსაუბრეებს ეუბნება — მე ახლა აქ ვდგავარ, მაგრამ, ამავე დროს, ვარ ზეცაშიც. ერთდროულად ყველგან ყოფნა მხოლოდ ღმერთს შეუძლია. საეკლესიო სწავლებით, როდესაც იესო ქრისტე შეიპყრეს, გვემეს, სცემეს, გაამათრახეს, დასაჯეს, მან კაცური ბუნებით დაითმინა ტანჯვა-წამება და ჯვარზე სიკვდილი; როგორც ადამიანს სტკიოდა ნაცემები, ნამათრახევი, შეურაცხყოფა; ქრისტე ჯვარზე გააკრეს და ევნო, დაიფლა, აღდგა და ამაღლდა კაცური ბუნებით, ღვთაებრივი ბუნებით კი იგი უვნებელი იყო.

მონოფიზიტური სწავლებით, ღვთაებრივმა ბუნებამ მთლიანად შთანთქა კაცობრივი ბუნება. თუ ქრისტეს ჰქონდა მხოლოდ ერთი — ღვთაებრივი ბუნება, მაშინ მას, როგორც ღმერთს, არც შიოდა, არც სწყუროდა, არც იღლებოდა, არც ჯვარცმის იარები სტკიოდა და იბადება კითხვა — ქრისტე ტყუოდა? მათი სწავლებიდან გამოდის, რომ ქრისტეს დაუდგია რაღაც წარმოდგენა (შეგვინდოს უფალმა, უბრალოდ, განმარტებისთვის ვამბობ ამას) ხალხის მოსაჩვენებლად, მათი გულების ასაჩუყებლად. და ყველაზე მთავარი — თუკი ქრისტე მხოლოდ ერთი, ღვთაებრივი ბუნების მატარებელია, მაშინ რა გამოდის, რომ ჯვარზე ღმერთი მოკვდა? ღმერთი შეიძლება მოკვდეს? სამების ერთ-ერთი წევრი მოკვდა და სამი დღის განმავლობაში, სამების ნაცვლად ორება მართავდა სამყაროს? ამიტომ მონოფიზიტობა მთლიანად მკრეხელური, ღვთის შეურაცხმყოფელი, ღვთის მგმობი სწავლებაა და სწორედ ამიტომ 451 წელს ქალაქ ქალკედონში შეიკრიბა მეოთხე მსოფლიო კრება, იმსჯელეს მონოფიზოტობაზე და დიოფიზიტობაზე, გამოიძიეს მთელი წმინდა წერილი და საბოლოოდ დაადგინეს, რომ ანათემა მას, ვინც იტყვის, რომ ქრისტეს აქვს ერთი ბუნება! ანუ მონოფიზიტები არიან ანათემას გადაცემული საკრებულო. ვინც ამ სწავლებას მიყვება, ანათემის ქვეშ აყენებს თავის თავს.

აქ ეროვნება არაფერ შუაშია. აქ საქმე აღმსარებლობას ეხება. მეტსაც გეტყვით — ქართლსა და კახეთში XVIII-XIX საუკუნეებში ძალიან მძიმე პერიოდი იყო. ჩვენი, ქართველი მართლმადიდებელი მღვდლების, უნიათობის გამო, ფაქტობრივად, სომეხი მონოფიზიტი მღვდლები ბატონობდნენ. ჩაიგდეს ხელში ყველაფერი, მონოფიზიტებად ნათლავდნენ ქართველებს და ეროვნებად სომეხს უწერდნენ. მონოფიზიტურად მონათლული ქართველის ზიარებაც არ შეიძლება. კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს: აქ საუბარია არა ეროვნებაზე, არამედ აღმსარებლობაზე. **იმდენად დიდი ცოდვაა მონოფიზიტობა, რომ რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე, მონოფიზიტების ხელახალი მონათვლაა ნაბრძანები. თამარ მეფის სარდლები ზაქარია და იოანე მხარგრძელები, ტომით ქურთები, მონოფიზიტები იყვნენ; თავიანთი დამსახურების გამო მათ სამმართველოდ სომხეთი გადასცეს. მართლმადიდებლობაზე ერთი სასწაულის შემდეგ გადმოვიდა ერთი ძმა, როდესაც ქართველებსა და სომხებს შორის რელიგიურ ნიადაგზე დაიძაბა ურთიერთობა, იოანემ, ქართველთა კათალიკოსმა პირდაპირ უთხრა სომხებს, რომ თქვენი სარწმუნოება არაა სწორი და თქვენი ეკლესია ეკლესიად აღარ იწოდებაო. თქვენ ჩაატარეთ თქვენი მსახურება, რასაც ეძახით შეწირულ მსხვერპლს, ანუ ზიარებას, ჩვენც ჩავატარებთ, ორივემ მოვიტანოთ შეწირული მსხვერპლი, დავდოთ და მშიერი ძაღლები მოვუშვათ, ქრისტე, თავის სისხლსა და ხორცს თვითონ დაიცავს, ხოლო რომელსაც ძაღლი შეჭამს, ის არ იქნება ჭეშმარიტი მსხვერპლიო. დამეთანხმებით, რომ ეს ისეთი კადნიერი გადაწყვეტილებაა, ამის გაფიქრებაც კი შეგძრავს კაცს. მოიტანეს მონოფიზიტებისა და დიოფიზიტების შეწირული მსხვერპლი და მშიერი ძაღლები მიუშვეს. მონოფიზიტების ჩატარებული წირვის ბარძიმი მთლიანად ამოლოკა ძაღლმა, მაგრამ, როდესაც მართლმადიდებლების ბარძიმთან მივიდა, ზევიდან გეგონება უხილავად, ღვთის ანგელოზმა, თითქოს დიდი ჯოხი ჩაარტყა, ძაღლი დაიკლაკნა და წკავწკავით გავარდა უკან.** ამის შემდეგ გახდა ზაქარია მხარგრძელი მართლმადიდებელი, თუმცა მისმა ძმამ, იოანემ მაინც არ შეიცვალა „წინაპართა რწმენა“, როგორც თავად თქვა.

მადლობა ღმერთს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, ჩვენს დიდ წინაპრებს, რომელთაც საკუთარი სისხლის ფასად არაფერში გაცვალეს მართლმადიდებლობა და აქამდე მოგვიტანეს უცვლელად. **საქართველოს ეკლესია არის ერთადერთი ეკლესია მსოფლიოში, რომელიც არასოდეს ჩავარდნილა მწვალებლობაში. ეკლესია, რომლის სინოდსაც არასოდეს უღალატნია მართლმადიდებლობისთვის, შეიძლება არსებობდნენ ცალკეული ეპისკოპოსები, რომელნიც იყვნენ არასწორი სარწმუნოების მიმდევარნი, მაგრამ მთლიანობაში, ქართულ ეკლესიას ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის არასოდეს უღალატნია!**

**— მამაო, როდის მიიღო სომხეთმა მონოფიზიტობა და რატომ?**

— სომხეთის ეკლესიამ ირანის ზეწოლით, ბიზანტიის საწინააღმდეგოდ, 602 წელს მიიღო მონოფიზიტობა, ასევე მიიღო ალბანეთმაც (დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე). სჯულის ღალატს მოყვა ის, რომ ალბანეთი, როგორც სამეფო აღიგავა პირისაგან მიწისა და დღეს აღარ არსებობს, სომხეთის სახელმწიფოებრიობამ კი რღვევა დაიწყო და XI საუკუნეში მათი სამეფო გაუქმდა, მას შემდეგ მათ მეფე არც ყოლიათ. ქართველებმა თქვეს, რომ არ უღალატებდნენ ჭეშმარიტებას, ერჩივნათ, თავი გაეწირათ და მომკვდარიყვნენ ჭეშმარიტებისთვის, ვიდრე რჯული გამოეცვალათ, რადგან მონოფიზიტობაზე გადასვლა რჯულის გამოცვლა იყო, ამის შემდეგ მოხედა ღმერთმა საქართველოს და ნელ-ნელა იწყება ბაგრატიონების დინასტიის გამოჩენა, ტაო-კლარჯეთში სახელმწიფოებრიობის ჩასახვა, ეს კი დაგვირგვინდა ოქროს ხანით — დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქით.

**როდესაც ადამიანები ღალატობენ ჭეშმარიტ სარწმუნოებას და ქრისტეს აბრალებენ მატყუარობას, თვითონ აღმოჩნდებიან ტყუილში და ყველაფერი ტყუილზე აქვთ აწყობილი. ამის შედეგია სწორედ, რომ ეჩმიაძინის სამრეკლოზე შაჰ-აბასის ბარელიეფია გამოსახული. ხე ნაყოფით შეიცნობაო, ამბობენ და ესაა ნაყოფი მათი სარწმუნოებისა, ჩვენ „გიჟ-ვრაცუებს“ გვეძახიან! აბა, რა უნდა გვექნა — სვეტიცხოველზე შაჰ-აბასის ბარელიეფი გაგვეკეთებინა რომ „გადარჩენილიყო“?**

602 წლამდე სომხები დიოფიზიტები იყვნენ და საქართველოსა და სომხეთის ეკლესიებს ევქარისტიული კავშირი ჰქონდათ. მათი წმინდანები გრიგოლ პართელი, წმინდა რიფსიმე და გაიანე, ნერსეს ეპისკოპოსი ჩვენთვისაც წმინდანები არიან და პატივით ვიხსენიებთ და ღვთისმსახურებას აღვასრულებთ მათ სახელზე. სომხეთში მოციქულმა ბართლომემ და სხვა მოციქულებმაც იქადაგეს და სომხეთის ეკლესია ნამდვილად იყო სამოციქულო. ყველა იმ ეკლესიას, სადაც მოციქულებმა იქადაგეს, სამოციქულო ქვია, მაგრამ საქმე ისაა, რომ დღეს სომხები უკვე სამოციქულოდ აღარ იწოდებიან, რადგან სამოციქულოდ ეკლესია იწოდება განა მხოლოდ იმიტომ, რომ იქ მოციქულებმა იქადაგეს, არამედ ისინი მოციქულთა სწავლების მიმდევრები უნდა იყვნენ. სომხურმა ეკლესიამ კი მოციქულთა სწავლება უარყო, მათ შეიცვალეს რჯული 602 წელს დვინის მეორე საეკლესიო კრებაზე და გახდნენ მონოფიზიტები. დვინის პირველ საეკლესიო კრებაზე 554 წელს სომხები ჯერ კიდევ მართლმადიდებლები იყვნენ. ამიტომ, როდესაც ჩვენ ვიძახით, რომ სომხური ეკლესია არის სამოციქულო ეკლესია, ეს არის შეცდომა. სომხური ეკლესია სამოციქულოდ იწოდებოდა 602 წლამდე, იმიტომ, რომ მოციქულთა სწავლების მიმდევარი იყო, იცავდა მოციქულთა სწავლებას და ჭეშმარიტ ეკლესიად იწოდებოდა — სულიწმინდის მადლი იყო სომხეთის ეკლესიაში. მაგრამ მას შემდეგ, რაც მათ უარყვეს ჭეშმარიტი სწავლება და გადავიდნენ არასწორ სარწმუნოებაზე, ისინი არიან განწვალებაში მყოფნი — ეს ძველი ქართული სიტყვაა, მწვალებლობას ნიშნავს. სომხური ეკლესია არის სულიწმინდის მადლს მოკლებული საკრებულო. სომხეთის ეკლესია და საერთოდ მონოფიზიტობა შეჩვენებულია მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე საეკლესიო კრებებზე და თავისი არასწორი სარწმუნოების გამო ანათემიტური — ანათემას გადაცემული სწავლებაა.

**— მამაო, სომხების განმანათლებელი წმინდა გრიგოლი პართელია (რომლის ხსენების დღესაც წმინდა მართლმადიდებელი ეკლესია სვეტიცხოვლობის წინა დღეს, 13 ოქტომბერს აღნიშნავს), ამიტომ უწოდებენ სომხები თავს გრიგორიანელებს?**

— სომხები თავიანთ თავს გრიგორიანელებს უწოდებენ, რაც ასევე არასწორია, რადგან მათ მათი განმანათლებლის, წმინდა გრიგოლ პართელის სწავლება უარყვეს მონოფიზიტობაზე გადასვლით. გრიგოლი წარმოშობით სპარსული სამეფო გვარის წარმომადგენელი იყო, დაიბადა 257 წელს, მისი მამა ანაკი დაუპირისპირდა მისსავე ნათესავს — კუსარს, რომელიც სომხეთს მართავდა, მზაკვრულად მოკლა იგი, ამის გამო მთელი მისი ოჯახი ამოწყვიტეს, გადარჩა ჩვილი გრიგოლი და მისი ძმა, გრიგოლი ნათესავებმა წაიყვანეს კაბადოკიაში, სადაც ქრისტიანულად იზრდებოდა. გრიგოლმა ცოლი მოიყვანა და ორი შვილი ჰყავდა — ოფთანე და აროსტატე — შემდეგში სომხეთის პატრიარქი. იგი დაუმეგობრდა კუსარის შვილს — თრდატს, რომელიც მსახურობდა რომაელების ჯარში. თრდატს მისცეს სამართავად სომხეთი, სადაც გრიგოლიც წაიყვანა. მათ ერთმანეთი ძალიან უყვარდათ, გრიგოლი თრდატს თავის ვინაობას არ უმხელდა. როდესაც ქრისტიანების დევნა დაიწყო, დიოკლეტიანეს დროს (ამ დროს აწამეს სწორედ წმინდა გიორგი, ბარბარე, მარინე, თეოდორე ტირონი), თრდატმა გაიგო, რომ გრიგოლიც ქრისტიანი იყო, მას კერპების თაყვანისცემა მოსთხოვა და, რადგან გრიგოლმა ჭეშმარიტი ღმერთი არ უარყო, თრდატმა იგი სასტიკად აწამა — ადუღებულ ზეთში ჩააგდო და ხარშავდა, ადუღებული კალა ჩაასხა პირში, სცემდა უმოწყალოდ, მაგრამ ვერ გატეხა, ხედავდა, რომ უფალი მას იფარავდა. მერე გადაწყვიტა, გაეთავისუფლებინა, მაგრამ ერთმა მსახურმა უთხრა — ვის უშვებ, იგი მამაშენის მკვლელისა და სომხეთის მოღალატის, ანაკის შვილიაო. ამის შემდეგ თრდატმა იგი 15 წელი ორმოში გველებთან და მორიელებთან ჩააგდო, სადაც მას ერთი ღვთისმოსავი ქალი წყალს და პურს უზიდავდა. ეს იყო სიკვდილმისჯილთა ორმო, სადაც ადამიანი წამებით კვდებოდა. თრდატმა გაუგონარი სისასტიკით აწამა ქალწულები რიფსიმე და გაიანე და მათთან ერთად 35 ქალწული (წმ. ნინოც მათთან იყო, უბრალოდ, იგი ვარდის ბუჩქებში დაიმალა და ასე გადაურჩა სიკვდილს). ამის შემდეგ თრდატი გაგიჟდა — ეშმაკეული შეიქნა. მის დას გამოცხადებით ეუწყა, რომ, თუ თრდატი გრიგოლს (რომელიც ცოცხალიც აღარ ეგონა) გაათავისუფლებდა, განიკურნებოდა. მართლაც გაათავისუფლეს და ამის შემდეგ დაიწყო მან ქრისტიანობის ქადაგება და სომხების გაქრისტიანება და, რადგან გრიგოლმა იქადაგა სომხეთში, ამიტომ უწოდებენ სომხები თავს გრიგორიანელებს, ანუ გრიგოლის მოქცეულებს. ეს იგივე იქნებოდა, ჩვენ, ქართველებს რომ გვეთქვა, რომ ნინოიანელები ვართ, რადგან წმინდა ნინომ მოგვაქციაო. თუმცა, კიდევ ვიმეორებ, სომხების დღევანდელ სარწმუნოებას არაფერი აქვს საერთო იმ სწავლებასთან, რაც მათ მოციქულმა ბართლომემ და წმინდა გრიგოლ პართელმა უქადაგეს.

**— მამაო, თქვენ ასევე ბრძანეთ, რომ სომხები მიზანმიმართულად ამახინჯებენ ქრისტიანობის მათ სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების თარიღს. რა ფაქტებზე დაყრდნობით ამბობთ ამას?**

— ისტორიკოსების ყურადღება ერთ მნიშვნელოვან დეტალზე მინდა გავამახვილო — სომხები ამბობენ, რომ მათ ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად 301 წელს გამოაცხადეს, მე ვფიქრობ, რომ ეს არაა ▶

**„XIII საუკუნეში, როდესაც კათოლიკე ჯვაროსნებმა დაარბიეს ათონის მთა, ბიზანტია გაანადგურეს, სერბეთი კი ვერ აიღეს! რატომ? ოთხი დინასტია მეფეებისა წმინდანები ჰყავდათ და მეფის შემხედვარე მთელი ერი ღვთისმოშიშებაში ცხოვრობდა. დღეს კი, რაც სჭირთ, მათივე ბრალია, ისევე, როგორც ჩვენი ცოდვების ბრალია აფხაზეთი და სამაჩაბლო და სხვა ბევრი უბედურება! მათი ცოდვების გამო იშლება სერბეთი! როგორც ჩვენი ცოდვების გამო იშლება საქართველო!“**

რელიგია

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

სწორი. ჯერ ერთი იმიტომ, რომ 301 წელს რომის იმპერიას დიოკლეტიანე მართავდა, რომელიც ქრისტიანების უმოწყალოდ მჟლეტავი იყო, სომხეთი კი, რომელიც ვასალურ დამოკიდებულებაში კი არა, დაპყრობილი იყო დიოკლეტიანეს მიერ, გამორიცხულია დიოკლეტიანეს წინააღმდეგ წასულიყო. დიოკლეტიანე გარდაიცვალა 305 წელს. გამორიცხულია, რომ სომხებს დიოკლეტიანეს წინააღმდეგ ქრისტიანობა მის სიცოცხლეში მიეღოთ. წმინდა გიორგი დიოკლეტიანეს დაცვის უფროსი იყო, მას არ აპატია ქრისტიანობა და პროვინციის მმართველს იმას აპატიებდა, რომ თავის ქვეყანაში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოეცხადებინა? ეს ტყუილია! და მეორე — ქართლის ცხოვრების საეკლესიო წყაროების მიხედვით, წმინდა ნინო მას შემდეგ, რაც იგი წმინდა ქალწულთა — რიფსიმესა და გაიანესგან — განსხვავებით, თრდატის რისხვას გადაურჩა, 316 წელს შემოვიდა საქართველოში. სომხები კი ამბობენ, რომ სახელწიფო რელიგიად ქრისტიანობა 301 წელს მიიღეს, მაშინ ეს ყველაფერი როგორ თავსდება ერთმანეთთან?

**და კიდევ — რომის იმპერიაში სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობა გამოცხადდა კონსტანტინე დიდის დროს, მას შემდეგ, რაც მან მოკლა დიოკლეტიანეს შემდეგი იმპერატორი მაქსიმილიანე და მაქსიმინე და 313 წელს მილანის ედიქტით ქრისტიანებს მისცა თავისუფალი აღმსარებლობის უფლება. მანამდე ქრისტიანებს სადაც დაიჭერდნენ, ცოცხლად ატყავებდნენ. მათი ლოგიკით რა გამოდის, რომ რომის იმპერიაზე ადრე გამოაცხადა სომხეთმა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად?**

**არგუმენტად მოჰყავთ ის, რომ ჩვენი ეპისკოპოსი არისტატე — გრიგოლის შვილი ესწრებოდა პირველ მსოფლიო კრებასო, პირველ მსოფლიო კრებას საქართველოდან სამი — ბიჭვინთის, ფაზისისა და ტრაპიზონის ეპისკოპოსი ესწრებოდა, მაგრამ საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგია არ ყოფილა 326 წლამდე.**

მე ვფიქრობ, ქართველმა ისტორიკოსებმა, რომელთაც ისტორიულ წყაროებზე უფრო მეტად მიუწვდებათ ხელი, ვიდრე ჩვენ, სასულიერო პირებს, მთელი მსოფლიოს წინაშე უნდა დააყენონ საკითხი და არგუმენტირებულად, დასაბუთებულად მოსთხოვონ სომხებს ამაზე პასუხი. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან ხშირად საუბრებში სომხები იძახიან, რომ ჩვენ ქრისტიანობა თქვენზე ადრე მივიღეთო. უბრალოდ, სირცხვილია, როცა მსოფლიო ეკლესიების მმართველები ჩადიან და ულოცავენ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წელს (2001 წელს).

**სომხებს უყვართ თარიღების შეცვლა არა მხოლოდ ქრისტიანობასთან მიმართებაში! საერთოდ ისტორიულ ფაქტებსაც ამახინჯებენ. ამიტომაა, ქართულ ტაძრებს რომ ითვისებენ და 600-ზე მეტ ტაძარზე იძახიან, ჩვენიაო. ეს მათთვის ჩვეულებრივი მოვლენაა, რასაც ჩვენი მხრიდან პასუხი უნდა გაეცეს!**

**— მამაო, თქვენ ბრძანებთ, რომ სომხებს ოთხი პატრიარქი ჰყავთ. რას ნიშნავს ეს?**

— სომხებს ჰყავთ პატრიარქი ეჩმიაძინში, იერუსალიმში, კილიკიასა და კონსტანტინეპოლში. ისევე, როგორც, ჩვენ მართლმადიდებლებს გვყავს პატრიარქი კონსტანტინეპოლის, ანტიოქიის, ალექსანდრიის, საქართველოს, რუსეთის, სერბეთის, რუმინეთის, ანუ ჩვენ მსოფლიო ეკლესია ვართ, მათაც მსოფლიო ეკლესიობაზე აქვთ პრეტენზია.

**— მამაო, გარეგინ მეორეს გულზე ორთავიანი არწივი კიდია, ეს ხომ რუსეთის გერბია?**

— ორთავიანი არწივი ბიზანტიის გერბი იყო. მანამდე რომის იმპერიის გერბი იყო ერთთავიანი არწივი, ანუ მიწაზე უპირველესი სახელმწიფოს სიმბოლო. მერე ბიზანტიამ, როგორც მართლმადიდებელმა სახელმწიფომ ორთავიანი არწივი — მიწიერი და ზეციური ხელისუფლების სიმბოლო გაიხადა გერბად, მიიჩნევდა, რადგან მართლმადიდებელი, მოციქულთა სწავლების დამცველი და გამგრძელებელი იყო, ამიტომ ზეცაშიც ის იყო ბატონი — სასუფევლის გასაღებსაც ის ფლობდა! რუსეთმა კი ორთავიანი არწივი გერბად კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ აიღო, რადგან იგი, როგორც მართლმადიდებელი იმპერია, მიიჩნევს, რომ მოსკოვი მესამე რომია! **არწივი სიმბოლოა ზეცაში ძალაუფლებისა. ამიტომაც არის, რომ ეპისკოპოსები წირვის დროს არწივზე დგანან. მაგრამ აი, სომხების პატრიარქს, წინამძღოლს იმ მწვალებლური მიმდინარეობისა, რომელიც მეოთხე მსოფლიო კრებაზეა შეჩვენებული, გულზე რატომ კიდია ორთავიანი არწივი, ვერ გავიგე... მართლმადიდებელი ბიზანტიიდან მიტაცებული ატრიბუტით მსოფლიო ეკლესიობის გამოხატვა უნდათ? კი ბატონო, გახდებიან მსოფლიო ეკლესიის წევრები, თუ მწვალებლობას შეინანებენ და მოციქულთა სწავლებას დაუბრუნდებიან...**

**— სომეხთა პატრიარქს რა დროიდან უმშვენებს გულს ორთავიანი არწივი — მართლმადიდებელი ბიზანტიის სიმბოლო?**

— რა გითხრათ... ეგ აქ ვნახე პირველად გარეგინ მეორეზე... მართლა, რბილად რომ ვთქვათ, ღიმილისმომგვრელია! თუმცა მაინც და მაინც თუ ძალიან გულით უნდათ, გახდნენ მსოფლიო ეკლესიის წევრები, დაგმონ ანტიქალკედონური კრება, დვინის მეორე საეკლესიო კრება, ეფესოს მეოთხე ცრუ, ავაზაკთა კრება, შეინანონ და დაუბრუნდნენ წინაპართა რწმენას, მოციქულთა სწავლებას, იმ სწავლებას, რომელიც მათ გრიგოლ სომეხთა განმანათლებელმა უქადაგა. მსოფლიო ეკლესიობას და ზეციურ ხელისუფლებას გულზე ორთავიანი არწივის დაკიდება არ განსაზღვრავს!

**— მამაო, როგორ ფიქრობთ, განა ვერ ხვდებიან სომხები, რომ მწვალებლობაში არიან?**

— **1549 წელს სომხების იერუსალიმის პატრიარქმა ფული გადაუხადეს ოსმალებს, მართლმადიდებელი პატრიაქი არ შეუშვეს ქრისტეს საფლავზე, კარები ჩაუკეტეს, პატრიარქი ტაძრის გარეთ დატოვეს. სომეხი მონოფიზიტები, ასევე კოპტები, შევიდნენ კუვუკლიაში, დაიწყეს ლოცვა, რამდენიმე საათი ლოცულობდა სომხების პატრიარქი და ცეცხლი არ გადმოვიდა. ბოლოს ზეციდან წამოვიდა მეხი, დაეცა იმ სვეტს, სადაც ბერძენი პატრიარქი იდგა, ეს სვეტი შუაზე გაიპო, ცეცხლი ამოვარდა და მართლმადიდებელი პატრიარქის ხელში აინთო სანთელი! ის სვეტი დღესაც შუაზეა გაპობილი და გამომწვარი! ეს სვეტი მარად ახსენებს სომხებს, რომ ცდომილებაში არიან! ამის შემდეგ მონოფიზიტი სომხების პატრიარქი არასოდეს შედის მარტო ცეცხლის გამოსატანად. როდესაც ცეცხლის გარდამოსვლის სატელევიზიო ტრანსლაციაა, თქვენ ხედავთ, რომ მართლმადიდებელი პატრიარქის გვერდზე დგას სომხების მონოფიზიტი იერუსალიმის პატრიარქი, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, ჩხრიკავს მარლმადიდებელ პატრიარქს, რომ მან შიგნით ასანთი არ შეიტანოს. ქრისტეს საფლავი ორი ოთახისგან შედგება — ერთია, სადაც ქრისტეს საფლავია, და მეორე, ანგელოზის სტოვა, სადაც ანგელოზმა ლოდი გადააგორა. ორივე ერთ კუვუკლიაშია მოქცეული. სომხების ამ „რევიზიის“ შემდეგ მართლმადიდებელი პატრიარქი შედის ქრისტეს კუვუკლიაში, იჩოქება საფლავზე, იწყებს ლოცვას და, როგორც პეტრე კენჭოშვილს აქვს აღწერილი, ცეცხლის ლურჯი ბურთულები იწყებენო ქრისტეს საფლავზე ციმციმს, რომელზედაც ზეთით გაჟღენთილი ბამბებია, ცეცხლი ეკიდება ამ ბამბებს, საიდანაც შემდეგ პატრიარქი უკიდებს და ცეცხლით გარეთ გამოდის, მას გზაში ხვდება სომხების პატრიარქი, გადაუკიდებს თავის სანთელს, გამოდის გარეთ და ისე იქნევს ცეცხლმოკიდებულ სანთელს, თითქოს მის ხელშია გადმოსული ღვთაებრივი ცეცხლი. რამდენიმე წლის წინ, გადაკიდებისას მართლმადიდებელ პატრიარქს სომხების პატრიარქმა ცეცხლი ჩაუქრო. ჩვენი ელჩი, ლაშა ჟვანიაც შეესწრო ამ შემთხვევას და ამაზე ერთი ამბავი ატყდა.**



იცით, მე შევესწარი, როცა იერუსალიმში ვიყავი ღვთაებრივი ცეცხლის მოლოდინში, როგორ აანთო სომეხმა მღვდელმა სანთებელათი სანთელი, როგორ ააფრიალა მერე და იყვირა, რომ სომხების სანთელზეც გადმოვიდა ცეცხლიო. ეს, მე ვფიქრობ, საერთოდ ურწმუნოების გამოხატულებაა. ხედავ, რომ ასეთი სასწაული ხდება და მაინც არ აღიარებ? იცით, ბევრმა სომეხმა არ იცის ეს და, როდესაც ამას მათ ვუყვები, ასე განვუმარტავ, ისინი მისმენენ და ბევრ მათგანს მართლა უჩნდება სურვილი, რომ ჭეშმარიტ სარწმუნოებას დაუბრუნდეს.

## «იერუსალიმში შევესწარი, ღვთაებრივი ცეცხლის მოლოდინში როგორ აანთო სომეხმა მღვდელმა სანთებელათი სანთელი, როგორ ააფრიალა მერე და იყვირა, რომ სომხების სანთელზეც გადმოვიდა ცეცხლიო»

**— მამაო, ინფორმაციულ ვაკუუმში არიან თუ დეზინფორმირებულები არიან?**

— მრევლის უდიდესი ნაწილი მართლა ინფორმაციულ ვაკუუმშია, **რაც შეეხება მონოფიზიტ იერარქებს, სასულიერო პირებს აქვთ ძალაუფლება. ამ ძალაუფლების დაკარგვა არ უნდათ და, თუ აღიარებენ, რომ მართლმადიდებლობა, ანუ დიოფიზიტობაა ჭეშმარიტი რელიგია, მათ ხომ ამ თავიანთი საკრებულოდან გამოაგდებენ. აღარაფერნი იქნებიან და დარჩებიან არაფრად. ეს მიწიერი, დროებითი ძალაუფლება, რომელსაც თამაში უფრო ჰქვია, ურჩევნიათ ზეციურ, მარადიულ სასუფეველს.**

**— მამაო, თქვენ აღნიშნეთ, რომ, სანამ იერუსალიმის მართლმადიდებელი პატრიარქი კუვუკლიაში ღვთაებრივი ცეცხლის გამოსატანად შებრძანდება, მას ჩხრიკავს და „რევიზიას უტარებს“ სომეხთა პატრიარქიო, ვინ მისცა მას ამის უფლება?**

— ამის უფლებას მას მართლმადიდებლები აძლევენ! რადგან ეჭვები „გაუფანტონ“... ეჭვი, რომელიც თავიანთ თავთან მარტო დარჩენილებს არც აქვთ. თან ჩხრეკის უფლებასაც აძლევენ, რომ შეყვეს შიგნით კუვუკლიაში, ძალიან სასაცილო მდგომარეობაში არიან... **ეს არც იციან უმეტესმა სომხებმა. აღდგომასაც კი სხვადასხვანაირად აღნიშნავენ — ევროპაში კათოლიკებთან ერთად აღნიშნავენ, საქართველოში ქართველებთან ერთად, ანუ ის, რომ სარწმუნოება უკვე არასწორია და დაირღვა, ამან გამოიწვია ყველაფრის რღვევა. მე ამას მათი სიყვარული მალაპარაკებს და არა სიძულვილი, რადგან ისინი ჩვენი მეზობელი ერია, გულით მინდა, რომ მოვნათლო. როცა ინათლებიან, მერე სიამაყით ივსებიან, რომ თავიანთი წინაპრების — ნერსე ეპისკოპოსის, გრიგოლი პართელის, შუშანიკ დედოფლის სარწმუნოებას უბრუნდებიან.**

**— მამაო, ჩვენს უწმინდესს არწივი არ აქვს გულზე...**

— ჩვენს უწმინდესს გულზე დედა ღვთისმშობელი ჰყავს!!!

მე მეტსაც გეტყვით — კონსტანტინეპოლის პატრიარქსაც კი არ კიდია გულზე ორი არწივი! არადა, ეს ხომ ბიზანტიის იმპერიის გერბია! ათონის მთის გერბიც ორთავიანი არწივია — მიწიერი და ზეციური ხელისუფლების სიმბოლო!

**— მამაო, მე საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ ანტისომხურ პროპაგანდაში დაგდებენ ბრალს.**

— მე თუ ანტისომხურ პროპაგანდას ვეწევი, ამ ლოგიკით მაშინ წმინდა ილია მართალიც ანტისომხურ პროპაგანდას ეწეოდა თავისი გენიალური „ქვათა ღაღადით“ და მეოთხე საეკლესიო ქალკედონის კრება და რუის-ურბნისის კრება ანტისომხური ყოფილა! ეს ანტისომხური იქნებოდა, მე რომ სომხებზე, როგორც ერზე ისე მელაპარაკა, მაგრამ მე აქ ეროვნებასთან საქმე არ მაქვს, მე მონოფიზიტ ქართველებთანაც იგივე სათქმელი მაქვს. ყველა მონოფიზიტთან ჩვეულებრივი, ადამიანური ურთიერთობა მაქვს, მიყვარს, მაგრამ მინდა, რომ მწვალებლობას თავი დააღწიონ. მონოფიზიტობაზე მაქვს ლაპარაკი და მონოფიზიტები, მარტო სომხები კი არა, კოპტებიც არიან ეგვიპტეში, სირიაში, ეთიოპიაში. ჩვენ მათი არასწორი სარწმუნოების წარმოჩენა და მხილება გვინდა.

**— მამაო, დღეს ამ გლობალიზაციის ეპოქაში მახსენდება ერთი მსოფლიო მოღვაწის ნათქვამი — ჩვენ დავამარცხეთ კომუნიზმი, ახლა უნდა დავამარცხოთ მართლმადიდებლობაო, რადგან ის კაცობრიობის განვითარების შემაფერხებლად სწორედ მართლმადიდებლობას მიიჩნევს. ძალიან ხშირად ლიბერალურად მოაზროვნე ადამიანებისგან მსმენია ნიშნისმოგებით ლაპარაკი — რატომ არც ერთი მართლმადიდებელი ქვეყანა არაა დღეს დაწყნარებული და მაღალგანვითარებული, თუკი ისინი მართლა სწორად მიდიან და მადლი ისევ აქვთ შენარჩუნებულიო. შედარებისთვის დაწყნარებული და განვითარებული ევროპა მოჰყავთ...**

— **ჯერ იმ ადამიანებზე მოგახსენებთ, ვისაც მართლმადიდებლობის განადგურება უნდა — ეკლესიის ისტორიას თუ გადავხედავთ, მივხვდებით, რომ უამრავი მტერი ჰყოლია ეკლესიას — ნერონი, დიოკლეტიანე, ტრაიანე, დეკიუსი, იულიანე განდგომილი, შაჰ-აბასი, ვლადიმერ ლენინი. როგორ დაამთავრეს მათ თავიანთი ცხოვრება? ზოგი შაჰ-აბასივით და დიოკლეტიანესავით შეშლილი დადიოდა, ზოგს მიწა არ ეღირსა ლენინივით.** სახარების მიხედვით, უფალი პეტრეს ეუბნება: „შენა ხარ კლდე და კლდესა ამას ზედა ავაშენო ეკლესია ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მასო“. სხვა ადგილას მაცხოვარი იძახის — ეკლესია ლოდი არის, ვინც ამ ლოდს დაეცემა, დაიმტვრევა და, ვისაც ეს ლოდი დაეცემა, გასრესსო. ეკლესიასთან ბრძოლა დასაწყისშივე დამარცხებისთვისაა განწირული. ეკლესიასთან მებრძოლი და გამარჯვებული კაცობრიობას არ ახსოვს. პიროვნება კი არა, ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ მოერევიან მას. ეკლესია უძლეველია, იგი კრავია გამარჯვებული!

ახლა კი რატომ არიან მართლმადიდებელი ქვეყნები ასეთ დღეში. ვისაც მეტი მიეცა, იმას მეტი მოეკითხება. ვისაც 5 ტალანტი მისცა უფალმა, 10 მოკითხა. ახლა რაც შეეხება, განვითარებულ და აყვავებულ ევროპას — ევროპაში კაცს რომ ჰკითხო, ღმერთი ვინ არისო, მითოლოგიური პერსონაჟი ეგონებათ. მეორედ მოსვლა და ანტიქრისტე საერთოდ ზღაპარი ჰგონიათ!

**იგივე შეიძლება ითქვას სერბეთზე — XIII საუკუნეში, როდესაც კათოლიკე ჯვაროსნებმა დაარბიეს ათონის მთა, ბიზანტია გაანადგურეს, სერბეთი კი ვერ აიღეს! რატომ? ოთხი დინასტია მეფეებისა წმინდანები ჰყავდათ და მეფის შემხედვარე მთელი ერი ღვთისმოშიშებაში ცხოვრობდა. დღეს კი, რაც სჭირთ, მათივე ბრალია, ისევე, როგორც ჩვენი ცოდვების ბრალია აფხაზეთი და სამაჩაბლო და სხვა ბევრი უბედურება! მათი ცოდვების გამო იშლება სერბეთი! როგორც ჩვენი ცოდვების გამო იშლება საქართველო!** საქართველოში მოექცეოდა ერი ღმერთისკენ — ღმერთიც მოწყალებას არ იშურებდა! გიორგი ბრწყინვალეს წერილი მინდა გავიხსენო რომის პაპთან. ეტყობა, რომის პაპი სთხოვდა მას მერვე მსოფლიო კრების მოწვევას და მეფე გიორგი კი პასუხობს: ჩვენ ერთ კრებას ვერ მოვიწვევთ, თქვენი სარწმუნოება სხვა არის, ჩვენი კი — სხვა, შეინანეთ, დაბრუნდით ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე და მერე ერთად ვილოცოთო. ასეთი მეფე რომ იყო გიორგი ბრწყინვალე, ამიტომაც გააერთიანებინა ღმერთმა მას საქართველო. უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს პირველი პირის ზნეობრივ მხარეს, რამდენად ზნეობრივადაც ცხოვრობს იგი, ისევე მიდის ქვეყნის საქმეც!

**— მამაო, თითქოს ქვეყანა, ერი ღმერთისკენ მიბრუნდა, ტაძრები შაბათ-კვირას სავსეა მრევლით, უამრავი ტაძარი შენდება, სხვა მართლმადიდებლურ ქვეყნებშიც თითქოს ღვთის გზას დაადგა ხალხი. მაშ, რა ხდება? რატომ ამდენი განსაცდელი, ტკივილი, ტანჯვა?**

— ეკლესიები რომ შენდება, რა თქმა უნდა, კარგია. მთავარია, გულით მივიდეთ უფალთან, ტაძრების რაოდენობას რა აზრი აქვს, თუ ერთმანეთის სიყვარული დავკარგეთ?

ბზობის მაგალითს გავიხსენებ. ბზობას მთელი იერუსალიმი ქრისტეს ქებით გამოეგება, ბაია, ბზა, საკუთარი სამოსელი ფეხქვეშ გაუგეს, ოსანას ეძახდნენ, იმავე ხალხმა კი უფალი ერთი კვირის შემდეგ ჯვარს აცვა. ერთი კაციც არ აღმოჩნდა ბრბოში, რომელიც იტყოდა, რომ არ აცვათ ჯვარსო! ზოგი ჩუმად იყო და ასე, თავისი დუმილით გაყიდა ქრისტე!

**— დუმილითაც შეიძლება ჯვარს აცვა ქრისტე, მამაო?**

— დუმილით გაიყიდა ქრისტე!..

ესაუბრა
**შორენა სიხარულიძე**

განათლება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

სოფელი წინაკვერკვე შვიდი კილომეტრითაა დაშორებული რაიონულ ცენტრს. იქ არ მოძრაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, არ მუშაობს არც ერთი დაწესებულება. სკოლა იყო ერთადერთი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი, ანუ ის ძაფი, რომელიც მიგრაციას აკავებდა.

## ეგვიპტის ხელისუფლებამ დისკრიმინაცია აკრძალა

**ბრძანება, რომლის მიხედვითაც დისკრიმინაციული ფორმების ყოველგვარი გამოვლინება იკრძალება, ეგვიპტის ხელისუფლებამ მას შემდეგ გამოსცა, რაც ქვეყანაში პოლიციასა და ადგილობრივ კოპტებს შორის შეტაკებას 26 ადამიანი ემსხვერპლა.** შესწორება ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა და ის სქესის, წარმომავლობის, ენისა და რელიგიის მიმართ დისკრიმინაციული გამოვლინების შემთხვევაში 5 ათას დოლარ ჯარიმას ითვალისწინებს. ეგვიპტის დროებითმა მთავრობამ ასევე განაცხადა, რომ ქვეყანაში ქრისტიანული ტაძრების მშენებლობის ნებართვის საკითხს განიხილავს.

## იემენში სამხედროები ამბოხებულთა მხარეს გადავიდნენ

**იემენის ხელისუფლების 7 ათასი სამხედრო მოსამსახურე პრეზიდენტ ალი სალეხის მოწინააღმდეგეთა მხარეს გადავიდა.** გენერალმა ალი მოხსენ ახმარმა, რომელიც ოპოზიციას მიემხრო, განაცხადა, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფი სამხედროები ამბოხებულების უფლებებს დაიცავენ. მანამდე სალეხის ძალებმა ამბოხებულებს ცეცხლი გაუხსნეს, რის შედეგადაც 22 ადამიანი დაიღუპა. იემენში ვითარება კვლავ დაძაბული რჩება. ათასობით ადამიანი პრეზიდენტ სალეხის გადადგომას ითხოვს.

## დაინიშნა დამატებითი რაუნდი

**შვეიცარული მხარის ინიციატივით, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრების საკითხზე მოსკოვსა და თბილისს შორის მოლაპარაკებების კიდევ ერთი რაუნდი გაიმართება.** შეხვედრა 20 ოქტომბერს შედგება. მოლაპარაკებების დამატებითი რაუნდის გამართვის თაობაზე შვეიცარული მხარის ინიციატივა ოფიციალურ თბილისს არ აძლევს ოპტიმიზმისა და იმის თქმის საფუძველს, რომ მოსკოვი შესაძლოა კომპრომისზე წავიდეს.

დავით ჯანაშია:

# სკოლა, რომელსაც წელს ასი წელი უსრულდება, საუკუნოვან იუბილეს ლიკვიდაციით ხვდება

**განათლების სამინისტრო ცოდნის ამაღლებას რომ არ ემსახურება, დღეს ყველა აღიარებს, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, როცა მთელი აგრესიულობით იქნა წამოწყებული ოპტიმიზაციად წოდებული პროცესი, რასაც შედეგად სკოლების მასობრივი დახურვა მოჰყვა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, განათლების სამინისტრომ მარტვილის რაიონის ოთხი სკოლის მოსწავლეებს ახალი სასწავლო წლის დაწყება სკოლების დახურვით „მიულოცა“. მათ შორისაა სოფელ წინაკვერკვეს საუკუნოვანი საჯარო სკოლა, რომლის დაბრუნებისთვისაც დღეს დიდი ბრძოლაა გაჩაღებული.**
**წინაკვერკვეს საჯარო სკოლის გარშემო შექმნილ ვითარებაზე „საქართველო და მსოფლიოს“ ადვოკატი დავით ჯანაშია ესაუბრება.**

## ტრაგედია ის კი არ არის, რომ სკოლა დაიხურა, არამედ — სოფელი რომ იცლება

— სამინისტროს გადაწყვეტილებით, წინაკვერკვეს საჯარო სკოლა მეზობელი სოფლის — ნახუნაოს საჯარო სკოლას შეუერთდა. მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის მქონე სკოლა, რომელსაც წელს ასი წელი უსრულდება, საუკუნოვან იუბილეს ლიკვიდაციით ხვდება.

**სოფელი წინაკვერკვე შვიდი კილომეტრითაა დაშორებული რაიონულ ცენტრს. იქ არ მოძრაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, არ მუშაობს არც ერთი დაწესებულება. სკოლა იყო ერთადერთი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი, ანუ ის ძაფი, რომელიც მიგრაციას აკავებდა.**

**— ბატონო დავით, რის საფუძველზე დაიხურა სკოლა, რა არგუმენტი აქვს ხელისუფლებას?**

— ჩვენი რაიონის რესურსცენტრი ოპტიმიზაციას გვისახელებს გაუქმების მიზეზად. ზოგადად ვიცით ის, რომ წინაკვერკვეს სკოლის ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით მარტვილის რესურსცენტრმა სამინისტროში გაგზავნა სამსახურეობრივი ბარათი №115, თუმცა რა ბარათია ეს და როდის გაიგზავნა ან საერთოდ ასლი მაინც თუ დაიტოვეს, არავინ იცის. ამიტომ ჩვენ სასამართლოს გზით მოვითხოვთ ამის გარკვევას.

**— სკოლის დახურვის შემდეგ, ბავშვების გადაადგილების ხელშეწყობის მიზნით, რაიმე სახის ტრანსპორტის დანიშვნაზე არ უფიქრია ხელისუფლებას?**

## «მოსწავლეებს 5-6 კილომეტრის გავლა ფეხით უხდებათ. შედეგად რამდენიმე მოსწავლემ საერთოდ ვერ შეძლო ახალ სკოლაში სიარული»

— **თავიდან იყო დაპირება, რომ მოსწავლეებისთვის ავტობუსს დანიშნავდნენ, მაგრამ უკვე ორი თვე გავიდა სწავლის დაწყებიდან და სასიკეთოდ არაფერი შეცვლილა. მოსწავლეებს 5-6 კილომეტრის გავლა ფეხით უხდებათ. შედეგად რამდენიმე მოსწავლემ საერთოდ ვერ შეძლო ახალ სკოლაში სიარული.** შემიძლია დაგისახელოთ ორი მათგანი — ნოდარ და მარიამ ზარქუები. დღემდე არავინ დაინტერესებულა ამ ბავშვების ბედით. მშობლებმა თავიანთი შვილები თუ ფოთში, თუ სენაკში წაიყვანეს სასწავლებლად, ზოგიც რაიონულ ცენტრში ჩამოსახლდა.

**— გამოდის, რომ განათლების სამინისტრომ თავისი გადაწყვეტილებით, მარტო სკოლა კი არ გააუქმა, არამედ სოფელიც დააყენა დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე...**

— დიახ, სამწუხაროდ, ასეა. ტრაგედია ის კი არ არის, რომ სკოლა დაიხურა, არამედ — სოფელი რომ იცლება. ერთი წლის წინ მეზობელ სოფელ ლექაჯაიეში დაიხურა სკოლა, რომლის მოსწავლეები შარშან წინაკვერკვეს საჯარო სკოლაში გადმოვიდნენ.

**— ადგილობრივ ხელისუფლებას რა პოზიცია აქვს სკოლის დახურვასთან დაკავშირებით?**

— ჩვენ თავიდანვე მივმართეთ ადგილობრივ ხელისუფლებას დახმარებისთვის. იყო სიტყვიერი დაპირებები, რომ გაერკვეოდნენ საქმის არსში, მაგრამ საერთოდ არაფერი მოუმოქმედებიათ.

**— ბატონო დავით, გამოდის, რომ განათლების სამინისტრომ დაარღვია განათლების ხელმისაწვდომობის პრინციპი?!**

— დიახ, მე მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არ უნდა გაეუქმებინათ წინაკვერკვეს საჯარო სკოლა, მითუმეტეს ახლახან გაარემონტეს, ინტერნეტი შეიყვანეს... ბავშვების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ყოველივე ამის ფონზე გაურკვეველია, რატომ მიიღეს მსგავსი გადაწყვეტილება.

მერე იყო დაპირებები, რომ მოსწავლეების ტრანსპორტირებას უზრუნველყოფდნენ. ახლახან კი ამოტივტივდა ვერსია, რომ თითქოსდა ოთხწლიან სკოლას ტოვებენ და ამის გამო თავი შეიკავეს ტრანსპორტის დანიშვნისგანო.

**— დაასაქმეს თუ არა წინაკვერკვეს მასწავლებლები?**

— მხოლოდ ორი, რის გამოც ამჟამად ძალიან დაიძაბა პედაგოგებს შორის ურთიერთობა.

**— სასამართლოში სარჩელის შეტანის შემდეგ პედაგოგებს ან თქვენ ხომ არ გემუქრებოდნენ?**

— ვფიქრობ, ჩვენი კანონიერი უფლებების დაცვა სასამართლოს გზით ბევრს არ სიამოვნებს. იყო ზეწოლის გარკვეული მცდელობები, რათა სარჩელი გამოგვეტანა. როცა ჩვენ დავიწყეთ ჩვენი უფლებების დაცვა და საქმის აღძვრას ვაპირებდით თბილისის სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში, გაურკვეველი მოტივით, ხელფასები შეუჩერეს პედაგოგებს. ჩათვალეს, ამით ხელს შეგვიშლიდნენ, მაგრამ მარტვილელ სამართალდამცავთა ჩარევით პრობლემა მოგვარდა, რისთვისაც დიდი მადლობა მათ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი პროცესუალური მოწინააღმდეგეები არიან.

**— ბატონო დავით, საინტერესოა, რამდენად უქმნის ნახუნაოს საშუალო სკოლა ბავშვებს კომფორტულ გარემოს, ანუ შეესაბამება თუ არა ოპტიმიზაციის პირობებს ნახუნაოს სკოლა?**

— **ნახუნაოს სკოლა სულს ღაფავს. იგი ყაზარმული ტიპის ქვითკირის შენობაშია განთავსებული, სადაც ელემენტარული სასწავლო პირობები არ არის. სახურავი და ჭერი დაზიანებულია, ასევე — იატაკი. მოსწავლეებს ეზოში პრიმიტიული სპორტული მოედანიც არ აქვთ, მერხებსა და დაფებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ასევე არ არის კვების ობიექტი, ბავშვები რომ დანაყრდნენ.** ჩვენ თბილისის სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში წარვადგენთ ამ სიტუაციის ამსახველ ფოტომასალას.

**— თავიდანვე არ გიცდიათ ეს საკითხი ფართო საზოგადოების საჯარო მსჯელობის საგნად გექციათ?**

— მადლობელი ვართ თქვენი რედაქციის, რომ დაინტერესდით ჩვენი ბედით, ვინაიდან სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში ვიმყოფებით. გვინდოდა, ეს გაგვეხმოვანებინა მარტვილის ტელევიზიით, მაგრამ რატომღაც ამ ბოლო პერიოდში მარტვილის ტელევიზიამ შეწყვიტა ფუნქციონირება.

**— წინა ნომრისთვის მასალას როცა ვამზადებდით, მარტვილის რაიონის რესურსცენტრის უფროსმა სონია ჭოჭუამ გვითხრა, რომ 2014 წლისთვის მარტვილის რაიონში 36 სკოლიდან მხოლოდ 8 დარჩება. ამით იმის თქმა მინდა, რომ ეს ოპტიმიზაცია გარკვეულწილად ხომ არ არის დროებითი ღონისძიება და, შესაძლოა, 2014 წლისთვის ნახუნაოს სკოლაც დაიხუროს?**

— სკოლების გაუქმება ძალიან ცუდი ტენდენციაა, რაც ჩვენს ერს კარგს არაფერს უქადის. დასასრულს, მინდა მივმართო ჩემს ოპონენტებს, რომ ჩვენ ძალასა და ენერგიას არ დავიშურებთ ამ საქმის ბოლომდე მისაყვანად, და თუ რაიმე არ გამოგვივიდა, გზავნილს მაინც დავუტოვებთ მომავალ თაობას, რომ ეს იყო ჩვენი პოზიცია. **დღეს მთავარი ის კი არ არის, ჩვენ წავაგებთ თუ ისინი, მთავარია, მომავლის წინაშე არ წავაგოთ და ჩვენი დღევანდელი საქციელით ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს არ ვავნოთ.**

ესაუბრა
**გიორგი ლაშხი**

მოკლედ

## ასანჟი ლონდონში დემონსტრანტებს შეხვდა

**ვიკილიკსის დამფუძნებელი ჯულიან ასანჟი ლონდონში ასობით დემონსტრანტს შეხვდა და ქვეყნის მსხვილი ბანკების გადარჩენის მეთოდებსა და ფინანსური ბაზრების კორუფციაზე ესაუბრა.** ასანჟი აქციაზე გაძლიერებული დაცვის თანხლებით მივიდა და დემონსტრანტებს წმინდა პავლეს ტაძრის კიბიდან მიმართა. „ლონდონის საბანკო სისტემა მსოფლიოში ყველაზე მსხვილი საბანკო სისტემაა, რომელიც ბაზარზე შავი ფულის მიმღებია“, — განაცხადა ასანჟმა. ლონდონში აქციის მონაწილეები მკაცრი ეკონომიკური რეფორმების წინააღმდეგ გამოდიან.



## Amnesty International-ი ბუშის დაკავებას ითხოვს

**Amnesty International-ი კანადის ხელისუფლებას აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის დაკავებას სთხოვს. აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი კანადას 20 ოქტომბერს ეწვევა.** უფლებადამცველები ბუშს მთელ რიგ დანაშაულებებში ამხელენ. კერძოდ, ისინი ამტკიცებენ, რომ ბუში პრეზიდენტის პოსტზე ყოფნისას ტერორისტულ საქმიანობაში ეჭვმიტანილების მიმართ წამების გამოყენების ბრძანებას იძლეოდა. სამი თვის წინ Human Rights Watch-მა ასევე მოუწოდა უცხო ქვეყნის ხელისუფლებებს ჯორჯ ბუშისა და რამდენიმე მაღალჩინოსნის წინააღმდეგ სამხედრო დანაშაულებების გამო ძებნა გამოაცხადონ.

„თუ საპატრიარქოში სასულიერო პირებს შორის აზრთა სხვადასხვაობა არ არსებობს, მაშინ რას ნიშნავს სასულიერო პირთა საპატრიარქოსგან განსხვავებული მოსაზრებები, რომლებიც პრესაში პერიოდულად იბეჭდება?“.

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## მამა ელიზბარი:

# საპატრიარქოსა და ხელისუფლების იმგვარ ერთიანობას, რაც დღეს გვაქვს, ერისთვის მხოლოდ სავალალო შედეგი მოჰყვება



**ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მოვლენებზე საკუთარ მოსაზრებებს „საქართველო და მსოფლიოს“ მამა ელიზბარი (დიაკონიძე) უზიარებს.**

**— მამაო ელიზბარ, ჩვენთან ინტერვიუში არა ერთხელ გითქვამთ, რომ საპატრიარქოში განხეთქილებაა, თუმცა ცოტა ხნის წინათ გავრცელდა საქართველოს პატრიარქის განცხადება, სადაც მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საპატრიარქო ერთსულოვნად იღებს გადაწყვეტილებებს, ხოლო ის, ვინც ცდილობს, ჩირქი მოსცხოს ეკლესიას, მკაცრად დაისჯება. არ ფიქრობთ, რომ თქვენც გეხებათ პატრიარქის განცხადება?**

— ჩვენი უნიათობისთვის, იმისთვის, რომ ჩვენი სამშობლო და ჩვენი ეროვნება არად გვილირს, უფრო მკაცრად დავისჯებით. საქართველოს საპატრიარქოს სურს, გამოჩნდეს, თითქოს ერთსულოვნად იღებენ გადაწყვეტილებებს, მაგრამ ჩვენ, ქართველებს, გვაქვს გამოთქმა: „კაცმა მალა, მალაო, ჭირმა თავი არ დამალაო“... **თუ საპატრიარქოში სასულიერო პირებს შორის აზრთა სხვადასხვაობა არ არსებობს, მაშინ რას ნიშნავს სასულიერო პირთა საპატრიარქოსგან განსხვავებული მოსაზრებები, რომლებიც პრესაში პერიოდულად იბეჭდება?**

აღნიშნული განცხადების შემდეგ, მოსალოდნელია, უწმინდესმა კურთხევა მისცეს იმ ეპისკოპოსებს, რომლებიც წინააღმდეგნი იყვნენ რელიგიური გაერთიანების შესახებ მიღებული კანონისა, რათა ისინი გამოვიდნენ და საჯაროდ განაცხადონ, რომ პატრიარქისა და მთავრობის გვერდით არიან და ერის აღორინების საქმეს ემსახურებიან, ვინაიდან უწმინდესმა ქადაგებაში ბრძანა, რომ ჩვენ ხელისუფლებასთან ერთად ვფიქრობთ ერის პრობლემების გადაჭრაზეო. წესით, **ყველა მართლმადიდებლური ქვეყნის ხელისუფლება უნდა ფიქრობდეს საპატრიარქოსთან ერთად ერის სულიერებაზე, რწმენის გაძლიერებაზე და ამაში ცუდი არაფერი იქნებოდა, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ ხელისუფლება ასე არ ფიქრობს და საპატრიარქოსა და ხელისუფლების იმგვარ ერთიანობას, რაც დღეს გვაქვს, ერისთვის მხოლოდ სავალალო შედეგი მოჰყვება.**

**— მართალია, პერიოდულად ვრცელდება ინფორმაცია ხელისუფლებასა და საპატრიარქოს შორის არსებულ დაპირისპირებაზე, Wiki-Leaks-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშიც მოყვანილია აშშ-ის მაშინდელი ელჩის, ჯონ ტეფტის ნათქვამი, რომ „საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია სააკაშვილის ადმინისტრაციის გავლენიანი და შეუცვლელი მეკავშირეა“. თუმცა რა იქნება იმ შემთხვევაში, თუ ტრადიციულ ღირებულებებთან მიმართებაში ეკლესიის დამოკიდებულება და სააკაშვილის გეგმები არ დაემთხვევა, არავინ იცის... მაგრამ ამ ეტაპზე რას ვითხოვთ პატრიარქისგან? საპატრიარქო ღიად რომ დაუპირისპირდეს ხელისუფლებას, შესაძლოა, ამან მოვლენების არასახარბიელო განვითარება გამოიწვიოს.**

— კითხვაზე შემიძლია კითხვითვე გიპასუხოთ: მაშინ რა უნდა ქნას საპატრიარქომ, არ დაუპირისპირდეს ხელისუფლებას და ამით ავტომატურად დაუპირისპირდეს ხალხს? დადგეს ხელისუფალის, იმ 70 დეპუტატის გვერდით და ქართველი ხალხის იგნორირება მოახდინოს? ჩვენ არ გვაქვს უფლება, ეს ქვეყანა ვილაცებს ვანაცვალოთ. იდეა, რომ ეკლესია ხელისუფლებასთან ერთად უნდა მართავდეს ქვეყანას, კარგია, მაგრამ, ამ იდეის გაუკუღმართების შემთხვევაში, ეკლესია, ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა მოქმედებდეს. თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენს ეკლესიას დღეს არ აქვს ეროვნული მოღვაწეობის პროგრამა. საპატრიარქოში უამრავი განყოფილებაა, მათ შორის, ევანგელიზაციის განყოფილებაც, მაგრამ არ არსებობს ქართული კულტურის განყოფილება!

**— საზოგადოების კრიტიკას, პირადად სააკაშვილმა ასე უპასუხა: მართალია, ვიღაცები ლაყბობენ, რომ ხელისუფლება ეკლესიას ებრძვის, მაგრამ 500-ზე მეტი ტაძარი აღვადგინეთო. მართლა ხომ შეკეთდა და აშენდა ბევრი ეკლესია?**

— ლენინის მითითება არსებობდა ფელიქს დერჟინსკისადმი: გამოაცალეთ ეკლესიას მთავარი — სული, ხოლო შენობებს ნუ ერჩითო. ეკლესია-მონასტრების აშენება-რესტავრაციით ხელისუფლება ისევ ფულის შოვნაზე ფიქრობს; ტურისტების მოზიდვა უნდათ, რათა უცხოელი დამსვენებლები დაატკბონ. სინამდვილეში **ამ მასონური ხელისუფლების მიზანია, ეკლესია იყოს შერყვნილი, დასუსტებული და, თუ ჩვენ სიმართლეს დავმალავთ, ხელისუფლების ქმედებებს უნებურად ხელს შევუწყობთ.**

რაც ამ დღეებში საკუთარი თვალით ვნახე, შემძრა. აღმაშენებლის გამზირზე, ძველი კონოსტუდიის შენობასთან, სპეციალურად სარკოზის ვიზიტის გამო, სამი ავტობუსით ჩამოყვანილი, „გადამალული“ ადამიანები ისხდნენ და ელოდნენ პრეზიდენტის თითის გატკაცუნებას, რომ მის დაძახილზე რუსთაველის გამზირზე მისულიყვნენ. სპორტის სასახლის უკანაც 12 ავტობუსი იდგა. რაში სჭირდებათ, ვის ატყუებენ? კარგი, ბატონო, სარკოზიმ დაინახა, რომ მოედანი სავსეა. ბუშიც ჩამოვიდა, ორი ხინკალი შეჭამა, აჭარულიც იცეკვა და წავიდა. რა მივიღეთ? რაიონებიდან ძალით ჩამოიყვანეს პედაგოგები, სამინისტროების, მერიის, გამგეობის თანამშრომლები, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი სამსახურს დაკარგავდნენ. ჩემთვის მაინც გაუმართლებელია ასეთი საქციელი. არ შეიძლება ხელფასის დაკარგვის შიშით ასე მოიქცე. უფალი არ გვაპატიებს. უფალი არც იმ სიმართლის დაფარვას გვაპატიებს, რომლის გამოც ერი ირყვნება და ჭაობში იძირება.

თუმცა მინდა ორი ახალი ამბავი მივულოცო ქართველ ხალხს; ერთი: 27 სექტემბერს ქვეყანას მოევლინა მომავალი მეფე გიორგი ბაგრატიონი, და მეორე: ბიზნესმენი ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკურ პარტიას ქმნის.

ძალიან პასკვილური გადაცემა გავიდა ტელევიზიით, სადაც ირონიულად ითქვა, რომ ხან ვინ წამოიმხობს თავზე და ხან ვინ ბაგრატიონების გვირგვინსო, მაგრამ ბაგრატიონების გვარი მირონცხებულია და ასეთი გადაცემებით ვერაფერს დააკლებენ.

**— თავად ბაგრატიონებს შორისაც ხომ განხეთქილებაა? თავადაც ვერ არკვევენ, ვის ეკუთვნის ჯერ არარსებული სამეფო ტახტი.**

— კი, ბატონო. ისტორიულად ბაგრატიონებს შორის სულ იყო განხეთქილება, მაგრამ ყველაფერი გვარდებოდა. დავით ბაგრატიონი ესპანეთში გაიზარდა, მაგრამ მაგას არ აქვს მნიშვნელობა, მთავარია, როგორ აღიზარდა.

ჩვენ სულ სხვა მოსაზრება გვქონდა ამ ქორწინებასთან დაკავშირებით, გვსურდა, დავით ულუს და ნარინის შემდეგ საქართველოს ორ ნაწილად გაყოფილი ტახტი კვლავ გაერთიანებულიყო და ირაკლი ბატონიშვილი და ანა ბაგრატიონი დაქორწინებულიყვნენ. მაგრამ ეს მოსაზრება საპატრიაქრომ არ გაიზიარა.

**ახლა მთავარია, ბატონიშვილი გიორგი მკაცრ, მართლმადიდებლურ გარემოში აღიზარდოს. ამისთვის კი, ვფიქრობ, ყველაზე შესაფერისი გარემო რუის-ურბნისის ეპარქიაა. სწორედ მეუფე იობს უნდა დააკისროს ერმა ეს დიდი მისია — მემკვიდრის აღზრდა.**

„წმინდა გიორგის სადროშოს“ სახელით ვულოცავ ქართველ ხალხს მონარქის დაბადებას და მონარქიის აღდგენას. მონარქია ჩემთვის უკვე აღდგენილია, რადგან ეს პრეზიდენტი ჩემთვის ლეგიტიმური არ არის და არამარტო ჩემთვის... სხვათა შორის, თავად ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემაც აღიარა ამ ცოტა ხნის წინათ, „ეხო მოსკვისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, რომ 2008 წლის არჩევნები გაყალბდაო. ის მაშინ, მოგეხსენებათ, პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა და კარგად იცის, რაც მოხდა.

**— მამაო ელიზბარ, მონარქიის კრიტიკოსებს აქვთ საკმაოდ სერიოზული არგუმენტი, რომ ქვეყანას არ სჭირდება მეფე, რომლის შენახვაც კისერზე დააწვება გაჭირვებულ ხალხს და საქართველოს ბიუჯეტს.**

— თქვენ თუ ფიქრობთ, რომ ეს იქნება მეფე, რომელიც ტახტზე წამოწვება, — კი, მაგრამ ასე არ იქნება.

**— სად არის გარანტია, რომ ასე არ იქნება?**

— მომავალი მონარქის აღზრდა იქნება ამის გარანტია. უნდა აღდგეს კონსტიტუციური მონარქია. მეფე უნდა იყოს ქმედითი და არა ფორმალური. მონარქიულ ქვეყნებშიც შრომობენ მონარქები, არავინ არაა მხარ-თეძოზე წამოწოლილი.

ესაუბრა
**შორენა ციჩქარაშვილი**

**«ამ მასონური ხელისუფლების მიზანია, ეკლესია იყოს შერყვნილი, დასუსტებული და, თუ ჩვენ სიმართლეს დავმალავთ, ხელისუფლების ქმედებებს უნებურად ხელს შევუწყობთ»**

## თურქეთი ევროკავშირთან ურთიერთობის შეჩერებით იმუქრება

**თუ 2012 წლის ივლისში ევროკავშირის თავმჯდომარე სახელმწიფო კვიპროსი გახდება, თურქეთი ევროკავშირის 27 ქვეყანასთან ურთიერთობას გაყინავს.** ამის შესახებ თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა განაცხადა. მისი თქმით, თურქეთს არ სურს დიპლომატიური ურთიერთობა „ეგრეთ წოდებულ სახელმწიფოსთან“, ანკარა კი კვიპროსის ბერძნული ნაწილის სუვერენიტეტს არ აღიარებს. თურქეთი კვიპროსის გაერთიანების ინიციატივით გამოდის. ერდოღანის თქმით, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საუბარი მასზე, როგორც ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანაზე.



## ნიუ იორკში 70 დემონსტრანტი დააკავეს

**ნიუ იორკში, მანჰეტენზე, საზოგადოებრივი კამპანია „გადაკეტე უოლ-სტრიტის“ 70 მონაწილე დააკავეს.** ამერიკული პრესის ცნობით, ქალაქის ერთ-ერთი მთავარი მოედანი „ტაიმს-სკვერი“ რამდენიმე საათის განმავლობაში აშშ-ის ფინანსური პოლიტიკით უკმაყოფილო ათასობით ადამიანმა დაიკავა. არეულობისას 10-მდე პოლიციელი დაშავდა, ყველა მათგანი ჰოსპიტალიზებულია. დაუზუსტებელი მონაცემებით, აშშ-ის ფინანსური პოლიტიკის წინააღმდეგ საპროტესტო აქციაში 50 ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა.

## იტალიაში თავდაცვის სამინისტროს შენობა გადაწვეს

**იტალიის დედაქალაქ რომში საპროტესტო აქციის მონაწილეებმა ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს შენობა გადაწვეს.** პოლიციამ საპასუხოდ დემონსტრანტების წინააღმდეგ წყლის ჭავლი და ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. დაკავებულია ასობით ადამიანი. საპროტესტო აქციის მონაწილეების ნაწილმა დაწვა ავტომობილები და ჩაამსხვრია ვიტრინები. ათი ათასობით იტალიელი სილვიო ბერლუსკონის ფინანსურ პოლიტიკას აპროტესტებს. სხვადასხვა მონაცემით, აქციაში 200 ათასამდე დამიანი მონაწილეობდა.

რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ღმერთს რომ ეროვნული და ენობრივი ნიშნით არადიფერენცირებული სამყარო ნდომებოდა, მაშინ შვიდი ათასი წლის წინათ არ დაარღვევდა ბაბილონის გოდოლს. სწორედ მისმა დაშლამ განაპირობა ერთა ტრადიციული აღზრდა, ეროვნულ ფასეულობათა სიმტკიცე და თავისთავადობა.**

**უფლის კვართის ჩამობრძანებით, არა მარტო მისი შენახვა დაგვეკისრა, არამედ მისთვის თავდადება და ჯვარცმა. თავისთავად ისიც გვიცავდა, როდესაც ჩვენი ქვეყნის საზღვრებს მტრის უთვალავი ურდო მოადგებოდა, მაცხოვარი უხილავად ქართველ ერს მისი პერანგით შემოსავდა და ასე მარცხდებოდნენ სარწმუნოების მტრები**



# ჩვენი სამშობლო უფალია

**„ნოეს სამივე შვილის შთამომავალნი თავდაპირველად ერთად ცხოვრობდნენ, ერთი ქვეყანა ეჭირათ, ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ, ერთ ხალხს შეადგენდნენ, მაგრამ, რადგანაც მაშინ ადამიანები მეტად დღეგრძელნი იყვნენ, ამიტომ ხალხი ძალიან გამრავლდა და ერთად აღარ ეტეოდა. დღეს თუ ხვალ უნდა დაყოფილიყვნენ ცალ-ცალკე თემებად და აქეთ-იქით დაფანტულიყვნენ საცხოვრებლად. მაშინ მათ ერთად მოიყარეს თავი და სთქვეს: „მოდით, სანამ ერთად ვართ და ჯერ კიდევ არ წავსულვართ, ისეთი რამ ავაშენოთ, რომ ჩვენი სახელის სახსოვრად და სადიდებლად საუკუნოდ დარჩეს, და, როცა მას შეხედავენ ჩვენი შთამომავალნი, განცვიფრებულებმა თქვან ჩვენზედ: რა მრავალნი, მძლავრნი და ხელოვანნი ყოფილანო“. თქვეს და ასრულებასაც შეუდგნენ, გამოწვეს უთვალავი აგური და დაიწყეს ბაბილონში ერთი უშველებელი სვეტის, ანუ გოდოლის აშენება, რომელსაც, მათი განზრახვით, ცისთვის უნდა მიებჯინა წვერი, მაგრამ ღმერთს არ მოეწონა მათი ეს საქმე. უფალს სძულს უგუნური და ყველასათვის უსარგებლო საქმე. ამიტომ მან აურია მშენებელთ ენა: უცებ სხვადასხვა ენაზე იწყეს ლაპარაკი, ერთმანეთის არა ესმოდათ რა და იძულებულნი დაიყვნენ თემებად, გაიფანტნენ, ცალ-ცალკე ადგილები ამოირჩიეს საცხოვრებლად და სხვადასხვა ხალხები წარმოშვეს. ასე დაბადა უფალმა ყველა ენა და ამით ყოველ კაცს აჩვენა, რომ მას უნდა უყვარდეს თავისი დედაენა, როგორც უფლისაგან მოპოვებული საუნჯე და ძვირად უნდა აფასებდეს მას“.**

ერი, უპირველეს ყოვლისა, ბოლომდე შეუცნობი, სულიერი ორგანიზმია, რომლის არსებობასაც ღვთის ნება და ის მისია განაპირობებს, რაც მას დაეკისრა. ერები, ისევე, როგორც ადამიანები, ოდესღაც იბადებიან და კვდებიან და, ალბათ, მათი მკვდრეთით აღდგომაც შესაძლებელია. ეპოქების მიხედვით, ერის ფენომენზე, მის წარმოშობაზე სხვადასხვა აზრი არსებობდა, მაგრამ ამ აზრთა შორის დომინანტი იყო ღვთაებრიობის პრინციპი. ძველი ბერძნები თუ ლათინები თავიანთ წინაპრებად ოლიმპოელ ღმერთებს მიიჩნევდნენ. შუა საუკუნეებში ქრისტიანებიც და მუსლიმებიც თავიანთ წარმოშობას ბიბლიის პერსონაჟებს უკავშირებდნენ.

XIX-XX საუკუნეებში ევროპული მეცნიერება შეეცადა, უარეყო ერების წარმოშობის ღვთაებრიობის იდეა და სანაცვლოდ წინ წამოეწია სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები, მაგრამ ამაოდ. მხოლოდ სოციალურ და ეკონომიკურ მექანიზმებს როდი შესწევს უნარი, შექმნას კულტურა, იგი სულიერების ნაყოფია; და უარყო ერი, როგორც სულიერი ინდივიდი, ნიშნავს უარყო ეროვნული კულტურა. არადა, მსოფლიო ცივილიზაცია ეროვნულ კულტურათა ერთობლიობაა; **ღმერთს რომ ეროვნული და ენობრივი ნიშნით არადიფერენცირებული სამყარო ნდომებოდა, მაშინ შვიდი ათასი წლის წინათ არ დაარღვევდა ბაბილონის გოდოლს. სწორედ მისმა დაშლამ განაპირობა ერთა ტრადიციული აღზრდა, ეროვნულ ფასეულობათა სიმტკიცე და თავისთავადობა.**

„ცათამჯენის“ აღმართვა, ალბათ, იმიტომ გახდა აუცილებელი, ბიბლიური წარმომავლობა ეროვნულში გადაზრდილიყო და საკუთარი ენითა და ნიშნით ედიდებინა ქვეყნის შემოქმედი. მამულის, ენისა და სარწმუნოების მრწამსით შეექმნა სამება ერთარსების მიწიერი დანიშნულება, რომ ქებაი და დიდებაი, ბაბილონის ჩამორღვეული კედლებიდან იოანე ზოსიმეს ენით აღვლენილიყო იმაზე მაღლა, ვიდრე გოდოლი მიაღწევდა. **„ამიტომ კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, ილვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლით იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი, თავისსავე შეუმჩნევლად, დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს, ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო, მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარყოს თავისი თავი. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავის თავის პატრონი, თვითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარის ძალ-ღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა“.**

ქართველთა მოდგმის ისტორიაც ბაბილონის გოდოლის ეპოქიდან იწყება, რომლის შენება იყო აქტი, მიზანს კი კაცობრიობის ერთფეროვნების, უნიტარულობის შენარჩუნება წარმოადგენდა. არადა, უფლის ნება იყო, რომ ადამიანები, როგორც პიროვნულად, ისე ერების სახით, ინდივიდუალურნი, თვითმყოფადნი, თავისებურნი ყოფილიყვნენ. ერთი ნათესავი ერების მოდგმა, როგორც წმინდა იოანე ოქროპირი გვაუწყებს, არ მონაწილეობდა გოდოლის შენებაში. როგორც წარღვნის ჟამს ნოე და ძენი მისნი, ასევე გოდოლის შენებისას სემის შთამომავალთა ერთი მოდგმა მაინც უეჭველი იცავდა „სამეუფო გზას“.

**ბაბილონის გოდოლის შენების დროსაც არსებობდნენ რჩეულნი, რომელთათვისაც ქამის შთამომავალ ნებროთიანთა ამპარტავნული ახირება უცხო და მიუღებელი იყო. ეს სწორედ ის მოდგმაა, რომელიც გოდოლის რღვევის შემდეგ, კავკასიაშუამდინარეთიდან არ განუდევნია უფალს, სხვათა მსგავსად არ განუფანტავს. გოდოლის რღვევის შემდეგ, კავკასიასა და შუამდინარეთში, მხოლოდ სემისა და ებერის შთამომავალნი დარჩნენ.**

„გოდოლურ“ მოდგმებში ეროვნული ენა მოდგმათა გამმიჯნავ, უმთავრეს ბერკეტად იქცა. ებერიანებში, რომელნიც გოდოლამდე გაემიჯნენ დანარჩენ კაცობრიობას, ენას, ლექსიკას სულ სხვა დატვირთვა ენიჭებოდა. ებერიანნი მარადიულ, ანტიგოდოლისტურ ინდივიდუალურ მუხტს ატარებდნენ. მათ არ ეშინოდათ უცხო ენათა ექსპანსიისა, რადგანაც არ არსებობდა ამქვეყნიური ფაქტორი, რომელიც ებერიანთა თვითმყოფადობას საფრთხეს შეუქმნიდა. ერმა მისი ნამდვილი დანიშნულება უნდა გაიგოს და აღასრულოს ღვთისგან მინიჭებული უფლება. **„მრავალნი არიან ჩინებულ, ხოლო მცირედნი რჩეულ“.**

ყველა მოწოდებულია გადარჩენისთვის, მაგრამ რჩეულობა, უფლის გულმოწყალების გარდა, ჩვენი სურვილის ხარისხზეა დამოკიდებული. საქართველო ეკუთვნის იმ რჩეული ქვეყნების რიცხვს, რომელთაც ბიბლიურ სამყაროსთან ინტენსიური ურთიერთობის პატივი ხვდა წილად. **„ხოლო შემდგომად ამისსა, ვითარ გარდახდა ოცდაათი წელი, მაშინ მოუწერა ანა მღდელმან უერუსალემით მამის მამისა ჩემისა ელიოზის თანა ესრეთ, ვითარმედ: „იგი რომლისათვის სპარსნი მეფენი ძრუნითა მოვიდეს, აღზრდილ არს იგი ჰასაკსა სზომსა მიწევნულ არს, და თავსა თვისსა ხადის ძედ ღმრთისად, მოვედით ყოველნი სიკვდილსა მისსა, რათა აღესრულოს მცნება მოსესი“. და წარვიდა აქათ ელიოზ, მამის მამა ჩემი, კაცი მოხუცებული; და ესუა მას დაი ერთი და ევედრებოდა ელიოზს დედა მისი ესრეთ: „წარვედ, შვილო, წოდებასა მეფისასა და წესსა სჯულისასა; ხოლო რომელსა იგი განიზრახვენ, ნუ შეერთვინ ცნობა შენი, ნუ, შვილო, რამეთუ იგი არს სიტყუა წინასწარმეტყველთა და იგავი ბრძენთა“.**

საინტერესოა, ქართლიდან წასულები რა მისიის აღსასრულებლად მიაშურებდნენ გოლგოთას, უბრალოდ, იმიტომ, რომ მაცხოვრის ტანჯული სახისთვის შეეხედათ, თუ მის ხელთუქმნელ პერანგს, ღვთისმშობლის მიერ მოქსოვილ კვართს განსაკუთრებით დაიმარხავდნენ გულში, ვიდრე მეორედ მოსვლამდე. **„ხოლო ოდეს დამსჭუალეს უფალი და პასანიკმან კვერითა დაჰკრა სამსჭვალთა, აქა დედასა ელიოზისა ესმა, და იკრჩხიალნა და თქვა: „მშვიდობით, მეფობაო ჰურიათაო, რამეთუ მოჰკალთ თავისა თქუენისა მოცხოვარი და იქმენით მკვლელ შემოქმედისა“.** იქ მყოფთა შორის მცხეთიდან წასულების დანიშნულება მრავლისმთქმელი და მეტად საპასუხისმგებლო იყო. **„ხოლო კუართი იგი უფლისა წილით ხვდა მცხეთელთა: წარმოიღო ელიოზ და მოიღო მცხეთას და მიეგება დაი მისი, შესუარული ცრემლითა: მოეხვა ყელსა ძმასა თვსსა და მოუღო სამოსელი იგი იესოსი, შეიტკბო მკერდსა თვსსა და მსწრაფლს სულნი წარხდეს“.**

**უფლის კვართის ჩამობრძანებით, არა მარტო მისი შენახვა დაგვეკისრა, არამედ მისთვის თავდადება და ჯვარცმა. თავისთავად ისიც გვიცავდა, როდესაც ჩვენი ქვეყნის საზღვრებს მტრის უთვალავი ურდო მოადგებოდა, მაცხოვარი უხილავად ქართველ ერს მისი პერანგით შემოსავდა და ასე მარცხდებოდნენ სარწმუნოების მტრები.** ხშირად, ჩვენდა გასაოცრად, დამპყრობელთა რიგებში, ერთმორწმუნე სახელმწიფოები უფრო დაუნდობლები იყვნენ, ვიდრე მტარვალი თემურ ლენგის პირსისხლიანი მეომრები. ბიზანტიური ტიტულებისთვის ბრძოლა ერს ძვირად უჯდებოდა, მით უფრო, მაშინ, როცა ლიპარიტობა ავადმყოფობად გვექცა, რამაც ერთიანი საქართველოს საწყის პერიოდში იჩინა თავი. მეფეს გარეშე მტრისთის ▶

## სოროსმა უოლ სტრიტზე მიმდინარე აქციებს დაუჭირა მხარი

**ამერიკელმა მილიარდერმა და ინვესტორმა ჯორჯ სოროსმა მხარი დაუჭირა საპროტესტო აქციებს, რომლებიც ნიუ იორკში, უოლ სტრიტზე დაიწყო და შემდეგ სხვა ქალაქებსაც მოედო. სოროსმა მასმედიას განუცხადა, რომ ესმის გადასახადის გადამხდელების, რომელთა ფული კრიზისისგან დაზარალებული ბანკების დასახმარებლად იხარჯება.**

„საჭიროა არა ფულის ჩადება ბანკების კეთილდღეობაში, არამედ მათი ცუდი აქტივებისგან გათავისუფლება და მათთვის მოგების დამოუკიდებლად მიღების საშუალების მიცემა. კრიზისიდან საკუთარი ძლებით გამოსული ბანკები უხვ შემოსავლებს მიიღებენ, საიდანაც ასევე უხვ ბონუსებს გადაუხდიან თანამშრომლებს“, — განაცხადა სოროსმა.

## ყოფილმა მღვდელმსახურმა თავი დაიწვა

**ჩინეთის პროვინცია სიჩუანში ყოფილმა მღვდელმსახურმა თავი დაიწვა. ინციდენტი კირტის მონასტერთან ახლოს მოხდა.** 19 წლის დემონსტრანტმა თავის დაწვამდე ტიბეტის თავისუფლების მოთხოვნები გააჟღერა. ადამიანის უფლებების დამცველთა განცხადებით, პოლიციელებმა შეძლეს ცეცხლის ჩაქრობა. მათივე თქმით, მხოლოდ მიმდინარე წელს 8 სასულიერო პირმა და ყოფილმა მღვდელმსახურმა ანალოგიურად სცადა საკუთარი თავის დაწვა, რის მიზეზადაც ჩინეთის მიერ ტიბეტისადმი უსამართლო პოლიტიკა სახელდება.

რელიგია

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კონსტანტინე XII-მ ყური არ უგდო გენადი სქოლარიოსის წინასწარმეტყველებას, რომ ჭეშმარიტი სარწმუნოების ღალატისთვის უფალი ქალაქს მტერთა მიერ გასანადგურებლად მიატოვებს. წმინდა სოფია დაცარიელდა... 1453 წლის 29 მაისს დიდი კონსტანტინეპოლი დაეცა.

## «ყოველ ღამით სამაჩაბლოს ქართული სოფლების სალოცავთა თავზე ჩნდება ნათება, რომელსაც ხან ღვთისმშობელს ამსგავსებენ, ხან წმინდა გიორგის. ცარიელ სოფლებში კი ბავშვების ტირილი და ხმამაღალი გოდება ისმის»

◀ეომა თუ ჯერ შიგნით მოეშთო მოღალატეები, თუმცა კვალი ბიზანტიამდე აღწევდა. ლიპარიტს მხარს უჭერდა და პოზიციებს უმაგრებდა ბიზანტიის იმპერია, თავისი ჯარით, ფულით... ლიპარიტმა მეფის წინააღმდეგ აჯანყებაც მოაწყო.

ბიზანტიელებმა და ლიპარიტმა ბაგრატს მისი ნახევარძმა დემეტრე დაუპირისპირეს. მოკავშირეთა ლაშქარი ატენის ციხეს მიადგა. ლიპარიტი ბიზანტიის იმპერიის დახმარებით კიდევ უფრო გაძლიერდა. ბაგრატი ხედავდა, რომ ბრძოლით მასთან ვერას გააწყობდა და ისევ ბიზანტიის იმპერატორის შუამდგომლობას მიმართა ლიპარიტთან მოსარიგებლად. როგორც ქართველი მემატიანე გადმოგვცემს, ბაგრატმა თავისი მცირეწლოვანი შვილი გიორგი აკურთხა და დატოვა ქუთაისს, თვითონ კი ბიზანტიისკენ გაემგზავრა. ბაგრატი თითქოს პატივით მიიღეს, მაგრამ, ფაქტობრივად, საპატიო ტყვეობაში ჰყავდათ სამი წლის განმავლობაში. ამ ხნის მანძილზე, ქვეყნის ერთადერთი ბატონი ლიპარიტ ბაღვაში იყო. ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ მხოლოდ ბაღვაშები როდი იბრძოდნენ, ბაგრატ მეოთხის გამეფებისთანავე **„წარვიდეს აზნაურნი ტაოელნი საბერძნეთს. ვაჩე კარიჩისძე, და ბანელი ეპისკოპოსი იოვანე და მათ თანა სიმრავლე აზნაურთა ტაოელთა“.**

**„ეძიებდეთ ქრისტესთვის სიკვდილსა და ნუ დაუტევებთ ბერზენთა სიყვარულს“,** წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის ამ ანდერძში არა პროდასავლური, არამედ პროქრისტიანული ორიენტაცია იგულისხმებოდა, რომელიც ერთმორწმუნე ბიზანტიამ ზედმიწევნით კარგად გამოიყენა და მის რელიგიურ მრწამსს ხელი სულაც არ შეუშლია, ქვეყნის დაპყრობა-დამორჩილებაში. 554 წელს კი ბიზანტიელებმა საზარელი მკვლელობაც ჩაიდინეს და მეფე გუბაზის სისხლით მდინარე ხობისწყლის სანაპირო შეღებეს. მდინარე ადვილად ჩარეცხავდა ლაზების სათაყვანო მეფის სისხლს შავ ზღვამდე, მაგრამ ისტორიის ფურცლებიდან რას უნდა შეეცვალა გეგმაზომიერი ქმედება ქართველების წინააღმდეგ. ფარტაძმა მაინც დაარწმუნა აიეტი, რომ ისევ ბიზანტიის მხარეს ჯობდა ყოფნა, რადგან მთავარს — სარწმუნოებას შეინარჩუნებდნენ და ამით მეფის ანდერძიც არ დაირღვეოდა. ანდერძის თანახმად, ბერძენთა სიყვარული საქმით უნდა აღესრულებინათ და ბერებიც კი, როგორც საკუთარ სამშობლოს, ისე უნდა მოფრთხილებოდნენ ბიზანტიას. მარტო ლოცვა და ბერული ღვაწლი, დიდი ვერაფერი ნუგეში იყო ბასილი ბულგართმუსვრელისთვის, რადგან ბარდა სკლიაროსი ართმევდა სამეფო მიტრას.

**როგორც ცნობილია, X საუკუნის შუა ხანებში ბიზანტიამ თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია არაბთა წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ 70-იან წლებში შექმნილმა საშინაო ვითარებამ შეზღუდა იმპერიის შესაძლებლობანი. ბარდა სკლიაროსის აჯანყებამ საფრთხე შეუქმნა კონსტანტინოპოლის საიმპერატორო ტახტს. მან მთლიანად დაიპყრო ბიზანტიის იმპერიის აზიური ნაწილი და ტაოს დაუმეზობლდა. იმპერატორის ჯარების სარდალმა ბარდა ფოკამ ბიზანტიის დაქვრივებულ დედოფალს თეოფანას ურჩია, სამხედრო დახმარებისთვის მიემართა განთქმული დავით ტაოელისთვის. ბიზანტიის სამეფო კარმა დავით კურაპალატისგან დახმარების აღმოჩენისთვის შუამდგომლობა ათონის მონასტრის ბერს — იოანე-თორნიკეს სთხოვა, რომელმაც თავდაპირველად უარი განაცხადა, მაგრამ შემდეგ გაითვალისწინა ათონის მთაზე მოღვაწე ქართველ ბერთა მდგომარეობის მოსალოდნელი გაუარესება, დათანხმდა და წარმატებით შეასრულა შემოთავაზებული დავალება.**

დავით კურაპალატმა, თორნიკე ერისთავის სარდლობით, ბიზანტიაში გაგზავნა 12 ათასი ქართველი მეომარი, რომლებმაც სასტიკად დაამარცხეს ბარდა სკლიაროსი და ხელთ იგდეს დიდძალი ნადავლი, რომლიდან მიღებული ნაწილი, იოანე თორნიკემ ათანასეს ლავრასა და ბერძენთა სხვა მონასტრებს შესწირა, უდიდესი ნაწილი კი ათონის ივერთა მონასტრის აგებას მოახმარა. „მადლიერების“ ნიშნად, დღეს იქ ქართველი ბერები არ მოღვაწეობენ და იოანე თორნიკეს საგმირო საქციელიც ოლიმპიელი ღმერთებივით მითოლოგიას არ გაცდა.

ღვთისმშობლის ხატის ისტორიაც ქართველ ბერ გაბრიელთან ერთად გამოგონილად მიიჩნიეს. რატომ უნდა წაბრძანდეს ივერიის ღვთისმშობლის ხატი ათონის მთიდან? **„ჰოი, ულირსეულესნო მამანო! ხსნის წაბრძანება ამგვარი იქნება. უპირველეს ყოვლისა, მცირე ხნით ადრე შეიძვრება მონასტერი, რომელშიც მყოფობს ხსნის დედუფლის ხატი, ეს იმას ნიშნავს, რომ უგრძნობელი მიწა შეიგრძნობს, რომ წინა უცს დაგლახაკება თვისი მფარველისაგან, რომელიც მას დღესამომდე იცავდა. ამ ძვრის შემდეგ ძლიერ რყევაში იქნებიან ათონზე დანერგული ყველა ხეები და ყოველივე დანერგულს მოსდრეკენ. როდესაც წაბრძანდება ხატი დედოფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა, იქნება შემზარავი და ძრწოლისმომგვრელი ნიშანი, ნიშანი იგი კი ამგვარია: ყველა ეკლესია იქნება თავდადრეკილი ხსნის განშორების გამო, ამის გამო გეუბნებით, რომ უგრძნობელობა შეიგრძნობს, ხოლო გრძნობა კი დაბნელებულ იქნება და ვერ შესძლებს იმის შეგნებას, რომ ხსნა განეშორება“.** იქ არავის ახსოვს ქართველთა თავგანწირვა, სკლიაროსის მარცხი და ბერად შემდგარი იოანეს მოქნეული ხმალი, ერთმორწმუნე საბერძნეთის გადასარჩენად.

**ათონის მთაზე მოქმედ მონასტრებს შორის, არც ერთს არ ესმის ქართული საგალობელი, ჩვენში კი დიდი მონდომებით მკვიდრდება კირი ელეისონ. თუ სიყვარული გვაქვს, უფალს ყველა ენაზე შეიძლება ესაუბრო, მაგრამ საკუთარი ენით უფრო მეტად უყრი თავს სათქმელს, ათონის ივერთა მონასტერში კი ღვთისმშობლის ქართულად ამეტყველებული თვალები ყველა მორწმუნეს ელის, განსაკუთრებით ქართველს. საინტერესოა, რომელს უფრო უჭირს — ივერთა მონასტრის გარეშე დარჩენილ საქართველოს თუ ქართველების გარეშე მიტოვებულ თორნიკე ერისთავის სამხედრო საჭურველს?**

რატომ დაეცა კონსტანტინოპოლი? 1204 წელს, ჯვაროსნების მიერ კონსტანტინეპოლის განადგურების შემდეგ, ბიზანტია უროსა და გრდემლს – კათოლიკურ ევროპასა და მუსლიმანურ აღმოსავლეთს შუა აღმოჩნდა. კათოლიკეთა და მუსლიმანთა მტრობა მართლმადიდებლური სახელმწიფოებისადმი, უპირველეს ყოვლისა, რელიგიური მოტივებით იყო გამოწვეული როგორც პირველთათვის, ისე მეორეთათვის, ტერიტორიების მოპოვება მეორეხარისხოვანი იყო. კრიტიკულ სიტუაციაში აღმოჩენილმა ბიზანტიის იმპერატორებმა აკრძალულ ზომებს მიმართეს: მაცდური რელიგიური ლავირება, სულიერი ღირებულებებით თამაში დიპლომატიური საკითხების გადაჭრისას პალეოლოგთა დინასტიისთვის საბედისწერო ნაბიჯად იქცა. აქ არ შეიძლება სულიერ-მსოფლმხედველობრივი ტრაგედია არ დავინახოთ: სიტყვა ღმერთი, ნება ღმრთისა, მისი ყოვლადძლიერი შემწეობა „არააქტუალური“ გახდა, „დაძველდა“. ისინი წარსულის ლეგენდების კატეგორიას მიაკუთვნეს, მარადიული წარმავალით უყოყმანოდ შეცვალეს.

დღეს ცოტას თუ ახსოვს, რომ ჰრომთა უკანასკნელი იმპერატორი კონსტანტინე XII, როგორც მამამისის მიერ რომთან დადებული სამარცხვინო უნიის მიმდევარი, ეკლესიის მიერ მეფობაზე მირონცხებული არ იქნა. მისმა უშიშობამ და გმირობამ შთამომავალთა ხსოვნაში იმპერატორის მიერ უნიის ალმსარებლობა დაჩრდილა. **კონსტანტინე XII-მ ყური არ უგდო გენადი სქოლარიოსის წინასწარმეტყველებას, რომ ჭეშმარიტი სარწმუნოების ღალატისთვის უფალი ქალაქს მტერთა მიერ გასანადგურებლად მიატოვებს. წმინდა სოფია დაცარიელდა. ამ ტაძარში იუსტინიანე პირველის ეპოქის, ბიზანტიის უდიდესი აყვავების პერიოდის ხუროთმოძღვართა გენიალურ ქმნილებაში, ლათინური მესები აღესრულებოდა. ბიზანტიის სულიერი და პოლიტიკური სიძლიერის სიმბოლო ერეტიკოსთა მიერ იქნა შეგინებული.**

**დასავლეთთან შეთამაშების შედეგი ყოველი მეექვსეკლასელისთვის არის ცნობილი: 1453 წლის 29 მაისს დიდი კონსტანტინეპოლი დაეცა.**

ჩვენ ქრისტეშობიდან მეხუთე საუკუნეში დადგენილი ანდერძის ერთგული ვრჩებოდით და ვინაიდან ბიზანტია განადგურდა, „მესამე რომის“ სახელით ცნობილ რუსეთს მივაშურეთ, იქნებ სული გადაგვერჩინა; არ გვინდოდა, შაჰ აბასის, აღა მაჰმად ხანის ლუკმა ვყოფილიყავით და ამიტომაც ერთი ამოსუნთქვით ტრაქტატი გავაფორმეთ, რომელიც შედგებოდა პრეამბულის, 13 ძირითადი და ოთხი სეპარატული (საიდუმლო) მუხლისგან. მათ დართული ჰქონდა ტექსტი ფიცისა, რომელიც ერეკლე მეორეს უნდა მიეღო რუსეთის იმპერატორის ერთგულების ნიშნად, და ტექსტი დამატებითი არტიკულისა, რომელიც ქართლ-კახეთის მეფეთა წესს შეეხებოდა.

ამ ხელშეკრულებით რუსეთსა და ქართლ-კახეთს შორის მყარდებოდა მფარველობითი კავშირი პირველისადმი უკანასკნელის დაქვემდებარების პირობით, რომელიც ფორმით ვასალიტეტის ნიშნებს ატარებდა, მაგრამ **არსებითად კი არ იყო ორი არათანაბარი სიძლიერის სახელმწიფოს ნებაყოფლობითი შეთანხმება. ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობის დარღვევა მეორეს უფლებას აძლევდა, უარი ეთქვა ურთიერთობის გაგრძელებაზე. საინტერესოა, ეს უფლება რატომ არ „გამოვიყენეთ“?**

გეორგიევსკის ტრაქტატის მერვე მუხლის ძალით, კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ პირველი ხდებოდა რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის წევრი და სინოდში იკავებდა მერვე ადგილს, ტობოლსკის არქიეპისკოპოსის შემდეგ. გეორგიევსკის ტრაქტატის მერვე მუხლი ლახავდა მცხეთის უძველესი საპატრიარქო ტახტის მპყრობელის ღირსებას. რუსეთის საიმპერატორო კარი იწყებდა ქართლ-კახეთის სამეფოსა და ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისთვის მოქმედებას. ქართული ეკლესიის გაძლიერებისთვის გადამწყვეტ ბრძოლას ერეკლე მეფის ძმა — ანტონ მეორე ჩაუდგა სათავეში.

მდგომარეობა კი უფრო და უფრო მძიმდებოდა, მოსკოვი რუსული ღვთისმსახურების შემოღებას გეგმავდა ქართულ ტაძრებში. ასეთ ვითარებაში კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ მეორეს საქართველოს მთავარსარდალმა, გენერალმა ალექსანდრე ტორმასოვმა 1810 წლის 3 თებერვალს წერილი გაუგზავნა. მისი შინაარსი ასეთია: **„რუსეთში არსებული წესის მიხედვით, იქ, სადაც არმიის მთავარსარდლის რეზიდენციაა, უნდა იყოს ეკლესია და მიმდინარეობდეს ღვთისმსახურება რუსულ ენაზე; უნდა მსახურობდნენ რუსი სასულიერო პირები“...** ამ შინაარსის წერილს შედეგად მოჰყვა ის, რომ 1811 წელს აღმოსავლეთ, ხოლო 1814 წელს დასავლეთ საქართველოში ეკლესიის ავტოკეფალია გაუქმდა.

**რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ღირსი მამა სერაფიმე საროველი აფრთხილებდა იმპერატორს, რომ საქართველო ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა და მის მიმართ მტრობა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიმართაც მტრობას ნიშნავსო. ხოლო თუ რამდენად დაიჯერეს ეს სრულიად რუსეთის იმპერატორებმა, ამის შესახებ მეტყველებს ის უდიდესი სისხლიანი კატაკლიზმები, რომელთა გადატანაც ამ მრავალტანჯულ ქვეყანას მოუხდა.**

გაგვიგია ისიც, რომ 1917 წლის თებერვალში წმინდა მოწამე იმპერატორს — ნიკოლოზ მეორეს, სრულიად რუსეთის სამხედრო ტახტიდან გადადგომისას პატიება უთხოვია ბაგრატიონებისთვის მისი წინაპრების მიერ ამ სამეფო საგვარეულოს წინაშე ჩადენილი დანაშაულებების გამო. იქნებ მეფე ნიკოლოზმა მის ოჯახთან ერთად მოწამეობრივი აღსასრულით ჩამორეცხა რუსეთს ის ცოდვები, რომელმაც ყველა ერთად დაგვამძიმა?!

აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ტაძრები ისევ აღარ ქართულობენ. **„თამარაშენზე, აჩაბეთზე, ქურთასა და კეხვზე როკის გვირაბამდე და რაჭამდე უმოკლესი გზა გადის, მაგრამ თურმე რამდენიმე კვირაა, დიდი ლიახვის ხეობის სოფლებში ღამღამობით შესვლას ვეღარ ბედავენ და შემოვლითი გზებით დადიან. არავინ იფიქროს, გადამწვარი სახლების დანახვა აწუხებთ. ამის მიზეზი, უბრალოდ, შიშია. ყოველ ღამით სამაჩაბლოს ქართული სოფლების სალოცავთა თავზე ჩნდება ნათება, რომელსაც ხან ღვთისმშობელს ამსგავსებენ, ხან წმინდა გიორგის. ცარიელ სოფლებში კი ბავშვების ტირილი და ხმამაღალი გოდება ისმის. ამის გამო წვერიახოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პოსტიც კი მიატოვეს. ამ საგუშაგოდან ღამღამობით ყველაზე კარგად ჩანს, როგორ ამოდის ცეცხლის ენები კეხვის ეკლესიიდან და მერე როგორ ქრება უცებ“.** ალბათ, ამ ფაქტს გულისხმობდა ღირსი მამა სერაფიმე საროველი...

მატრონა მოსკოველის საფლავთან სამშობლოზე მეტად რწმენის სიმტკიცეზე ვლოცულობთ; ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის ეზოში, მამა ვიტალის განსასვენებელს ისე ვუფრთხილდებით, ვუვლით, როგორც მცხეთაში — მამა გაბრიელის ნაფეხურებს. ათონის მთაზე ივერონი არ გვეკუთვნის, მაგრამ იოსებ მთაწმინდელის დარიგებები გვაფხიზლებს და გვანუგეშებს. მერე რა, რომ იანგულს მკერდზე ლურჯად ამოსვირინგებული HELADOS ეწერა, სამშობლო უფრო ღრმადაა, უფრო შიგნით...

**„პოსეიდონი“ სოხუმს მოადგა და პირით საბერძნეთისკენ ივსება ელინელებით. ჯემალი ცდილობს, იანგულს მოჰკრას თვალი, მაგრამ ბრბო ისე ირევა, ძნელია, ის იპოვო: „იანგული! იანგული!“ — ვიკივლე მე და ხელების ქნევა დავიწყე. იგი დიდხანს, დიდხანს დამეძებდა ბრბოში, ბოლოს, ეტყობა, ხმით მომაგნო და, რომ დამინახა, ორივე ხელი მაღლა აღმართა. „ჯემალო, ელო აღაპო ი მანა სუ! ჯემალო, მე მიყვარს დედაშენი“.** მან ვერ გაუძლო რძისფერ მთებთან დამშვიდობებას და ისევ აფხაზეთის სანაპიროს მიაშურა. ჩვენი სამშობლო უფალია...

**მამა პეტრე (კვარაცხელია)**

## ნატო ოპიუმს შეგნებულად არ ანადგურებს

**რუსეთმა აშშ-ის ხელისუფლება ოპიუმის პლანტაციების მფარველობაში ამხილა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის განცხადებით, ნატოს შეიარაღებული ძალები ავღანეთში ოპიუმის ნარგავებს შეგნებულად არ ანადგურებენ, რადგან ადგილობრივი გლეხების განაწყენებას ერიდებიან.** აშშ-ის ხელისუფლება შიშობს, რომ შემოსავლიანი ნათესების დაკარგვის შემდეგ, მოსახლეობა პროტესტის ნიშნად მოძრაობა თალიბანს მიემხრობა. „აშშ-ის ხელისუფლება ადასტურებს, რომ პლანტაციების ლიკვიდაციამ შესაძლოა, ავღანეთის სოფლის მეუნეობას პრობლემები შეუქმნას. თუმცა ლათინურ ამერიკაში კოკის პლანტაციების განადგურება მისი პრიორიტეტი იყო“, — განაცხადა ლავროვმა.

## აზერბაიჯანი ყარაბაღის საზღვარზე დამცავ კედელს აშენებს

**„ექსპერტთა კლუბის“ მონაცემებით, მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის ზონაში მდებარე აგდამირის რაიონის დასახლებულ პუნქტებში აზერბაიჯანმა დამცავი კედლის მშენებლობა დაიწყო.** პროექტს სახელმწიფო აფინანსებს. აზერბაიჯანული საინფორმაციო საშუალებების ცნობით, 700 მეტრის სიგრძეზე სამი მეტრის სიმაღლის ქვის კედელი უკვე აშენებულია. კედლის მშენებლობა სასაზღვრო რაიონებში მცხოვრები მოსახლეობის სომეხი სნაიპერებისგან დაცვას ისახავს მიზნად.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## დაიჯესტი

**21-Ე საუკუნის პირველი ათწლეული დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკაში ორი, მართლაც გრანდიოზული ჩავარდნით აღინიშნა. ეს ქვეყნები ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ცივ ომში გამარჯვებით იწონებდნენ თავს, მაგრამ ეს ჩავარდნები როგორც სალი აზრის, ასევე ლიდერის თვისებების უკმარისობამ განაპირობა.**



# «ავღანეთში ქედმაღლობამ და სიხარბემ დაგვაბრმავა»

**ავღანეთის ათწლიანი ომი, რომელიც ამ ქვეყნის დასჯის სურვილმა განაპირობა, ძალზე ძვირი უჯდებათ დასავლეთის ქვეყნებს. დანახარჯების რაოდენობა დასავლეთის ძველ მოწინააღმდეგეთათვის სიცილის მიზეზია. ავღანეთი, უკვე ათი წელია, დასავლეთის ქვეყნების კოალიციის მიერაა ოკუპირებული, მაგრამ რამდენიმე დღის წინ გაერო იძულებული გახდა, ეღიარებინა, რომ ამ ქვეყნების დასახლებული პროვინციების ნახევარს, რომელიც ახლა გვალვისგან იტანჯება, ზამთარში შიმშილობა ელის. მსოფლიო სასურსათო პროგრამამ ჰუმანიტარული დახმარების სახით 92 მილიონი ფუნტის დაუყოვნებლივ გამოყოფა მოითხოვა. ეს წარმოუდგენელია! ავღანეთი მსოფლიოში ისედაც დახმარებების უდიდესი მიმღებია. უკანასკნელ ათწლეულში ამ დახმარებათა რაოდენობამ დაახლოებით 20 მილიარდი შეადგინა. დაუმატეთ ამას სამხედრო დანახარჯები, რაც ასჯერ მეტ თანხას მოიცავს. ქვეყანაში იმდენად ბევრ ფულს გზავნიან, რომ, გავრცელებული ხმების თანახმად, კორუმპირებულ ჩინოვნიკებს ქაბულიდან ყოველდღიურად დაახლოებით სამი მილიონი გააქვთ.**



საერთოდ, ყველაფერი, რაც ავღანეთს უკავშირდება, ყოველგვარი გონიერების საზღვრებს სცილდება. ერთი კვირის წინ ქვეყნის პრეზიდენტმა ხამიდ ყარზაიმ, ყოველგვარი უხერხულობის განცდის გარეშე, ინდოეთთან სამხედრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას მოაწერა ხელი. არადა, მშვენივრად იცოდა, რომ ეს ნაბიჯი მეზობელ ისლამაბადს განარისხებდა და ტერორისტული დაჯგუფება „ხაკანის“ მოქმედებათა გააქტიურებას განაპირობებდა. როგორც მრავალი წყარო ირწმუნება, „ხაკანი“ მჭიდროდაა დაკავშირებული პაკისტანის უწყებათაშორის დაზვერვასთან. ამავე დროს, ვაშინგტონში პენტაგონი იმ ახალი სტრატეგიის გამო ზეიმობს, რომლის მიხედვითაც ტერორისტები უპილოტო საფრენი აპარატების საშუალებით უნდა გაანადგურონ და აცხადებს, რომ საჰაერო დარტყმებს შეუძლია ჩაანაცვლოს სახმელეთო ოპერაციები ავღანელი ამბოხებულების წინააღმდეგ.

**21-Ე საუკუნის პირველი ათწლეული დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკაში ორი, მართლაც გრანდიოზული ჩავარდნით აღინიშნა. ეს ქვეყნები ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ცივ ომში გამარჯვებით იწონებდნენ თავს, მაგრამ ეს ჩავარდნები როგორც სალი აზრის, ასევე ლიდერის თვისებების უკმარისობამ განაპირობა.**

პირველ რიგში, ამ ქვეყნების ხელმძღვანელებს არ აღმოაჩნდათ უნარი, თანამედროვე მართვის სისტემის შეუზღუდავი შესაძლებლობები ეკონომიკის ხანგრძლივი კრიზისისგან გადასარჩენად გამოეყენებინათ. მეორე შეცდომა იყო ამერიკაზე შეშლილი ისლამისტი დამნაშავეების თავდასხმის გამოყენება იმ საპასუხო სადამსჯელო ოპერაციის დაწყების საბაბად, რომელიც მთელი მუსლიმანური სამყაროს წინააღმდეგ ომში გადაიზარდა.

ოპერაციას, რომლის მიზანიც იყო ავღანეთის დასჯა, უსამა ბენ ლადენისთვის თავშესაფრის მიცემის გამო, და რომელიც, უკვე ათი წელია, გრძელდება, ბიბლიური შურისძიების ყველა ნიშანი აქვს. განცხადებები იმის თაობაზე, რომ დასავლეთის ქვეყნების ქმედებები ავღანელებს აიძულებს, უარი თქვას ცხოვრების ისტორიულად ჩამოყალიბებულ წესზე და მიიღოს კაპიტალიზმი და დემოკრატია, მხოლოდ იმპერიული ქედმაღლობით იყო განპირობებული.

2001 წლის შემოდგომის შემდეგ გახდა ცნობილი მრავალი საინტერესო ფაქტი, რომელთა გათვალისწინებაც მიზანშეწონილი იქნებოდა ავღანეთში ოპერაციის დაწყებისას. ჩვენ გავიგეთ თალიბანის შიგნით მიმდინარე კამათის შესახებ. ორგანიზაციის ლიდერთაგან ბევრი მჭიდრო კავშირში იყო ცსს-სთან. ჩვენ ვიცოდით იმ როლის შესახებ, რომელიც ქაბულში აბდულ ხაკს შეეძლო შეესრულებინა; პაკისტანის სპეცსამსახურების ორპირობის შესახებ; იმის შესახებაც, რომ 2001 წლის ოქტომბერში პროვინცია ყანდაარის უხუცესთა საბჭო ძალზე ახლოს იყო ქვეყნიდან უსამა ბენ ლადენის გაძევებასთან.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, შურისძიების წყურვილმა დააბრმავა ამერიკელი ლიდერები, რომელთაც ავღანეთთან დაკავშირებული ყველანაირი გაფრთხილება უგულებელყვეს. ასევე მოიქცნენ დონალდ რამსფელდის გაფრთხილებასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც ამერიკას სადამსჯელო ოპერაციის შემდეგ თავიდან უნდა აეცილებინა ამ ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში მონაწილეობა. **ვაშინგტონში, ლონდონსა და ნატოს ხელმძღვანელობას შორის ყველაფერს გადააჭარბა იმპერიულმა მისწრაფებებმა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ყველა ქვეყანა, რომელიც დასავლურ ლიბერალიზმს ქმნიდა, მსოფლიო პოლიტიკაში საკუთარ როლს ითხოვდა.**

**ავღანეთის ოკუპაცია სრულ სისულელედ, აბსოლუტურად უგუნურ ნაბიჯად იქცა. ამერიკის შეერთებული შტატები უზარმაზარ თანხებს ხარჯავს ომზე, რომელსაც ნამდვილად ვერ მოიგებს. კონგრესში ავღანეთისთვის ამერიკული დახმარების განხილვამ აჩვენა, რომ ეს დახმარება ავღანეთის ეკონომიკამდე ვერ აღწევს, სახსრების დიდი ნაწილი ხომ აშშ-შივე რჩება დაქირავებულთათვის და იხარჯება უსაფრთხოების ზომებისთვის. დანარჩენს იპარავენ. ავღანეთში დემოკრატია არ გამოვიდა, რადგან საველე მეთაურები ნარკობარონებთან იბრძვიან, სხვადასხვა თემი კი — ერთმანეთთან. იდეა, რომელიც „ავღანური პოლიციისა და არმიის სწავლებას“ უკავშირდება, საერთოდაც დაბოლილი ნარკომანის ხუმრობას ჰგავს.**

ბრიტანეთი მთელ ამ პროცესში ძალზე სამწუხარო როლს ასრულებს. თეზისი იმის შესახებ, რომ უაიტჰოლი და მისი არასამთავრობო ორგანიზაციები შეძლებენ ავღანეთში კორუფციას ბოლო მოუღონ, სრულ აბსურდად გამოიყურება. საერთაშორისო განვითარების საკითხთა ყოფილი მინისტრის — კლერ შორტის 2002 წლის მისია, რომელიც მიმართული იყო ოპიუმის ყაყაჩოს ნათესების გასანადგურებლად და საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილისა და ლეიბორისტთა მთავრობაში დაზვერვისა და უშიშროების კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარის — კიმ ჰაუელსის ინიციატივა, გამოეყოთ 270 მილიონი ფუნტი ნარკოვაჭრობის აღმოსაფხვრელად, სატირულ რომანში აღწერის ღირსია.

ჯონ რეიდის 2006 წლის ბრიფინგზე თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ **„ბრიტანეთის ამოცანა აყვავებული, დემოკრატიული, სტაბილური და უსაფრთხო ავღანეთის აშენებაა“** და რომ **„ბრიტანელი ჯარისკაცები ამ ქვეყანაში არ ომობენ, არამედ ეხმარებიან ადგილობრივ მოსახლეობას საკუთარი ქვეყნის გარდაქმნაში“.** გენერალი სერ დევიდ რიჩარდსი ირწმუნებოდა, რომ პროვინცია ჰელმანდში საბრძოლო მოქმედებები მალე დასრულდება ეგრეთ წოდებული მელნის ლაქების სტრატეგიის წყალობით. ეს სტრატეგია გულისხმობდა მთელი რიგი საყრდენი ბაზების შექმნას ჯარებით დაკავებულ მთელ რაიონად მათი გაერთიანების მიზნით. თავის წიგნში „პატარა ომების წაგებისას“ ფრენკ ლედუიჯი მიდის დასკვნამდე, რომ **„ჰელმანდის პროვინციაში ბრიტანეთის 16 საჰაერო-საშტურმო ბრიგადის ქმედებათა შედეგები, უბრალოდ, კატასტროფული იყო, რადგან მისი ოპერაციების შემდეგ რჩებოდა განადგურებული ქალაქები, უამრავი დევნილი და მსხვერპლი სამოქალაქო მოსახლეობას შორის“. კომპენსაციის თანხები, რომელსაც უაიტჰოლი მოკლული ან დასახიჩრებული მშვიდობიანი ავღანელების ოჯახებს უხდის, ყოველწლიურად ორმაგდება.**

ამ ომს უკვე შეეწირა 382 ბრიტანელი სამხედრო. შეუძლია კი მინისტრთაგან რომელიმეს, თვალებში შეხედოს მათ ოჯახებს და უთხრას, რომ ეს არ იყო უაზრო მსხვერპლი? ავღანეთში მდგომარეობა უსაფრთხო მაინც ვერ გახდა. ამ მხრივ, შესაძლოა, გამონაკლისებად მივიჩნიოთ მხოლოდ ის დასახლებული პუნქტები, სადაც კოალიციური ძალების გარნიზონები დგანან. ბრიტანელ ჯარისკაცებს უთხრეს, რომ მათ ავღანეთიდან მომდევნო ორი წლის მანძილზე გაიყვანენ. შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ მათ შეასრულეს საკუთარი ამოცანა. ამიტომაც არანაირი აზრი არ აქვს ჯარის იმ ქვეყანაში დატოვებას, სადაც მათ სასიკვდილო საფრთხე ელით.

**დღეს „თალიბებთან მოლაპარაკებების“ იდეას გამოთქვამენ, თითქოს თალიბები იმ გერმანელ სარდლობას ჰგავდნენ, რომელთაც ლიუნებურგში კაპიტულაციას მოაწერეს ხელი. ამგვარი პოლიტიკის შედეგად ყარზაის ემისრებსა და თალიბანის ხელმძღვანელებს ჯერ „მოლაპარაკებებზე“ ითანხმებენ, შემდეგ კი ისინი ან თავისიანების ხელით, ან მიზნის განადგურებისთვის მუდამ მზადმყოფი ამერიკული უპილოტო საფრენი აპარატების იერიშთა შედეგად იხოცებოდნენ. ყარზაის ხუთი მომლაპარაკებელი, მისი ძმის ჩათვლით, უკვე მოკლულია. უპილოტო საფრენმა აპარატებმა თალიბებისა და „ალ ქაიდას“ ლიდერები ერთი მეორის მიყოლებით გაანადგურეს. ცხადია, მათი შებრალება არ ღირს, მაგრამ მართვის სისტემის იერარქიაში ყოველი მნიშვნელოვანი თანამდებობის პირის სიკვდილი მშვიდობისკენ მიმავალ გზაზე დაბრკოლებაა, რადგან ვენდეტის განახლებას განაპირობებს. ამერიკულმა პოლიტიკამ „ალ ქაიდა“ უკვე აქცია არც თუ დიდი ორგანიზაციიდან მსოფლიო ტერორისტულ ბრენდად.**

როგორც ამერიკელი ისტორიკოსი ბარბარა ტაკმანი წერდა, გამაოგნებელია არა მხოლოდ პოლიტიკის უგუნურება, არამედ ისიც, რომ მას არავინ აკორექტირებს მაშინაც კი, როდესაც სისულელე უკვე თვალნათელი ხდება. ქაბულში ჩასული ნებისმიერი ადამიანი ძალიან სწრაფად იწყებს ორი რამის გაცნობიერებას: ერთი ის, რომ სისულელეა პუშტუნელი ნაციონალების ამბოხებულ თალიბებთან ან „ალ ქაიდას“ ტერორისტებთან შედარება, და მეორე, თუ ნატოს სურს ამ რეგიონში უსაფრთხოების პრობლემების აღმოფხვრა, ალიანსის ხელმძღვანელობამ რაიმე შეთანხმებას უნდა მიაღწიოს მოჯაჰედებთან. სხვაგვარად ისინი, უბრალოდ, მოუგებენ ომს. მოლაპარაკებაა საჭირო მათ პაკისტანელ სპონსორებთანაც. ამ კარების ერთადერთი გასაღები ნატოს ჯარების გაყვანაა.

**როგორც ვიეტნამის გამოცდილებამ აჩვენა, ზოგიერთ ომში პოლიტიკოსები და გენერლები გადადიან იმ ზღვარს, რომელიც ჯერ კიდევ იძლევა უკან დახევისა და მდგომარეობისთვის სხვა კუთხიდან შეხედვის საშუალებას. ამ დროს სტრატეგიის საფუძველში დევს დიდებისკენ სწრაფვა და ნებისმიერ ფასად გამარჯვების სურვილი.** ქაბული ფაქტობრივად ოკუპირებულ იქნა ათეულ ათასობით ჯარისკაცის, დიპლომატების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების და დაქირავებული ორგანიზაციების თანამშრომლების მიერ. ავღანეთი იქცა „სამზარეულოდ“, სადაც მზარეულის როლში სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი გამოდის და, სხვა ყველაფრის გარდა, ჰუმანიტარული დახმარების ფულიც ტრიალებს.

**ამერიკის ბრაუნის უნივერსიტეტის შეფასებით, 2001 წლის 11 სექტემბერს დაღუპული ადამიანების გამო შურისძიების მიზნით დაწყებული ომის დანახარჯებმა უკვე მიაღწია 3,7 ტრილიონს. ბრიტანეთისთვის ეს დანახარჯი არნახულ თანხას — 18,8 ტრილიონ ფუნტს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ უსამა ბენ ლადენის განადგურების ოპერაცია გაცილებით იაფი დაჯდა. დღეს საეჭვოა იმ კითხვებზე პასუხი მოიპოვებოდეს, რომლებსაც გვერდს ვერ ავუვლით. იქნა კი ამ დანახარჯების სანაცვლოდ სამომავლო მსგავსი ტერორისტული აქტები თავიდან აცილებული და თუ კი, ღირდა კი ეს ამად? იქნებ ამ ყველაფრის უკან ამპარტავნება, ქედმაღლობა და ბანალური სიხარბე დგას?**

დღეს, ცხადია, ერთი რამ — **შურისძიება იმდენად ტკბილი არ აღმოჩნდა, რამდენადაც — ძვირი.**

ბედის ირონიით, ამგვარი უგუნური პოლიტიკით მხოლოდ იმ ქვეყნებმა მოიგეს, რომლებმაც წააგეს ცივი ომი — რუსეთმა და ჩინეთმა. ვიდრე დასავლეთის ქვეყნები ცდილობენ, თავიანთი არმიები და ეკონომიკები როგორმე დაიძვრინონ უბედურებისგან, რომელშიაც თავადვე უკრეს თავი, მათი ძველი მოწინააღმდეგენი დასცინიან და ალფრთოვანებისგან ხარობენ. დემოკრატიამ მოახერხა, გამარჯვება დამარცხებად ექცია.

**THE GUARDIAN**

დასავლეთმა შეცდომა დაუშვა. ავღანეთში სიტუაცია სამხედრო დროის კანონების მიხედვით ვითარდება: როგორც ამბოხებულების, ასევე უცხოელი ჯარისკაცების რაოდენობა უფრო და უფრო იზრდება. მატულობს ტერორი და შიში, მსხვერპლიც — სამოქალაქო მოსახლეობაში.

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ავღანურის გაკვეთილები — ძალით ვერ გაიმარჯვებ!

**ავღანეთში აშშ-ის სამხედრო ოპერაცია 2001 წლის 7 ოქტომბერს, 11 სექტემბრის ტერაქტებიდან სამი კვირის თავზე, დაიწყო. ნაციისადმი მიმართვაში აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ავღანეთში „ალ ქაიდასა“ და „თალიბანის“ ტერორისტების ბაზებზე საჰაერო და სარაკეტო დარტყმების დაწყების თაობაზე გამოაცხადა. მაშინ ამერიკის შეერთებული შტატებიცა და მისი მოკავშირეებიც იმედოვნებდნენ, რომ გამარჯვებას მალე მიაღწევდნენ და ავღანეთში დასავლური ტიპის დემოკრატია გამეფდებოდა.**



მაგრამ სამხედრო ოპერაციას აშკარად აკლდა კარგად მოფიქრებული კონცეფცია. თავდაპირველად უსაფრთხოების ხელისშემწყობი საერთაშორისო ძალების (ISAF) კონტინგენტი 5 ათასი ადამიანისგან შედგებოდა, მათი მოქმედების ზონა კი მხოლოდ ავღანეთის დედაქალაქ ქაბულს მოიცავდა. დედაქალაქის საზღვრებს გარეთ სპეცქვედანაყოფები „ალ ქაიდასა“ და „თალიბანის“ სამართავ პუნქტებსა და თავშესაფრებზე დარტყმებს ახორციელებდნენ საერთაშორისო ანტიტერორისტული ოპერაციის „დაუმარცხებელი თავისუფლება“ (OEF) ფარგლებში. ათი წლის შემდეგ ISAF-ი და OEF-ი გაერთიანდა. დღეისათვის ავღანეთის ოპერაციაში სხვადასხვა ქვეყნის 130 ათასი ჯარისკაცი მონაწილეობს.

ავღანეთში საერთაშორისო კოალიციის ქმედებებმა განაპირობა ის, რომ ქვეყანაში გაჩნდა ახალი კონსტიტუცია, ორჯერ გაიმართა საპრეზიდენტო არჩევნები და ახალი პარლამენტი აირჩიეს. მილიონობით ავღანელი დევნილი სახლში დაბრუნდა. დღეს უზარმაზარი ფული იხარჯება ახალი გზების, სკოლების, უნივერსიტეტებისა და საავადმყოფოების მშენებლობაზე. ქაბულში ნამდვილი სამშენებლო ბუმია. დასავლეთი მხარს უჭერს ავღანეთის ხელისუფლებას და ეროვნული უშიშროების ძალებს. მიუხედავად ამ ყველაფრისა, ქვეყანაში ამ დრომდე არც მშვიდობაა და არც სტაბილურობა.

**მთავარი გაკვეთილი, რაც ავღანეთის ომისგან უნდა ვისწავლოთ, ისაა, რომ ამ ქვეყანაში ძალით ვერავინ გაიმარჯვებს.** ასე ფიქრობს გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ყოფილი ელჩი პაკისტანში გუნტერ მულაკიც. **„თუ ჩვენ ავღანელების გულებისა და ტვინების მონადირება გვსურს, თანამშრომლობა უნდა განვავითაროთ პოლიტიკის, ეკონომიკისა და განათლების სფეროებში,“** — ამბობს დიპლომატი. მისი თქმით, ავღანეთის მცხოვრებთათვის მეტი უფლებების მინიჭება იყო საჭირო, რომ მათ შეძლებოდათ, დამოუკიდებლად ეშენებინათ საკუთარი მომავალი. **„ამის ნაცვლად ჩვენ არც თუ იშვიათად თავად ვადგენდით, რა უნდა ხდებოდეს ავღანეთში. ჩვენ თითქოსდა ქვიშაში ვთამაშობდით და ვფიქრობდით, რომ თანამედროვე სახელმწიფოს ვაშენებთ,“** — აცხადებს მულაკი.

ამჟამად ავღანეთში საერთაშორისო კოალიცია ხაზს უსვამს საკუთარი მისიის სამოქალაქო ხასიათს. სინამდვილეში კი მთელი ქვეყანა გასამხედროებულია, — ამბობს ორგანიზაცია Afghan Analyst Network-ის ერთ-ერთი ხელმძღვანელი თომას რუტიგი. თალიბანის დარბევის შემდეგ მან არაერთი წელი იმუშავა ქაბულში გაეროსა და ევროკავშირის მისიებში. **„უკანასკნელი ხუთი-ექვსი წელია, ამერიკელი სამხედროები აკონტროლებენ თითქმის ყველა ძირითად სამოქმედო სფეროს ავღანეთში. შედეგად, ქვეყანაში პრაქტიკულად ყველაფერი ერთადერთ ამოცანას — ამბოხებულებთან ბრძოლას ემსახურება. ეს კი არასწორია,“** — ამბობს ექსპერტი.

**დასავლეთმა შეცდომა დაუშვა. ავღანეთში სიტუაცია სამხედრო დროის კანონების მიხედვით ვითარდება: როგორც ამბოხებულების, ასევე უცხოელი ჯარისკაცების რაოდენობა უფრო და უფრო იზრდება. მატულობს ტერორი და შიში, მსხვერპლიც — სამოქალაქო მოსახლეობაში. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ვერ მოხერხდა მრავალრიცხოვანი ავღანელი ეთნიკური დაჯგუფებებისა და კლანების თანმიმდევრული განიარაღება. ისინი ერთმანეთთან ომობენ, 30 წელზე მეტია, და შერიგება კვლავაც მიუღწეველია.**

პრეზიდენტ ხამიდ ყარზაისა და მისი კლანის გარდა ქვეყანაში საერთაშორისო ძალების ყოფნა ყველაზე მეტად მომგებიანი ჩრდილო ალიანსის მეთაურებისთვისაა. იმ დროისათვის, როდესაც ავღანეთში აშშ-ის სამხედრო ოპერაცია დაიწყო, „თალიბანმა“ ლამის მოახერხა იმხანად ჯერ კიდევ მყიფე კავშირზე გამარჯვების მოპოვება.

მაგრამ ახლა ჩრდილოეთ ალიანსი გამარჯვებულთა რიგებშია. მისმა ხელმძღვანელებმა კავშირი დაამყარეს დასავლეთთან და ყველა საშუალებით ცდილობენ საკუთარი ძალაუფლების გამყარებას. მრავალი მათგანი ჩართულია კორუფციასა და ნარკოტიკებით ვაჭრობაში. ბერლინის ფონდის „მეცნიერება და პოლიტიკა“ თანამშრომლის — სიტი მაასის აზრით, საერთაშორისო საზოგადოებამ შეცდომა დაუშვა, როდესაც ავღანეთის კორუფციაში ჩაფლულ ხელისუფლებას დაუჭირა მხარი. **„სწორედ ამის გამო არ სჯერათ ავღანელებს პოლიტიკური სისტემისა. ჩემი აზრით, დასავლეთის ოპერაციამ კრახი განიცადა,“** — ამბობს მაასი.

ავღანეთის მომავალი კი გაურკვეველია. უსამა ბენ ლადენი მკვდარია. დღესდღეობით, როდესაც საუბარია საერთაშორისო ტერორიზმზე, პირველ რიგში, იემენსა და სომალის ასახელებენ ხოლმე. მსოფლიოს მზერა ავღანეთზე აღარაა მიჯაჭვული. აშშ 2014 წლისთვის ამ ქვეყნიდან ჯარების გაყვანის დასრულებას აპირებს. ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ახლა კვლავ გაძლიერებულ და პოზიციებგამაგრებულ „თალიბანთან“ მოლაპარაკებები იქცა. მაგრამ **რადიკალური ისლამისტური მოძრაობა იმდენადვე არაერთგვაროვანი ჯგუფია, რამდენადაც ქვეყნის პრეზიდენტის — ყარზაის კლანი ან ჩრდილოეთ ალიანსი. „თალიბანი“ შედგება სხვადასხვა დაჯგუფებისგან, რომელთაც სხვადასხვა მიზანი და საზღვარგარეთ განტოტვილი სტრუქტურები აქვთ. და იმის საშიშროება, რომ ომით გატანჯული ქვეყანა კვლავაც ტერორის ხელში დარჩება, ძალზე დიდია.**

მაგრამ სტრატეგიული და ეკონომიკური მიზეზების გამო, აშშ ავღანეთში დარჩენაზე უარს არ იტყვის. ქვეყანას შეეძლო, მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინა ცენტრალურაზიური ნავთობისა და გაზის ტრანზიტში. და ყველა მნიშვნელოვანი მოთამაშე, რომელთა შორის არიან პაკისტანი, ინდოეთი, ჩინეთი, ირანი, რუსეთი და თურქეთი, დიდი ხანია, საკუთარ შანსს ელის ცენტრალური აზიის შუაგულში.

**DW**



**ყველა მნიშვნელოვანი მოთამაშე, რომელთა შორის არიან პაკისტანი, ინდოეთი, ჩინეთი, ირანი, რუსეთი და თურქეთი, დიდი ხანია, საკუთარ შანსს ელის ცენტრალური აზიის შუაგულში**

# ამერიკაში შიმშილობა დაიწყო

**ამერიკის შეერთებულ შტატებში კვების პრობლემა უკვე იმდენად მძაფრად დგას, რომ პოპულარულ სერიალში „სეზამის ქუჩა“ შიმშილობაზე სპეციალური სერია გადაიღეს. მანამდე არსებულ პერსონაჟებს ახლა ახალი მეგობარი ჰყავთ მოშიმშილე ოჯახიდან და მას მუდმივად უნდა ჭამა. სწორედ ეს პერსონაჟი უამბობს სეზამის ქუჩის სხვა ბინადართ ამერიკაში შიმშილობის შესახებ. მას ლილი ქვია და სერიალის იმ სპეციალურ გამოშვებაში გამოჩნდება, რომელიც ამერიკის მოშიმშილე ბავშვებს ეძღვნება. ეს კიდევ ერთი ნიშანია იმისა, რომ ამერიკაში ყველაფერი ძალზე ცუდადაა, იმდენად ცუდად, რომ რეალობას აღარავინ უარყოფს. როდესაც ყოველი ხუთი ბავშვიდან ერთი მაინც სიღატაკეში ცხოვრობს და ყოველი მეოთხე ბავშვი კი სურსათზე ტალონებს იღებს, უსამართლობა იქნებოდა, ამ მდგომარეობას უწოდო რაიმე სხვა, გარდა ნაციონალური კატასტროფისა.**



თუმცა „სეზამის ქუჩის“ ახალი მოშიმშილე პერსონაჟი ამერიკაში მიმდინარე შავბნელი ცვლილებების ერთადერთი სახიფათო ნიშანი არაა.

Hallmark-ი უკვე ექვსი სახეობის „მისალოც“ ბარათებს უშვებს მათთვის, ვინც სამსახური დაკარგა.

რეპერები კლიპებს სასურსათო ტალონებით ცხოვრების სიუჟეტზე იღებენ.

იმ ამერიკელთა რაოდენობა, რომელთაც კანადაში დროებით სამუშაოზე შეიტანეს განცხადება, 2008 წლის შემდეგ გაორმაგდა.

დამნაშავეები ამერიკაში ახლა კონდენციონერებს, დრენაჟის გისოსებს, შინიონებსა და ბალზამირების სითხესაც კი იპარავენ.

**აშშ-ში 2010 წელს იმ ბავშვთა რაოდენობა, რომლებიც სიღატაკის ზღვარს მიღმა ცხოვრობენ, 22%-მდე გაიზარდა. ეს იმას ნიშნავს, რომ დღეს ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველი მეხუთე ბავშვი სიღატაკეში ცხოვრობს.**

**ყოველი მეოთხე ბავშვი ახლა სასურსათო ტალონების წყალობით იკვებება.**

**აშშ-ში ახლა არის, სულ მცირე, 314 ოლქი, სადაც ბავშვების 30% სურსათის უკმარისობის საფრთხის წინაშე დგას.**

**ვაშინგტონში, კოლუმბიის ოლქში, სურსათის უკმარისობის საფრთხის წინაშე დგას ბავშვების 32,3%.**

**20 მილიონზე მეტ ამერიკელ ბავშვს დაუკმაყოფილებლობისაგან სკოლის სასურსათო პროგრამები იხსნის.**

**ალაბამაში საკვებ ტალონებს იღებს დაახლოებით ყოველი მესამე მცხოვრები.**

**იმ ამერიკელების რაოდენობა, რომლებიც უფასო საქველმოქმედო სასადილოებში იკვებება, 2006 წლიდან 46%-ით გაიზარდა.**

**პროგნოზების თანახმად, 18 წლის ასაკამდე ამერიკელი ბავშვების 50% ცხოვრების რომელიმე ეტაპზე მაინც მოიხმარენ საკვები პროდუქტების ტალონებს.**

**გასულ წელს იმ ამერიკელთა რიცხვი, რომლებიც სიღატაკეში ცხოვრობენ, რეკორდული მაჩვენებლით — 2,6 მილიონი ადამიანით გაიზარდა.**

**ითვლება, რომ ამჟამად ამერიკაში ნახევარ მილიონამდე ბავშვი უსახლკაროა.**

ახლა კვების ტალონებს 45 მილიონი ამერიკელი იღებს, 2007 წლიდან მათი რაოდენობა 74%-ით გაიზარდა.

ზოგჯერ ძნელი დასაჯერებელიც კია, რომ ქვეყანა, სადაც ეს ყველაფერი ხდება, ამერიკის შეერთებული შტატებია. არადა, ის არ ითვლება ყველაზე წარმატებულ ნაციად მთელს პლანეტაზე?

სამწუხაროდ, მიუხედავად უკეთესის მოლოდინისა, მდგომარეობა ცუდიდან უარესისაკენ იცვლება. ამერიკის დამქირავებლებმა გამოაცხადეს სამუშაო ადგილების შემცირების შესახებ და ამ აქციის მასშტაბები წელს, შარშანდელ სექტემბერთან შედარებით, 212 პროცენტით მეტია.

**ამერიკა იცვლება და იცვლება არა უკეთესობისკენ.**

**mixednews.ru**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კიტოში აშშ-ის საელჩო და ამერიკის საკონსულო გუაიაკილეში მეთოდურად ქმნიდნენ „წინააღმდეგობის“ განტოტვილ ქსელს ოპოზიციურად განწყობილი ეკვადორელებისგან „რევოლუციის“ ორგანიზებისთვის. არანაკლებ სახიფათო ხასიათისა იყო აშშ-ის სპეცსამსახურების შეღწევა ქვეყნის ძალოვან სტრუქტურებში.**

# ეკვადორი: ამერიკული დაზვერვა რაფაელ კორეას წინააღმდეგ

**ერთი წლის წინ ეკვადორში „პოპულისტური“ ხელისუფლების ჩამოგდება სცადეს. პოლიციელთა თითქოსდა სტიქიური ამბოხი კინაღამ პრეზიდენტ რაფაელ კორეას მკვლელობით დასრულდა. თითქმის ნახევარი საათის მანძილზე მისი მცირერიცხოვანი დაცვა პრეზიდენტის თავშესაფარ ჰოსპიტალზე შეთქმულთა შეტევებს უმკლავდებოდა. კერძო ტელეარხები შემთხვევის ადგილიდან პირდაპირ რეპორტაჟებს გადასცემდნენ და ტრაგიკული დასასრულის გარდაუვალობაზე საუბრობდნენ. არმიის ქვედანაყოფები ამ მოვლენებში ჩარევას არ ჩქარობდნენ. „ჩვენ მდგომარეობის ადეკვატური შეფასებისთვის დრო გვჭირდებოდა,“ — განმარტეს მოგვიანებით გენერლებმა. არსებობს ვერსია, რომ ის, ვინც შეთქმულებაში მონაწილეობდა, იმედოვნებდა, რომ მთელ „შავ სამუშაოს“ პოლიცია შეასრულებდა.**


რაფაელ კორეა

ამბოხის გარემოებები, მისი მიზეზები და მასთან აშშ-ის სპეცსამსახურების კავშირი ამ დრომდე აქტიურად განიხილება. მასმედიაში მიზანმიმართულად ჩნდება „ფაქტები და მტკიცებულებები“, რომლებიც მოვლენათა რეალურ ქვეტექსტს ამახინჯებს. პროამერიკული მასმედიის დომინირებული მდგომარეობა ეკვადორში აშშ-ის საელჩოს საშუალებას აძლევს, ჩამოაყალიბოს ვირტუალურ-სიმართლისმაგვარი ვერსიები, რომლებიც უარყოფს პრეზიდენტ კორეას მტკიცებებს შეთქმულებისა და შეთქმულთა მიერ მისი განადგურების განზრახვის შესახებ. ცსს-სა და სახელმწიფო დეპარტამენტის აგენტურა ნერგავს პროპაგანდულ თეზისს იმის შესახებ, რომ კორეამ „შეგნებულად მოახდინა პროვოცირება“ და პოლიციას ახალი კანონის შესაბამისად ტრადიციული შეღავათებისა და დამატებითი ანაზღაურების მოსპობით გამოსვლებისკენ უბიძგა. სამაგიეროდ, ამბოხის ჩახშობის შემდეგ კორეას მიეცა შესაძლებლობა, პოლიციის კორპუსში წმენდა ჩაეტარებინა, საკვანძო ადგილებზე ლოიალური თანამშრომლები დაენიშნა, თავისი „ავტორიტარული რეჟიმი“ გაემყარებინა.

**სახელმწიფო გადატრიალების შესახებ სიგნალები პრეზიდენტ კორეასთან რეგულარულად მიდიოდა. სოციალისტურ საწყისებზე დაფუძნებული სამხრეთამერიკული ინტეგრაციისა და რეგიონული დაცვის ბლოკის მომხრე კორეა იმპერიის პოზიციიდან იმდენად საშიშია, რამდენადაც მისი მეგობარი და მოკავშირე უგო ჩავესი. კიტოში აშშ-ის საელჩო და ამერიკის საკონსულო გუაიაკილეში მეთოდურად ქმნიდნენ „წინააღმდეგობის“ განტოტვილ ქსელს ოპოზიციურად განწყობილი ეკვადორელებისგან „რევოლუციის“ ორგანიზებისთვის. არანაკლებ სახიფათო ხასიათისა იყო აშშ-ის სპეცსამსახურების შეღწევა ქვეყნის ძალოვან სტრუქტურებში. ცსს-მ, აშშ-ის სამხედრო დაზვერვამ (RUMO), ნარკოტიკების გავრცელებასთან ბრძოლის დეპარტამენტმა (DEA), საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID) და სხვა „სამსახურებმა“, რომელთაც საფუძვლიანად დაიბუდეს აშშ-ის საელჩოში, ფაქტობრივად, კონტროლი დაამყარეს ეკვადორის ანალოგიურ სამსახურებზე, რომელთა შესანახადაც ამერიკის ფონდები მილიონობით დოლარს გამოყოფდნენ.**

კორეამ გადაწყვიტა, აშშ-ის უცერემონიო ბატონობისთვის ბოლო მოეღო. „გამაფრთხილებელ გასროლად“ იქცა 2009 წლის თებერვალში საელჩოს თანამშრომელი ორი ამერიკელის პერსონა ნონ გრატად გამოცხადება. ერთ-ერთი მათგანი — არმანდო ასტორგა, ნარკოტიკებთან მებრძოლ ეკვადორულ სტრუქტურებს აკონტროლებდა; მეორე — მარკ სულივანი სათავეში ედგა ცსს-ს რეზიდენტურას და, გარდა ოფიციალურისა, დაამყარა კონსპირაციული კონტაქტები იმ პოლიციელ მაღალჩინოსნებთან, რომელთაც შეხება ჰქონდათ გარეგანი თვალთვალის სამსახურთან, კორესპონდენციების პერლუსტრაციასთან, ტელეფონების მოსმენებთან, ინტერნეტის კონტროლთან. ამერიკელების დავალებით, თვალთვალი ხორციელდებოდა ჩინეთის, რუსეთის, ბრაზილიისა და იმ ქვეყნების წარმომადგენლებზე, რომლებიც ვაშინგტონის „არამეგობრულთა“ სიაში არიან ჩართულნი. ლათინურ ამერიკაში ასეთი ქვეყნებია ვენესუელა, კუბა, ნიკარაგუა, ბოლივია, არგენტინა. მიმდინარეობდა ნადირობა FARC-ის (კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალები) წარმომადგენლებზე და პოტენციურ „ექსტრემისტ მუსლიმანებსა და ტერორისტებზე“. **ამერიკელები არც ძალას ზოგავდნენ და არც სახსრებს, რათა კორეას ხელისუფლების წარმომადგენლების პარტიზანებთან ან „ალ ქაიდასთან“ კავშირები აღმოეჩინა, მაგრამ უშედეგოდ.**

დიპლომატების გაძევებას ვაშინგტონში უკიდურესი გაღიზიანებით შეხვდნენ. გამოცხადდა სპეცსამსახურებისა და თავდაცვის სამინისტროს მიმართულებით დაწყებული თანამშრომლობის მთელი რიგი პროგრამების შეჩერების შესახებ. აშშ-ის ელჩი ხიზერ ხოჯესი თავის გზავნილებში პრეზიდენტ კორეას მოიხსენიებდა „ემოციურად უმწიფარ“ ადამიანად. ხოჯესი ირწმუნებოდა, რომ მას თავისუფლად შეუძლია დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტა, რაც, მისი აზრით, არასასურველი იქნებოდა. თუ ეკვადორში აშშ-ის წარმომადგენლობა შესუსტდებოდა, ხელები გაეხსნებოდათ მთავარ მოწინააღმდეგეებს — ჩინეთსა და რუსეთს, რომლებიც ენერგიულად მუშაობდნენ კორეასთან სამხედრო-ტექნიკური და ენერგეტიკული თანამშრომლობის მიმართულებებით. **პეკინისა და მოსკოვისთვის ეკვადორულ პლაცდარმზე გაძლიერება წყნარი ოკეანის რეგიონში ერთ-ერთი სტრატეგიული ამოცანაა, ამიტომ უფრო მკაცრი სანქციებისგან თავის შეკავება ჯობს, ყველაფერს თავისი დრო აქვს,** — ამბობდა ელჩი. ხოჯესის არგუმენტები გაითვალისწინეს. აშშ-ის საელჩო ახალი ძალით ამუშავდა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა პრეზიდენტის „დამუშავებას“, რათა დაერწმუნებინათ, რომ ეკვადორში ამერიკული პოლიტიკისადმი მისი უნდობლობა შეცდომაა.

**ელჩი ხოჯესი პირადად მონაწილეობდა ნაციონალური პოლიციის სხვადასხვა ქვედანაყოფისთვის სპეციალური აღჭურვილობების, სატრანსპორტო საშუალებების და კომპიუტერების გადაცემის საქმეში. აშშ-ის სამხედრო მისიის წარმომადგენლებმა დიდი მუშაობა გააჩაღეს. დაიწყეს ყაზარმების, საყრდენი პუნქტების მშენებლობა, სატრანსპორტო საშუალებების, შეიარაღების, ჩქაროსნული კატერების მიწოდება. ჩრდილოამერიკელები აკეთებდნენ ყველაფერს, რათა დაემტკიცებინათ, რომ მათი მთავარი მიზანი ნარკოტრაფიკთან და კოლუმბიის საზღვართან პარტიზანული რაზმების წინააღმდეგ ბრძოლა იყო. ამასთან, მსგავსი ღონისძიება უადვილებდა ოპერატიულ მუშაობას ამერიკელ თანამშრომლებს პოლიციისა და არმიის რიგებში გაბნეულ აგენტურასთან.**

კორეა ცდილობს, როგორმე გაარღვიოს ქვეყნის ძალოვანი სტრუქტურების აშშ-ის მფარველებისადმი მორჩილების სახიფათო პრაქტიკა. კერძოდ, მან მიიღო გადაწყვეტილება, აღარ გაგზავნოს ოფიცერთა შემადგენლობა სასწავლებლად „სკოლა ამერიკში“ (მას ახლა სხვაგვარად ჰქვია და ფუნქციონირებს ჯორჯიას შტატის ფორტე-ბენინგში). უპირატესობა ენიჭება სასწავლო დაწესებულებებს მეგობარ ქვეყნებში, მათ შორის, — ვენესუელაში, კუბასა და ბრაზილიაში. კორეას განკარგულებით, აშშ-ში იარაღის შეძენის პრაქტიკაც გადახედვას ექვემდებარება. ამ შემთხვევაში გათვალისწინებულია ვენესუელის ნეგატიური გამოცდილება. ეს ქვეყანა პენტაგონის მხრიდან კატეგორიულ უარს შეეჯახა ამერიკული წარმოების თვითმფრინავების სათადარიგო ნაწილების მიწოდებასთან დაკავშირებით. 2008 წლის ნოემბერში კიტოში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის — სერგეი ლავროვის ვიზიტისას ხელი მოეწერა სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის ჩარჩო ხელშეკრულებას. წინ გადადგმულ დამაიმედებელ ნაბიჯად იქცა ეკვადორის მიერ ორი რუსული ვერტმფრენის შეძენა. ეს ვერტმფრენები ჯარების გადაადგილებისა და ტყის ხანძართა ჩაქრობისთვის გამოიყენება. **ეკვადორის თავდაცვის მინისტრმა ჰავიერ პონსემ განაცხადა, რომ დაგეგმილია რუსეთისგან სამხედრო ვერტმფრენებისა და სატრანსპორტო სატვირთო მანქანების ახალი პარტიის შეძენა 200 მილიონი დოლარის ფარგლებში. ეკვადორში რუსეთის ელჩის — იან ბურლიას განცხადებით, ამ ქვეყანასთან სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის პერსპექტივები კიდევ უფრო ფართოა — ეკვადორს შეიძლება მიეწოდოს მთელი სპექტრი იმისა, რასაც რუსეთის თავდაცვა აწარმოებს.**

„ვიკილიქსის“ მიერ გამოქვეყნებულმა პუბლიკაციებმა ეკვადორ-ამერიკის ურთიერთობათა ხელახალი დაძაბვა განაპირობა. ერთ-ერთ ტელეგრამაში, რომელსაც ხოჯესი აწერს ხელს, საუბარია იმაზე, რომ პრეზიდენტმა კორეამ, წინასწარ იცოდა რა ერთ-ერთი პოლიციელი გენერლის კორუმპირებულობის შესახებ, თავი შეიკავა მის წინააღმდეგ რაიმე სანქციებისგან, რათა პოლიციური კორპუსის ლოიალობა მოეპოვებინა. ამგვარი გამოხდომის უყურადღებოდ დატოვება კორეას არ შეეძლო. 2011 წლის აპრილში ხოჯესი საგარეო საქმეთა სამინისტროში მიიწვიეს და, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა რიკარდო პატინიომ განაცხადა, მან ვერ შეძლო ამ ტელეგრამის შინაარსთან დაკავშირებით დამაკმაყოფილებელი პასუხის გაცემა. შედეგად მას გამოუცხადეს, რაც შეიძლება სწრაფად დაეტოვებინა ქვეყნის ტერიტორია. კორეამ ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზი ასე ახსნა: **„ხოჯესი არასოდეს ყოფილა განწყობილი პოზიტიურად ეკვადორის ამჟამინდელი ხელისუფლებისადმი. ამერიკის შეერთებულ შტატებთან ჩვენი ურთიერთობა არც თუ ცუდად ვითარდება, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი პირი (ამერიკული პერსონალიდან) ჩვენს პოლიციაში ჯაშუშობს და ამავე დროს ცდილობს, ეკვადორის პრეზიდენტი კორუმპირებულობაში დაადანაშაულოს“.**

ახლა აშშ-ის საელჩოს სათავეში უდგას დროებითი რწმუნებული ტიმოთი სინიგა-ბრაუნი, რომელიც ეკვადორის დედაქალაქში 2011 წლის ივლისში ჩავიდა. მას სპეციფიური დიპლომატიური ტრაექტორია აქვს. სწავლობდა ნაციონალურ სამხედრო კოლეჯში, მეთაურობდა აშშ-ის არმიის ქვეითთა პირველი დივიზიის მე-4 ბრიგადის გუნდს ბაღდადის სამხრეთ ზონის რეკონსტრუქციისას; მუშაობდა საელჩოების პოლიტიკურ სექციებში ახალ ზელანდიაში, ლიმასა და პრეტორიაში, ანუ დაკავშირებული იყო სადაზვერვო სამუშაოებთან. ანალოგიურ მოვალეობებს ასრულებდა კუბაში აშშ-ის ინტერესების მისიაში. სექტემბერში ცნობილი გახდა, რომ კიტოში ელჩის თანამდებობაზე სახელმწიფო დეპარტამენტი ადამ ნამის გაგზავნას აპირებს. მას საუნივერსიტეტო განათლება და მაგისტრის ხარისხი აქვს ნაციონალურ სამხედრო კოლეჯში, სპეციალიზაცია — ნაციონალური უსაფრთხოების სტრატეგია. ადრე მუშაობდა უკიდურესად დაძაბული ოპერატიული მდგომარეობის მქონე ქვეყნებში — კოლუმბიასა და პაკისტანში. იქმნება შთაბეჭდილება, რომ კანდიდატები ეკვატორში პროგნოზირებადი სოციალურ-პოლიტიკური რყევების გათვალისწინებით ირჩევა.

სავარაუდოდ, ცნობისმოყვარე ამერიკელი მზვერავები ეკვადორში მივლინებამდე ეცნობიან ფილიპ ეიჯის წიგნს „ცსს-ს კულისებს მიღმა“. მართალია, ულალატა „კომპანიას“ და კუბაში გაიქცა, მაგრამ სასარგებლო გამოცდილება მასაც აქვს. ეიჯი კიტოში სწორედ საელჩოს პოლიტიკურ განყოფილებაში, 1960-1963 წლებში მუშაობდა. ეს იყო პერიოდი, როდესაც ლათინოამერიკულ ქვეყნებში სოციალისტური ბანაკისა და კუბის წინააღმდეგ მიმართული ცსს-ს სადაზვერვო მუშაობისათვის კეთილსასურველი პირობები იყო. ეიჯიმ დეტალურად აღწერა რეზიდენტურის მოქმედებები ეკვადორში — აგენტურული აპარატი, საიდუმლო ოპერაციები, ეკვადორის ხელისუფლების მოღალატეობა. თავისი ცხოვრების იმ პერიოდის შეჯამებისას ეიჯი წერდა: **„რეზიდენტი ნოულენდი ვერ იცნობდა თავის რეზიდენტურას, იმდენად გაიზარდა. მხოლოდ კიტოში ჩვენ ახლა რვა ოპერატიული თანამშრომელი გვყავს იმ ხუთის წინააღმდეგ, რომლებიც ჩემი აქ ჩამოსვლისას გვყავდა, პლუს ორი ახალი მდივანი. გუაიაკილში, მართალია, ჯერჯერობით ისევ ორი ოპერატიული თანამშრომელი გვყავს საკონსულოში, მაგრამ დავამატეთ კიდევ ერთი, საკონსულოს გარეთ. რეზიდენტი დინი აპირებს, გაზარდოს საკუთარი შტატები გუაიაკილეში არაოფიციალური თანამშრომლებით“.**

**აშშ-ის სადაზვერვო აპარატის ახლანდელი რიცხოვნება ეკვადორში ასჯერ აჭარბებს იმ ციფრებს, რომლებიც ეიჯის მოჰყავს. მიუხედავად ამისა, ქვეყანაში გრძელდება ამერიკელების ჩასვლა და ეს კორეას „პოპულისტურ“ ხელისუფლებას სერიოზული გამოცდით ემუქრება. ვადები შეიძლება მხოლოდ ვივარაუდო, მაგრამ დარტყმა გარდაუვალია.**

fondsk.ru

თუ გავითვალისწინებთ, რა პრობლემების წინაშე დგას დღეს ამერიკა, ორი ომის რამენაირად დამთავრების საჭიროებიდან დაწყებული, უმუშევრობის არნახული დონით დამთავრებული, ცხადია, ამერიკელებს ისღა დარჩენიათ, საკუთარი განსაკუთრებულობის შესახებ მითებით დაიმშვიდონ თავი.

დაიჯესტი
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# მითები ამერიკის განსაკუთრებულობაზე

**ამერიკელებს, შესაძლოა, მოსწონთ იმაზე ფიქრი, რომ მათი ქვეყანა უნიკალური ღირსებებით გამოირჩევა, მაგრამ ეს სინამდვილეს არ შეესაბამება. უკანასკნელი ორი ასწლეულის მანძილზე გამოჩენილი ამერიკელი მოღვაწეები აშშ-ს ისეთი ეპითეტებით ამკობდნენ, როგორიცაა „თავისუფლების იმპერია“, „კაცობრიობის უკანასკნელი იმედი“, „თავისუფალი მსოფლიოს ლიდერი“, „შეუცვლელი ქვეყანა“ და ასე შემდეგ. ეს სტერეოტიპები ხსნის, თუ რატომ თვლის თავს ვალდებულად პრეზიდენტობის ყველა კანდიდატი, რიტუალურად უმღეროს დითირამბები ამერიკის დიდებულებას. „ამერიკის განსაკუთრებულობის“ შესახებ განცხადება გულისხმობს, რომ ფასეულობები, პოლიტიკური სისტემა და ამერიკის ისტორია არის უნიკალური და საყოველთაო აღფრთოვანებას იმსახურებს. ირიბად საუბარია იმაზეც, რომ აშშ-ს ბედმა არგუნა და ეკუთვნის მსოფლიო არენაზე პოზიტიური როლის შესრულება. უბედურება ისაა, რომ მსოფლიოში ამერიკის როლის შესახებ ეს თვითკმაყოფილებით გაჟღენთილი წარმოდგენა მხოლოდ მითებს ეფუძნება. საკუთარ განსაკუთრებულობაზე ორიენტირებულ ამერიკელებს არ ესმით, რომ ძალიან ბევრი რამით მსოფლიოს დანარჩენ ხალხებს ჰგვანან. ამერიკის განსაკუთრებულობის შესახებ ყველაზე მეტად ხუთი მითია გავრცელებული.**





## პირველი მითი:

### ამერიკის განსაკუთრებულობაში არის რაღაც განსაკუთრებული

ყოველთვის, როდესაც ამერიკელი ლიდერები აშშ-ის „განსაკუთრებულ“ პასუხისმგებლობაზე ლაპარაკობენ, გულისხმობენ, რომ აშშ განსხვავდება სხვა ზესახელმწიფოებისგან და რომ ეს განსხვავება აიძულებს მას, საკუთარ თავზე აიღოს განსაკუთრებული ვალდებულებები. მაგრამ ეს გზა, უკვე დიდი ხანია, გათელილია. ზესახელმწიფოები ყოველთვის თავიანთ მოწინააღმდეგეზე მაღლა აყენებდნენ საკუთარ თავს და, თავს ახვევდნენ რა ყველას საკუთარ აზრს, სჯეროდათ, რომ ეს რაღაც საყოველთაო სიკეთეს ემსახურება. ამიტომ საკუთარი განსაკუთრებულობისა და შეუცვლელობის დეკლარირება ამერიკას მხოლოდ დიდი ხნის წინ ამღერებულ გუნდთან აერთებს. ზესახელმწიფოსთვის საკუთარი თავის „განსაკუთრებულად“ მიჩნევა წესია და არა — გამონაკლისი.

## მეორე მითი:

### აშშ სხვა ქვეყნებზე ღირსეულად იქცევა

**განსაკუთრებულობის შესახებ მტკიცებულება ეფუძნება თეზისს იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უკიდურესად კეთილშობილური სახელმწიფოა — მშვიდობისა და თავისუფლების მოყვარე, ადამიანის უფლებათა და კანონთა დამცველი. ამერიკელებს მოსწონთ იმაზე ფიქრი, რომ მათი ქვეყანა სხვა ქვეყნებზე უკეთ იქცევა.**

ნეტა, მართლა ასე იყოს! ცხადია, ამერიკას ისტორიაში ყველაზე დაუნდობელი სახელმწიფოების რიგში ვერ დავაყენებთ, მაგრამ მსოფლიო არენაზე მისი ქმედებების მიუკერძოებელი ანალიზი უკუაგდებს ამერიკის მორალური უპირატესობის შესახებ მტკიცებას.

დასაწყისისთვის უნდა ითქვას, რომ აშშ ერთ-ერთი ყველაზე ექსპანსიონისტური სახელმწიფოა ახალ და უახლეს ისტორიაში. **აშშ 13 მომცრო კოლონიის გაერთიანებით გაჩნდა ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროზე, შემდეგ კი მისი ტერიტორია კონტინენტის მთელ სიგანეზე გადაიჭიმა; ამასთან, ტეხასი, არიზონა, ნიუ-მექსიკო და კალიფორნია მან 1846 წელს მექსიკას წაართვა. ამერიკელებმა გაწყვიტეს ადგილობრივი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, გადარჩენილებს კი რეზერვაციაში უკრეს თავი.** ამის შემდეგ ამერიკამ მთელ რიგ ომებში მიიღო მონაწილეობა, რომელთაგან არაერთი თავად წამოიწყეს და საომარი მოქმედებებისას მის ქცევას ჰუმანურს ვერავინ უწოდებს. **მხოლოდ ფილიპინელებთან ომში ამერიკელებმა 200-დან 400 ათასამდე ადამიანი მოკლეს, ძირითადად — მშვიდობიანი მოსახლეობა, მეორე მსოფლიო ომის დროს საჰაერო დარტყმებით კი 305 ათასი გერმანელი და 330 ათასი იაპონელი გაანადგურეს, ამჟერადაც ძირითადად მშვიდობიანი მოსახლეობის სახით.** ასე მოვიდა ამერიკა დღემდე და მრავალ ომში გამოვლილი მისი უპილოტო საფრენი აპარატები ტერორიზმში ეჭვმიტანილებს, სულ მცირე, ხუთი ქვეყნის ტერიტორიაზე კვლავაც დევნიან. რამდენი უდანაშაულო სამოქალაქო პირი შეეწირა ამ დევნას, არავინ იცის. ამ ყველაფრის შემდეგ ამერიკელები ვერ ხვდებიან, რატომ სძულთ ისინი ასე.

ამერიკა ყველაზე მეტს ლაპარაკობს ადამიანის უფლებებსა და საერთაშორისო სამართალზე, მაგრამ აბუ-გრეიბისა და სხვა ციხეებში პატიმართა წამებამ, ადამიანთა გატაცებებმა და მათმა პრევენციულად დაპატიმრებამ თითქოსდა უნდა შეარყიოს ამერიკელების რწმენა, რომ მათი ქვეყანა მუდამ მორალის დაცვით მოქმედებდა. ობამას მიერ ზემოხსენებული მეთოდების უმეტესობის ძალაში დატოვება კი ადასტურებს, რომ ეს წესიდან დროებითი გადახრა არ იყო.

## მესამე მითი:

### ამერიკის წარმატებები განსაკუთრებული „ამერიკული გენიითაა“ განპირობებული

**აშშ-მა დიდ წარმატებებს მიაღწია და ამერიკელები ხშირად თვლიან, რომ ქვეყანა მსოფლიო ზესახელმწიფოდ აქცია „დამფუძნებელი მამების“ პოლიტიკურმა შორსმჭვრეტელობამ, კონსტიტუციის სრულყოფილებამ, პიროვნების თავისუფლებამ, ამერიკელი ხალხის შრომისმოყვარეობამ და შემოქმედებითმა ნიჭმა. ამ ვერსიის თანახმად, აშშ მსოფლიო არენაზე განსაკუთრებულ როლს იკავებს, როგორც უკვე მოგეხსენებათ, თავისი განსაკუთრებულობის წყალობით.**

ამერიკის ისტორიის ამ ვერსიაში სიმართლის მარცვალი ნამდვილად არის, მაგრამ თავის წარმატებებს ამერიკა ნაციონალური ხასიათის უნიკალურ თავისებურებებზე არანაკლებ გარემოებათა იღბლიან თანხვედრას უნდა უმადლოდეს. ამერიკას, უბრალოდ, გაუმართლა იმის გამო, რომ მოწყვეტილია მსოფლიოს სხვა ზესახელმწიფოებს, მდებარეობს ტერიტორიაზე, სადაც მრავალი დიდი მდინარე და ნაოსნობაა და სადაც ადგილობრივი მოსახლეობა, განვითარების შედარებით დაბალი დონის გამო, ევროპული დაავადებების მიმართ არამდგრადი აღმოჩნდა. მსოფლიო არენაზე ამერიკის უპირატესობა განაპირობა დანარჩენი სახელმწიფოების დაძაბუნებამ ორი მსოფლიო ომის გამო.

ეს ვერსია არ უარყოფს, რომ ამერიკა ბევრ რამეს სწორად აკეთებდა, მაგრამ ამერიკა თავისი ახლანდელი მდგომარეობის გამო ფორტუნას უნდა უმადლოდეს და არა რაღაც განსაკუთრებულ გენიას ან მისიას.

## მეოთხე მითი:

### მსოფლიო უკეთესობისკენ იცვლება, ძირითადად, აშშ-ის წყალობით

**ამერიკელებს უყვართ, საკუთარ თავს მიაწერონ საერთაშორისო არენაზე მიმდინარე დადებითი მოვლენები. პრეზიდენტი ბილ კლინტონი თვლიდა, რომ აშშ შეუცვლელ როლს თამაშობს სტაბილური საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. ჰარვარდის განსვენებული პოლიტოლოგი სემუელ ჰანტინგტონი კი ამბობდა, რომ აშშის ჰეგემონია აუცილებელია თავისუფლების, დემოკრატიის, ეკონომიკური გახსნილობისა და მთელ მსოფლიოში საერთაშორისო წესრიგის თვალსაზრისით. ჟურნალისტი მაიკლ ჰირში უფრო შორს მიდის: თავის წიგნში „ომი საკუთარ თავთან“ ის ამტკიცებს, რომ ამერიკის გლობალური როლი უდიდესი ძღვენია, რაც კი ოდესმე მიუღია მსოფლიოს მთელი ისტორიის მანძილზე. ამ და სხვა მსგავსი მტკიცებულებების საფუძველზე ამერიკელთა უმეტესობა საკუთარ ქვეყანას მიიჩნევს სიკეთის უდიდეს ძალად საერთაშორისო ურთიერთობებში.**

უკანასკნელი 100 წლის მანძილზე აშშ-მა ნამდვილად შეიტანა საკუთარი წვლილი მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარების საქმეში, მაგრამ იმის მტკიცება, რომ ყველაფერი საუკეთესო მსოფლიოში ვაშინგტონის ბრძნული პოლიტიკის შედეგად ხდება, ამ წვლილის შეფასებისას მნიშვნელოვანი გადაჭარბებაა.

ამერიკელებმა უყურეს ფილმს „რიგითი რაიანის გადასარჩენად“ და დაასკვნეს, რომ ნაცისტურ გერმანიაზე გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი ამერიკელებმა შეასრულეს, მაგრამ სინამდვილეში ასე არ იყო.

**უკანასკნელი ორმოცდაათი წლის შეჯამებისას შეუძლებელია, არ გავიხსენოთ ამერიკული ძლევამოსილების მეორე მხარე. უკანასკნელ წლებში სწორედ აშშ აბინძურებს გარემოს ყველაზე მეტად სასათბურე აირებით; ვაშინგტონს არაერთხელ დაუკავებია არასწორი პოზიცია და მხარს უჭერდა არაერთ დაუნდობელ დიქტატორს თავისი ხანმოკლე სტრატეგიული ინტერესების განსახორციელებლად.**

ამერიკელები მიიწერენ გადაჭარბებულ დამსახურებებს მთელს მსოფლიოში პროგრესის უზრუნველყოფის საქმეში და მზად არ არიან, აღიარონ საკუთარი დანაშაული იმ შემთხვევებში, როდესაც მათი ქვეყნის პოლიტიკა კონტრპროდუქტიული ხასიათისაა. პენტაგონელებს ეგონათ, რომ ბაღდადში ამერიკულ ჯარს ყვავილებით შეხვდებოდნენ, მაგრამ სინამდვილეში მათ იქ მხოლოდ ყუმბარებსა და თვითნაკეთ ასაფეთქებელ მოწყობილობებს „ჩუქნიდნენ“.

## მეხუთე მითი:

### ღმერთი ჩვენთანაა

**ამერიკული განსაკუთრებულობის შესახებ მითის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტი იმის რწმენაა, რომ შემოქმედმა შტატებს მსოფლიო ლიდერობის განსაკუთრებული მისია დააკისრა. რონალდ რეიგანი თანამოქალაქეებს ეუბნებოდა, რომ ამერიკა ამ ქვეყანაზე უფლის ნებით გაჩნდა და პაპის — პია XII-ს სიტყვები გაიმეორა, რომ ამერიკას უფალმა მრავალტანჯული კაცობრიობის ბედი არგუნა. 2004 წელს ბუშმა იგივე გაიმეორა და თქვა, რომ ამერიკას ზეციდან აქვს მოწოდება, დადგეს თავისუფლების სადარაჯოზე. ბისმარკისთვის მიწერილი აფორიზმი კი ირწმუნება, რომ „უფალი ეხმარება სულელებს, ლოთებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს“.**

თავდაჯერებულობა ფასეული თვისებაა, მაგრამ, როდესაც ქვეყანას სჯერა, რომ ის უფლის რჩეულია და ყველაფერი ხელეწიფება, რომ ვერავინ და ვერაფერი ჩამოაშორებს ჭეშმარიტ გზას, რეალობისგან უსიამოვნო სიურპრიზებს უნდა ელოდოს.

თუ ვინმეს მართლა სჯერა, რომ ამერიკა სულელური შეცდომებისა და წარუმატებლობებისგან დაზღვეულია, მხოლოდ ბოლო ათწლეულის წარუმატებელი ომები და სიხარბითა და სხვა მანკიერებებით განპირობებული ფინანსური კატასტროფები გაიხსენოს. არადა, ლინკოლნი ხომ ამბობდა, რომ თავად ამერიკელებს უნდა აღელვებდეთ საკითხი, არიან კი თავად ღმერთის მხარეს?

**თუ გავითვალისწინებთ, რა პრობლემების წინაშე დგას დღეს ამერიკა, ორი ომის რამენაირად დამთავრების საჭიროებიდან დაწყებული, უმუშევრობის არნახული დონით დამთავრებული, ცხადია, ამერიკელებს ისღა დარჩენიათ, საკუთარი განსაკუთრებულობის შესახებ მითებით დაიმშვიდონ თავი.**

ამერიკას, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა ქვეყანას, აქვს დადებითი მხარეები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის მხოლოდ ერთ-ერთი ქვეყანაა საერთაშორისო არენაზე, თუნდაც სხვა მრავალზე ბევრად ძლიერი და მდიდარი იყოს. ეს უპირატესობები არ იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაკეთებული ნებისმიერი არჩევანი სწორი იქნება.

საერთაშორისო ურთიერთობები კონტაქტური სპორტის სახეობაა და თვით უძლიერეს სახელმწიფოებსაც კი ხანდახან საკუთარი პრინციპების დათმობა უწევთ თავისივე უსაფრთხოებისა და აყვავების სანაცვლოდ. და, თუკი ამერიკელებს სურთ, ნამდვილად გამონაკლისად იქცნენ, პირველ რიგში, თავად ამერიკის განსაკუთრებულობისადმი ბევრად უფრო სკეპტიკური მიდგომით უნდა დაიწყონ.

**სტივენ მ. უოლტი,**
**ჰარვარდის უნივერსიტეტთან არსებული კენედის სახელობის სახელმწიფო მართვის სკოლის საერთაშორისო ურთიერთობათა კათედრის პროფესორი.**

**Foreign Policy**

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თვით საქართველოშიც კი ძნელად მოიძებნება ისეთი ადგილი, სადაც იმდენი ცნობილი ისტორიული პიროვნება იყოს დაკრძალული, როგორც ეს დონის მონასტერშია. აქ დაახლოებით 160-მდე ქართველი პატრიოტია დაკრძალული.**

# საქართველო-რუსეთის პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ურთიერთობა

**საქართველო-რუსეთის პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ურთიერთობის დასაწყისად XV საუკუნის II ნახევარი შეიძლება ჩაითვალოს. პირველი ცნობები ამ ურთიერთობების შესახებ თარიღდება 1491 წლით, როდესაც მოსკოვის დიდმა თავადმა ივანე მესამემ კახეთის მეფე ალექსანდრე I მიიღო. მოგვიანებით ეს ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდა და გაფართოვდა.**

1587-1589 წლებში გაფორმდა პირველი ქართულ-რუსული ხელშეკრულება, რომელსაც **„ფიცის წიგნი“** („წიგნი ჯვრისმთხვევისა“) ეწოდა. ხელშეკრულება დაიდო მოსკოვის დიდ თავად თევდორე ივანეს ძესა და კახეთის მეფე ალექსანდრე პირველს შორის.

ამ ხელშეკრულებით რუსეთის მეფე კახეთის სამეფოს თავის მფარველობას აღუთქვამდა და გარეშე მტრებისაგან დაცვის ვალდებულებას იღებდა.

1639 წლის 23 აპრილს მეფე თეიმურაზ პირველმა „ფიცის წიგნი“ განაახლა — კახეთის მეფის ხელშეკრულება რუსეთთან. ასევე მოიქცა 1651 წელს იმერეთის მეფე ალექსანდრე III.

ქართულ-რუსული ურთიერთობების გასამყარებლად, არქიმანდრიტ პახუმის სურვილის თანახმად, ათონის ივერთა მონასტრიდან, რომელიც ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო მთელ მართლმადიდებლურ სამყაროში, ერთმორწმუნე **რუსეთში ჩააბრძანეს ივერიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის ასლი. ეს ხატი იფარავდა და იცავდა მეფე ალექსანდრე მიხეილის ძის ლაშქარს ომებში. პატრიარქმა ნიკონმა და ალექსანდრე მიხეილის ძემ ამ სასწაულმოქმედი ხატისთვის სპეციალურად ეკლესია ააშენეს. თავიდან ივერიის ღვთისმშობლის ხატი ნიკოლსკის მონასტერში დაასვენეს, რომელიც ქართველებს ეკუთვნოდა, შემდეგ გადაიტანეს კრემლის მიძინების ტაძარში. ამჟამად ხატი „ნოვოდევიჩის“ სოფიის დარბაზში ასვენია.**

ივერიის სასწაულმოქმედი ღვთისმშობლის ხატის კიდევ ერთი ასლის სათაყვანებლად, რომელიც სპარსელმა დამყრობლებმა გაიტაცეს, „კრასნოგორსკის“ მონასტერში ეკლესია ააშენეს. მოსკოვში შავი ჭირის მძვინვარების დროს ალექსი მიხეილის ძემ ხატი იქ გადაასვენა, წმიდა სამების ეკლესიაში. შემდეგში ეს ეკლესია ღვთისმშობლის ქართულ ეკლესიად იწოდებოდა (დღეს აქ სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ფილიალია განთავსებული). აქედან მოყოლებული, მეფისა და ნიკონის ბრძანებით, მოსკოვში 250 წლის განმავლობაში ამ ხატის დღეს 22 აგვისტოს აღნიშნავდნენ.

**მოსკოვის ნიკოლსკის მონასტერი** პირველი კულტურული და პოლიტიკური ქართველი საზოგადო მოღვაწეების ცენტრია, რომელიც შემდგომში პანთეონად გადაკეთდა. აქ დაკრძალული იყო ქართული კოლონიის უფროსი თაობის წარმომადგენლები დაწყებული ეპიფანიადან და მეფე ქაიხოსროს მეუღლის — დედოფალ ეკატერინედან, რომელთა სასაფლაოს ქვები დონის მონასტერში გადაიტანეს.

1653 წელს მოსკოვში ჩამოვიდა უფლისწული ერეკლე I (ნაზარალიხანი) დედასთან, ელენესთან ერთად, ხოლო ოთხი წლის შემდეგ მისი პაპა თეიმურაზ პირველი. ეს იყო ქართველი მეფის პირველი ვიზიტი რუსეთში. ერეკლე I მეფე ალექსანდრე მიხეილის ძის უახლოესი პიროვნება გახდა. რუსეთის მეფის მეორე ქორწინებისას ის საქორწინო ცერემონიალს ხელმძღვანელობდა და „სიძის საპატიო მამა“ იყო.

1684 წელს მოსკოვში ჩამოვიდნენ მეფე არჩილის შვილები — უფლისწულები ალექსანდრე და მამუკა, ხოლო მალე თავად არჩილიც ჩამობრძანდა. პეტრე პირველმა მეფე არჩილს „ვსესვიატსკოე“, პახრა, ლისკოვო, ბელგოროდი და სხვა ადგილები უბოძა. სასახლის სამამულოდან სამი „საგლეხო“, ხოლო სამუდამო მფლობელობაში გოლიცინის სასახლე გადასცა, რომელიც არჩილმა თავის რეზიდენციად აქცია (ამჟამად აქ რუსეთის გოსდუმის შენობა დგას).

პეტრე პირველმა უფლისწულ ალექსანდრე ბაგრატიონს რუსეთის საზარბაზნო საქმის, ფსკოვისა და ნოვგოროდის არტილერიის ხელმძღვანელობა ჩააბარა, მისთვის სპეციალურად შემოიტანა სამხედრო წოდება „გენერალ-ფელდცეხმაისტერისა“, გადასცა მოსკოვის მილოსლავსკების მამული. ალექსანდრე არჩილის ძემ მონაწილეობა მიიღო ოლონეცკისა და ურალის ქარხნების დაგეგმვაში და ახალი ტიპის იარაღის ჩამოსხმა დაიწყო. **უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ალექსანდრე ბატონიშვილმა დაიწყო პირველად მხატვრული ნაწარმოებების თარგმნა რუსულიდან ქართულად. 1703 წელს მეფე არჩილის ინიციატივით მოსკოვში გაიხსნა პირველი ქართული სტამბა. ასევე მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ქართულ-რუსული ეკლესიებიც. პატრიარქი იოაკიმი და კათალიკოსი ნიკოლოზი ხშირად უგზავნიდნენ ერთმანეთს ეპისტოლეებს.**

1705 წელს მეფეს დონის მონასტერიც გადაეცა. დონის მონასტერი მნიშვნელოვანი ქართული რელიგიური და პოლიტიკური ცენტრი გახდა რუსეთში. დონის მონასტრის წინამძღვრად ქართველი არქიმანდრიტი ლავრენტი აირჩიეს.

დონის მონასტერი



შოთა რუსთაველის ძეგლი მოსკოვში (მერაბ ბერძენიშვილი)



მეფემ და ლავრენტიმ დაამთავრეს დიდი სალოცავისა და ტიხვინის მონასტრის მშენებლობა, რომელსაც ზღუდე შემოავლეს მრგვალი კოშკებით და პირველხარისხოვან თავდაცვით ნაგებობად აქციეს. მოგვიანებით არჩილმა საკურთხევლის ქვეშ აკლდამა გათხარა, სადაც ალექსანდრე უფლისწული დაკრძალა.

**თვით საქართველოშიც კი ძნელად მოიძებნება ისეთი ადგილი, სადაც იმდენი ცნობილი ისტორიული პიროვნება იყოს დაკრძალული, როგორც ეს დონის მონასტერშია. აქ დაახლოებით 160-მდე ქართველი პატრიოტია დაკრძალული.** მეფე არჩილი და მისი ოჯახი, ვახტანგ VI-ს შვილი ბაქარი, ბოლო შტო ვახტანგ VI-ს სამეფო შტოსი — გრაფი ალექსანდრე ტოლსტოი და მისი მეუღლე გრაფინია ანა ბაგრატიონ-გრუზინსკი.

მეფე არჩილის გარდაცვალების შემდეგ ქართული დიასპორის ხელმძღვანელობა მისმა ქალიშვილმა დარეჯანმა ითავა. ის იყო ვახტანგ VI-ს წარმომადგენელი რუსეთის მეფის კარზე, ე. წ. სრულუფლებიანი მინისტრი. დედოფალმა დარეჯანმა თავისი სახსრებით ვსესვიატსკოეს მიწაზე ხის ეკლესიის ნაცვლად ქვის ტაძარი ააგო, რომელიც ქართველმა ოსტატებმა მოხატეს. წარწერები და ნახატები ნაწილობრივ იქნა შენარჩუნებული. **ვსესვიატსკოეს მამულში კიდევ ერთი პანთეონი დააარსეს, სადაც სულხან-საბა ორბელიანის ნეშტი უნდა განისვენებდეს.** დარეჯანის გარდაცვალების შემდეგ ვსესვიატსკოე (ეს ტერიტორია დღეს მეტრო „სოკოლის“ ახლოსაა) მის უახლოეს ნათესავებს გადაეცათ, მეფე ვახტანგის ძეებს — ბაქარსა და გიორგის, რომლებიც მოსკოვში მამას ჩამოჰყვნენ, მამული კი თავად ვახტანგ მეექვსეს გადაეცა 1729 წელს.

არჩილის შემდეგ ქართული წიგნის ბეჭდვის საქმე მისმა ვაჟმა ბაქარ ვახტანგის ძემ გააგრძელა. ამ ქართულ სტამბაში დიდი ხნის განმავლობაში მოღვაწეობდა დავით გურამიშვილი, ქრისტეფორე, რომელმაც დაბეჭდა რუსულ-ქართული ანბანი, ხოლო 1743 წელს უფლისწულმა ვახუშტიმ გამოსცა პირველი ქართული ბიბლია.

„ვსესვიატსკოეს“ ქართული სტამბა 1774 წლამდე არსებობდა. ვახტანგ VI მოსკოვში იმ ადგილას ცხოვრობდა, სადაც მერე ლენინის სახელობის ბიბლიოთეკა იყო. „ოხოტნიჩიე რიადის“ ახლოს ბაქარის სახლი იდგა. ვახტანგ მეექვსესთან ერთად რუსეთში ჩავიდა დაახლოებით 3 000 ქართველი. მათი ნაწილი ასტრახანში დარჩა, ხოლო დანარჩენები (დაახლოებით 1200 კაცი) მოსკოვს ჩამოვიდა. აქედან 43 თავად-აზნაური იყო. ვახტანგ VI 1737 წელს ასტრახანში გარდაიცვალა. იგი დაკრძალეს მიძინების სახელობის ასტრახანის ტაძრის კრემლის კათედრალში.

მისი გარდაცვალების შემდეგ ქართულ ემიგრაციას უფლისწული ბაქარი ჩაუდგა სათავეში.

ვახტანგის ძე, უფლისწული გიორგი, რომელმაც წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია ააშენა, რუსეთის არმიის მებრძოლი გენერალი იყო, მრავალ ბრძოლაში იღებდა მონაწილეობას, დაჯილდოებული იყო უმაღლესი ორდენებითა და გენერალ ანშეფის ჩინით, რომელიც მინიჭებული ჰქონდათ გამოჩენილ გენერლებს. 1785 წელს მან მოსკოვის უნივერსიტეტს 10 000 რუბლი გადაურიცხა. ეს იმდენივე თანხა იყო, რაც თავად მოსკოვის უნივერსიტეტის აშენებას დაჭირდა. ამას გარდა, ის იყო დედოფალ ელიზავეტას „ნამდვილი კამერგერი“. 1700 წელს უფლისწული ათანასე — ვახტანგ მეექვსეს ძმა, გენერალ-პორუჩიკი კრემლის ობერკომენდანტად დანიშნეს.

ქართველი გრენადერების პოლკი ერთ-ერთი უძველესი იყო რუსულ არმიაში. ის 1700 წელს დაარსდა. მისი პოლკი მონაწილეობას იღებდა ჩრდილოეთის ომში (1799-1772 წწ.), თურქეთის ლაშქრობებში (1796 წ), რუსეთ-ირანის ომში (1726-1828), რუსეთ-თურქეთის ომში (1828-1829), (1877-1878), ყირიმის ომში (1853-1856), თავი გამოიჩინა კიურიუკ-დარიულ ბრძოლებში. კავკასიის ომში სოფელ გუნიბში გრიგოლ ორბელიანის მეთაურობით შამილი იქნა დატყვევებული. 1918 წელს ეს პოლკი დაშალეს.

1738 წელს მამუკა დავითაშვილის მიერ დაარსდა ქართველ ჰუსართა ლეგიონი, რომელშიც დავით გურამიშვილი მსახურობდა.

ლევ ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“-ში ერთ-ერთი პარტიზანული გაერთიანების მეთაური — დენის დავიდოვი მამუკა დავითაშვილის შთამომავალი იყო. 1769 წელს ეს ლეგიონი მოსკოვის ლეგიონს შეუერთდა.

1761 წელს თეიმურაზ II 72 კაცთან ერთად მოსკოვში ჩამოვიდა, ხოლო შემდეგ — პეტერბურგში, სადაც 1762 წელს მოულოდნელად საქართველოში წასვლამდე გარდაიცვალა. ის ასტრახანში ვახტანგ მეექვსეს გვერდით არის დაკრძალული.

უნდა აღინიშნოს, რომ კრემლის მთავარანგელოზის ტაძრის ეზოსმოძღვრები ქართველები იყვნენ. ქართულ ეკლესიებში წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. **მოსკოვში ქართული ტაძრები განთავსებული იყო „ბოლშაია გრუზინსკაიას“ რაიონში, ვორონცოვის მოედანზე, „გრუზინსკის“ შესახვევთან. სულ ექვსი ეკლესია. მცირე თეატრის ახლოს (შემდეგში ხლიუდოვის სახლი, ახლა ცენტრალური ბანკი) განთავსებული იყო ქართველი მეფეების კარის ეკლესია. იპატევსკის შესახვევში ყოფილი ქართული სამების სახელობის ეკლესია მდებარეობდა.** 1737 წელს იმერეთის მეფის, სოლომონის ქვრივ- ▶

ქართველთა დასახლება „გრუზინი“, ხედი



ნიკოლსკის მონასტერი. აქ დაასვენეს თავდაპირველად ათონის ივერთა მონასტრიდან რუსეთში ჩამობრძანებული ივერიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის ასლი



# საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს ვახტანგ მეექვსეს შვილთაშვილმა იმპერატორს უძღვნა ქართული სახელმწიფოებრივი რელიქვია — წმიდა ნინოს ვაზის ჯვარი, შეკრული მისი თმებით. ალექსანდრე პირველმა ეს ჯვარი ქართულ ეკლესიას დაუბრუნა.

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ამა ანა პაატას ასულმა, ცნობილი მოსკოვის ხანძრის შემდეგ, კვლავ შეაკეთა ნოვინსკის მონასტერი და ოთხი ეკლესია აღადგინა. ივერიის ღვთისმშობლის ხატი ამშვენებდა საკოლნიკებში ამაღლების ტაძარს, კიდევ ერთი ინახება ვორონცოვის ველზე პოკროვის ღვთისმშობლის ეკლესიაში.

**ამ დროისთვის რუსეთში უკვე არსებობდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი კოლონია.**

**ქართული კოლონია თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა და არც თუ ისე ცოტა პრივილეგია ჰქონდა რუსეთის ხელისუფალთაგან მინიჭებული.** XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან აქ ქართველი ბატონიშვილები — ბაგრატიონები საკმაოდ დიდ მიწის ნაკვეთებს ფლობდნენ. მოსკოვში დღესაც არსებული ორი დიდი ქუჩის — „ბოლშაია გრუზინსკაიასა“ და „მალაია გრუზინსკაიას“ სახელწოდებები დაკავშირებულია ადგილთან „გრუზინი“, რომელიც ისტორიულ წყაროებში 1714 წლიდანაა მოხსენიებული. 1725 წელს სწორედ აქ გადმოსახლდნენ ქართველი მეფე ვახტანგ ლევანის ძე და მისი შვილები ამალით. მათ საცხოვრებლად გამოუყვეს სოფელ ვოსკრესენსკოეს ტერიტორია.

თანამედროვე რუსეთში აჯანყების მოედანზე მაღალი შენობიდან მოჩანს „კრასნაია პრესნიას“ ქუჩა, რომლის ბოლოს მიწაყრილია, მას „გრუზინსკი ვალს“ უწოდებენ. ცოტათი მარჯვნივ ზოოპარკის მწვანე ტერიტორიაა, როემლსაც ჰყოფს „ბოლშაია გრუზინსკაია“, კიდევ უფრო მარჯვნივ — პლანეტარიუმის გუმბათი და სასტუმრმო „პეკინი“. მთელი ეს რაიონი „ქართულ სამოსახლოს“ წარმოადგენს („გრუზინსკაია სლობოდა“), რომელსაც, უბრალოდ, „გრუზინები“ ერქვა და ქართული კულტურის მძლავრ კერას წარმოადგენდა. **მოსკოვში დღესაც დგას ხის სახლი, რომელშიც 1981 წელს გაიხსნა მუზეუმი, სადაც თავმოყრილი იყო XVII-XVIII საუკუნეებში მოსკოვში ქართველთა დასახლების ამსახველი სხვადასხვა დოკუმენტების, ფოტოებისა და საინტერესო მასალების მრავალფეროვანი კოლექცია, ამჟამად ამ სახლში არავინაა, ჭიშკარს დიდი ბოქლომი ადევს.**

ქართული დასახლების ცენტრში მდებარეობდა დიდმოწამე გიორგის ეკლესია. ის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ადგილას აშენდა, რომელიც ააგო რუსეთის მეფემ — ალექსი მიხეილის ძემ და რომელიც XVIII საუკუნის შუა წლებში ხანძრის შედეგად დაიწვა. მოსკოვის არქიეპისკოპოს პლატონს ამ ადგილას ეკლესიის აშენების თხოვნით მიმართა ვახტანგ VI-ს ვაჟმა, უფლისწულმა გიორგიმ. 1749 წელს ნებართვა მიიღო და, როგორც ჩანს, მისი სახსრებით აშენდა ხის ეკლესია. იგი აკურთხა არქიეპისკოპოსმა იოსებ სამებელმა (ი. ქობულაშვილმა).

ღვთისმსახურება ეკლესიაში ქართულად სწარმოებდა. 1779 წელს ამ ეკლესიასაც ცეცხლი გაუჩნდა, ყველაფერი დაიწვა, გადარჩა მხოლოდ საეკლესიო შესამოსელისა და ჭურჭლის საცავი. ამის შემდეგ დაიწყეს ქვის შენობის მშენებლობა, რომელიც აკურთხეს 1800 წელს. მთელი XIX საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა მისი კეთილმოწყობა და გაფართოება. **მოსკოვში დღესაც მოქმედებს „სანდუნოვსკიე ბანი“, რომელიც ქართველი ზანდუკელის მიერ არის აშენებული. დიდი რუსი ფერმწერის რუბლიოვის მუზეუმი დავით არსენიშვილის დიდი ძალისხმევით დაარსდა.**

სხვადასხვაგვარად წარიმართა საქართველოს მოწყვეტილი ქართველი პატრიოტების ბედ-იღბალი. მათგან, ვინც 1825-1845 წლებში ჩამოვიდა, ერთი ნაწილი უკრაინაში დასახლდა, სხვები — ასტრახანში, ორენბურგში, ყაზანისა და ვორონეჟის მახლობლად. ყიზლარსა და მოზდოკში წარმოიქმნა დიდი ქართული კოლონია. 1812 წელს ყიზლარში დაიბადა 12 ქართველ გენერალს შორის ყველაზე ცნობილი, სამამულო ომის გმირი, რუსული არმიის ინფანტერიის გენერალი პეტრე ბაგრატიონი.

კიდევ ერთი სამეფო გვარის ისტორია დაკავშირებულია ნიჟნისა და ლისკოვოსთან. ლისკოვო, რომელიც პეტრე პირველმა მეფე არჩილს უბოძა, შემდგომში გადავიდა ალექსანდრე ბაქარის ძის მფლობელობაში, იმპერატორ ელიზავეტას ფავორიტის — გიორგი ბაგრატიონ-გრუზინსკის საკუთრებაში. მან განაახლა სასახლე, ახალი საზაფხულო რეზიდენცია ააშენა, განფინა შესანიშნავი ბაღი უიშვიათესი ხეებითა და ყვავილებით (ამჟამინდელი ვერცხლის საუფლისწულო პარკი). ის მაკაროვოში მაუდის

დიდმოწამე გიორგის ეკლესია



გოლიცინის სასახლე



ფაბრიკას ფლობდა, ნაგანოვოში ცხენოსნობას მისდევდა, ხოლო ლისკოვოში — მეღვინეობას. ამაღლების ტაძარი ააშენა, სკოლა, რომელიც დღესაც ფუნქციონირებს. 1775 წელს გიორგი გრუზინსკი სახალხო ლაშქარს მეთაურობდა ნიჟნი ნოვგოროდში. 21 წლის განმავლობაში გუბერნიის თავადაზნაურობის მეთაურია, 1801 წელს ალექსანდრე პირველის კორონაციის დროს ნიჟგოროდის დეპუტატი იყო.

**საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს ვახტანგ მეექვსეს შვილთაშვილმა იმპერატორს უძღვნა ქართული სახელმწიფოებრივი რელიქვია — წმიდა ნინოს ვაზის ჯვარი, შეკრული მისი თმებით. ალექსანდრე პირველმა ეს ჯვარი ქართულ ეკლესიას დაუბრუნა.** 1852 წლის 15 მაისს ლისკოვოში გარდაიცვალა ვახტანგ მეექვსეს უკანასკნელი შთამომავალი გიორგი გრუზინსკი. ის ლისკოვოს ცენტრში დაკრძალეს, ფერისცვალების ეკლესიაში, სადაც მისი დედა, ცოლი, ვაჟი და და განისვენებდნენ. უფლისწულ გიორგის გარდაცვალების შემდეგ მისი მამული შთამომავლობით მის ქალიშვილს — ანას, გენერალ-მაიორის, ობერ-პროკურორის და, რაც მთავარია, ვახტანგ მეექვსეს შვილიშვილის — გრაფ ალექსანდრე პეტრეს ძე ტოლსტოის ცოლს ერგო. მის ლიტერატურულ სალონში იკრიბებოდნენ პუშკინი, ლერმონტოვი, კარამზინი, ტურგენევი და სხვ. ერთ-ერთ მის სახლში მოსკოვში, ნიკიტინსკის ბულვარში (ამჟამად სუვოროვის ბულვარი) ცხოვრობდა და უკანასკნელი წლები გაატარა ნიკოლოზ გოგოლმა.

გრაფინია ტოლსტოიმ 100 000 რუბლის ღირებულების სადოვო-კუდრინსკზე მდებარე სახლი მოხუცებულთა თავშესაფარს, ძვირფასი ხატი და ძვირფასი თვლები წმიდა სამების ეკლესიასთან არსებულ თავშესაფარს უანდერძა, ქართველი წმინდანების ნეშტები, ანდერძის თანახმად, ერთ-ერთ დედათა მონასტერს უნდა გადასცემოდა. ანა გიორგის ასული დონის მონასტერში მეუღლესთან იქნა დამარხული.

**ნიჟგოროდისა და ლისკოვოს მუზეუმებში აღმოაჩინეს ზეთის საღებავებით შესრულებული ვახტანგ მეექვსეს ერთადერთი პორტრეტი, ასევე ალექსანდრე ბაქარის ძისა და კათალიკოს ანტონ პირველის პორტრეტები, რომელმაც ოთხი წელი დაჰყო ლისკოვოში, სპილენძის გერბი ქართველი მეფეებისა, თეიმურაზ მეორეს გრავიურა. აქვე მიაგნეს უძველეს ხელნაწერებს: „მარხვანს“, XV საუკუნის სამკურნალო წიგნს ვახტანგ მეექვსის შენიშვნებით, XII საუკუნის სახარებას, რომელიც ვახტანგ მეექვსემ შეადგინა, ქართველ მეფეთა გენეალოგიას, ქართველ მეფეთა მოკლე ბიოგრაფიებსა და სხვ. ნაწილი ამ ექსპონატებისა საქართველოს მუზეუმში ინახება.**

1783 წლის 24 ივლისს ჩრდილოეთ კავკასიის რუსულ სიმაგრეში — გეორგიევსკში ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე მეორემ და რუსეთის დედოფალმა ეკატერინე მეორემ დადეს ხელშეკრულება (ტრაქტატი). საქართველოს მხრიდან ტრაქტატს ხელი მოაწერეს იოანე მუხრან-ბატონმა და გარსევან ჭავჭავაძემ, ხოლო რუსეთის მხრიდან გენერალ-პორუჩიკმა პავლე პოტიონკინმა. ამ ტრაქტატით ქართლ-კახეთის სამეფო შედიოდა რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ. მოლაპარაკებებში დიდი როლი ითამაშა არქიმანდრიტმა გაიოზმა, რომელიც უფლისწული ლევანის დროიდან და ანტონ კათოლიკოსის მოსკოვში საელჩო მოღვაწეობიდან მოყოლებული რუსულ მართლმადიდებლურ სამყაროში „გაის“ სახელით იყო ცნობილი. შემდეგ მსახურობდა მოზდოკში, პენზაში, სარატოვში, ასტრახანში და კრემენჩუგში. იყო ასტრახანისა და კავკასიის არქიეპისკოპოსი, ხელმძღვანელობდა ოსეთში ქრისტიანობის აღდგენის კომისიას, გამოსცა პირველი ოსური წიგნი და ოსური ანბანი პეტერბურგში. ის 1821 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია ასტრახანში ვახტანგ მეექვსისა და თეიმურაზ მეორის გვერდით.

გარსევან ჭავჭავაძის საელჩოში მისი ვაჟები — მირიანი და ანტონი შედიოდნენ. მირიანი რუსეთის იმპერიის სამსახურში ჩადგა, ხოლო ანტონი არქიეპისკოპოსად „ცარსკოე სელოს“ მონასტერში. მას მინიჭებული ჰქონდა ალექსანდრე ნეველის, ანდრია პირველწოდებულის ორდენები და რუსეთის სინოდის წევრიც იყო. საქართველოს უკანასკნელი პატრიარქი, რომელსაც ეკლესიის ავტოკეფალია ჩამოართვეს, 1828 წელს ნიჟნი ნოვგოროდში ალესრულა. დაკრძალულია ნოვოპრეობრაჟენსკის ტაძარში. გიორგი XII-მ 1799 წელს ტრაქტატი განაახლა, ხოლო მეფის გარდაცვალების შემდეგ, 1801 წლის 18 იანვარს რუსეთის იმპერატორმა პავლე პირველმა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთთან შეერთების შესახებ მანიფესტი გამოსცა, რომელიც საბოლოოდ გაფორმდა იმპერატორ ალექსანდრე პირველის გამოცემული 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით. ამის შემდეგ 1864 წლის ჩათვლით რუსეთმა საქართველოს სხვა სამეფოები შემოიერთა. ამით რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსია დასრულდა.

1917 წლის 25 თებერვალს (12 მარტს) რუსეთში მოხდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია და 27 თებერვალს მეფის ხელისუფლება დაემხო. 1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 1921 წლის 25 თებერვალს მეთერთმეტე წითელმა არმიამ სერგო ორჯონიკიძის მეთაურობით საქართველოს ოკუპაცია მოახდინა.

1922 წელს საბჭოების პირველმა ყრილობამ მიიღო დეკლარაცია და ხელშეკრულება საბჭოთა კავშირის სოციალისტური რესპუბლიკების დაარსების შესახებ, რომელშიც საქართველოც იქნა ჩართული.

მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმზე გამარჯვების საქმეში ქართველმა ხალხმა დიდი წვლილი შეიტანა. 3 500 000 მოქალაქიდან არმიაში მსახურობდა 700 000, რომელთაგან 300 000 დაიღუპა.

სსრკ-ის დაშლის შემდეგ საქართველომ ერთ-ერთმა პირველმა გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობის შესახებ.

საქართველოს დიასპორის წარმომადგენლებმა რუსეთის ისტორიაში, კულტურასა და ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობებში უზარმაზარი წვლილი შეიტანეს.

**დარეჯან ანდრიაძე**

**ჟურნალი „ისტორიული მემკვიდრეობა“**




გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» ოცდამესამე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## გიგანტური ვიოლინო

**გერმანიის ქალაქ მაკნეუკირჰენში, რომელიც საუკეთესო ხარისხის ვიოლინოების სამშობლოდ არის ცნობილი, გიგანტური ვიოლინო დაამზადეს. ინსტრუმენტის შექმნაზე თორმეტი ადამიანი მუშაობდა, მათ საკუთარი ქალაქი გინესის რეკორდების წიგნში შეიყვანეს.**

საკრავის სიგანე 1 მეტრი და 45 სანტიმეტრია, ხოლო სიმაღლე — 4 მეტრი და 28 სანტიმეტრი. მისი გადაადგილება რამდენიმე ადამიანის ძალას მოითხოვს, რადგან 100 კილოგრამს იწონის.

# ტოპსი – სპილო, რომელიც სიკვდილით დასაჯეს

**მოგეხსენებათ, შუა საუკუნეებში ცხოველების გასამართლება და ადამიანებისთვის მიყენებული ზიანის გამო მათი დასჯა სრულიად ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მაგრამ ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ასეთი ბარბაროსული აქტები მეოცე საუკუნეშიც დაფიქსირდა და არა აფრიკის ან აზიის რომელიმე პრიმიტიულ ქვეყანაში, არამედ თვით დემოკრატიის სამშობლოში – აშშ-ში.**



არამარტო სპილო ტოპსი, არამედ ბევრი ცხოველი, რომლებიც ადამიანისთვის საფრთხეს წარმოადგენდა, მეცნიერ ტომას ედისონის საკბილო აღმოჩნდა. ესენი იყვნენ ცხენები, ლომები, ვეფხვები და დათვები. თუკი ისინი ადამიანს რამეს დაუშავებდნენ ან მოკლავდნენ, ნიუ იორკის შტატში ედისონის მეთოდით სიკვდილით დასჯა ელოდათ. ამისთვის ის იყენებდა ცვლად დენს, თუმცა მეცნიერის რეალური ზრახვები სხვა რამეში მდგომარეობდა – ედისონს დიდი ხნის მტრობა ჰქონდა ნიჭიერ მეცნიერ ნიკოლა ტესლასთან, რომლის შექმნილმა ცვლადმა დენმა ჩაანაცვლა ედისონის არაეფექტური მუდმივი დენი. ედისონი სწორედ იმის დემონსტრირებას ახდენდა, რომ ცვლადი დენი მოსახმარებლად საშიშია, რადგან მუდმივ დენს არ ჰქონდა იმხელა სიმძლავრე, რომ სპილო მოეკლა.

1903 წლის 4 იანვარს ლუნას პარკში, კონის კუნძულზე, სპილოს, სახელად ტოპსის, 6600 ვოლტი ძაბვის დენი მიუერთეს, მანამდე კი ციანიდით გაჟღენთილი სტაფილოები აჭამეს. ეს საქციელი იმით ახსნეს, რომ ტოპსი საშიში იყო – მას სამი ადამიანი ჰყავდა მოკლული. აღსანიშნავია, რომ ამ სამიდან ერთი იყო მისი მწვრთნელი, რომელიც ხშირად ამათრახებდა და რამდენიმეჯერ ანთებული სიგარეტი აჭამა, რომ ცხოველის ტანჯვისთვის ეცქირა. ამის გამო ტოპსიმ ის გათელა.

სპილოს დასჯას 1500 ადამიანი ადევნებდა თვალს და პრეტენზიაც კი არავინ გამოთქვა. ედისონმა პროცესი ვიდეოზე აღბეჭდა და ამჟამად ინტერნეტითაცაა ხელმისაწვდომი. უცნაურია, მაგრამ ორგანიზაცია ASPCA-მ (ცხოველთა სისასტიკისგან დაცვის ამერიკული საზოგადოება) ჩათვალა, რომ სპილოს ჩამოხრჩობა სისასტიკე იქნებოდა, ხოლო ციანიდიან სტაფილოებზე და ელექტროენერგიით სიკვდილით დასჯაზე არაფერი უთქვამს.

1944 წელს ლუნას პარკს ცეცხლი მოედო და განადგურდა, რასაც „ტოპსის შურისძიება“ უწოდეს.



## მოპარული ხიდი

**ამერიკაში მასიური რკინის ხიდი მოიპარეს. მეტალი, რომლისგანაც ხიდი იყო დამზადებული, 100 000 დოლარი ღირს. სამართალდამცავების თქმით, ხიდის დემონტაჟზე რამდენიმე კვირიანი მუშაობა და სპეციალური მეტალის ელექტროხერხია საჭირო.**

პოლიციისთვის უცნობია, როდის გაქრა საფეხმავლო ხიდი, რომლის სიგრძე 15, ხოლო სიგანე 6 მეტრია. **ხიდი ბივერის რაიონში იყო, რომელიც მჭიდროდ დასახლებული არ არის, ამიტომ ქურდებს ღამით მუშაობა თავისუფლად შეეძლოთ.**

სამართალდამცავები დარწმუნებულნი არიან, რომ ქურდები ხიდს ფერადი მეტალის მიმღებ ქარხნებში ჩააბარებენ, ამიტომ ყველა მსგავსი პუნქტი გააფრთხილეს.

## გადანერგილი რქები



**როდესაც ინგლისელი ჯორჯ აშმანი დაიბადა, მას შუბლზე დიდი წითელი ხალი ჰქონდა. ბავსჰვის დედა კერენი ამ ამბავს ძალიან განიცდიდა, რადგან ფიქრობდა, რომ ნაკლი მის შვილს მთელ ცხოვრებას დაუმახინჯებდა და ამიტომ ჯორჯისთვის ქირურგიული ოპერაციის გაკეთება გადაწყვიტა.**

ექიმებმა კერენს აუხსნეს, რომ ასეთი რთული ოპრაციისთვის ბავშვის წინასწარ მომზადება იყო საჭირო. ხალის მოსაშორებლად ექიმებმა 5 წლის ჯორჯს შუბლზე კანი სპეციალური, რქების მსგავსი იმპლანტანტების გადანერგვით გადაუჭიმეს, რის შემდეგაც ოპერაცია წარმატებით ჩატარდა.

„როდესაც ჯორჯი პირველად დავინახე, მეტყველების უნარი დავკარგე! რქები იმაზე უფრო დიდი ზომის აღმოჩნდა, ვიდრე ველოდი! — ყვება 33 წლის კერენი, — იმპლანტანტები მის პატარა თავზე უზარმაზარი იყო. ჩემი საყვარელი შვილი ეშმაკს ჰგავდა!“ ამ მდგომარეობაში ბავშვი 4 თვის განმავლობაში იყო, შემდეგ მას ოპერაცია გაუკეთეს, რის შედეგადაც ჯორჯს საშინელი იმპლანტანტებიც მოაშორეს და წითელი ხალიც.



## ნეპტუნის ფოსტა

**ადამიანები საზღვაო კატასტროფების შედეგად ხშირად რობინზონ კრუზოს მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე და ამ დროს ზოგჯერ „ნეპტუნის ფოსტას“ მიმართავენ. ზღვაში გადაგდებულ ბოთლებს არაერთი საინტერესო ისტორია უკავშირდება.**



მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს ინგლისელი სამხედრო მეზღვაურების მიერ დაჭერილი ზვიგენის კუჭში აღმოჩნდა ზარდახშა რამდენიმე ჩანაწერით, რითაც გაირკვა, რომ კუნძულ იამაიკაზე ყველასგან პატივცემული ვაჭარი ე. მაკკორმიკი ცნობილი მეკობრის — გრეჰემის ახლო მეგობარი და თანამშრომელი იყო. მისი ხომალდი იმ ადგილთან ახლოს ჩაიძირა, სადაც ზვიგენი დაიჭირეს მამხილებელ დოკუმენტთან ერთად. მტაცებლის სიხარბემ ამჯერად სიკეთე გამოიღო, მეკობრე და ვაჭარი დააკავეს და სახრჩობელაზე გაგზავნეს.

1942 წელს ნაპირზე აღარ დაბრუნებულა პატარა კატარღა, სადაც მხოლოდ ერთი ადამიანი იმყოფებოდა. შვიდი თვის შემდეგ სიდნეისთან ახლოს იპოვეს ბოთლი კატარღის მეპატრონის ჩანაწერით: „თუ ამ ბოთლს იპოვით, გთხოვთ, ბარათი გადასცეთ ჩემს ცოლს — კრისტინა დუგლასს, პოინტ-პეიპერი, ქალაქი სიდნეი. ცხადია, გაგიკვირდება, როცა გაიგებ, რაც გადამხდა. ძრავა გამოირთო – ღია ზღვაში გავირიყე, მშვიდობით...“ **ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში იაპონელი მეზღვაური მაცუიმა საზღვაო განძის საძებნელად გაემგზავრა. გემი დაიღუპა, ადამიანები მარჯნის რიფებზე აღმოჩნდნენ. მაცუიმამ, რომელიც შიმშილისა და წყურვილისგან კვდებოდა, სიკვდილის წინ ხის ნაფოტზე მათი ცურვის ისტორია ამოკაწრა, ბოთლში ჩაბეჭდა და ტალღებს მიანდო.** ოკეანემ განსაცვიფრებელი სიზუსტით მიიტანა ბოთლი სოფელ ჰირატემურას სანაპიროზე, სადაც მაცუიმა დაიბადა, მაგრამ ეს განძის მაძიებლის დაღუპვიდან 150 წლის შემდეგ მოხდა.

**1952 წელს ავსტრალიის ნაპირებთან ჩაიძირა სარეწაო გემი, რომლის შკიპერიც გახლდათ ვინმე ა. როსი. მეზღვაურები გადარჩნენ და უახლოეს კუნძულს მიაღწიეს, მაგრამ კუნძულზე არც ადამიანები იყვნენ, არც ცხოველები და არც მცენარეულობა.** სასოწარკვეთის წუთებში როსიმ ზღვაში გადააგდო წერილი, რომლითაც ის ყველას მიმართავდა. მალე მეზღვაურებს ბედმა გაუღიმა. კუნძულის მახლობლად თევზსაჭერი ტრალერი გამოჩნდა და მეზღვაურები აიყვანა.

**შკიპერმა გადაწყვიტა, დარჩენილი დღეები მშვიდად გაეტარებინა. მან სახლი ახალ ინგლისში, ზღვასთან ახლოს იყიდა.** ერთხელ, როცა ის ზღვის ნაპირზე დასეირნობდა, დაინახა რომ ტალღები ზღვის წყალმცენარეებით დაფარულ ბოთლს ათამაშებდა. ძველმა შკიპერმა ბოთლი გახსნა და შიგ თავისი წერილი აღმოაჩინა.

## ქორწინება ასჯერ



**აშშ-ში, ტენესის შტატის ქალაქ ჰენდერსორვილში წყვილმა ერთობლივი ცხოვრების მანძილზე 100-ჯერ იქორწინა. მეასე ქორწინება ჰონოლულუში გაიმართა. ცერემონიის დასრულების შემდეგ 58 წლის დევიდი და 60 წლის ლორენ ბლერები გინესის რეკორდების წიგნში შევიდნენ.**

დევიდმა და ლორენმა ერთმანეთი 1982 წელს გაიცნეს და პირველად 1984 წელს დაქორწინდნენ. შემდეგი საქორწილო ცერემონიები სხვადასხვა ქალაქებსა და სიტუაციაში იმართებოდა. ბლერების ოჯახი მეასე ქორწინებაზე გაჩერებას არ აპირებს. ისინი დაქორწინებას კიდევ გეგმავენ.

## DVD-მეხსიერება



**ბროდვეის მსახიობი მერილი ჰენერი ტვინის უცნაური პათოლოგიით იტანჯება — 47 წლის ქალბატონს 12 წლის ასაკის შემდეგ ყოველი დღე ახსოვს, ყოველი წუთი და მოქმედება. შეუძლია გაიხსენოს, კვირის რომელ დღეს როგორი ამინდი იყო, რა ეცვა, ტელევიზორში რას უყურა და უამრავი სხვა წვრილმანი. ცდომილება მხოლოდ 1%-ია.**

მეცნიერები ასეთ უნიკალურ მეხსიერებას დაავადებად მიიჩნევენ და მას ჰიპერტიმეზიას უწოდებენ. მისი პირველი შემთხვევა მედიცინამ 2006 წელს დააფიქსირა. დღეისათვის აშშ-ში 20 ჰიპერტიმეზიტი ცხოვრობს. მათი გონება DVD-ის რეჟიმით მუშაობს — ინფორმაციის უზარმაზარ საცავში ნებისმიერი თარიღისა და მოვლენის მოძიება შეუძლია, გახსენების პროცესი კი ვიდეოკადრების ყურებას ჰგავს.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




## ანტისტრესული ჯიხურები

**ჩეხეთის დედაქალაქში მერიამ ცენტრალური მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე ანტისტრესული ჯიხურები განათავსა.** ნებისმიერ გამვლელს შეუძლია შიგნით შევიდეს და თავისი რისხვა გადმოაფრქვიოს. იდეის ავტორებს მიაჩნიათ, რომ ამ გზით პრობლემებით გადატვირთული ადამიანები სულიერ სიმშვიდეს მოიპოვებენ.

# სპრაიტი

**სპრაიტი საოცარი ფენომენია, რომელიც ელვის განსაკუთრებულ სახეობას წარმოადგენს.**




ამ მოვლენის შესწავლა მეცნიერებმა სულ ახლახან დაიწყეს. **სიმაღლე, რომელზეც სპრაიტები ჩნდება, 40-დან 120 კილომეტრამდე მერყეობს. თავად სპრაიტის სიმაღლე 16 კმ-ს არ აღემატება, ხოლო სიგანე შეიძლება 70 კმ-მდეც კი იყოს.** სპრაიტი ჩნდება თითქმის ყველა ჭექა-ქუხილის ზემოთ, მაგრამ მისი დანახვა ყოველთვის არ არის შესაძლებელი. ის ვიზუალურად მხოლოდ მაშინ ჩანს, როდესაც განმუხტვა ძალიან ძლიერია. **ყველაზე დამაჯერებლად ამ მოვლენას მეცნიერები იმით ხსნიან, რომ ჩვეულებრივი ჭექა-ქუხილის დროს მის თავზე წარმოიქმნება ელექტრულად დამუხტული ველი, რომელიც ჩნდება სპეციფიკური ელვის დროს.**

არსებობს მრავალი მომსწრე, რომელიც ამბობდა, რომ მათ ცაში დაინახეს კოლოსალური ზომის წითელი ნათება. თავიდან ადამიანებს სპრაიტები ამოუცნობი მფრინავი ობიექტები ეგონათ. სპრაიტის ერთ-ერთი უცნაური თვისებაა მათი ხშირი წარმოქმნა ჯგუფებად, ასევე ამოუხსნელია მათი მიმართულების თავისებურება. სპრაიტების ფერი დამოკიდებულია სიმაღლეზე, ძირითადად ლურჯია და შემდეგ გადადის წითელში, ან მთლიანად წითელია.

ცხადია, ეს მწირი ინფორმაციაა ამ ფენომენის შესახებ, მაგრამ დღესდღეობით სულ ეს არის, რაც სპრაიტების შესახებ ვიცით.





# უცნაურად დაკრძალული ვარსკვლავები

**ცნობილი ადამიანები ხშირად ცდილობენ, ამ ქვეყნიდან გამორჩეულად წავიდნენ. BBC-იმ იმ ვარსკვლავების სია შეადგინა, რომლებიც ცხოვრებას ორიგინალური ხერხით დაემშვიდობნენ.**



ცნობილ რეპერს — **თუფაქ შაკურს** ძალიან უყვარდა მარიხუანა. გარდაცვალების მეორე დღეს მას კრემაცია ჩაუტარდა. მისმა მეგობრებმა დაღუპულს პატივი თავისებურად მიაგეს. რეპ-ჯგუფის — Young Outlawz-ის წევრთა განცხადებით, მათ თუფაქის მტვერი მარიხუანას შეურიეს და მოწიეს. გარდაცვლილის ადვოკატმა კი განაცხადა, რომ ეს შეუძლებელი იქნებოდა, რადგან მომღერლის საფლავი მკაცრადაა დაცული.





**ელიზაბეტ ტეილორს**
რამდენიმე ქმარი ჰყავდა და საზოგადოებას ყოველთვის აღაფრთოვანებდა თავისი შეუდარებლობით. შესაბამისად, არც მისი დაკრძალვა ყოფილა ჩვეულებრივი. ჯერ კიდევ სიკვდილამდე მსახიობმა დაიბარა, რომ დათქმულ დროზე 15 წუთით გვიან დაეკრძალათ.



ჩიფსების ცნობილი კომპანიის **Doritos**-ის 97 წლის ხელმძღვანელმა **არჩ ვესტმა**, რომელიც სულ ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა, ანდერძში ჩაწერა, რომ უარს ამბობს ტრადიციულ დაკრძალვაზე. მან კუბოში სიმინდის ჩიფსების ჩაყოლება მოითხოვა. რა თქმა უნდა, ჩიფსების მეფეს თხოვნა შეუსრულეს.

# მისალმება ტრადიციულად





**იაპონიაში** ნაცნობს სამი განსხვავებული ხერხით — სეიკერეით, 30 და 15 გრადუსიანი თავის დახრით ესალმებიან. სეიკერეი თავის ლამის მუხლებამდე დაწევას მოითხოვს. ასე ძალიან პატივსაცემ და მდიდარ ადამიანებს ესალმებიან.

**კენიაში,** აკამბას ტომში, თუ გინდა ადამიანს პატივისცემა აგრძნობინო, უნდა შეაფურთხო. მსგავსი ტრადიცია მასაის ტომშიც არსებობს, თუმცა აქ ჯერ ხელზე იფურთხებენ და შემდეგ ართმევენ შემხვედრს.

**აღდგომის კუნძულის** მცხოვრებლებს საკმაოდ რთული მისალმის წესი აქვთ, თუმცა ტურისტებისთვის მისი გამარტივებული ვერსიაც არსებობს. შემხვედრი ადამიანები ხელისგულებს აერთებენ, მიაქვთ შუბლთან,ააქვთ თავს ზემოთ, შემდეგ კი სწრაფად იცემენ ბარძაყებზე.

**ტიბეტის** მცხოვრებლები ნაცნობთან შეხვედრისას მარჯვენა ხელით იხსნიან თავსაბურავს, მარცხენა მიაქვთ ყურთან და ერთმანეთს ენას უყოფენ.



**ახალი გვინეის** წარმომადგენლების მისალმება ახალი ზელანდიელებისას ძალიან ჰგავს. მაგრამ აქ, ცხვირის მაგივრად, შემხვედრი ადამიანები ერთმანეთს ნიკაპებს უხახუნებენ.

**სამოაში** კი ცუდ ტონად ითვლება, თუ შეხვედრისას მეორე ადამიანის პირს არ დაყნოსავთ.



# ნოეს მინი-კიდობანი

**იაპონიაში, სადაც ხშირია მიწისძვრები და ცუნამი, უბედური შემთხვევებისგან თავის დასაცავად ბიბლიური ნოეს კიდობანი ააშენეს.** მართალია, ორიგინალის ზომებთან შედარებით იაპონური წარმოების კიდობანი გაცილებით პატარაა, მაგრამ მასში ორი ადამიანი თავისუფლად მოთავსდება. კიდობანი ძალიან ჰგავს გიგანტურ ჩოგბურთის ბურთს. ის ერთ-ერთმა იაპონურმა კომპანიამ შექმნა. მოცურავე კაფსულა 300 000 იენი (2525 ევრო) ღირს. კომპანიის პრეზიდენტმა შოი ტანაკამ განაცხადა, რომ ეს თანხა დიდი ნამდვილად არ არის, რადგან თანამედროვე ნოეს კიდობანი ადამიანს ცუნამისა და მიწისძვრისგან იცავს.



## გურამ ოდიშარია:

# თუ ხალხთა შორის სიძულვილი იარსებებს, შერიგება არ მოხერხდება

ქართველი მწერლის — გურამ ოდიშარიასა და აფხაზი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის — ბათალ კობახიას თაოსნობით, 18 ოქტომბერს კავკასიურ სახლში პირველი ერთობლივი ლიტერატურულ-პუბლიცისტური ალმანახის „სამხრეთ კავკასია“ პრეზენტაცია გაიმართა. ალმანახში სამხრეთკავკასიელი ხალხების — ქართველების, ოსების, აფხაზების, სომხებისა და აზერბაიჯანელების წარმომადგენელთა ნაწარმოებები დაიბეჭდა. გამომცემელთა აზრით, სამშვიდობო პროცესში ალმანახი, შესაძლოა, გაუცხოების დაძლევისა და დიალოგის საუკეთესო საშუალებად იქცეს. ალმანახის იდეის ავტორი და ინიციატორი, გურამ ოდიშარია ამბობს, რომ გამოცემის იდეა ქართულ-აფხაზური შეხვედრების დროს გაჩნდა, რომლებშიც ის სახალხო დიპლომატიის ეგიდით მონაწილეობდა.



ეს ალმანახი კავკასიაში მშვიდობისკენ მიმავალ გზაზე კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია

**«ომი ერთ წამში ანადგურებს ყველაფერს, მშვიდობა კი პატარა ნაბიჯებით მოდის, მაგრამ მშვიდობისთვის უნდა ვიბრძოლოთ, სიცოცხლე მხოლოდ ამისთვის ღირს»**

**გურამ ოდიშარია:** — აფხაზ საზოგადო მოღვაწესთან, ბათალ კობახიასთან ერთად შემოვიარე მთელი კავკასია და ამ საშინელი კონფლიქტის მერე, რაც ორმა ერმა გადავიტანეთ, ქართველს და აფხაზს რომ ერთად გვხედავდნენ, გაოცებული გვიყურებდნენ.

ჩვენ არ ვართ პოლიტიკოსები, მაგრამ პოლიტიკოსებს შორის შეთანხმება რომც შედგეს და ხელშეკრულებებს ხელი მოეწეროს, თუ ხალხთა შორის სიძულვილი იარსებებს, შერიგება არ მოხერხდება. საქართველოშიც და აფხაზეთშიც არიან ადამიანები, რომლებიც მოლაპარაკების წინააღმდეგი არიან, მაგრამ, როცა ბათალ კობახიას ზოგიერთები მისი საქმიანობის გამო საყვედურობენ, ის ყველას პასუხობს, რომ ამ ომში ოჯახის 6 წევრი დაკარგა და ახალი მსხვერპლი აღარ სურს.

**— ბატონო გურამ, რა პრინციპით შეარჩიეთ ნაწარმოებები, განმსაზღვრელი ფაქტორი იყო თუ არა პატრიოტული თემატიკა?**

— ალმანახამდე ჩვენ გამოვეცით წიგნი სახელწოდებით „Время жить“, მასში ომის საშინელების ამსახველი ნაწარმოებები დაიბეჭდა, ახლა კი გადავწყვიტეთ, მკითხველისთვის გვეჩვენებინა, რა იწერებოდა ოცი წლის განმავლობაში სამხრეთ კავკასიაში. ქართველი მწერლებიდან ალმანახში დაიბეჭდა ახალგაზრდა მწერლების: თეონა დოლენჯაშვილის, ბესო ახვლედიანის, შოთა იათაშვილის ნაწარმოებები. ეს ის თაობაა, რომელიც კონფლიქტების შემდეგ მოვიდა ლიტერატურაში. საინტერესოა ის ფაქტი, რომ, როდესაც ალმანახი დაიბეჭდა, აზერბაიჯანელები სომხების ნაწარმოებებს ეძებდნენ და სომხები პირიქით — აზერბაიჯანელებისას, აინტერსებდათ, რა დაწერეს მეზობელი ქვეყნის წარმომადგენლებმა.

კავკასიაში მშვიდობას მხოლოდ ლოზუნგებით ვერ მივაღწევთ. ეს ალმანახი კი მშვიდობისკენ მიმავალ გზაზე კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია.

**— აფხაზურმა და ოსურმა საზოგადოებამ როგორ მიიღო ალმანახი?**

— იქაც გაიმართა ალმანახის პრეზენტაცია, არავის არც შენიშვნა და არც პრეტენზია არ ჰქონია. ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, მართალია, არ არის დარეგულირებული, მაგრამ, რაც მთავარია, ქართველ და აფხაზ ერებს შორის კვლავაც არსებობს მეგობრული და ნათესაური კავშირები. ადამიანური ფაქტორი კი ხშირად გადაწონის ხოლმე პოლიტიკას და გვინდა, ეს ფაქტორი კიდევ უფრო გავაძლიეროთ, რაც მხოლოდ პოეზიის, ლიტერატურის დახმარებითაა შესაძლებელი. კულტურა და ხელოვნება უფრო მაღლა დგას პოლიტიკაზე.

**— ბატონო გურამ, ახლახან თქვენ იტალიასა და საბერძნეთში იმყოფებოდით, გვიამბეთ ამის შესახებ.**

— სექტემბრის ბოლოს ვიყავი რომში, კავკასიურ შეხვედრაზე, სადაც ქართველებთან ერთად ოსებიც და აფხაზებიც იმყოფებოდნენ და სწორედ აქ ვიმსჯელეთ, რა სახით უნდა გამოგვეცა ალმანახი. შემდეგ კი საბერძნეთში, კუნძულ როდოსზე დავესწარი ყოველწლიურ კონფერენციას „ცივილიზაციათა დიალოგი“. აღსანიშნავია, რომ მას საერთოდ ესწრებიან სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები, პოლიტიკოსები, რელიგიური კონფესიების წარმომადგენლები, კონფლიქტოლოგები, შემოქმედი ადამიანები, რომლებიც საინტერესო საკითხებს განიხილავენ. კონფერენციაზე მე უკვე მეოთხედ მიმიწვიეს, მაგრამ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ წელს ჩემთან ერთად პირველად იმყოფებოდა აფხაზი მწერალი ბათალ კობახია და ჩვენი ალმანახიც წარვუდგინეთ დამსწრე საზოგადოებას. მინდა აღვნიშნო, რომ ყველა გაოცებული დარჩა ჩვენი ალმანახით და ინიციატივაც მოგვიწონეს.

ომი ერთ წამში ანადგურებს ყველაფერს, მშვიდობა კი პატარა ნაბიჯებით მოდის, მაგრამ მშვიდობისთვის უნდა ვიბრძოლოთ, სიცოცხლე მხოლოდ ამისთვის ღირს.

**კავკასიურ სახლში ალმანახის პრეზენტაციას ქართველი მწერლები, პოეტები და ჟურნალისტებიც ესწრებოდნენ. თითოეული მათგანი აღნიშნავდა ალმანახის მნიშვნელობასა და ხალხთა შორის დიალოგის დაწყების აუცილებლობას.**

პროფესორი, მწერალი **ზაზა აბზიანიძე** ამბობს, რომ შეუძლებელია მეზობელთან გამუდმებით მტრობასა და დაპირისპირებაში ცხოვრობდე: **„საყოველთაო სიძულვილის, დაპირისპირებისა და კომპრომატების ძიების დროს ყოველთვის მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც მდინარის საწინააღმდეგოდ მიცურავენ. სწორედ ასეთია მწერალი გურამ ოდიშარია. ქართველებსა და აფხაზებს შორის დიდი უფსკრულია, მაგრამ ყოველი ასეთი კრებულის გამოცემა, ყოველი ასეთი შეხვედრა თითოეული ის ქვაა, რომელიც ერთმანეთისთვის კი არაა დამიზნებული, არამედ არსებული უფსკრულის ამოსავსებადაა გამიზნული.“**

**მწერალ გივი ალხაზიშვილის** აზრით, მთავარია, დაპირისპირებულმა მხარეებმა ერთმანეთთან მისასვლელი გზები ვიპოვოთ. **„ალმანახი — ეს არის შესანიშნავი გზა მშვიდობისკენ, კულტურული ურთიერთობისკენ, საშუალება იმის გასაგებად, თუ რას ფიქრობენ დღეს ის ადამიანები, რომლებიც ოდესღაც ჩვენ გვერდით ცხოვრობდნენ,“** — აღნიშნა მან.

ალმანახის პრეზენტაციას მეზობელი სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. ისინი საგანგებოდ ამ დღისთვის ეწვივნენ საქართველოს. **სომხეთის წარმომადგენელი ირინა გრიგორიანი** ამბობს, რომ კავკასიელი ხალხები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს: **„ჩვენ გვაქვს საერთო მენტალიტეტი, კავკასიელები სტუმართმოყვარე, გულღია ხალხი ვართ. პრეზენტაციაზე ითქვა, რომ ახლა ქვების შეკრების დროაო, მაგრამ ამის გაკეთება ყველას არ შეუძლია. ყველას როდი შეუძლია დაუფარავად თქვას, რასაც ფიქრობს. ბედნიერი ვარ, რომ ისეთ დიდებულ ადამიანს ვიცნობ, როგორიც გურამ ოდიშარიაა. მიუხედავად ფეხის ტკივილისა, მან მაინც ფეხით შემოიარა კავკასიის ძნელადსავალი გზები.**

**სხვათა შორის, როცა სასტუმროში ადგილების უქონლობის გამო, ბათალ კობახია და გურამ ოდიშარია ერთ ნომერში დააბინავე, სასტუმროს მეპატრონეს, შეშინებულს, კართან ეძინა, ერთმანეთი არ დახოცონო.**

**და როდესაც ამ ორ ადამიანს ერთად ვხედავ, იმედი მიჩნდება, რომ საერთო ენას გამოვნახავთ და კავკასიაში მშვიდობა დამყარდება“.**

აზერბაიჯანის წარმომადგენელ **ავაზ ჰასანოვის** თქმით, ალმანახი კავკასიელი ხალხისთვის დიდი შენაძენია: **„გურამ ოდიშარიამ და ბათალ კობახიამ ბევრი გააკეთეს არამარტო როგორც მწერლებმა, არამედ მათ მშვიდობისმყოფელების ნამდვილი, ჭეშმარიტი სახე დაგვანახეს“.**

ალმანახის შემდეგი ნომერი მომავალი წლის გაზაფხულზე გამოვა და პრეზენტაციას უკვე აფხაზები და ოსებიც დაესწრებიან.

**შორენა ციცქარაშვილი**

# ბანკ «ქართუს» ინკასაციის მანქანას თავს დაესხნენ, დააკავეს ბანკის 6 თანამშრომელი

ბანკი ქართუ
CARTU BANK

## ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნის განცხადება

საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო ღია, აგრესიული და კრიმინალური შეტევა ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ. 2011 წლის 18 ოქტომბერს, დღის 17 საათზე განხორციელდა პირდაპირი თავდასხმა ბანკ „ქართუზე“, რომელიც ბიზნესმენ ივანიშვილს ეკუთვნის.

სს „საქართველოს ბანკის“ სათაო ოფისიდან გამოსული ბანკ „ქართუს“ ინკასაციის მანქანას თავს დაესხნენ ძალოვანი უწყების წარმომადგენლები, სპეცდანიშნულებისა და პოლიციის თანამშრომლები. **იარაღისა და ძალის გამოყენებით დააკავეს ბანკ „ქართუს“ 6 თანამშრომელი, წაიყვანეს ბანკის კუთვნილი ინკასაციის მანქანა, რომელსაც გადაჰქონდა ბანკი „ქართუს“ საკუთრებაში არსებული დიდი ოდენობით თანხა.**

ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ადგილი აქვს ძალადობრივ აქტს, ქმედება განხორციელებულია საქართველოს კონსტიტუციისა და ყველა საერთაშორისო ნორმის ფეხქვეშ გათელვით.

აღნიშნული წარმოადგენს პოლიტიკური ნიშნით დევნის უპრეცედენტო ფაქტს.

მივმართავთ საზოგადოებრივ ინსტიტუტებს, დიპლომატიურ წარმომადგენლობებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს დაუყოვნებლივი რეაგირებისათვის!

**«ჩვენ მოვითხოვთ, უკანონოდ დაკავებული ადამიანების სასწრაფოდ გათავისუფლებას და ბანკი «ქართუს» მიტაცებული ქონების დაბრუნებას».**

დაკავებულები არიან ბანკი „ქართუს„ თანამშრომლები:
მოლარეები — ინგა ჯავახია, ირმა ქეთიშვილი, ლია მაღრაძე, ნატო დავითულიანი;
ინკასატორები — არჩილ ჯაფარაშვილი და ზაზა ყაველაშვილი.

pirweli.com.ge
პირველი
საინფორმაციო სააგენტო

მედიანიუსი
საინფორმაციო სააგენტო
http://www.medianews.ge

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოლუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail:info@geworld.net